

როზეტა ასათიანი

პრანერგოებიანი სუარო  
ერთიან სხალხო-საგეურნეო  
ქოგქლექსუი

მონოგრაფიაში განხილულია არაწარმოებითი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური არსი, მისი მატერიალური წარმოებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმებისა და დარგთა კლასიფიკაციის მეთოდოლოგიურ-თეორიული საკითხები; ნაჩვენებია არაწარმოებითი სფეროს როლი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, მისი გავლენა საწარმოო ძალების განვითარებასა და სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაზე; გაანალიზებულია არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებათა განმაპირობებელი ფაქტორები, გამოკვლეულია საქართველოს სსრ-ში არაწარმოებითი სფეროს განვითარების თავისებურებანი, განსაზღვრულია მისი პროგნოზირების მეთოდოლოგიური საფუძვლები.

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკის ფაქულტეტის სტუდენტებისათვის, ეკონომიკის დარგის სპეციალისტებისა და არაწარმოებითი სფეროს პრობლემების მეცნიერული კვლევის ასპირანტებს მკითხველთათვის.

რედაქტორი ეკონ. მეცნ. დოქტორი,  
პროფ. ლ. ჩიქავა

რეცენზენტები: ეკონ. მეცნ. დოქტორი,  
პროფ. ლ. ხარაზი  
ეკონ. მეცნ. კანდიდატი,  
დოც. პ. ლემონჯავა

გამომცემლობა, 1987.

0605010000  
A  
M 608 (06) — 57

ვუძღვნი ძვირფასი მშობლების —  
ქეთევან და შალვა ასათიანების  
ნათელ ხსოვნას.

## შ ე ს ა მ ა ლ ი

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში მატერიალურ წარმოებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი არაწარმოებით სფეროს განეკუთვნება. სკკპ XXVII ყრილობამ მის შემდგომ სრულყოფას განსაკუთრებული ადგილი მიანიჭა ხალხის კეთილდღეობის თვისებრივად ახალ საფეხურზე აყვანაში.

მართალია, არაწარმოებითი სფერო მეორადია და განპირობებულია მატერიალური წარმოების განვითარებით, მაგრამ ეს უკანასკნელიც ორგანულადაა დაკავშირებული არაწარმოებითი სფეროს მიღწევებთან და მკვეთრად ზრდის მის როლს. თუ წინათ შრომის იარაღებისა და სამუშაო ძალის ევოლუცია დაკავშირებული იყო უმთავრესად მატერიალური წარმოებთან პროგრესთან, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში არაწარმოებითი სფერო ასრულებს აქტიურ და, განსაზღვრული ზომით, გადამწყვეტ როლს საწარმოო ძალების ამ ელემენტების სრულყოფაში. არაწარმოებითი დარგების განვითარება აჩქარებს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის პროცესს, ხელს უწყობს საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის — მშრომელის კვალიფიციურ და იდეურ ფორმირებას, მისი მსოფლმხედველობის, შრომის უნარისა და ჩვევების განვითარებას, მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, რასაც არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს.

არაწარმოებითი სფერო უშუალოდ ზემოქმედებს სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაზე, ხელს უწყობს თავისუფალი დროის გადიდებასა და პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. იგი საზოგადოების ყველა წევრის მატერიალური და კულტურული კეთილდღეო-

ბის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ მხოლოდ ამით რო-  
დი შემოიფარგლება მისი ფუნქციები. არაწარმოებითი სფეროს დარ-  
გები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ  
ამოცანათა განხორციელებაში, როგორცაა ქვეყნის ინტელექტუ-  
ალური და მეცნიერული პოტენციალის ზრდა, არსებითი განსხვავების  
დაძლევა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრო-  
მას შორის, სოციალურ ჯგუფებს შორის. ამრიგად, არაწარმოებითი  
სფეროს მზარდი როლი ნაკარნახევია როგორც საწარმოო ძალების  
განვითარების ობიექტური აუცილებლობით, ისე სოციალურ-სტრუქ-  
ტურის მიზნითა და თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნათა სის-  
ტემით. ამიტომ არაწარმოებითი სფეროს განვითარების კანონზომიე-  
რებათა შესწავლას როგორც საკავშირო მასშტაბით, ისე რესპუბლი-  
კის ასპექტში. აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი სახალხო-  
სამეურნეო მნიშვნელობა და ემსახურება სოციალიზმის ძირითადი  
ეკონომიკური კანონისა და სხვა ეკონომიკური კანონების მოთხოვნა-  
თა განხორციელებას.

არაწარმოებითი სფეროს ზრდა და მისი ესოდენ დიდი როლი მას-  
ში მიმდინარე ყველა მოვლენის მეცნიერულად დასაბუთებულ ანა-  
ლიზს მოითხოვს. იგი ეკონომიკური მეცნიერების წინაშე აყენებს  
რიგ აქტუალურ პრობლემებს. ამასთან, განაპირობებს იმის აუცილებ-  
ლობას, რომ შესწავლილ იქნეს მის ობტიმალურ განვითარებასთან და-  
კავშირებული საკითხები არა მხოლოდ გლობალურ, არამედ რეგიონ-  
ულ ასპექტშიც.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების მრავალმხრივი პრობლე-  
მების რიგი მნიშვნელოვანი ასპექტების დამუშავებაში დიდი ღვაწლი  
მიუძღვით მ. ა. აბრამოვს, ე. მ. აგაბაბიანს, გ. ი. ჟამძისს, გ. ი. ჟილ-  
ცოვს, გ. ი. ზაგესს, ვ. ვ. ზაპოლსკაიას, გ. პ. ივანოვს, ვ. ე. კოზაკს,  
ა. ფ. კოჟუხარს, ი. ა. კრონროდს, ა. დ. კუზნეცოვს, ვ. ა. მედვედევს,  
ლ. ნ. ოვსიანიკოვს, გ. ა. ოგანიანს, დ. ი. პრავდინს, ვ. მ. რუტგაიზერს,  
გ. კ. საგიმბაევს, რ. პ. სამარს, მ. ი. სკარჟინსკის, მ. ვ. სოლოდკოვს,  
ს. გ. სტრუმილინს, ა. პ. ტარასიუკს, ვ. ს. ხოხლოვს, ლ. ი. იაკობსონს  
და სხვ.

საქართველოს სსრ-ში არაწარმოებითი სფეროს განვითარების  
პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები განხილულია შ. გ. არახა-  
მას, პ. ბ. გუგუშვილის, ა. ლ. გუნიას, ვ. ი. მელქაძის, ი. ს. მიქელაძის,  
ლ. ლ. ჩიქავას, რ. გ. ჯავახიშვილის და სხვ. შრომებში.

ძნელია დავასახელოთ ნებისმიერი ეკონომიკური პრობლემა, რომელიც გამოიჩინოვდება აზრთა ისეთი დიდო სხვადასხვაობით, როგორც ამას ადგილი აქვს არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური პრობლემების კვლევებისას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში გაძლიერდა ინტერესი არაწარმოებითი სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისადმი და მნიშვნელოვანი წარმატებებიცაა მიღწეული აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ჩამოყალიბდა მეცნიერების ახალი დარგი — არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკა, ჯერ კიდევ, მისი ყველა ასპექტი არაა ყოველმხრივ გაშუქებული, ბევრი პრობლემა სადისკუსიოა. მთელ რიგ საკვანძო, თეორიულ საკითხებზე ჭარბობს აბსტრაქტული და ცალმხრივი წარმოდგენა. ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არის ერთიანი შეხედულება ზოგიერთ კატეგორიაზე. სხვადასხვა აზრია ჩაქსოვილი ცნებებში — „მატერიალური წარმოების სფერო“, „არაწარმოებითი სფერო“, „მომსახურების სფერო“, „მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა“. სხვადასხვაგვარადაა ახსნილი არაწარმოებითი სფეროს ადგილი, როლი და ფუნქციები სოციალისტური კვლავწარმოების სისტემაში, განსხვავებული შეხედულებანია მატერიალური წარმოებისაგან არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნის კრიტერიუმებზე და ა. შ. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, აიხსნება შემდეგით: ა) მარქსიზმის კლასიკოსთა შრომებში არაა მოცემული არაწარმოებითი სფეროს უშუალო ანალიზი, თუმცა კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს არაწარმოებითი სფეროს თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმძღვანელო დებულებებს არაწარმოებითი სფეროს კანონზომიერებათა შესწავლაში; ბ) ჩვენს ქვეყანაში არაწარმოებითი სფერო ახლო წარსულში არ იყო საკმაოდ განვითარებული. ინდუსტრიალიზაციისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში მეცნიერთა ყურადღება მიპყრობილი იყო მატერიალური წარმოების განვითარების პრობლემებზე, ვინაიდან სწორედ აქ წყდებოდა ეკონომიკური განვითარების მთავარი ამოცანები; გ) არაწარმოებითი სფერო გამოიჩინევა თავის სირთულითა და მრავალმხრივობით. მასში შრომის შედეგები ეკონომიკურად არაერთნაირია. არაწარმოებითი სფეროს დარგები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათში დახარჯული შრომის სპეციფიკით; დ) უკანასკნელ პერიოდამდე არასაკმაოდ იყო დამუშავებული სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის რიგი კატეგორიები, ხოლო არაწარმოებითი

სფეროს განვითარების ეკონომიკური პრობლემების ახსნა შეუძლებელია სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის მეთოდოლოგიურ ფუნდამენტზე დაყრდნობის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად სწორედ არაწარმოებითი სფეროს პოლიტიკონომიური ასპექტებია ნაკლებად დამუშავებული, რამაც ასახვა პოვა პოლიტიკური ეკონომიის კურსში. არც პოლიტიკური ეკონომიის კურსის პროგრამაში, არც სახელმძღვანელოებში არაწარმოებითი სფეროს კატეგორიებმა და მასთან დაკავშირებულმა საკითხებმა ვერ პოვეს სათანადო ადგილი. არაწარმოებითი სფეროს ჩრდილში მოქცევა არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურ მოვლენად. საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაწარმოებითი სფეროს როლისა და მნიშვნელობის გაძლიერება მოითხოვს მისი მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემების შემდგომ დამუშავებასა და სათანადოდ ასახვას პოლიტიკური ეკონომიის კურსში.

არაწარმოებით სფეროში დასაქმებული შრომის ხვედრჩილის ზრდა ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში, რაც სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია, ახალ ამოცანებს აყენებს საგვეგმო და სამეურნეო ორგანოების წინაშე, მოითხოვს კონკრეტულ პასუხს ისეთ საკითხებზე, როგორცაა შრომის ხასიათის განსაზღვრა არაწარმოებით სფეროში და მისი როლის ახსნა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნაში. ეს უკანასკნელი კი ორგანულად უკავშირდება მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ანალიზს.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეხედულება არაწარმოებითი სფეროს განვითარების ზოგიერთ კარდინალურ საკითხზე, აგვეხსნა არაწარმოებითი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური არსი და ფუნქციები. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ გაგვეშუქებინა არაწარმოებითი სფეროს ადგილი ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, მისი მატერიალური წარმოებისაგან გამიჯვნის კრიტერიუმები და სახალხო მეურნეობის დარგთა კლასიფიკაცია, შრომის პროცესის ხასიათი არაწარმოებით სფეროში. არაწარმოებითი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციებიდან გამოვყავით ისეთი ნაკლებ შესწავლილი საკითხები, როგორცაა არაწარმოებითი სფეროს როლი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, მი-

სი გავლენა საწარმოო ძალების განვითარებასა და ზემოქმედება სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაზე.

სოციალისტური ცხოვრების წესი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, სამეცნიერო ლიტერატურაში მხოლოდ უკანასკნელი წლების მანძილზე გახდა ინტენსიური კვლევის ობიექტი. თეორიულად და მეთოდოლოგიურად ეს მრავალმხრივი პრობლემა საინტერესოდაა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>1</sup> თუმცა, ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება ისეთი აქტუალური საკითხის მიმართ, როგორცაა არაწარმოებითი სფეროს გავლენა სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაზე.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული ეკონომიკური პრობლემების შესწავლას. სკკპ XXVII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო ტერიტორიულ ჭრილში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გათანაბრების საკითხებს.<sup>2</sup>

ქვეყნის ეკონომიკური რაიონებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეთა შემდგომ გათანაბრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება საწარმოო ძალების ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფას. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ აღნიშნულია, რომ უნდა „განვახორციელოთ საწარმოო ძალების განლაგებაში შემდგომი პროგრესული ძვრები, რომლებიც უფრო სრულად გაითვალისწინებენ ტერიტორიულ თავისებურებებს ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნებრივ პირობებში...“<sup>3</sup>

საწარმოო ძალების განლაგების პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ამ ბოლო პერიოდამდე ხორცი-

<sup>1</sup> Капустин Е. И. Социалистический образ жизни. М., 1976; Руткевич М. Н. Социалистический образ жизни и его развитие в СССР. М., 1977; Сдобнев С. И. Социалистический образ жизни. Экономический аспект. М., 1978; Бутенко А. П. Социалистический образ жизни: проблемы и суждения. М., 1978; დ. ქორიძე. სოციალისტური ცხოვრების წესი. თბილისი, 1977 და სხვ.

<sup>2</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები. თბილისი, 1986, გვ. 56, 425.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 489.

ელდებოდა ლოკალურად, საწარმოო ძალების განლაგების ტერიტორიული პრინციპებისაგან მოწყვეტით. საწარმოო ძალებს ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფა და ცხოვრების დონეში არსებითი რეგიონული განსხვავების დაძლევა ორგანულად უკავშირდება არაწარმოებითი სფეროს განვითარებასა და მის საწარმო-დაწესებულებათა ოპტიმალურ განლაგებას.

ამრიგად, არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებების შესწავლა და მათი მეცნიერული დასაბუთება მეტად აქტუალური და მრავალმხრივი პრობლემაა, რომელიც, შეიძლება ითქვას, სუსტად და დამუშავებული ეკონომიკურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით — მისი თეორიული ასპექტი.

საქართველოს სსრ-ში გვაქვს საყურადღებო გამოკვლევები არაწარმოებითი სფეროს განვითარებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე, მგვრამ ისინი არსებითად განხილულია დარგობრივ ჟურნალში, კომპლექსურად კი იგი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამ გარემოებაში განაპირობა ჩვენი ინტერესი მოცემული პრობლემის მიმართ. ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან ერთად, ჩვენ განვიხილეთ არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებები და ბოლოს, თემის ლოგიკური დასრულებისათვის — არაწარმოებითი სფეროს განვითარების პროგნოზირების მეთოდოლოგიური საფუძვლები. ასეთია იმ საკითხთა წრე, რომელიც წარმოადგენდა ჩვენი კვლევის ობიექტს.

ჩვენს გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ გაგვეშუქებინა მოცემული პრობლემის ნაკლებად შესწავლილი ასპექტები და ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი შეხედულებანი რიგი სადავო საკითხების მიმართ.

ნაშრომში აღნიშნული საკითხების თეორიულ დამუშავებას ავსებებს სათანადო დასკვნები და პრაქტიკული წინადადებები.

სხვადასხვა დებულების კრიტიკული ანალიზისა და არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონული თავისებურებების გამოკვლევის საფუძველზე შევეცადეთ, ახლებურად გაგვეშუქებინა ზოგიერთი საკითხი. ამასთან დაკავშირებით დავისახეთ მიზნად:

— აგვეხსნა არაწარმოებითი სფეროში სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა თავისებურებანი;

— მატერიალური წარმოებისაგან არაწარმოებითი სფეროს გამი-



ჯენის კრიტერიუმებზე გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება შესაბამისი არგუმენტებით და გამოგვეყო გამიჯენის მთავარი კრიტერიუმი;

— დაგვესაბუთებინა არაწარმოებითი სფეროს დარგთა შემადგენლობა და კლასიფიკაციის პრინციპები;

— აგვეხსნა შრომის პროცესის თავისებურებანი არაწარმოებით სფეროში, გაგვესაზღვრა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა სოციალიზმის დროს;

— გაგვეშუქებინა არაწარმოებითი სფეროს როლი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, საწარმოო ძალების განვითარებასა და სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში;

— გამოგვევლინებინა არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებათა განმსაზღვრებელი ფაქტორები;

— გამოგვეკვლია არაწარმოებითი სფეროს განვითარების კანონზომიერებანი რეგიონულ თავისებურებათა გავლენის წინებით;

— კომპლექსურად შეგვესწავლა არაწარმოებითი სფეროს განვითარების თავისებურებანი საქართველოს სსრ-ში და გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ჩვენ მიერ წამოყენებული პრაქტიკული წინადადებები სახალხო მეურნეობის დარგთა არსებული კლასიფიკაციის დაზუსტების, მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის გამიჯენისა და საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომის გამოყოფის შესახებ, განსაკუთრებით ყურადსაღებია სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის იმ ნაწილის გამოყოფისას, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ეროვნული შემოსავლის შექმნაში. იგი ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას, ეროვნული შემოსავლის ზუსტად გაანგარიშებასა და მის ოპტიმალურ განაწილებას.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების თავისებურებათა გამოვლენა რეგიონში და მასთან დაკავშირებით წამოყენებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ტერიტორიული დაგეგმვის პრაქტიკის სრულყოფას, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური ტერიტორიულ-დარგობრივი სტრუქტურის შექმნას, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების პირობების დაახლოებას, არაწარმოებითი დარგების რაციონალურ განლაგებასა და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

მონოგრაფიაში რიგი საკითხები ატარებენ პოლემიკურ ხასიათს. მათი პოზიტიური გადაჭრა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია კვლევის ამ სფეროში არსებული მიღწევების კრიტიკული გადასინჯვისა და კვლევის მეთოდის ზუსტი შემუშავების საფუძველზე. ნაშრომში გასმოთქმული ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება სადავო იყოს, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია მათ ამომწურავ გაშუქებაზე. მაგრამ, ეფიქრობთ, წარმოადგენენ წინგადადგმულ ნაბიჯს არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური პრობლემების კვლევაში.

## თ ა ვ ი

### არაწარმოებიანი სფეროს კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

§ 1. სოციალისტური კლასიფიკაციის სფეროები და მათი გამოყენის პრინციპები. არაწარმოებიანი სფეროს სტრუქტურა

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში, დაწყებული 20-იანი წლებიდან დღემდე, არ წყდება დისკუსია სოციალისტური კლასიფიკაციების სისტემაში არაწარმოებითი სფეროს ადგილის, მისი მატერიალური წარმოებისაგან გამოიყენების კრიტერიუმებისა და დარგთა კლასიფიკაციის შესახებ. მეცნიერთა ერთი ჯგუფი, არაწარმოებით სფეროს სავსებით გამორიცხავს ეკონომიკური კანონების მოქმედების სფეროდან და არაწარმოებით სფეროში ჩამოყალიბებულ ყველა ურთიერთობას განიხილავს, როგორც არაეკონომიკურს, ზედნაშენურს.<sup>4</sup> ავტორთა მეორე ჯგუფი, პირიქით, ცდილობს არაწარმოებითი სფეროს როლი და მნიშვნელობა გაუთანაბროს მატერიალური წარმოების სფეროს და ამით დაასაბუთოს შრომის პროცესებისა და წარმოებითი ურთიერთობის იდენტურობა სახალხო მეურნეობის ამ ორ სფეროში.<sup>5</sup>

<sup>4</sup> Вайсберг Р. Общественный продукт при капитализме и в СССР. Плановое хозяйство, 1927, № 5, с. 120; Кофман Б. Производительный труд и метод К. Маркса. Л., 1929; с. 56. Шевич И. Взаимосвязь производства и потребления при социализме. Казань, 1964, с. 9.

<sup>5</sup> Аболин Арт. Производительный труд и нематериальное производство. Проблемы экономики, 1929, № 12, с. 124; Струмплин С. Народный доход СССР. Плановое хозяйство, 1926, № 8, с. 144; Струмплин С. От октября к коммунизму. Вопросы экономики, 1968, № 9, с. 17; Рахитский Б. Общественные фонды потребления как экономическая категория. М., 1966, с. 54; Медведев В. А. Общественное воспроизводство и сфера услуг. М., 1968, с. 187—188 (თუმცა ვ. ა. მედევეს მხედველობაში აქვს მოსახურების სფერო (сфера услуг) და არა არაწარმოებითი სფერო. ამ უკანასკნელს იგი მთლიანად განასხვავებს მომსახურების სფეროსგან, რომლის შესახებაც მსჯელობა გვექნება ქვემოთ).

მეცნიერ-ეკონომისტთა მესამე ჯგუფი არაწარმოებით სფეროს განიხილავს წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში და ამასთან, განასხვავებს მის როლს და მნიშვნელობას მატერიალური წარმოების სფეროსაგან.<sup>6</sup>

ჩვენი აზრით, ავტორთა მესამე ჯგუფის პოზიცია მეცნიერულად არგუმენტირებულია, ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია გამოეთქვათ ჩვენი მოსაზრება ამ კონცეფციის მიმართ.

ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა მოიცავს საზოგადოების საქმიანობის ორვე სფეროს — მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს. როგორც ცნობილია, მატერიალური წარმოება საზოგადოების არსებობისა და განვითარების მთავარი და გადამწყვეტი სფეროა. იგი უზრუნველყოფს მატერიალური დოვლათის შექმნას; მაგრამ, ერთობლივმა საზოგადოებრივმა შრომამ, რომელიც დანაწილებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, უნდა შეასრულოს ურთიერთდაკავშირებული, თანმიმდევრული ფუნქციები, მატერიალური დოვლათის წარმოებიდან მის ორგანიზებულ მოხმარებამდე, საზოგადოებისა და მისი თითოეული წევრის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებამდე. ამ ურთიერთობაში არაწარმოებითი სფერო ასრულებს სპეციფიკურ როლს. იგი წარმოადგენს სახალხო მეურნეობის იმ დარგთა ერთობლიობას, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ ღებულობენ მატერიალური დოვლათის წარმოებაში, მაგრამ ემსახურებიან განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესს (არაპირდაპირ კი — თვით წარმოების პროცესსაც), რითაც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების შეუფერხებელ განვითარებას. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს მუშაკები წარმოადგენენ არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის მოხმარებლებს, არამედ თავიანთი შრომით ქმნიან არამატერიალურ სახმარებებულს, რითაც უზრუნველყოფენ ადამიანთა ფართო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

---

<sup>6</sup> Солодков М. В., Полякова Т. Д., Овстинников Л. Н. Теоретические проблемы услуг и непронзводственной сферы при социализме. М., 1972, с. 91; Правдин Д. И. Непронзводственная сфера: эффективность и стимулирование. М., 1973, с. 7—8; Скаржинский И. Непронзводственная сфера, ее значение и проблемы развития на современном этапе. Экономические науки, 1974, № 12, с. 89; Кочерга А. Сфера обслуживания населения. М., 1979, с. 82; Козак В. Е. Непронзводственная сфера: вопросы теории. Киев, 1979, с. 117.

როგორც ცნობილია, არსებობს მატერიალური, სულიერი და სოციალური მოთხოვნები. ყველა მოთხოვნის საფუძველია მატერიალური მოთხოვნები, ისე როგორც საზოგადოების არსებობის და განვითარების საფუძველია მატერიალური წარმოება. მატერიალური მოთხოვნები, ძირითადად კმაყოფილდება მატერიალური წარმოების საფუძველზე, თუმცა არაწარმოებითი სფეროც აკმაყოფილებს რიგ მატერიალურ მოთხოვნებს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომსახურება ან საბინაო-კომუნალური მეურნეობა, როგორც არაწარმოებითი სფეროს დარგები, აკმაყოფილებენ მატერიალურ მოთხოვნებს.

სოციალიზმის სრულყოფის პირობებში მიმდინარეობს სწრაფი პროგრესული ცვლილებები პირადი მოხმარების სტრუქტურაში. მასში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ინტელექტუალური, შემოქმედებითი, ესთეტიკური და სხვა სულიერი მოთხოვნები, რომლებიც უპირატესად კმაყოფილდება არაწარმოებითი სფეროს ხარჯზე, თუმცა ზოგიერთ სულიერ მოთხოვნებათა დაკმაყოფილებას ემსახურება მატერიალური წარმოების პროდუქციაც, მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტები, რადიომიმღებები, ტელევიზორები, გრამფირფიტები, პოლიგრაფიული მრეწველობის პროდუქცია და სხვ.

არაწარმოებითი სფერო აკმაყოფილებს რიგ სოციალურ მოთხოვნებსაც. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, არაწარმოებითი სფერო დიდ როლს ასრულებს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში, ხელს უწყობს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას. ვ. ჩერკოვეცი. ლ. ჩიქავა და სხვ. სამართლიანად მიუთითებენ, რომ სოციალისტური წარმოების მიზანი მიიღწევა არა მარტო მატერიალური წარმოების, არამედ არაწარმოებითი სფეროს ხარჯზეც.<sup>7</sup> არაწარმოებითი სფერო შედის ეკონომიკური ურთიერთობის სისტემაში და ასრულებს განსაზღვრულ როლს საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში.

არაწარმოებითი სფეროს თითოეული დარგი სახალხო მეურნეობის მთელი სისტემის შემადგენელი რგოლია. სახალხო მეურნეობის

7 Черковец В. Н. Основной закон в системе категорий: политической экономии социализма: В кн.: О системе категорий и законов политической экономии. Под ред. Цаглова Н. А. М., 1973, с. 140; ლ. ჩიქავა. არამატერიალური წარმოების როლი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა რეალიზაციაში. ეკონომისტი. 1984, № 12, გვ. 57.

რითმული ფუნქციონირება შესაძლებელია მხოლოდ ყველა მისი რგოლის სრულყოფილი განვითარებით. ამჟამად ადამიანთა საქმიანობის ორივე სფერო წარმოადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, რომლის საფუძველია სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა.

არაწარმოებით სფეროში ეკონომიკური ურთიერთობის არსებობა, მის მატერიალურ წარმოებასთან გაიგივებას როდი ნიშნავს. ამ უკანასკნელს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ მოვლენათა განვითარებაში.

ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობა, ამა თუ იმ სახით, განსაზღვრული ეკონომიკური ურთიერთობის მთელი სისტემის ელემენტია. არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკურ ურთიერთობას აქვს წარმოებული ხასიათი და შეადგენს საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის ორგანულ ნაწილს. იგი წარმოებულია არა მხოლოდ ძირითადი წარმოებითი ურთიერთობიდან, არამედ საკუთრივ მატერიალური წარმოების წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემიდან. ეს იმიტომ, რომ ისტორიულად იგი წარმოიშვა მატერიალურ წარმოებაზე გვიან, აგრეთვე, არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური ურთიერთობა წარმოიშვა მატერიალური დოვლათის განაწილების, გაცვლისა და მონმარების ურთიერთობებში, რომლებიც თვით არიან წარმოებულნი წარმოების ურთიერთობიდან. განაწილების ურთიერთობა წარმოადგენს წარმოებითი ურთიერთობის იმ მხარეს, რომელიც არ გამოხატავს მოცემული წარმოების წესის სიღრმისეულ არსს, არამედ წარმოადგენს მხოლოდ მისი გამოვლენის ფორმას. ამიტომ ვლახარაკობთ რა არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკურ ურთიერთობაზე, ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე ვთქვათ მოცემულ წარმოების წესზე, არამედ პირიქით, უნდა გამოვიდეთ წარმოების წესის არსიდან.

წარმოების, განაწილების და გაცვლის ურთიერთობები წარმოშობს მონმარების ურთიერთობას. არაწარმოებითი სფერო საზოგადოებრივად ორგანიზებული მონმარების სფეროა (თუმცა მონმარების ურთიერთობა მატერიალური წარმოების სფეროშიც წარმოიქმნება). კ. მარქსი შენიშნავს, რომ საღებავისა და მარმარილოს ფიზიკური თვისებები არ დევს მხატვრობისა და სკულპტურის მიღმა.<sup>8</sup>

<sup>8</sup> Маркс К. Экономические рукописи 1857—1959 г.г. Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 46, ч. I, с. 118.

სხვათა მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის მოხმარება. უშუალოდ მითვისების (საკუთრების) ურთიერთობის გამოვლენაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წარმოებითი ურთიერთობის გამოვლენაა. ამრიგად, მატერიალური წარმოების სფეროს ურთიერთობა საკუთარი განვითარებით წარმოშობს არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკურ ურთიერთობას. არაწარმოებითი სფერო, ერთი მხრივ, მოიცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც მყარდება მატერიალური დოვლათის განაწილების, გაცვლისა და მოხმარების პროცესში და მეორე მხრივ, არაწარმოებით სფეროში მყარდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობა, რომელიც უკავშირდება არამატერიალურ ფასეულობათა შექმნასა და მოხმარებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გასამიჯნავად საკმაოდ განსხვავებულ კრიტერიუმებს იყენებენ. ავტორთა უმრავლესობა მათ გამიჯვნას, მატერიალური წარმოების მრავალ არსებითი ნიშნიდან, საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთ ნიშანს.

ზოგიერთი ავტორი, საზოგადოებრივი საქმიანობის ორი სფეროს ერთმანეთისგან გამიჯვნის საფუძვლად, მხოლოდ შრომის შედეგების ნივთობრივ ფორმას მიიჩნევს (გ. კიპერმანი, პ. მოსკვინი, ტ. რიაბუშკინი და სხვ.)<sup>9</sup> ან მხოლოდ მათ კვლავწარმოებას (მ. კოლგანოვი და სხვ.)<sup>10</sup> მაგალითად, მ. კიპერმანი წერს: სადაც არ ხდება შრომის ვანდობა, იქ არ არის მატერიალური წარმოება.<sup>11</sup>

მ. კოლგანოვი გამიჯვნის კრიტერიუმად მხოლოდ შრომის შედეგების კვლავწარმოებას მიიჩნევს. იგი წერს: პროდუქტების კვლავწარმოება შეიძლება დაედოს საფუძვლად საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგის დაყოფას მატერიალურად და არამატერიალურად.<sup>12</sup>

ავტორთა მეორე ჯგუფი (მ. სოლოდკოვი, ტ. პოლიაკოვა, ლ. ოვსიანიკოვი, ვ. ზაპოლსკაია, გ. ზაეცი და სხვ.) მატერიალური წარმოე-

<sup>9</sup> Киперман М. Классификация отраслей народного хозяйства СССР. М., 1964, с. 7, 8; Москвин П. М. Вопросы статистики национального дохода СССР. М., 1955, с. 19; Рябушкин Т. В. Статистические методы изучения народного хозяйства. М., 1957, с. 33.

<sup>10</sup> Колганов М. Национальный доход. М., 1959, с. 90.

<sup>11</sup> Киперман М. Классификация отраслей народного хозяйства СССР, с. 7.

<sup>12</sup> Колганов М. Национальный доход, с. 90.

ბისა და არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნის ძირითად ნიშნად თვით შრომის პროცესის შინაარსს მიიჩნევს.<sup>13</sup>

ავტორთა მესამე ჯგუფი მატერიალური წარმოების საზღვრებს მწარმოებლური შრომის ჩარჩოებით შემოფარგლავს, ე. ი. არსებითად აიგივებს მათ ერთმანეთთან. ამ აზრს იზიარებენ პ. ბაგრი, ე. რუხანოვი, ვ. კუცი და სხვ.<sup>14</sup>

ზოგიერთი ავტორი (პ. ოლდაკი, პ. სტუდენსკი, ლ. ტიკოცი და სხვ.), საერთოდ უარყოფს ამ ორი სფეროს გამიჯვნის აუცილებლობას და ცდილობს დაამტკიცოს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის შექმნა არაწარმოებით სფეროშიც.<sup>15</sup>

წარმოებითი და არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნის კრიტერიუმი საკირთა განვიხილოთ ერთობლივად იმ ნიშნებთან, რომლებითაც გამოვლინდება ეს კრიტერიუმი. შრომის შედეგების ნივთობრივი ფორმა და კვლავწარმოება მატერიალური წარმოების მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნებია, მაგრამ თითოეული მათგანი ახასიათებს მხოლოდ მის ერთ მხარეს და არ განსაზღვრავს ამ სფეროს შინაარსსა და საზღვრებს. მართალია, მატერიალური წარმოების დარგთა უმრავლესობაში შრომის პროდუქტი ლებულობს ნივთობრივ ფორმას, მაგრამ არსებობს მატერიალური წარმოების ისეთი დარგებიც, რომელთა შრომის პროდუქტს არა აქვს ნივთობრივი ფორმა, მაგალითად, სატვირთო ტრანსპორტი და წარმოებითი ხასიათის კავშირგაბმულობა. ეს კრიტერიუმი არ არის დამახასიათებელი მძიმე მრეწვე-

---

<sup>13</sup> Солодков М. В., Полякова Т. Д., Овсянников Л. Н. Теоретические проблемы услуг и непронзводственной сферы при социализме, с. 43; Залольская В. В. Непронзводственная сфера в СССР и перспективы ее дальнейшего развития. Воронеж, 1966, с. 21; Заец Г. Процесс труда в непронзводственной сфере. Экономические науки, 1975, № 2, с. 38.

<sup>14</sup> Багрий П. И. Динамика и структура общественного производства при социализме. Киев, 1971, с. 30; Русанов Е. Распределение и использование трудовых ресурсов СССР. М., 1971, с. 50; Кукк В. А. Социально-экономическая сущность сферы обслуживания при социализме. Киев, 1968, с. 30.

<sup>15</sup> Олдак П. Накопление и воспроизводимое богатство. Проблемы производительного труда. МЭ и МО, 1970, № 11, с. 117; Студенский П. Доход нации (перевод с английского). М., 1968, с. 271; Тыкоцкий Л. Производительный труд и услуги. Вильнюс, 1973, с. 50—53, 162.



ლობის ზოგიერთი დარგისთვისაც. ასე მაგალითად, ელექტროენერჯიას, როგორც ცნობილია, არა აქვს ნივთობრივი ფორმა, მაგრამ იგი მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქტია. საზოგადოებრივი პროგრესის კვალობაზე, ადამიანის ბუნების ძალებზე ბატონობის გაფართოების შედეგად, მატერიალური წარმოების დარგთა პროდუქცია ღებულობს ტემპერატურის, გაზის და ა. შ. ფორმას. გარდა ამისა, არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგის შრომის პროდუქტები ღებულობენ ნივთობრივ ფორმას (მაგალითად, ორიგინალში — სურათი, წიგნი, სკულპტურა და ა. შ.).

როგორც ნივთობრივი ფორმა, ასევე კვლავწარმოების პროცესიც (კვლავწარმოებლურობა) დამახასიათებელია არა მხოლოდ მატერიალური წარმოების, არამედ არაწარმოებითი სფეროს დარგებისთვისაც. მაგალითად, მსახიობის, პედაგოგის, ექიმის და ა. შ. მოღვაწეობა თავის ძირითად მომენტებში კვლავწარმოებლურია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტი სახალხო მეურნეობის ორი სფეროს გამოიყენის კრიტერიუმს თვით შრომის შინაარსში ხედავს. ძირითადად, მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა შრომის შინაარსს შეადგენს ზემოქმედება ბუნებაზე, მატერიაზე, მათი გარდაქმნა ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ხოლო არაწარმოებითი სფეროს მუშაკთა შრომის შინაარსს წარმოადგენს ზემოქმედება ადამიანზე. მისი ფიზიკური და სულიერი უნარის განვითარება. ჩვენი აზრით, შრომის პროცესის შინაარსი სავსებით შესაძლებელია მივიჩნიოთ მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გამოიყენის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად, მაგრამ ცალკე აღებულნი, სხვა კრიტერიუმების გაუთვალისწინებლად, ვფიქრობთ ვერ წყვეტს აღნიშნულ პრობლემას. ასე მაგალითად, ინდივიდუალური კერვის ატელიეში გამოძქრელის შრომა მიმართულია შრომის საგნების გარდაქმნისაკენ საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, მაგრამ, მისი შრომის სასარგებლო ეფექტი გამოდის მომსახურების სახით და ამიტომ ინდივიდუალური კერვის ატელიე, როგორც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმო, შედის არაწარმოებით სფეროში. საოჯახო მეურნეობაში სახმარ ღირებულებათა მომზადებისათვის გაწეული შრომაც უშუალოდ მიმართულია შრომის საგნებზე, მაგრამ საოჯახო მეურ-

წეობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ მატერიალური წარმოების სფეროს, ისევე, როგორც არ შეიძლება მივაკუთვნოთ არაწარმოებით სფეროს.

როგორც ჩანს, მხოლოდ შრომის პროდუქტის ნივთობრივი ფორმა, მისი კვლავწარმოებლურობა ან შრომის პროცესის შინაარსი (შრომის მიმართულება) არ არის საკმარისი მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნისათვის. ისეთი ნიშნები კი, როგორცაა ღირებულებისა და ეროვნული შემოსავლის შექმნა დამახასიათებელია საკუთრივ მატერიალური წარმოებისათვის.

გამიჯვნის კრიტერიუმებზე განსხვავებულ შეხედულებათა გამო, ბუნებრივია, ფართო მსჯელობის საგანია წარმოებითი და არაწარმოებითი სფეროს დარგთა კლასიფიკაციის საკითხიც.

მეცნიერ-ეკონომისტთა შორის ხანგრძლივი დისკუსია მიმდინარეობს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ სფეროსთვის მიკუთვნების შესახებ. ძირითადად არსებობს სამი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ჯგუფი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ყველა სახეს მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს. ამ თვალსაზრისს იცავს მ. ბორი, ი. კრონროდი, დ. პრავდინი, ა. კუზნეცოვი, ე. ზაპოლსკაია, ა. კოჟუხარი, ა. თეთრაული და სხვ.<sup>16</sup>

<sup>1</sup> მეკვლევართა მეორე ჯგუფი (მ. სოლოდკოვი, პ. ტარასიუკი, ვ. მელქაძე, გ. ივანოვი, გ. კოზაკი და სხვ.) მატერიალური წარმოების სფეროს მიაკუთვნებს სატვირთო ტრანსპორტსა და წარმოებითი დაწინაშელების კავშირგაბმულობას, ხოლო არაწარმოებით სფეროს — სამგზავრო ტრანსპორტსა და არაწარმოებითი ხასიათის კავშირგაბ-

---

<sup>16</sup> Бор М. З. Вопросы методологии планирования народного хозяйства СССР. М., 1960, с. 158; Кро н р о д Я. Социалистическое воспроизводство. М., 1955, с. 149; Кро н р о д Я. Общественный продукт и его структура при социализме. М., 1958, с. 67; П р а в д и н Д. Развитие непроду-волственной сферы при социализме (темпы, пропорции, перспективы). М., 1976, с. 46; Ку з н е ц о в А. Развитие производственной и непроду-волственной сферы в СССР. М., 1964, с. 33; За пол ь с к а я В. В. Непроизводственная сфера в СССР и перспективы ее дальнейшего развития, с. 24; Ко ж у х а р ь А. Ф. Проблемы воспроизводства рабочей силы в непроду-волственной сфере. Кишинев, 1981, с. 17; ა. თ ე თ რ ა უ ლ ი. კვლავწარმოების კანონზომიერებანი საბჭოთა საქართველოში. თბილისი, 1981, გვ. 24.

მულობას.<sup>17</sup> ასეთივე გამოიყენას აკეთებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოც.

მესამე კონცეფციის თანახმად, რომლის ავტორიტეტული წარმომადგენელია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ყველა სახის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა არაწარმოებით სფეროს მიეკუთვნება.

ჩვენ ვემხრობით მეცნიერთა მეორე ჯგუფის პოზიციას, ამასთან, მარქსისტული მოძღვრებიდან გამომდინარე, მოგვეყავს დამატებითი არგუმენტები მოცემული კონცეფციის გასაძლიერებლად. მარქსისტული თეორიის მიხედვით, სატვირთო ტრანსპორტი და წარმოებითი დანიშნულების კავშირგაბმულობა წარმოების ციკლის შემადგენელი ელემენტებია, რომელთა სასარგებლო ეფექტი ღირებულების სახით გადაეცემა ახლად შექმნილ პროდუქციას, სამგზავრო ტრანსპორტის ეფექტი კი გამოიყენება მხოლოდ პირადი მომსახურებისათვის.\* ამას ნათლად ადასტურებს კ. მარქსის მიერ ჩამოყალიბებული დებულება: „როცა ლაპარაკია ადამიანთა გადაყვანაზე, ეს ადგილცვლა მხოლოდ მომსახურებაა... მაგრამ ამ მომსახურების მიყიდვებსა და გამოყიდვებს შორის ურთიერთობას ისევე ცოტა საერთო აქვს მწარმოებელი მუშების კაპიტალისადმი დამოკიდებულებასთან, როგორც ნართის გამოყიდვებსა და მის მიყიდვებს შორის არსებულ დამოკიდებულებას“.<sup>18</sup>

ეკონომიკურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა საყოფაცხოვრებო მომსახურების მიმართაც. მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი (ვ. ზაპოლსკაია, გ. ივანოვი, უ. შედენოვი და სხვ.), გამომ-

<sup>17</sup> Солодков М. В. Непроизводственная сфера при социализме. М., 1978, с. 93; Солодков М. В., Тарасюк А. Непроизводственная сфера в общественном производстве при социализме. М., 1976, с. 45; Мелкадзе В. Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР. Тбилиси, 1974, с. 22; Иванов Г. П. Непроизводственная сфера и социалистическое воспроизводство. М., 1978, с. 15; Козяк В. Е. Непроизводственная сфера: вопросы теории, с. 54.

\* უნდა შევნიშნოთ, რომ სატვირთო ტრანსპორტის სასარგებლო ეფექტი ყოველთვის არ გადაეცემა ღირებულების სახით ახლად შექმნილ პროდუქციას. მაგალითად, არაწარმოებითი დარგებისა და მოსახლეობის მომსახურებისას, რომელიც მხედველობიდან არის გამორჩენილი და საერთოდ არ წარმოადგენს მსჯელობის საგანს. იგი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, სტრანსპორტო მომსახურების სახით, სტატისტიკურ ორგანოებს შეტანილი აქვთ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, რაც არ შეეჯანა სწორად.

<sup>18</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალი“ მეოთხე ტომი), ნაწ. 1. თბილისი, 1966, გვ. 506—507.

დინარე შრომის პროცესის ხასიათიდან, საყოფაცხოვრებო მომსახურებას ყოფს ორ ნაწილად: ერთ ნაწილს მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს, ხოლო მეორე ნაწილს — არაწარმოებით სფეროს.<sup>19</sup> მათი აზრით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ის საწარმოები, რომლებიც ასრულებენ მოხმარების საგნების რემონტის, რესტავრაციის, დამზადების, ღებვის, წმენდის, რეცხვისა და ა. შ. ფუნქციებს, შედიან მატერიალური წარმოების სფეროში, გამომდინარე იქიდან, რომ ამ საწარმოებში შრომა უშუალოდ მიმართულია ბუნების საგნებზე: საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა მეორე ნაწილი (საპარიკმახეროები, აბანოები, საშხაპეები და ა. შ.) ასრულებს სრულიად განსხვავებულ ფუნქციურ როლს. ისინი ემსახურებიან თვით ადამიანს, რომელზედაც უშუალოდაა მიმართული მათში დასაქმებულ მუშაკთა შრომა. ეს საწარმოები და ორგანიზაციები, მათი აზრით, შედიან არაწარმოებით სფეროში.

ავტორთა მეორე ნაწილი (მ. სოლოდკოვი, ტ. პოლიაკოვა, ლ. ოვსიანიკოვი, ა. კოჩერგა) საყოფაცხოვრებო მომსახურებას მთლიანად მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს.<sup>20</sup>

მესამე კონცეფციის თანახმად, საყოფაცხოვრებო მომსახურება არაწარმოებითი სფეროს დარგია.<sup>21</sup> ჩვენი აზრით ეს შეხედულება სავესტებით სწორია, რის შესახებაც მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

შესრულებული ფუნქციების ხასიათიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერ-ეკონომისტი (მ. სოლოდკოვი, ლ. გოლცმანი, ა. კოჩერგა) საბინაო-კომუნალურ მეურნეობას მიაკუთვნებს მატერიალური

---

<sup>19</sup> Запольская В. В. Непроизводственная сфера в СССР и перспективы ее дальнейшего развития, с. 27; Иванов Г. П. Непроизводственная сфера и социалистическое воспроизводство, с. 15, 18; Шеденов У. К. Сфера обслуживания. Алма-Ата, 1983, с. 35—36.

<sup>20</sup> Солодков М. В., Полякова Т. Д., Овсянников Л. Н. Теоретические проблемы услуг и производственной сферы при социализме, с. 53, 322; Кочерга А. П. Сфера обслуживания населения (вопросы социалистического воспроизводства), с. 55—57.

<sup>21</sup> Правдин Д. И. Развитие производственной сферы при социализме, с. 37, 41; Скаржинский М. Непроизводственная сфера, ее значение и проблемы развития на современном этапе. Экономические науки, 1974, 12, с. 92; Оганян А. Распределительные отношения в производственной сфере. Киев, 1974, с. 3; Коповалов А. Смирнов В. Об изучении политико-экономических категорий и аспектов производственной сферы. Экономические науки, 1974, № 6, с. 109; Чекалин А. А., Коростелева А. Е. Социально-экономические проблемы повышения эффективности бытовых услуг. М., 1976, с. 18; Якобсон П. И. Эффективность и качество работы в производственной сфере. М., 1984, с. 8.

წარმოების სფეროს, რასაც ასაბუთებს იმით, რომ ამ დარგში იქმნება მატერიალური დოვლათი.<sup>22</sup>

ჩვენ ვიზიარებთ დ. პრავდინის, ა. კოუხარის, გ. ოგანიანის, მ. სკარჟინსკის, ა. კონოვალოვის, ვ. სმირნოვის, პ. იაკობსონის, ვ. კუცენკოს შეხედულებას, რომლის მიხედვით საბინაო-კომუნალური მეურნეობა არაწარმოებითი სფეროს დარგია.<sup>23</sup>

საბინაო-კომუნალური მეურნეობის შემადგენლობაში შედის საცხოვრებელი ფონდი, წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, თბო და გაზმომარაგება, კანალიზაცია, გამწვანება, ქუჩებისა და ეზოების გაწმენდის მეურნეობა და ა. შ. საბინაო-კომუნალური მეურნეობის მართვას ახორციელებს სახლმმართველობა, საცხოვრებელი ბინებისა და საერთო საცხოვრებლების კომენდატურები, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, საცხოვრებელი ტრესტები, ქალაქის განათების, წყალსადენისა და გაზის ქსელის კანტორები, ბაღების, სკვერების მოვლის კანტორები და ა. შ. ჩვენი აზრით, ამ დარგის წარმოებითი ფუნქციები: გაზთბოფიკაცია, წყალსადენით, ელექტროენერჯითა და კანალიზაციის ქსელით მომსახურება, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა და გამწვანება, ხიდების, გზებისა და გადასასვლელების ექსპლოატაცია და ა. შ. წარმოადგენს წარმოებით ინფრასტრუქტურას, მატერიალური დოვლათის მოხმარების სფეროს. საბინაო-კომუნალური მეურნეობა, როგორც მატერიალურ ინფრასტრუქტურას არა-მატერიალურ მომსახურებას უწევს მოსახლეობას. ახალ ღირებულებას არ ქმნის და იგი მთლიანად არაწარმოებითი სფეროს დარგია.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მატერიალურ-ტექნიკური მომარა-

---

<sup>22</sup> Солодков М. В., Полякова Д. Т., Овсечников Л. Н. Теоретические проблемы услуг и непродовольственной сферы под социализмом, с. 53; Гольцман А. И. Экономика коммунального хозяйства, услуги, тарифы М., 1966, с. 20—28; Кочерга А. Сфера обслуживания на этапе (поиски социалистического производства), с. 57.

<sup>23</sup> Правдин Д. И. Непродовольственная сфера: эффективность и стимулирование, с. 8; Кожухарь А. Ф. Проблемы воспроизводства рабочей силы в непродовольственной сфере, с. 18; Оганян Г. А. Распределительные отношения в непродовольственной сфере, с. 3; Скаржинский М. Непродовольственная сфера, ее значение и проблемы развития на современном этапе. Экономические науки, 1974, № 12, с. 92; Короватов А. В., Смирнов Б. Об изучении политико-экономических категорий и законов непродовольственной сферы. Экономические науки, 1974, № 6, с. 109; Якобсон П. И. Эффективность и качество работы в непродовольственной сфере, с. 8; Кушенико В. И. Развитие непродовольственной сферы на современном этапе. Киев, 1980, с. 10.

გების მიმართაც არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება-ნი: ავტორთა ერთი ჯგუფი მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას აკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს (მ. ბორი, ა. გუნია, მ. სონინი, ვ. მელქაძე, პ. კოჩერგა, ა. შარიპოვი და სხვ.),<sup>24</sup> ავტორთა მეორე ჯგუფი კი — არაწარმოებით სფეროს (მ. სოლოდკოვი, მ. სკარჟინსკი, დ. პრავდინი, ნ. იაკოვჩუკი, ვ. კოზაკი და სხვ.).<sup>25</sup>

ჩვენი აზრით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, მიეკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროს. ვინაიდან იგი ემსახურება წარმოებითი ფონდების წრებრუნვას, წარმოების საშუალებების გეგმაზომიერ განაწილებას დარგებსა და საწარმოებს შორის. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება წარმოების განახლების აუცილებელი პირობაა. მასზე დიდადა დამოკიდებული წარმოების შეუფერხებელი განვითარება, საწარმოთა რითმული მუშაობა; პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპები. წარმოების დროული უზრუნველყოფა ნედლეულით, სათბობით, მასალებით, მოწყობილობებით და ა. შ. ხელს უწყობს არა მხოლოდ წარმოების უწყვეტ მუშაობას, არამედ მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებასაც. ამ დარგის ორგანიზაციები, ამავე დროს, ასრულებენ ნაწარმის შენახვის, შეფუთვის, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების ფუნქციებს, რითაც ხდება წარმოების პროცესის გაგრძელება-დამთავრება. ამ თვალსაზრისით, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში დახარჯული შრომა

<sup>24</sup> Бор М. З. Вопросы методологии планового баланса народного хозяйства СССР, с. 168; Гунья А. Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР. Тбилиси, 1961, с. 416; Сонин М. Воспроизводство рабочей силы в СССР и баланс труда. М., 1959, с. 47; Мелкядзе В. Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, с. 28; Кочерга И. Сфера обслуживания населения (вопросы социалистического воспроизводства), с. 51—52; Шарипов А. Ю. Сфера услуг сибирского региона (политэкономический анализ). Новосибирск, 1979, с. 36—37.

<sup>25</sup> Солодков М. В. Высшее образование как отрасль непродуцируемой сферы в системе социалистического воспроизводства. В кн.: Научно-техническая революция и развитие высшего образования. М., 1974, с. 10; Скаржинский М. Н. Непроизводственная сфера, ее значение и проблемы развития на современном этапе. Экономические науки, 1974, № 12, с. 92; Правдин Д. И. Развитие непродуцируемой сферы при социализме, с. 37; Яковичук Н. С. Управление трудом в непродуцируемых отраслях. В кн.: Система управления трудом в развитом социалистическом обществе. М., 1980, с. 498; Козак В. Е. Непроизводственная сфера: вопросы теории, с. 83.

მონაწილეობს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში.

სხვა საკითხებთან ერთად, ეკონომისტებს შორის დავის ობიექტია ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება. მეცნიერთა ერთი ჯგუფი (დ. პრაუდინი, ა. კოუხარი, გ. ივანოვი, მ. დოლიშნი და სხვ.) ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებას მთლიანად მიაკუთვნებს არაწარმოებით სფეროს,<sup>26</sup> ხოლო მ. სოლოდკოვი, პ. ტარასიუკი, ა. კოჩერგა; ვ. გუბრიევი და სხვ. — მატერიალური წარმოების სფეროს.<sup>27</sup> ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოც ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებას მთლიანად მატერიალური წარმოების სფეროს მიაკუთვნებს.

ჩვენი აზრით, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: მათი ერთი ნაწილი მივაკუთვნოთ მატერიალური წარმოების სფეროს, ხოლო მეორე ნაწილი — არაწარმოებით სფეროს. როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინი ვაჭრობაში დახარჯულ შრომას ნახევრად მწარმოებლურ შრომას უწოდებს, რადგან ამ სფეროში ისარჯება როგორც მწარმოებლური, ისე არამწარმოებლური შრომა.<sup>28</sup> გაანგარიშებულია, რომ ამჟამად ვაჭრობაში წარმოების პროცესის გაგრძელებას ემსახურება ამ დარგში დასაქმებულთა დაახლოებით 30 პროცენტი, საზოგადოებრივ კვებაში — 48 პროცენტი; დანარჩენი კი დასაქმებულია საქონლის რეალიზაციითა და მომსახურებით, ე. ი. უშუალოდ საქონლის ფორმის ცვლით.<sup>29</sup>

საზოგადოებრივი კვების საწარმოები ასრულებენ სამ სხვადასხვა, მაგრამ, ამასთან ერთად, ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას: ა) საკვების მომზადება, ე. ი. მატერიალური დოვლათისათვის საბოლოო სახის მიცემა; ბ) მზა პროდუქციის რეალიზაცია; გ) მოხმარების პროცესის ორგანიზაციის მომსახურება. სხვადასხვა საწარმოებში ამ ფუნ-

<sup>26</sup> Правдин Д. И. Развитие непроизводственной сферы при социализме, с. 37—41; Кожухарь А. Ф. Проблемы воспроизводства рабочей силы в непроизводственной сфере, с. 16; Иванов Г. П. Непроизводственная сфера и социалистическое воспроизводство, с. 15; Долишний М. И. Социально-экономические проблемы непроизводственной сферы. Киев, 1984, с. 21.

<sup>27</sup> Солодков М. В., Тарасюк А. И. Непроизводственная сфера в общественном воспроизводстве при социализме, с. 45. Кочерга А. И. Сфера обслуживания населения, с. 50, 53; Гурьев В. И. Классификация отраслей народного хозяйства СССР, М., 1971, с. 31.

<sup>28</sup> ვ. ი. ლენინი. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში. თბ., ტ. 3, გვ. 593.

<sup>29</sup> Правдин Д. И. Развитие непроизводственной сферы при социализме, с. 39.

ქციების ხედრიწილი სხვადასხვაა: ფაბრიკა-ქარხნების სამხარეულო-ებში ქარბობს პირველი; ბუფეტებში, უმთავრესად, მზა პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება; სასადილოებში, რესტორნებში, კაფეებში და ა. შ. მეტ-ნაკლებად თანაბრად, ერთდროულად სრულდება სამივე ფუნქცია.

მატერიალური წარმოების სფეროში, ჩვენი აზრით, უნდა შევიდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მიმოქცევის სფეროში გაგრძელებასთან, ხოლო არაწარმოებით სფეროში — ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია ყიდვა-გაყიდვის პროცესთან, მის ორგანიზაციასთან. პირველ შემთხვევაში იქმნება ღირებულება, მეორე შემთხვევაში კი, — როგორც კ. მარქსი აღნიშნავს „კაპიტალში“, — იცვლება მხოლოდ ღირებულების ფორმა, ღირებულების ზრდა კი არ ხდება. აქედან გამომდინარე, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ხელაღებით მატერიალური წარმოების. ან არაწარმოებითი სფეროსადმი მიკუთვნება მეცნიერულად დაუსაბუთებელია, რადგან ეს დარგები მოიცავენ როგორც მწარმოებელურ, ისე არამწარმოებელურ ფუნქციებს. სტატისტიკური ორგანოების მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა განაწილების შესახებ წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის, არ შეესაბამება მათი შრომითი მოღვაწეობის კონკრეტულ შედეგებს და, ჩვენი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას.

დაბოლოს, ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ცალკეულ დარგთა ადგილის განსაზღვრისას, სადავო საკითხებს შორის, ყურადღებას აპყრობს მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული კონცეფციები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. მკვლევართა უმრავლესობა მეცნიერებას, როგორც სულიერი წარმოების ერთ-ერთ ფორმას, მთლიანად მიაკუთვნებს არაწარმოებით სფეროს.<sup>30</sup> ავტორთა მეორე ჯგუფი, მეცნიერების ნაწილს (ძირითადად გამოყენებით მეცნიერებას) მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს, ხოლო მეორე ნაწილს

<sup>30</sup> Кожухарь А. Ф. Проблемы воспроизводства рабочей силы в непродовольственной сфере, с. 19; Правдин Д. П. Развитие непроизводственной сферы при социализме, с. 38, 49—50; Солодков М. В., Полякова Т. Д., Овсянников Н. Теоретические проблемы услуг и непродовольственной сферы при социализме, с. 54, 184; Иванов Г. П. Непродовольственная сфера и социалистическое воспроизводство, с. 15, 20.



(ფუნდამენტურ გამოკვლევებს) — არაწარმოებით სფეროს.<sup>31</sup> აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ტ. მედვედევაც მომხრეა მეცნიერების ორ ნაწილად დაყოფის, მაგრამ იგი ამ საკითხის გადაწყვეტას ცდილობს აღმინისტრაციული დაქვემდებარების პრინციპის მიხედვით. სახელდობრ, საქარხნო ლაბორატორიებს, დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს, ხოლო აკადემიურ ინსტიტუტებს — არაწარმოებით სფეროს.<sup>32</sup> ავტორთა მესამე ჯგუფი მეცნიერებას მთლიანად მიაკუთვნებს მატერიალური წარმოების სფეროს, როგორც მისი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს.<sup>33</sup> ამასთან დაკავშირებით ვ. გოტლობერი აკრიტიკებს ჩვენს სტატისტიკის ორგანოებს იმის გამო, რომ ისინი არ ასახავენ განვითარებულ სოციალიზმზე გადასვლასთან დაკავშირებულ არსებით ცვლილებებს და 20—30-იან წლებში ჩამოყალიბებული კატეგორიებით შემოიფარგლებიან.

მკვლევართა ბოლო ორი პოზიცია ჩვენ მიგვაჩნია არასწორად. უდავოა, რომ საერთოდ მეცნიერება, მისი შემდგომი სასოციალურ-რივი დანაწილების შესაბამისად, იყოფა ფუნდამენტურ და გამოყენებით გამოკვლევებად. ეს უკანასკნელი მიმართულია მეცნიერული იდეის წარმოებაში განვითარებაზე; მაგრამ ასეთი დაყოფა თვით დარგის შიგნით ხორციელდება. ჩვენი შეხედულებით მეცნიერება მთლიანად მიეკუთვნება არაწარმოებით სფეროს, როგორც სულიერი წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. მართალია, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მეცნიერება გადაიქცევა უშუალო საწარმოო ძალად, მაგრამ ეს როდი ნიშნავს მის გადაქცევას მატერიალურ წარმოებად, საწარმოო ძალების დამოუკიდებელ ელემენტად.

ეს პროცესი გულისხმობს იმას, რომ მეცნიერება სულ უფრო ამ-

---

<sup>31</sup> Багрий П. И. Динамика и структура общественного производства при социализме, с. 64—66; Кваша Я. О границах материального производства. Ученые записки по статистике, М., 1961, т. VI, с. 150, 156; Кочерга А. Сфера обслуживания населения (вопросы социалистического воспроизводства), с. 57.

<sup>32</sup> Медведева Т. Н. Экономические проблемы роста населения и использования трудовых ресурсов в СССР, М., 1978, с. 142.

<sup>33</sup> Олдак П. Экономические проблемы повышения уровня жизни, М., 1965, с. 21, 25; Готлобер В. М. Сфера услуг в общественном воспроизводстве. В кн.: Проблемы повышения экономической и социальной эффективности сферы услуг развитого социализма (Материалы к Всесоюзному симпозиуму, г. Сочи, апрель, 1974 г.). Краснояр, 1974, с. 6.

დიდრებს საწარმოო ძალების ელემენტებს; მის საფუძველზე იქმნება და გამოიყენება ახალი შრომის იარაღები და შრომის საგნები, სრულყოფილი ხდება ტექნოლოგია.\*

როგორც დავინახეთ, ეკონომიკურ ლიტერატურაში, მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გამოიყენის საკითხზე საკმაოდ განსხვავებული შეხედულებანი არსებობს.

ზემოთ განხილული კონცეფციების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. ჩვენი აზრით, მატერიალური წარმოების სფეროში უნდა შევიდეს შემდეგი დარგები: 1. მრეწველობა; 2. მშენებლობა, რომლის პროდუქტი განიფლებული და ცოცხალი შრომის შედეგია და შეიცანება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაში; 3. სოფლის მეურნეობა; 4. სატყეო მეურნეობა; 5. ტრანსპორტის ის ნაწილი, რომელიც მომსახურებას უწევს მატერიალური წარმოების დარგებს. მატერიალური წარმოების სფეროში შედის საავტომობილო, საარკინიგზო, სამდინარო, საზღვაო, საჰაერო, მილსადენი, საჰაზანო ტრანსპორტზე დასაქმებული შრომის ის ნაწილი. რომელიც ტვირთბრუნვის ოპერაციებზე იხარჯება. სატვირთო ტრანსპორტი ემსახურება წარმოების პროცესის დასრულებას და ზრდის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას: 6. წარმოებითი ხასიათის კავშირგაბმულობა. ამ დარგის მუშაკთა შრომა წარმოების მომსახურებაზე იხარჯება და ამდენად ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულების შექმნაში მონაწილეობს; 7. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება; 8. სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება. დასამზადებელი პროდუქციის ძირითადი ნაწილია ნედლეული, რომელიც გადასამუშავებლად გადაიგზავნება მსუბუქი და კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგებში; ამ პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილი მიდის საცალო ვაჭრობაში. ამ დარგში დასაქმებული შრომაც ასრულებს დახარისხების, შეფუთვის, შენახვის, ტრანსპორტირების და ა. შ. ფუნქციებს და ზრდის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას; 9. ვაჭრობის ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მიმოქცევის სფეროში გაგრძელებასთან (საქონლის დახარისხება, დაფასოება, შეფუთვა, შენახვა და ა. შ.). ამ სფეროში დასაქმებული მუშაკები მონაწილეობენ საქონლის ღირებულების შექმნაში, მათი შრომა მწარმოებლური ხასიათი-

\* მეცნიერების გადაქცევის უშუალო საწარმოო ძალად განვიხილავთ ნაშრომის მეორე თავში.

საა და ზრდის საქონლის ღირებულებას; 10. საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კვების პროდუქტების საკუთრივ წარმოებას; 11. მატერიალური წარმოების სხვა დარგები. მათ რიცხვში შედის ნადირობა, თევზჭერა. გარეული ხილის, კენჭოვანთა და სამკურნალო მცენარეების შეგროვება. კინოფილმების წარმოება, გამომცემლობათა პროდუქცია და სხვ. მატერიალური წარმოების ამ თავისებურ სახეობათა აღსანიშნავად ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებულია ტერმინი „სხვა დარგები“.

სახალხო მეურნეობის დარგთა დანარჩენი ნაწილი შეადგენს საზოგადოების არაწარმოებით სფეროს, რომელთა კლასიფიკაცია ასეთია: 1. ვანათლება; 2. მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება; 3. ჯანმრთელობის დაცვა; 4. ხელოვნება; 5. კულტურა; 6. საყოფაცხოვრებო მომსახურება; 7. საბინაო-კომუნალური მეურნეობა; 8. ფიზკულტურა და სპორტი; 9. სოციალური უზრუნველყოფა; 10. ტრანსპორტის ის ნაწილი, რომელიც მომსახურებას უწევს არაწარმოებით დარგებსა და მოსახლეობას; 11. არაწარმოებითი ხასიათის კავშირგაბმულობა; 12. ვაჭრობის ნაწილი, ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის პროცესთან, რომლის დროსაც ღირებულების ზრდა არ ხდება. მასში შედის: გამყიდველების, მოლარეების, ინკასატორების და ა. შ. ფუნქციები; 13. საზოგადოებრივი კვების ნაწილი (ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის რეალიზაციას, მომხმარებელთა მომსახურებას); 14. სახელმწიფო მმართველობა; 15. საზოგადოებრივი უშიშროებისა და თავდაცვის სფერო; 16. საკრედიტო-საფინანსო ორგანოები და სახელმწიფო დაზღვევა; 17. კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოები.

ვფიქრობთ, რომ მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს ასეთი გამიჯვნა შედარებით ზუსტად ასახავს დახარჯული შრომის თავისებურებებს დასაქმების სფეროების მიხედვით.

არაწარმოებითი სფეროს დარგები. გამომდინარე მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუნებიდან, ფუნქციური დანიშნულებიდან, მათი ადგილით შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში და როლით საზოგადოების მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1. დარგები, რომლებიც გააღწევენ ახდენენ სამუშაო ძალის თვისებრივ კლავწარმოებაზე, უზრუნველყოფენ ხალხთა კულტურულ-

ტექნიკური დონის ამაღლებას: განათლება, მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება, კულტურა, ხელოვნება.

2. დარგები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის რაოდენობრივ კვლავწარმოებაზე, უზრუნველყოფენ მოსახლეობის ჯანმრთელობის გასმტკიცებას: ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, ფიზკულტურა და სპორტი.

3. დარგები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან შრომის ეკონომიასა და თავისუფალი დროის გადიდებას: საყოფაცხოვრებო მომსახურება. საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება (არაწარმოებით ნაწილში), სამგზავრო ტრანსპორტი, არაწარმოებითი ხასიათის კავშირგაბმულობა.

4. დარგები, რომლებიც უკავშირდებიან სახალხო მეურნეობის მართვას, საზოგადოებრივი წესრიგისა და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფას: სახელმწიფო მმართველობა, საკრედიტო და საფინანსო ორგანოები, სახელმწიფო დაზღვევა, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოები. საზოგადოებრივი უშიშროებისა და თავდაცვის ორგანოები.

ეკონომიკურ ლიტერატურაში, მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს კატეგორიებთან ერთად. ფართო გავრცელება პოვა მომსახურების სფეროს კატეგორიამ.

მომსახურების სფერო ფართო გაგებით (сфера услуг) მოიცავს მომსახურების ყველა სახეს — წარმოებითს, პირადსა და სოციალური დანიშნულების მომსახურებას. მომსახურების სფერო ვიწრო გაგებით (сфера обслуживания) მოიცავს მხოლოდ პირად მომსახურებას. ანუ უშუალოდ მოსახლეობისადმი გაწეულ მომსახურებას. ამასთან დაკავშირებით. შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი ავტორი. მათ იდენტურ ცნებებად მიიჩნევს,<sup>34</sup> რაც სწორად არ მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრების გამო: წარმოებითი დანიშნულების მომსახურება (წარმოების მომსახურების სფერო) ძირითადად აერთიანებს მატერიალური წარმოების ისეთ დარგებს, როგორცაა: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადება, სატვირთო ტრანსპორტი, წარმოებითი დანიშნულების კავშირგაბმულობა,

<sup>34</sup> Семенов В. Сфера обслуживания и ее работники. М., 1966, с. 4; Эж и н я Т. Повышение роли услуг в реализации вышней цели социалистического производства. Экономические науки, 1965, № 11, с. 59.

ვაჭრობის ნაწილი (ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მიმოქცევის სფეროში გაგრძელებასთან), საზოგადოებრივი კვების ნაწილი (ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება საკუთრივ კვების პროდუქტების წარმოებას). გარდა ამისა, წარმოებითი დანიშნულების მომსახურებაში შედის სახელმწიფო ბანკის ორგანოები, სამეურნეო მმართველობის ორგანოები (ტრესტები, კომბინატები), რომლებიც მიეკუთვნებიან არაწარმოებით სფეროს.

პირადი მომსახურება (მოსახლეობის მომსახურების სფერო — сфера обслуживания) მოიცავს არაწარმოებითი სფეროს იმ დარგებს, რომლებიც, ჯერ ერთი, ახორციელებენ მატერიალურ-საყოფაცხოვრებო ანუ სამომხმარებლო ხასიათის მომსახურებას: საყოფაცხოვრებო მომსახურება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, სამგზავრო ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა მოსახლეობის მომსახურების ნაწილში, საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქციის რეალიზაციას, მომხმარებელთა მომსახურებას, და მეორე, ახორციელებენ თვით ადამიანის სრულყოფასთან დაკავშირებულ არამატერიალურ მომსახურებას: ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, ხელოვნება, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური უზრუნველყოფა.

სოციალური მომსახურება (საზოგადოების, როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმის მომსახურების სფერო) აერთიანებს არაწარმოებითი სფეროს იმ დარგებს, რომლებიც ემსახურებიან საერთო, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მას მიეკუთვნება: სახელმწიფო მმართველობის ორგანოები (სამინისტროები, კომიტეტები და სხვ.), საზოგადოებრივი უშიშროებისა და თავდაცვის სფერო. პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელმწიფო დაზღვევა, რიგი საკრედიტო და საფინანსო ორგანოები.

სსრ კავშირში მომსახურების სფეროში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობიდან წარმოებითი დანიშნულების მომსახურებაში დასაქმებულია დაახლოებით 15%, პირად მომსახურებაში — 50%-ზე მეტი და სოციალური დანიშნულების მომსახურებაში — 30%.<sup>35</sup>

ამრიგად, მომსახურების სფერო (როგორც ფართო, ისე ვიწრო გაგებით) არ ემთხვევა არაწარმოებით სფეროს, თუმცა, მათ ხშირად

<sup>35</sup> Сфера обслуживания при социализме. Под ред. Капустина Е. И. М., 1968, с. 64—65.

აიგივებენ ერთმანეთთან.<sup>36</sup> მომსახურების სფერო ფართო გაგებით (сфера услуг) უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე არაწარმოებითი სფერო. იგი მოიცავს მატერიალური წარმოების ზოგიერთ დარგს და არაწარმოებითი სფეროს ყველა დარგს, გარდა მეცნიერებისა. ამ უკანასკნელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და სტატისტიკური ორგანოები მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის გამოყოფას მომსახურების სფეროდან. მომსახურების სფერო ვიწრო გაგებით (сфера обслуживания) მოიცავს არაწარმოებითი სფეროს მხოლოდ ზოგიერთ დარგს. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ავტორი მომსახურების სფეროს უპირისპირებს არაწარმოებით სფეროს და არსებითად ზღუდავს ამ უკანასკნელის საზღვრებს. მაგალითად, ვ. მედედევი წერს: მომსახურების სფერომ, როგორც მწარმოებლური შრომის სფერომ და არა მომხმარებელმა. კვლევწარმოების სქემაში უნდა დაიკავოს დამოუკიდებელი ადგილი. სავსებით გასაგებია, რომ მას არაფერი აქვს საერთო არაწარმოებით სფეროსთან, რომელიც მოიცავს სახელმწიფო აპარატს, არმიას, მილიციას და საქმიანობის სხვა სახეებს, რომლებიც არ ქმნიან არავითარ სამომხმარებლო დოვლათს, რომელიც აუცილებელია სამუშაო ძალის კვლევწარმოებისათვის.<sup>37</sup>

საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან ნ. პანოვი და ვ. ხარინი, რომლებიც მომსახურების სფეროს (сфера услуг) და არაწარმოებით სფეროს მიიჩნევენ იდენტურ კატეგორიებად, ამასთან, არაწარმოებით სფეროში აერთიანებენ მხოლოდ სახალხო განათლებას, კულტურას, ჯანმრთელობის დაცვას, საფინანსო-საკრედიტო სისტემას, სახელმწიფო მმართველობას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატს, თავდაცვის სფეროს.<sup>38</sup>

როგორც მოტანილი მასალების ანალიზიდან ჩანს, არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნა, ერთი მხრივ, მატერიალური წარმოებისგან, ხოლო მეორე მხრივ, მომსახურების სფეროსაგან, პოლიტიკური ეკონო-

---

<sup>36</sup> Шнейдерман И. М. Статистика услуг. М., 1974. с. 12; Семенов В. С. Сфера обслуживания и ее работники, с. 22; Российский М. Б. Шевякова Н. П. Повышение эффективности общественного производства и сфера услуг. В кн.: Вопросы повышения производительности труда. Уфа, 1971, с. 32.

<sup>37</sup> Медведев В. А. Общественное воспроизводство и сфера услуг, с. 149.

<sup>38</sup> Панов Н. Н., Харин В. Д. Стимулирование труда работников сферы обслуживания. М., 1966, с. 7, 9.

მის მრავალ კარდინალურ საკითხთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხებზე დისკუსიას ხანგრძლივი ისტორია აქვს, არაწარმოებითი სფეროს ადგილი წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში დღესაც მეცნიერ-ეკონომისტთა ყურადღების ცენტრშია და არ ტოვებს პაექრობის ასპარეზს. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეთქვა ჩვენი მოსაზრება ზოგიერთ არსებით საკითხზე, ამასთან, გავიზიარეთ ზოგი კონკრეტულური შეხედულება.

## § 2. შრომის ეკონომიკური ფორმა არაწარმოებით სფეროში

ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში არაწარმოებითი სფეროს ადგილისა და როლის განსაზღვრა მოითხოვს მასში საზოგადოებრივი შრომის პროცესის თავისებურებათა ახსნას და ღრმა ანალიზს. იგი აუცილებელია, აგრეთვე, არაწარმოებითი სფეროს დარგთა ჩვენს მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მეცნიერული არგუმენტაციისათვის. ამ მიზნით აუცილებელია განვიხილოთ არაწარმოებით სფეროში შრომის პროცესის მარტივი მომენტები: შრომის საგანი, შრომის საშუალება და თვით შრომა. მატერიალური წარმოების სფეროში შრომის საგანია ბუნების საგნები და მისი ძალები. სხვაგვარი მდგომარეობაა არაწარმოებითი სფეროს ისეთ დარგებში, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, ფიზკულტურა და სხვ. აქ შრომა მიმართულია თვით ადამიანზე. მოსწავლე მასწავლებლის „გადასამუშავებელი“ ობიექტია, სტუდენტი — ლექტორის, ხოლო პაციენტი — ექიმის. გარდა ამისა, მომიჯნავე დარგებში შრომის საგანს შეიძლება ჰქონდეს ერთი და იგივე ნივთობრივი ფორმა. მაგალითად, ავილოთ საყოფაცხოვრებო მომსახურება, რომლის საწარმონი და ორგანიზაციები იღებენ მოქალაქეთა ინდივიდუალურ შეკვეთებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა ამგვარი ნივთების რემონტსა და შეკერვაზე, არემონტებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულების მანქანებსა და მოწყობილობებს, ტექნიკურ მომსახურებას უწევენ სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებს, ამზადებენ და არემონტებენ ავეჯს. ლითონის ნაწარმს. აღნიშნულ დარგს მიეკუთვნება, აგრეთვე, ქიმიური წმენდის საწარმონი, სამრეცხაოები, სამღებროები, აბანოები, ფოტო-ატელიეები, საპარიკმახეროები, გამჭირავებელი პუნქტები, ცნობათა ბიუროები და ა. შ. ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათში დახარჯული კონკრეტული შრომისა და ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვაობის მიუხედავად, აქვთ სა-

ერთო თვისება — სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება, რაც ქმნის მათ ერთ დარგში გაერთიანების საფუძველს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთი საწარმო, ვთქვათ, ინდივიდუალური კერვის ატელიე შევედართ სამკერვალო ფაბრიკას, რომელიც მასობრივად კერავს ტანსაცმელს სავაჭრო ქსელისათვის. ორივე საწარმოში შრომის საგანია ქსოვილი, ე. ი. ორივე შემთხვევაში შრომის საგნის ნივთობრივი ფორმა ერთია. ასევე იდენტურია ამ საწარმოებში წარმოების ტექნოლოგია და მუშათა პროფესიული მომზადება. მიუსხედავდ ამისა, აღნიშნულ საწარმოებში დახარჯული შრომის საზოგადოებრივი ფორმა განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში შრომის საგანი შემკვეთის პირადი საკუთრებაა, ხოლო მეორე შემთხვევაში — საზოგადოებრივი საკუთრება. პირველ შემთხვევაში შრომის საგანი, ჯერ კიდევ, ტანსაცმლის შეკერვამდე გამოვიდა წარმოების სფეროდან და გადავიდა მოხმარების სფეროში (ქსოვილი შემკვეთმა იყიდა სავაჭრო ქსელიდან ან ინდივიდუალური კერვის ატელიეში), ხოლო მეორე შემთხვევაში, შრომის საგანი ისევ წარმოების სფეროშია. პირველ შემთხვევაში საქონელი კი არ იქმნება (თუმცა ინდივიდუალური შეკვეთით შეკერილი ტანსაცმელი პოტენციურად შეიძლება იყოს საქონელი), არამედ ხორციელდება მომსახურება, ხოლო მეორე შემთხვევაში იქმნება საქონელი, რომელიც გადადის სარეალიზაციოდ მიმოქცევის სფეროში.

ამრიგად, აღნიშნულ საწარმოებში, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება, შრომის საზოგადოებრივი ფორმა განსხვავებულია.

განვიხილოთ შრომის პროცესის მეორე მომენტი — შრომის საშუალებები. არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთ დარგში გამოყენებული შრომის საშუალებების ნივთობრივი ფორმა არსებითად ისეთივეა, როგორც მატერიალური წარმოების სფეროში. მაგალითად, ერთი და იგივე სერიის ელექტროდანადგარი შეიძლება ენერგიით კვებავდეს როგორც მანქანათმშენებლობის ქარხანას, ისე სამრეცხაოს, მაგრამ საზოგადოებრივი ფორმის მხრივ, შრომის ეს საშუალებანი სრულებითაც არ არიან იდენტურნი. მატერიალური წარმოების სფეროში ისინი, შრომის საგნებთან ერთად, წარმოებით ფონდებს ქმნიან, ხოლო არაწარმოებით სფეროში არსებული შრომის საგნები და შრომის საშუალებანი, სოციალისტური საზოგადოების არაწარმოებითი ფონდების შემადგენლობაში შედიან.



შრომის პროცესის მესამე მომენტის — თვით შრომის — ანალიზი, მკიდრო კავშირშია მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ანალიზთან.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახის შრომით იქმნება მატერიალური დოვლათი და ღირებულება, ეკონომიკური კვლევის და გაცხოველებული დისკუსიის საგანია პოლიტიკური ეკონომიის, როგორც მეცნიერების არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე. ეს საკითხი ორგანულ კავშირშია მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის მეცნიერულად დასაბუთებულ შესწავლასთან.

მერკანტილისტთა შეხედულების დედაბაბი იმაში მდგომარეობდა, რომ „შრომა მწარმოებლურია მხოლოდ წარმოების იმ დარგებში. რომელთა პროდუქტები, როცა საზღვარგარეთ იგზავნებიან, უფრო მეტ ფულს უბრუნებენ უკან ამა თუ იმ ქვეყანას, ვიდრე მათი წარმოებისათვის დაიხარჯა“.<sup>39</sup> ფიზიოკრატები მწარმოებლურ შრომად მარტო სამიწათმოქმედო შრომას მიიჩნევდნენ.<sup>40</sup> ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ა. სმიტი მწარმოებლურად თვლიდა ისეთ შრომას, რომელიც უშუალოდ კაპიტალზე იცვლება, რომელიც არა მარტო აკლავწარმოებს საკუთარი სამუშაო ძალის ღირებულებას, არამედ აწარმოებს, აგრეთვე, მოგებას.<sup>41</sup> ა. სმიტი თავის განსაზღვრით, შენიშნავს კ. მარქსი, „ჩასწვდა თვით საქმის დედაბარსს; ზუსტად სწვდა მიზანს“.<sup>42</sup> ამასთან, ა. სმიტი „ისევ გაორებულია, როგორც ჩვენ მას აქამდე ვხედავდით ყველფერში“.<sup>43</sup> ა. სმიტის გაორება ჩანს მის მეორე კონცეფციაში, რომლის მიხედვით მწარმოებლურია ისეთი შრომა, რომელიც ქმნის საქონელს, არამწარმოებლური კი გამოიყენება პირად მომსახურებაში. ამრიგად, ა. სმიტს არ გააჩნია ერთიანი შეხედულება მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე, პირიქით, მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ურთიერთგამომრიცხველიცაა. აკრიტიკებდა რა ა. სმიტის შეხედულებას, კ. მარქსი დასძინდა: „...მცდარი შეხედულება მწარმოებლურ შრომაზე, რომელსაც ა. სმიტი ავითარებს, იმდენად

<sup>39</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 156—157.

<sup>40</sup> Кенз Ф. Избранные экономические произведения. М., 1960, с. 360.

<sup>41</sup> ა. სმიტი. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტ. I, თბილისი, 1938, გვ. 376.

<sup>42</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 160.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 154.

გადახლართულია სწორ შეხედულებასთან, რომ ორივე ეს შეხედულება კვალდაკვალ მისდევს ერთიმეორეს...“<sup>44</sup>

ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი დ. რიკარდო, მწარმოებლური შრომის საკითხში, ა. სმიტის შეხედულებათა პირველი გაგების მომხრე იყო.<sup>45</sup> ამასთან, როგორც ა. სმიტის, ისე დ. რიკარდოს მოძღვრება, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომაზე, წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრულია. მათი ერთ-ერთი ძირითადი შეცდომა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომის კატეგორიათა, ისე როგორც კაპიტალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სხვა კატეგორიების მუდმივ, მარადიულ კატეგორიებად აღიარებაა. „მხოლოდ ბურჟუაზიულ შეზღუდულობას, რომელსაც წარმოების კაპიტალისტური ფორმები მის აბსოლუტურ ფორმებად, მაშასადამე წარმოების მარადიულ ბუნებრივ ფორმებად მიაჩნია, შეუძლია საკითხი იმის შესახებ, რა არის მწარმოებლური შრომა კაპიტალის თვალსაზრისით, აურიოს იმ საკითხში, თუ რომელი შრომაა საერთოდ მწარმოებლური, ანდა რა არის მწარმოებლური შრომა საერთოდ“.<sup>46</sup>

კ. მარქსმა გააკრიტიკა მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ მერკანტილისტების, ფიზიოკრატებისა და ბურჟუაზიული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებელთა მცდარი შეხედულებანი და მოგვცა ამ საკითხის ახსნის ერთადერთი სწორი მეთოდოლოგია.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომის თეორიას აქვს პრინციპული მნიშვნელობა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის არსის გაგებისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ მას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს „კაპიტალში“. ამ ნაშრომში მოცემული მარქსისტული მეთოდოლოგიის გამოყენების გარეშე შეუძლებელია სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის არსის მეცნიერული ახსნა.

მწარმოებლური შრომის კატეგორიას კ. მარქსი განიხილავს ორ ასპექტში: მწარმოებლური შრომის კატეგორიას საერთოდ კონკრეტული წარმოების საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად და

<sup>44</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. 1, გვ. 158.

<sup>45</sup> დ. რიკარდო. პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. თბილისი, 1937, გვ. 239.

<sup>46</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. 1, გვ. 479.

მწარმოებლური შრომის კატეგორიას კაპიტალიზმის პირობებში.<sup>47</sup>

მწარმოებლურ შრომას როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, აქვს თვისებრივად დამახასიათებელი და რაოდენობრივად განსაზღვრული კრიტერიუმები.

კ. მარქსი საერთოდ მწარმოებლურ შრომად მიიჩნევს ისეთ შრომას, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს. „თუ მთელ პროცესს მისი შედეგის, პროდუქტის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ორივე, შრომის საშუალება და შრომის საგანი, გვევლინება როგორც წარმოების სამუალებანი, თვით შრომა კი — როგორც მწარმოებლური შრომა“.<sup>48</sup>

მატერიალური დოვლათის შექმნის ამ უშუალო კავშირით, ბუნების საგნებზე ამ უშუალო ზემოქმედებით გამოიხატება. საერთოდ, მწარმოებლური შრომის თვისებრივი კრიტერიუმი. იგი გულისხმობს, რომ მისი გამოყენების სფერო მატერიალური წარმოებაა. ხოლო შედეგი — მატერიალური დოვლათი.

კ. მარქსი, როდესაც მწარმოებლური შრომის რაოდენობრივ კრიტერიუმს, კონკრეტული წარმოების წესისაგან დამოუკიდებლად განიხილავს, აღნიშნავს, რომ მწარმოებლურია ისეთი შრომა, რომელიც აწარმოებს მეტ ღირებულებას, ვიდრე საჭიროა დახარჯული სამუშაო ძალის აღსადგენად.

ამრიგად, მწარმოებლური შრომა, საერთოდ, ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისაგან დამოუკიდებლად. არის შრომა, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს იმ რაოდენობით, რომელიც აუცილებელია წარმოების ხარჯების ასანაზღაურებლად და ზედმეტი პროდუქტის მისაღებად.

კ. მარქსის აზრით, მწარმოებლური შრომის ასეთი აბსტრაქტული განსაზღვრა სრულიად არ არის საკმარისი კაპიტალისტური წარმოების პროცესის განვითარების კანონზომიერებათა ასახსნელად. მწარმოებლური შრომის ასეთი განსაზღვრა მხოლოდ „გონივრული აბსტრაქცია“ იქნება, თუ ჩვენ არ განვიხილავთ მას კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობასთან კავშირში.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოვიდეთ „გარკვეული საზოგადოებრივ

47 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 232; კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 479.

48 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 232.

ფორმიდან, იმ გარკვეული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობიდან, რომელშიც ეს შრომა ხორციელდება“,<sup>49</sup> ვინაიდან „გარკვეული პოლიტიკურ-ეკონომიური კატეგორია არის არა შრომა, არამედ მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი ფორმა, შრომის საზოგადოებრივი მოწყობა, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ: ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებრივ შრომაში მათი მონაწილეობის მიხედვით“.<sup>50</sup>

მწარმოებლურ შრომას კაპიტალიზმის პირობებში აქვს განსაკუთრებული, თვით კაპიტალისტური წარმოების წესის არსიდან გამომდინარე, თვისებრივი და რაოდენობრივი დამახასიათებელი ნიშნები.

კაპიტალიზმის დროს მწარმოებლური შრომა კაპიტალისტურად ორგანიზებული შრომაა. მისი თვისებრივი კრიტერიუმია ის, რომ იგი უშუალოდ კაპიტალზე იცვლება და უპირისპირდება თვით მუშას კაპიტალის სახით. არამწარმოებლური შრომა კი, კ. მარქსის მოძღვრების მიხედვით, ისეთი წრომაა: „...რომელიც გაიცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე“.<sup>51</sup>

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის პირობებში მწარმოებლური შრომის რაოდენობრივი კრიტერიუმი გულისხმობს, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის საფუძველზე, კაპიტალისტი მიერ ზედმეტი ღირებულების მიღებას. კაპიტალისტური წარმოება არა მარტო საქონლის წარმოებაა, არამედ არსებითად ზედმეტი ღირებულების წარმოებაცაა. ამიტომ კაპიტალიზმის დროს „...ის მუშაა მწარმოებელი, რომელიც კაპიტალისტისათვის ზედმეტ ღირებულებას აწარმოებს ანუ კაპიტალის ღირებულების თვითზრდას ემსახურება“.<sup>52</sup>

დაქირავებული შრომა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ სფეროშია იგი დასაქმებული (მატერიალური წარმოების თუ არაწარმოებით სფეროში, თუკი მეტ შრომას უბრუნებს კაპიტალისტს, ვიდრე მისგან ხელფასის ფორმით იღებს, მწარმოებლურია. აქ შრომის კონკრეტულ შინაარსს არა აქვს მნიშვნელობა. სპეციფიკური წარმოებითი ურთიერთობა მუშას თუ ზედმეტი ღირებულების წარმოების ია-

49 კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 161.

50 ვ. ი. ლენინი. ვულგარული სოციალიზმი და ნაროდნიკობა. თბზ., ტ. 6, გვ. 324.

51 კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 161.

52 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 641.

რალად აქცევს, შრომის ხასიათის მიუხედავად, მისი შრომა მწარმოებლური იქნება.

არტისტი, შენიშნავს კ. მარქსი, თავისი შრომით არ ქმნის მატერიალურ დოვლათს. ამიტომ მისი შრომა საერთოდ, კაპიტალისტური წარმოების წესისაგან დამოუკიდებლად, არამწარმოებლურია. მაგრამ თუკი არტისტი ჭიოთ მუშაობს კაპიტალისტთან, რომელსაც იგი მეტს აძლევს მოგების სახით, ვიდრე მისგან ხელფასის ფოთით იღებს, მაშინ იგი მწარმოებელი მუშაკია, მისი შრომა კი მწარმოებლურია, ხოლო თერძი, რომელიც კაპიტალისტთან შინ მიდის და კოსტუმს უკერავს, რითაც მხოლოდ სახმარ ღირებულებას ქმნის, არამწარმოებელი მუშაკია, მისი შრომა არამწარმოებლურია. არტისტის შრომა გაიცვლება კაპიტალზე, თერძის შრომა — შემოსავალზე. პირველი სახის შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას, მეორე შემთხვევაში კი შემოსავალი მოიხმარება. ფორტეპიანოს ფაბრიკანტის მუშა მწარმოებელი მუშაკია, თუკი ის ამზადებს ამ ინსტრუმენტს ფაბრიკაში, ხოლო არამწარმოებელია, თუ იგივე ინსტრუმენტს აწყობს ფაბრიკანტის დაავალებით მის სახლში. პირველ შემთხვევაში შრომა არა მარტო ანაზღაურებს სამუშაო ძალის ღირებულებას, არამედ მისი პროდუქტი — ფორტეპიანო, რომელსაც ფაბრიკანტი ყიდის, გარდა სამუშაო ძალის ღირებულებისა, შეიცავს ზედმეტ ღირებულებასაც. მეორე შემთხვევაში კი შრომა უშუალოდ გაიცვლება ფაბრიკანტის შემოსავალზე. „მწერალი მწარმოებელი მუშაკია არა იმიტომ, რომ იგი იღებს აწარმოებს, არამედ იმიტომ, რომ იგი ამდიდრებს წიგნს გამყიდველს. რომელიც მის თხზულებებს გამოსცემს, ე. ი. იგი მწარმოებელია იმდენად, რამდენადაც რომელიმე კაპიტალისტის დაქირავებული მუშაკია.“<sup>53</sup>

ამრიგად, მწარმოებლური შრომის ცნება სრულიადაც არ შეიცავს მარტო იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს მოქმედებასა და მის სასარგებლო ეფექტს შორის, მუშასა და შრომის პროდუქტს შორის. იგი, ამასთან სპეციფიკური წარმოებითი ურთიერთობის მატარებელია.

კ. მარქსის მიერ მწარმოებლური შრომის კატეგორიის გამოიყენა მწარმოებლურ შრომად საერთოდ და მწარმოებლურ შრომად კაპიტალიზმის სპეციფიკურ პირობებში, გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის ორადი ბუნებიდან.

<sup>53</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 161.

კაპიტალისტური წარმოება, ერთი მხრივ, მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესია. კაპიტალისტური წარმოების პროცესს თუ ამ კუთხით განვიხილავთ, აუცილებლად მწარმოებლურად უნდა ჩაითვალოს ის შრომა. რომელიც უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს. მაგრამ კაპიტალისტური წარმოების პროცესი ამავე დროს ზედმეტი ღირებულების წარმოების პროცესია და თუ კაპიტალისტური წარმოების პროცესს ამ კუთხით განვიხილავთ, მწარმოებლური იქნება შრომა, რომელიც იცვლება კაპიტალზე და რომელსაც კაპიტალისტ-სათვის მოაქვს ზედმეტი ღირებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალის თვითზრდის პროცესი შეიძლება განხორციელებული იქნეს მისი ნივთობრივი საფუძვლის, მატერიალური წარმოების გარეშე. ამიტომ, კაპიტალისტური წარმოების სპეციფიკურ პირობებში მატერიალური დოვლათის შემქმნელი შრომა შეიძლება იყოს არამწარმოებლური. თუ იგი არ იხარჯება ზედმეტი ღირებულების წარმოების მიზნით. ამავე დროს შრომა, რომელიც საერთოდ არ არის მიმართული უშუალოდ მატერიალური დოვლათის შესაქმნელად, იღებს მწარმოებლური შრომის ხასიათს, თუ ამ შრომით უზრუნველყოფილია კაპიტალის თვითზრდა.

კაპიტალისტური წარმოების მიზანი არ არის განსაზღვრულ სახმარ ღირებულებათა შექმნა და იგი კაპიტალისტებს აინტერესებს იმდენად. რამდენადაც საქონლის სახმარი ღირებულება უზრუნველყოფს მის რეალიზაციას და ზედმეტი ღირებულების მიღებას. ამიტომ მწარმოებლური შრომის ცნება, კაპიტალიზმის პირობებში, კარგავს მთავარ, განმსაზღვრელ თვისებას, რომ ეს შრომა უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის მარქსისტულ თეორიას პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური წარმოებათი ურთიერთობის არსის გაგებისათვის.

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების სულ უფრო მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება. ამიტომ მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის კატეგორიები სოციალიზმის პირობებში განსხვავებულ შინაარსს იძენს. სოციალიზმი ცვლის კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომის ხასიათს და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას.

საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ინტერესი მწარმოებლური

და არამწარმოებლური შრომის შესწავლის მიმართ. ჯერ კიდევ, 20-იან წლებში წარმოიშვა. ამ პრობლემის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობამ გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია.<sup>54</sup> მეცნიერთა უმრავლესობას მწარმოებლურად მიაჩნდა შრომა, რომელიც ქმნის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სიმდიდრეს და ემსახურება სოციალიზმის განმტკიცებასა და განვითარებას.

უკანასკნელ პერიოდში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის საკითხი ინტენსიური კვლევის ობიექტი გახდა. ამ გარემოებამ დაღებიითი გავლენა მოახდინა აღნიშნული პრობლემის დამუშავებაზე. მიუხედავად ამისა, განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ეკონომისტთა ერთი ჯგუფი (ნ. ტიაკინი, ბ. რაკიტსკი და სხვ.) იზიარებს ს. სტრუმლინის შეხედულებას და აიგივებს ორ სხვადასხვა ცნებას — საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და მწარმოებლურ შრომას. ს. სტრუმლინის აზრით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა მთლიანად მწარმოებლური შრომაა, ხოლო არამწარმოებელთა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ მხოლოდ უქნარები, მუქთახორები, სამუშაოს გამცდენები.<sup>55</sup> ნ. ტიაკინის აზრით, მატერიალური წარმოების სფერო უკვე აღარ არის მატერიალური დოვლათის წარმოების ერთადერთი სფერო; შრომა მწარმოებლურია როგორც მატერიალური წარმოების სფეროში, ისე არაწარმოებით სფეროში, სოციალისტური მწარმოებლური შრომა ქმნის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს, ემსახურება ექსპლოატაციისაგან თავისუფალ ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.<sup>56</sup> ბ. რაკიტსკიც აიგივებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კატეგორიას მწარმოებლურ შრომის კატეგორიასთან. ე. ი. იგი მთლიანად საზოგადოებრივად ორგანიზებულ შრომას თვლის მწარმოებლურ შრომად და ამით ფაქტობრივად ზღვარს შლის მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის. ბ. რაკიტსკი აღნიშნავს, რომ არაწარმოებით სფერო-

<sup>54</sup> Струминин С. Г. Народный доход СССР (К методике изучения вопроса). Плановое хозяйство, 1926, № 8, с. 140—163; Кофман Б. Производительный труд и метод Маркса, с. 151. Петров А. Теоретические предпосылки исчисления народного дохода. Плановое хозяйство, 1927, № 2, с. 107—132; Вайсберг Р. Общественный продукт при капитализме и в СССР. Плановое хозяйство, 1927, № 5, с. 126—147.

<sup>55</sup> Струминин С. От октября к коммунизму. Вопросы экономики, 1968, № 9, с. 17.

<sup>56</sup> Тяпкин Н. Коммунистическая организация общественного труда, М., 1970, с. 133.

ში დახარჯული შრომა ქმნის ღირებულებას, ეროვნულ შემოსავალს, აუცილებელ და ზედმეტ პროდუქტს; თუ სოციალისტურად ორგანიზებულ შრომას დაეყოფთ მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად, გამოგვივა, თითქოს არაწარმოებითი სფეროს მუშაკები მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკთა კმაყოფაზე იმყოფებიან.<sup>57</sup> არსებითად ზემოაღნიშნული კონცეფციის მომხრეებია, აგრეთვე, პ. ოლდაკი, ო. ოქერელევი, ა. კულიკოვი და სხვ.<sup>58</sup>

ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს ამ კონცეფციის საწინააღმდეგო შეხედულება, რომლის მიხედვით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა იყოფა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად. ამ კონცეფციას იზიარებენ ი. კრონროდი, ა. კუზნეცოვი, მ. სოლოდკოვი, ვ. მელქაძე, ნ. ცაგოლოვი, მ. სკარჟინსკი, მ. იუდელევიჩი, ა. ლივშიცი, დ. პრავდინი, გ. ფილიპოვი, ზ. ბიმი, რ. სამარი და სხვ. ამასთან, მწარმოებლური შრომის არსი სხვადასხვაგვარადაა განმარტებული: ი. კრონროდის განსაზღვრით, მწარმოებლურია ის შრომა, რომელიც ქმნის როგორც სოციალისტური დაგროვების, ისე არაწარმოებითი სფეროს შენახვის ფონდს;<sup>59</sup> ა. კუზნეცოვის მიხედვით, მწარმოებლურია შრომა, რომელიც ქმნის სოციალისტური საკუთრების მატერიალურ შინაარსს;<sup>60</sup> ვ. მელქაძის აზრით, მწარმოებლურია შრომა, რომელიც საზოგადოებრივი მეურნეობის ჩარჩოებში ხორციელდება და ხელს უწყობს სოციალისტური საკუთრების შენარჩუნებას და ზრდას იმით, რომ ამ შრომის პროდუქტის ღირებულება აღემატება სამუშაო ძალის კვლავწარმოებაზე დახარჯულ ღირებულებას.<sup>61</sup>

ზემოთ აღნიშნული ორი კონცეფციიდან, საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობა უკანასკნელ შეხედულებას ემხრობა. ჩვენი აზრით, მცდარია დებულება, რომლის მიხედვით მწარმოებლურია როგორც მატერიალურ წარმოებაში, ისე არაწარმოებით სფეროში დასაქმე-

57 Ракицкий Б. Общественные фонды потребления как экономическая категория, с. 54.

58 Олдак П. Г. Взаимосвязь производства и потребления. Критерии и оценки. М., 1965, с. 28—49; Ожарельев О. И. Основной экономической закон социализма и его использование в управлении народным хозяйством. Л., 1973, с. 26, 32; Куликов А. Г. Марксистско-ленинская теория стоимости. М., 1971, ч. II, с. 157—158.

59 Кропрод Я. Социалистическое производство, с. 145

60 Кузнецов А. Развитие производственной и непроизводственной сфер в СССР, с. 45.

61 Мелкадзе В. Закономерности воспроизводства национального дохода в Грузинской ССР, с. 15.



ბული შრომა. იგი ფაქტობრივად უგულებელყოფს მარქსისტულ მე-  
თოდოლოგიურ პრინციპს და აბსტრაქციის ორ სახეს ამ საკითხის  
მეცნიერულ ახსნაში.

სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური შრომა, ჯერ ერთ-  
თი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ის ნაწილია, რომელიც  
უშუალოდ მიმართულია მატერიალურ სახმარ ღირებულებათა შესაქ-  
მნელად (მწარმოებლური შრომის თვისებრივი კრიტერიუმი), მეორე,  
იგი ქმნის ახალ ღირებულებას (მწარმოებლური შრომის რაოდენობ-  
რივი კრიტერიუმი). ეს არის მწარმოებლური შრომის, როგორც ეკო-  
ნომიკური კატეგორიის არსი. ამასთან, სოციალისტურ საზოგადოე-  
ბაში, ისე როგორც სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებ-  
ში, მწარმოებლურ შრომას გამოვლენის სპეციფიკური ფორმები აქვს.  
მწარმოებლური შრომის კატეგორიის კვლევა აბსტრაქტულიდან კონ-  
კრეტულისაკენ მიგვიყვანს მის ზუსტ განსაზღვრამდე.

თუ კაპიტალიზმის დროს მწარმოებლური შრომის კატეგორია  
განიხილება კაპიტალისტის ინტერესებიდან გამომდინარე, სოციალიზმის  
პირობებში მწარმოებლური შრომის კატეგორია უნდა განვიხილოთ  
სოციალისტური სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების ინტერესები-  
დან გამომდინარე. სოციალიზმის დროს მწარმოებლური შრომის ცნე-  
ბის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ მარქსისტული მეთო-  
დოლოგიით და არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმ მითითებით,  
როგორც ეს ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ მწარმოებლური შრომა  
მხოლოდ მატერიალური დოვლათის შემქმნელი შრომაა.<sup>62</sup> მწარმოებ-  
ლური შრომის ასეთი ზოგადი, წარმოების საზოგადოებრივი ფორ-  
მისგან დამოუკიდებელი განსაზღვრა არ შეიძლება მივუსადაგოთ სო-  
ციალიზმის პირობებში მწარმოებლური შრომის განსაზღვრას. თუ  
დამზადებული პროდუქტი საზოგადოების საჭიროებისათვის არ გა-  
ნოიყენება და მას თვით მწარმოებელი მოიხმარს პირადი მოთხოვნი-  
ლების დასაკმაყოფილებლად, ასეთი შრომა არ იქნება მწარმოებლუ-  
რი. ეს ზოგადი დებულება გაგებელი უნდა იქნეს შემდეგნაირად:  
მწარმოებლური შრომა უშუალო საზოგადოებრივი შრომაა. აქედან  
გამომდინარე, მაგალითად, პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯუ-  
ლი შრომის ის ნაწილი, რომელიც ხმარდება ოჯახის მოთხოვნილება-  
თა დაკმაყოფილებას, მართალია, აწარმოებს მატერიალურ დოვლათს

<sup>62</sup> ნ. პაიკაძე. შრომის ნაყოფიერების თეორიის ზოგიერთი საკითხი. თბი-  
ლისი, 1984, გვ. 20.

და ობიექტურად ხელს უწყობს გარკვეულ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მაგრამ უშუალოდ არ მიეკუთვნება მწარმოებლურ შრომას. იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც უშუალო საზოგადოებრივი შრომა, რადგან გათვალისწინებული არ არის სახალხო-სამეურნეო გეგმაში და ამდენად არ წარმოადგენს მწარმოებლურ შრომას. ასევე, საოჯახო მეურნეობაში გამოყენებული შრომა (იგი გულისხმობს როგორც პირად მომსახურებას, ისე პროდუქტისათვის საბოლოო სახის მიცემას), არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მწარმოებლური შრომა. იგი არამწარმოებლური შრომის კატეგორიას მიეკუთვნება. იგივე ხასიათის შრომა სასოგადოებრივი კვების საწარმოში, კერძოდ, მზარეულის შრომა, მწარმოებლური შრომის კატეგორიაა.

ზოგიერთი ავტორი პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯულ შრომას მთლიანად მიიჩნევს მწარმოებლურ შრომად. იმის გამო, რომ იგი ხელს უწყობს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას.<sup>63</sup> მაგრამ განა საოჯახო მეურნეობაში, ან თუ გნებავთ ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში და ა. შ. დახარჯული შრომა არ უწყობს ხელს სამუშაო ძალის კვლავწარმოებას? ამიტომ ეს კრიტერიუმი. ჩვენი აზრით, არ გამოდგება მწარმოებლური შრომის არსის დახასიათებისათვის.

ამრიგად, სოციალიზმის პირობებში მატერიალური დოვლათის შემქმნელი შრომა, რომელიც ჩართულია სოციალისტური კვლავწარმოების პროცესში, მწარმოებლურია და თუ არ ჩაერთვის ამ პროცესს — არამწარმოებლური.

სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური შრომის ერთ-ერთი ნიშან-თვისებაა ზედმეტი პროდუქტის შექმნა. იგი, როგორც სოციალისტური დაგროვების, არაწარმოებითი სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების, მმართველობის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და სოციალური უზრუნველყოფის ფონდის შექმნის წყარო, ახალი შინაარსის. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის გამომხატველია. მისი შემქმნელი შრომა კი მწარმოებლური შრომაა.

სოციალიზმის დროს ზედმეტი შრომის ნაწილს ითვისებენ ის შრომისუნარიანი წევრები. რომლებიც მონაწილეობენ ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში, მაგრამ არ ქმნიან ზედმეტ პროდუქტს და

<sup>63</sup> ლ. ჩიქავა. სოციალისტურ საზოგადოებაში მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის ვაგებისათვის. ეკონომისტი, 1982, № 5, გვ. 69.

მათი ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრები, აგრეთვე, საზოგადოების ის შრომისუნარიანი წევრები, რომლებიც უშუალოდ არ იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ შრომაში. ამიტომ ის პირები, რომლებიც არ ქმნიან ზედმეტ პროდუქტს, თვით კი ითვისებენ მის ნაწილს, არ შეიძლება ჩაითვალოს მწარმოებელ მუშაკებად, მათი შრომა კი მწარმოებლურ შრომად.

მეცნიერ-ეკონომისტთა ერთი ნაწილი პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯულ შრომას მთლიანად მიაკუთვნებს არამწარმოებლურ შრომას, ვინაიდან უშუალოდ არ არის განსაზოგადოებელი.<sup>61</sup> ავტორთა მეორე ნაწილი, პირიქით, მას განიხილავს, როგორც მწარმოებლურ შრომას, იმის გამო, რომ იგი ქმნის აუცილებელ პროდუქტს.<sup>65</sup> ზოგიერთი ავტორის აზრით კი პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯული შრომა ქმნის როგორც აუცილებელ, ისე ზედმეტ პროდუქტს და ამის გამო იგი მთლიანად მწარმოებლური შრომაა.<sup>66</sup>

საესებით გასაგებია, რომ მწარმოებლურ შრომად მივიჩნიოთ პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯული შრომის ის ნაწილი, რომლის პროდუქტი სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების ან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით, რომელიც ზედმეტი პროდუქტის ფორმას ღებულობს, გადაეცემა სახელმწიფოს. მაგრამ პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ მწარმოებელმა მოიხმარა, საიდან ღებულობს აუცილებელი პროდუქტის (მით უნეტეს ზედმეტი პროდუქტის) ფორმას და როგორ აისახება იგი ეროვნულ შემოსავალში? ამ შემთხვევაში იგი მოიხმარს ღირებულებას ერთი ფორმით, რათა აკვლავწარმოოს იგი მეორე ფორმით. ამასთან დაკავშირებით მოვიშველებთ კ. მარქსს. როდესაც მარქსი აკრიტიკებს ა. სმიტს მწარმოებლური შრომის თაობაზე, აღნიშნავს, რომ გამომდინარე სმიტისეული მსჯელობიდან, „მწარმოებლურ შრომად სმიტს

61 Солодков М. В. Методология исследования производительного и непроизводительного труда. М., 1969, с. 26; Лозовой В. Против крайности в трактовке производительного труда. Экономические науки. 1970, № 3, с. 58; Медведев А. В. Общественное воспроизводство и сфера услуг. М., 1958, с. 119.

65 Залотская В. В. Критерии производительного труда при социализме. Экономические науки. 1957, № 7, с. 39; Белянов В. А. Личное подсобное хозяйство при социализме М., 1970, с. 77; Кузнецов А. Д. Развитие производственной и непроизводственной сфер в СССР. М., 1964, с. 59.

66 ი. ქვაჩახია. მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობა (ზოგიერთი მეთოდოლოგიური ასპექტი). ეკონომისტი, 1985, № 4, გვ. 75.

უნდა ჩაეთვალა ისეთი შრომა, რომელიც... უშუალოდ აწარმოებს, აყალიბებს, ავიოარებს, ინახავს, აკვლავწარმოებს თვით სამუშაო ძალას. შრომის ამ უკანასკნელ სახეობას ა. სმიტი გამორიცხავს მწარმოებლური შრომის თავისი რუბრიკიდან; ამას იგი აკეთებს თვითნებურად, მაგრამ ამასთან ხელმძღვანელობს გარკვეული სწორი ინსტიქტით, რომელიც მას უკარნახებს, რომ, თუ იგი ამ შრომასაც აქ შეიტანს. მაშინ ფართოდ გაულებს კარს ყოველგვარ დაუსაბუთებელ (ხაზი ჩვენია — რ. ა.) პრეტენზიას მწარმოებლური შრომის წოდების მოსაპოვებლად.<sup>67</sup> ჩვენც თუ მწარმოებლურ შრომად მივიჩნევთ ისეთ შრომას, რომელიც მხოლოდ აკვლავწარმოებს მის მიერ მოხმარებულ ღირებულებას, მაშინ ფართოდ გავულებთ კარს ყოველგვარ დაუსაბუთებელ პრეტენზიას მწარმოებლური შრომის მოსაპოვებლად.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირად დამხმარე მეურნეობის როლის გაზრდა უკავშირდება მასში დახარჯული შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ლენინის სიტყვებით რაზე ვთქვათ, შრომის საზოგადოებრივ მოწყობას. საზოგადოებრივ მეურნეობასთან აქტიური თანამშრომლობით იზრდება პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯული შრომის ეფექტიანობა, უფრო რაციონალურად გამოიყენება იქ დასაქმებულთა შრომა, აგრეთვე ის მიწებიც, რომლებზეც გაშენებულია პირადი დამხმარე მეურნეობა. საზოგადოებრივ და პირად დამხმარე მეურნეობათა ეკონომიკური ურთიერთობის სრულყოფის ახალი ფორმა, რომელმაც მიიღო საზოგადოებრივი და პირად დამხმარე მეურნეობათა კოოპერირების სახელწოდება, ხელს უწყობს მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობის აქტიურ და მიზანდასახულ ჩაბმას სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ამის შედეგად იზრდება იმ პროდუქციის წილი, რომელიც გადადის სახელმწიფო ბეღელში.

ამრიგად, მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე, სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის დაყოფა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად დაკავშირებულია ეროვნული შემოსავლის ანალიზთან. სოციალიზმის დროს მწარმოებლურია შრომა, რომელიც ქმნის ეროვნულ შემოსავალს და, პირიქით.

შრომის პროდუქტის შექმნის კოოპერაციული ხასიათი აფართო-

<sup>67</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. 1, გვ. 180.

ებს მწარმოებლური შრომისა და, მაშასადამე, მწარმოებელი მუშის ცნებას.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის კატეგორიათა გამოიჯენის კრიტერიუმების დადგენისას, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, ესა თუ ის შრომა მწარმოებლურად რომ ჩავთვალოთ, აუცილებელი არ არის, იგი უშუალოდ ზემოქმედებდეს შრომის საგნებზე. „მწარმოებლურად რომ იმუშაო, ამისათვის აუცილებელი აღარ არის ახლა თვითონ შეახო ხელი შრომის საგანს; საკმარისია იყო ერთობლივი მუშის ორგანო, შეასრულო ერთ-ერთი მისი ქვეფუნქცია“.<sup>68</sup> მარქსისტული მოძღვრების მიხედვით, წარმოების კოოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე, პროდუქტი ინდივიდუალური მწარმოებლის უშუალო პროდუქტიდან გადაიქცევა „ერთობლივი შრომის“<sup>69</sup> საერთო პროდუქტად, ე. ი. კომბინირებული მუშა-პერსონალის პროდუქტად. მაშასადამე, „ერთობლივი მუშის“ ცნება გამომდინარეობს თვით მატერიალური წარმოებიდან და მისი გაიგივება ერთობლივ საზოგადოებრივ შრომასთან არ მიგვაჩნია მართებულად.<sup>70</sup>

ამრიგად, მწარმოებლური შრომის კატეგორიას მიეკუთვნება იმ მუშაკთა შრომაც, რომელიც შრომის საგანზე შეიძლება უშუალოდ არ ზემოქმედებდეს, მაგრამ „ერთობლივი მუშის“ ამა თუ იმ ფუნქციას ასრულებდეს. უშუალო მწარმოებლის შრომასთან ერთად პროდუქტში მატერიალიზებულია საწარმოს დირექტორის, ინჟინრის, ტექნოლოგის, აგრონომის, ზოოტექნიკის და ა. შ. შრომა. საქონელი მათი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია და არა ერთი რომელიმე მათგანის შრომისა. ამდენად, მათი შრომა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „ერთობლივი მუშის“ ცალკე ორგანო. ამ კატეგორიის მუშაკთა რიცხვი თანდათან მატულობს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. მეცნიერის შრომა მწარმოებლური ხდება მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მისი გამოკვლევისა და თეორიული დასკვნების შედეგები პრაქტიკაში დაინერგება. მეცნიერის შრომა მხოლოდ წარმოებასთან შეერთებით გადაიქცევა მწარმოებლურ შრომად, ხოლო მეცნიერება უშუალო საწარმოო ძალად.

<sup>68</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 641.

<sup>69</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 506.

<sup>70</sup> См. Струминин С. От октября к коммунизму. Вопросы экономики, 1968, № 9, с. 17.

ზემოთ მოტანილი განსაზღვრებებიდან არც ერთი მათგანი არ გვაძლევს მწარმოებლური შრომის სრულყოფილ დახასიათებას. თითოეული ხაზს უსვამს მწარმოებლური შრომის ამა თუ იმ დამახასიათებელ ნიშანს და მხოლოდ ამ განსაზღვრებათა ერთობლიობა სავსებით ხსნის ამ ცნების შინაარსს.

მაშასადამე, სოციალიზმის დროს მწარმოებლური შრომა უშუალო საზოგადოებრივი შრომის ის ნაწილია, რომელიც „ერთობლივი მუშის“ ერთ-ერთ ქვეფუნქციას ასრულებს და უზრუნველყოფს ეროვნული შემოსავლის შექმნას. მწარმოებლური შრომა წარმოების გაწევის უწყვეტელი განახლების მატერიალურ პირობებს ქმნის.

მართალია, მატერიალური წარმოება ადამიანთა არსებობის და განვითარების საფუძველია, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნილებანი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. იგი საჭიროებს სულიერ საზრდოს და არაწარმოებითი ხასიათის სხვადასხვა სახის მომსახურებას. ამ მიზნით აუცილებელია ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის გარკვეული ნაწილის გამოყენება. ამ მუშაკთა შრომა განსხვავდება მწარმოებლური შრომისაგან იმით, რომ, მართალია, იგი უშუალოდ არ არის მიმართული მატერიალური დოვლათის შესაქმნელად და არც „ერთობლივი მუშის“ შემადგენელი ნაწილია, მაგრამ არაპირდაპირი გზით შეუძლია ზემოქმედება მატერიალურ წარმოებაზე. კ. მარქსი ასეთ შრომას არამწარმოებლურ შრომას უწოდებს, ხოლო ფუნქციებს, რომლებსაც იგი ასრულებს — არამწარმოებლურ ფუნქციებს.<sup>71</sup>

მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის „...განსხვავება გვევლინება როგორც შრომის დანაწილების შედეგი და ამდენად იგი ხელს უწყობს შრომის საერთო ნაყოფიერების განვითარებას... იმით, რომ შრომის დანაწილება არამწარმოებლურ შრომას აქცევს მუშაკთა ერთი ნაწილს განსაკუთრებულ ფუნქციად, მწარმოებლურ შრომას კი — მეორე ნაწილის განსაკუთრებულ ფუნქციად“.<sup>72</sup>

სოციალიზმი ცვლის არამწარმოებლური შრომის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შინაარსს. მისი ხასიათი განისაზღვრება სოციალიზმის ეკონომიკური კანონების მოქმედებით.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, წარმოების

<sup>71</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი). ნაწ. I, გვ. 344.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 349.

ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ინტელექტუალურ გამდიდრებას. საზოგადოებისათვის გარდუვალად აუცილებელია მოზარდი თაობის აღზრდის, უმაღლესი განათლების კადრების მომზადების, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მეცნიერების, სახელმწიფო მმართველობისა და ქვეყნის თავდაცვის სფეროში დასაქმებულთა შრომა. ამ სფეროს მუშაკთა შრომა საბოლოოდ მატერიალური დოვლათის წარმოების განვითარებას უწყობს ხელს, კომუნისტური მშენებლობის პროცესში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სულ უფრო მეტი მასა გამოიყენება სულიერი სიმდიდრის შესაქმნელად და საზოგადოების სხვა არაწარმოებრივი მომსახურებისათვის.

ამრიგად, სოციალიზმის დროს არამწარმოებლური შრომა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ის ნაწილია, რომელიც უშუალოდ არ ქმნის ახალ ღირებულებას, ეროვნულ შემოსავალს, მაგრამ არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს მატერიალურ წარმოებაზე და ემსახურება საზოგადოების სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, მათ ყოველმხრივ განვითარებას. მასში შედის როგორც უშუალო საზოგადოებრივი შრომის ნაწილი, ისე შრომის ის სახეობებიც, რომლებიც არაა გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმით, მაგალითად, საოჯახო მეურნეობაში გამოყენებული შრომა, პირად დამხმარე მეურნეობაში დახარჯული შრომის ის ნაწილი, რომლის პროდუქტი გამოიყენება უშუალოდ პირადი მოხმარებისათვის ან გაიტანება ბაზარზე გასაყიდად. შრომის აღნიშნული სახეობები არამწარმოებლური შრომის სპეციფიკური ფორმაა.

მწარმოებლური შრომის შედეგი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტია. ზოგიერთი კონკრეტული არამწარმოებლური შრომის შედეგი — მწერლის მიერ დაწერილი წიგნი, მოქანდაკის მიერ გამოძერწილი სკულპტურა, მხატვრის მიერ დახატული სურათი და ა. შ. სულიერი სიმდიდრეა და ეკონომიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენს მატერიალურ სიმდიდრეს, ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტს. მატერიალური სიმდიდრე გარკვეული აზრით, ადამიანისგან დამოუკიდებლად, სულიერი სიმდიდრე კი ადამიანითაა წარმოდგენილი. მატერიალური სიმდიდრე იხარჯება და იკვლავწარმოება, სულიერი სიმდიდრე თაობიდან თაობას გადაეცემა და შეიძლება ითქვას,

ხელუხლებელი რჩება. მისი „მომხარება“ არ არის დაფუძნებული მის კვლავწარმოებაზე. თუ სულიერი სიმდიდრის ზრდა უსაზღვროა, მატერიალური სიმდიდრის ზრდა ზღვარდებულია. ამ უკანასკნელს ადამიანის მოთხოვნილება უდევს საფუძვლად. ეს საზღვარი კვების პროდუქტების ოდენობით — კალორიით, ტანსაცმლის რაოდენობით, საცხოვრებელი ფართის სიდიდით და ა. შ. შემოიფარგლება. სულიერი სიმდიდრე შრომის ნიეთობრივი შედეგია, ადამიანის შემეცნებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის გამოხატულებაა, სულიერი შემოქმედების შედეგია, რომლის ძირითადი შინაარსია სუბიექტის გონებაში ასახული მატერიალური სამყაროს გამოსახულება. სულ სხვაა სტამბური წესით დამზადებული კოპია და რეპროდუქცია. ამ შემთხვევაში სურათი მხატვრის შრომის პროდუქტი კი არ არის, არამედ პოლიგრაფიული საწარმოს მუშაკის შრომის პროდუქტია, რომელსაც აქვს როგორც სახმარი ღირებულება, ისე ღირებულება.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის, ე. ი. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის კვლევამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ცალკე კატეგორიად გამოვეყოთ საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომა, რომელიც ხელს უშლის სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას, აფერხებს საწარმოო ძალების ზრდას და ზარალი მოაქვს საზოგადოებისათვის.\* მაგალითად, თუ პროდუქციამ ვერ პოვა საზოგადოებრივი აღიარება ე. ი. თუ ვერ შეიძინა საზოგადოებრივი სახმარი ღირებულება (არ გასაღდა), ასეთი პროდუქციის წარმოებაზე დახარჯული შრომა უნდა ჩაითვალოს საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომად. პროდუქციამ საზოგადოებრივი აღიარება შეიძლება ვერ პოვოს ორი მიზეზით: ჯერ ერთი, ცუდი ხარისხის გამო და მეორე. იმიტომ, რომ ვერ უპასუხებს თანამედროვე პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და საზოგადოებრივ მოთხოვნათა დონეს. „მაღალ ხარისხის გარეშე, — როგორც სამართლიანად მიუთითა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, — დღეს შეუძლებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. საჭიროა კარდინალური ღონისძიებანი, რომლებიც გამორიცხავენ წუნიანი ნაწარმის, მდარე ხარისხის საკონლის გამოშვებას. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ მატერიალური

\* ეს საკითხი განხილული გვაქვს სტატიაში: მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომის შესახებ. ეკონომისტი, 1975, № 1, გვ. 57.



და ადმინისტრაციული ზემოქმედების მთელი ძალა, ჩვენი კანონები. როგორც ჩანს, საჭიროა პროდუქციის ხარისხის შესახებ, სპეციალური კანონის მიღებაც“.<sup>73</sup>

თუ ერთსა და იმავე ეკონომიკურ და ბუნებრივ პირობებში ერთი საწარმო იძლევა მოგებას, ხოლო მეორე ზარალს, უყაირათო ხარჯვის, მფლანგველობისა და სოციალისტური საკუთრებისადმი დაუდევარი მოპყრობის შედეგად, ასეთ საწარმოს მუშაკთა შრომას ვერ მივაკუთვნებთ ვერც მწარმოებლური და ვერც არამწარმოებლური შრომის კატეგორიას. იგი საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომაა, ვინაიდან ეწინააღმდეგება სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების კანონებს. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცალკეული საწარმოები, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისების პერიოდში არ იძლევიან მოგებას და სარგებლობენ სახელმწიფო დოტაციებითა და კრედიტით. ასეთ საწარმოთა ზარალიანობა დროებითია და შრომა ასეთ საწარმოებში, უეჭველად მწარმოებლურია, ვინაიდან იგი ქმნის ახალ წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობანი გაერთიანებულია არამწარმოებლური შრომის კატეგორიაში, რაც, ჩვენი აზრით, არ არის მართებული.

არამწარმოებლური შრომისა და საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომის ერთ ცნებაში მოქცევას არა აქვს მეცნიერული საფუძველი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ერთობლივი საზოგადოებრივი შრომა შეიძლება დავეოთ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომად და საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომად. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, თავის მხრივ, იყოფა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომად, რომელთა შორის თანაფარდობა მოძრავი და ცვალებადია.

არსებობს ურთიერთკავშირი მატერიალური წარმოებისა და მწარმოებლური შრომის, არამწარმოებითი სფეროსა და არამწარმოებლური შრომის კატეგორიებს შორის, მაგრამ მწარმოებლური შრომის მიჯნე-

<sup>73</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 65.

ბი არ ემთხვევა მატერიალური წარმოების საზღვრებს, ისე როგორც არამწარმოებლური შრომის — არაწარმოებითი სფეროს საზღვრებს. მართალია, მწარმოებლური შრომა უმთავრესად მატერიალური წარმოების სფეროში გამოიყენება, მაგრამ აქ არამწარმოებლური შრომაც არის გამოყენებული, თუმცა მისი ხვედრიწილი მცირეა. მაგალითად, მატერიალური წარმოების სფეროში არამწარმოებლურ შრომას მიეკუთვნება ბულატრის, მოანგარიშის, მოლარის, მეგარდერობის, დარაჯის, დამლაგებლის, კონტროლიორისა და ა. შ. შრომა. იგი აუცილებელია, მაგრამ მატერიალურ წარმოებაში სამუშაო დროის არამწარმოებლური ხარჯვაა. ასევე, პირად დამხმარე მეურნეობა მატერიალური წარმოების სფეროს მიეკუთვნება, ხოლო ამ დარგში დასაქმებული შრომის ის ნაწილი, რომელიც საზოგადოების მასშტაბით არ არის ორგანიზებული, როგორც აღვნიშნეთ, არამწარმოებლური შრომაა. არამწარმოებლური შრომა, მართალია, უმთავრესად არაწარმოებით სფეროში გამოიყენება, მაგრამ მწარმოებლურ შრომასაც აქვს აქ ადგილი; მას შრომითი დანახარჯების მხოლოდ მცირე ნაწილი უჭირავს. მაგალითად, მეცნიერებაში — მანქანების, მოწყობილობების, მასალათა ნიმუშების დამზადება, ჯანმრთელობის დაცვაში — სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატების შექმნა და სხვა. „...ექიმი, რომელიც აბებს გამოწერს, არ არის მწარმოებელი მუშაკი, მეაფთიაქე, რომელიც აბებს დაამზადებს მწარმოებელი მუშაკია. ასევე მწარმოებელი მუშაკია ინსტრუმენტის ოსტატი, რომელიც ვიოლინოს აკეთებს, მაგრამ არა ამ ვიოლინოს დამკერელი“.<sup>74</sup>

ამრიგად, შრომა თავისი ფორმით შეიძლება მწარმოებლური იყოს, მაგრამ არ შედიოდეს მატერიალური წარმოების სფეროში და პირიქით, შეიძლება იყოს არამწარმოებლური და შედიოდეს მატერიალური წარმოების სფეროში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის გაანგარიშებით არაწარმოებით სფეროში მწარმოებლური ფუნქციების წილი შეადგენს 6,5%-ს, ხოლო მატერიალური წარმოების სფეროში არამწარმოებლური ფუნქციების ხვედრიწილი — 25,5%-ს.<sup>75</sup>

74 კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი). ნაწ. 1, გვ. 198.

75 Калугина З., Кутырев Б. Время и социально-экономическое планирование. Вопросы экономики, 1939, № 11, с. 158.

საწარმოო ძალების განვითარებისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამღლებასთან ერთად, თანაფარდობა მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იცვლება. ეს ნიშნავს არამწარმოებლური შრომის ხვედრიწილის გადიდებას არაწარმოებით სფეროში. ეს გარემოება არა თუ ამცირებს, არამედ ხაზს უსვამს მწარმოებლური შრომის მნიშვნელობას. იგი როგორც მატერიალური წარმოების, ისე არაწარმოებითი სფეროს განვითარების საფუძველია.

ამრიგად, არაწარმოებით სფეროში შრომის პროცესი განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროში შრომის პროცესისაგან როგორც ეკონომიკური ბუნებით, ისე მიზანდასახულობით.

არაწარმოებითი სფეროს დარგთა საზოგადოებრივი ფუნქციები და მნიშვნელობა ძალზე განსხვავებულია და ამიტომ ერთ-ერთ მათგანში შრომის პროცესის ანალიზი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ავხსნათ მთლიანად არაწარმოებითი სფეროს მუშაკთა შრომის პროცესის ძირითადი, არსებითი ნიშნები. მიუხედავად ამისა, არაწარმოებითი სფეროს შრომის პროცესის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ მისი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნიშნები და თავისებურებები.

არაწარმოებით სფეროში ფუნქციონირებს პროფესიების ძალზე ფართო წრე. ამიტომ, არაწარმოებითი სფეროს სხვადასხვა დარგები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან შრომის სპეციფიკის მიხედვით. არ შეიძლება შევეუდაროთ, მაგალითად, მეცნიერის, მასწავლებლის, ექიმის, მსახიობის, კომპოზიტორის და ა. შ. შრომა პარიკმახერის, გამყიდველის, ოფიციანტის და ა. შ. შრომას. მეცნიერის, მასწავლებლის, ექიმის, მსახიობის, კომპოზიტორის შრომა მოითხოვს გონებრივი და ნერვული ენერჯიის უდიდეს ხარჯვას. ამ პროფესიებისათვის დამახასიათებელია უპირატესად გონებრივი შრომა, ხოლო პარიკმახერის, გამყიდველის, ოფიციანტის შრომა მოითხოვს გაცილებით მეტ ფიზიკურ დატვირთვას, ვიდრე გონებრივს. მაშასადამე, მათი შრომა ატარებს უპირატესად ფიზიკურ ხასიათს.

არაწარმოებითი სფეროს მუშაკებს ყოველდღიური კონტაქტი აქვთ მოსახლეობის ფართო მასებთან. ეს სპეციფიურობა განსაკუთრებით ხაზს უსვამს შრომის პროცესის ისეთ მხარეებსა და ადამიანთა შორის ურთიერთობის ისეთ ფორმებს, როგორცაა მაღალი

კულტურა, ფართო ერუდიცია, მოკრძალება, ტაქტიანობა და ა. შ. ამასთან, ეს მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება. ამ თვალსაზრისით, ერთნაირი პროფესიის შრომა, რომელიც „გამჭოლია“ სახალხო მეურნეობის ორივე სფეროსათვის, განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროში გამოიყენება იგი. მაგალითისათვის ავიღოთ ტანსაცმლის გამომჭრელის შრომა, რომელიც გამოიყენება როგორც სამკერვალო ფაბრიკაში, ასევე ინდივიდუალური კერვის ატელიეში. პირველ შემთხვევაში გამომჭრელს ძირითადად ევალება სამუშაო დღის განმავლობაში შეასრულოს ერთი ამოცანა — გამოჭრას ქსოვილი და კონვეიერის საშუალებით გადასცეს შემდგომი დამუშავებისათვის. ამისათვის მას არ უხდება მომხმარებელთან შეხვედრა, მათთან საუბარი კერვის ახალ მეთოდებზე, ქსოვილებზე, მოდებზე და ა. შ.

განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება ტანსაცმლის გამომჭრელის შრომა ინდივიდუალური კერვის ატელიეში. სამუშაო დღის განმავლობაში მას მიმართავს ათობით ადამიანი. ამასთან, განსხვავებული ასაკის, ხასიათის, გემოვნებისა და ტემპერამენტის. თითოეული მოითხოვს, რომ მას კარგად მოემსახურონ, რომ მისი შეკვეთა შესრულდეს დროულად და საუკეთესოდ. მომხმარებელთა ეს ბუნებრივი მოთხოვნა, ატელიეს გამომჭრელს დიდ პასუხისმგებლობას ავალებს. ერთი სიტყვით, თანამედროვე მოთხოვნებს რომ პასუხობდეს, ატელიეს გამომჭრელი უნდა იყოს თავის საქმის კარგი მცოდნე, მაღალი კულტურის მქონე, ერუდიტი პიროვნება. ეს მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება არაწარმოებითი სფეროს სხვა პროფესიების მიმართაც.

მიუხედავად რიგი თავისებურებებისა, არაწარმოებით სფეროში შრომის საზოგადოებრივი ხასიათი არანაკლებ ვლინდება, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროში. სოციალიზმის დროს სახალხო მეურნეობის ორივე სფეროში შრომა ატარებს უშუალო საზოგადოებრივ ხასიათს: თითოეული მუშაკი ჩართულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში, როგორც ქვეყნის ერთიანი შრომითი კოლექტივის წევრი და ასრულებს წინასწარ განსაზღვრულ და დაგეგმილ სამუშაოს.

არაწარმოებითი სფეროს მკვეთრად განსხვავებულ დარგთა ერთ სფეროში გაერთიანებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ამ დარგების (გარდა მეცნიერებისა) მუშაკთა შრომის სასარგებლო ეფ-

ექტი გამოდის მომსახურების სახით. მომსახურება შრომის ეკონომიკური ფორმაა. იგი ეკონომიკური კატეგორიაა და გამოხატავს ურთიერთობას შრომის სარგებლიანობის საფუძველზე. მომსახურებას ღირებულება არა აქვს. „შრომა ღირებულების სუბსტანცია და იმანენტური საზომია, მაგრამ თვით მას ღირებულება არა აქვს“.76 მაგრამ იგი განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში ქმნის ღირებულებას. ერთი სახის მომსახურებანი განივთდება საქონელში ანუ მატერიალურ ნივთობრივ დოვლათში, რომელიც გაცვლისათვის არის განკუთვნილი და ამით ზრდის მის ღირებულებას, მეორენი — პირიქით, არ მატერიალიზდება შრომის პროდუქტში, არ ქმნის სუბსტანციას ღირებულების წარმოშობისათვის, მათი შრომის შედეგი სასარგებლო ეფექტია.

„გარკვეული სახის მომსახურებანი, სხვა სიტყვებით სახმარი ღირებულებანი, რომლებიც გარკვეული სახის მოქმედების ან შრომის შედეგს წარმოადგენენ, განსახიერდებიან სხვადასხვა საქონელში, სხვა მომსახურებანი კი, პირიქით, არ ტოვებენ ხელშესახებ შედეგებს, რომლებიც ამ მომსახურებათა შემსრულებელთაგან განცალკევებით არსებობენ; სხვანაირად რომ ვთქვათ, მათი შედეგი არ არის გასაყიდად ვარგისი საქონელი.“77

ეკონომიკურ ლიტერატურაში, შრომის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ მატერიალურ და არამატერიალურ ანუ წმინდა მომსახურებას. მატერიალური მომსახურების დროს შრომა მატერიალიზდება, განივთდება საგანში. ეს მატერიალური მომსახურების მნიშვნელოვანი ეკონომიკური თავისებურებაა და განმასხვავებელი ნიშანია, მაგრამ, იმის მიხედვით, მატერიალური მომსახურება ქმნის თუ არა ღირებულებას, განასხვავებენ I და II სახის მატერიალურ მომსახურებას. მატერიალური მომსახურების I სახე ქმნის ღირებულებას და შესაბამისად იგი მატერიალური წარმოების იმ დარგებს მოიცავს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან წარმოებითი დანიშნულების მომსახურებაში. მატერიალური მომსახურების II სახე არ ქმნის ღირებულებას, მაგრამ ქმნის პროდუქტს ნივთობრივი ფორმით ან

76 კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 675.

77 კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 496.

იწვევს მატერიალურ ცვლილებებს მასში. იგი მოიცავს საბინაო-კომუნალური მეურნეობის რიგ ობიექტებს, საყოფაცხოვრებო მომსახურების იმ საწარმოებს, რომლებიც ასრულებენ მოხმარების საგნების დამზადების, რემონტის, რესტავრაციის, წმენდის, ღებვის, რეცხვის და ა. შ. ფუნქციებს. მატერიალური მომსახურების I სახე ვლინდება მწარმოებლური შრომის ფორმით, ხოლო მატერიალური მომსახურების II სახე — არამწარმოებლური შრომის ფორმით.

ამრიგად, მატერიალური მომსახურება დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის ორივე სფეროსათვის.

არამატერიალური ანუ წმინდა მომსახურება არ ქმნის ნივთობრივ პროდუქტს, მისი ფუნქციონირების ხასიათი არ გულისხმობს შრომის მატერიალიზაციას, იგი არ ქმნის ღირებულებას, არც არავითარ მატერიალურ ცვლილებებს იწვევს შრომის პროდუქტში. არამატერიალური მომსახურება შრომის სასარგებლო ეფექტია, რომელიც მოიხმარება მისი წარმოების მომენტში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არამატერიალური მომსახურება აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას უშუალოდ მიზანშეწონილი საქმიანობის პროცესში. „...მომსახურება, რომელსაც მე მომღერალი მიწევს, აკმაყოფილებს ჩემ ესთეტიკურ მოთხოვნილებას; მაგრამ ის, რითაც მე ვტკბები, არსებობს მხოლოდ თვით მომღერლისაგან განუყრელი მოქმედების სახით, და როგორც კი მისი შრომა, ე. ი. სიმღერა, შეწყდება, შეწყდება აგრეთვე დატკობაც, რასაც მე განვიციდი...“<sup>78</sup>

არამატერიალური მომსახურება არაწარმოებითი სფეროსთვისაა დამახასიათებელი. ის არამწარმოებლური შრომის სოციალურ-ეკონომიკური ფორმაა.

არამწარმოებლური შრომის გამოვლენის ზემოთ აღნიშნული ორი ფორმის შესახებ კ. მარქსი წერდა: „...ერთი მხრივ, ეგრეთწოდებული არამწარმოებლური შრომის ნაწილი საგნობრივდება ამა თუ იმ მატერიალურ სახმარ ღირებულებაში, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ყოფილიყო საქონელი („გასაყიდად ვარგისი საქონელი“), მეორე მხრივ, ნაწილი იმ მომსახურებათა, რომელნიც წმინდა სახით არსებობენ, არ იღებენ საგნობრივ ფორმას, არ იღებენ ნივთის სახით დამოუკიდებელ, თავიანთ შემსრულებელთაგან გამოცალკევებულ მყო-

<sup>78</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალიზმის“ მეოთხე ტომი), ნაწ. 1, გვ. 496.

ფობას და არ შედიან ძირითადი ნაწილის სახით რომელიმე საქონლის ღირებულებაში...“<sup>79</sup>

დანართში მოტანილი სქემა № 1 ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის სტრუქტურაზე, და აქედან გამომდინარე, შრომის ხასიათზე არაწარმოებით სფეროში. ჩვენ შევეცადეთ, მარქსისტულ მოძღვრებაზე დაყრდნობით, მოგვეცა საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებული კონცეფციების კრიტიკული ანალიზი და ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე ჩამოგვეყალიბებინა ჩვენი მოსაზრება. ვფიქრობთ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, ცვლილებანი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური პრობლემების შესწავლას კიდევ უფრო აქტუალურს გახდის.

---

<sup>79</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 173.

## თ ა ვ ი II.

### არაწარმოებათი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციები

#### § 1. არაწარმოებათი სფეროს როლი ურომის საზოგადოებაში დანაწილებაში

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მიმდინარეობს არსებითი სტრუქტურული ძვრები სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში. იზრდება არაწარმოებითი სფეროს როლი, რომელიც განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს ურომის საზოგადოებრივ დანაწილებასა და ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო.

არაწარმოებითი სფერო, როგორც სხვადასხვა და ამავე დროს ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ერთობლიობა, ჩამოყალიბდა შედარებით გვიან, ვიდრე მატერიალური წარმოების სფერო. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგი წარმოიშვა შორეულ წარსულში, ზოგი — თანამედროვე პირობებში და ზოგიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია.

არაწარმოებითი სფეროს ჩამოყალიბების პროცესს თავისი წინა ისტორია აქვს. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე იგი არ იყო გამიჯნული მატერიალური წარმოებისგან და არაწარმოებითი ხასიათის ყველა მოთხოვნილება უშუალოდ კმაყოფილდებოდა მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა მიერ. მხოლოდ საწარმოო ძალების განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე, ზედმეტი პროდუქტის წარმოებასთან ერთად, დაიწყო მატერიალური წარმოებისაგან არაწარმოებითი სფეროს გამოყოფა. კ. მარქსი ამ პროცესს განიხილავს ინდოეთის თემის მაგალითზე. მოსახლეობის ძირითადი მასიდან, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მატერიალური დოვლათის წარმოებით, გამოიყო „...მამასახლისი“, რომელიც ერთსა და იმავე დროს მოსამართლედ არის, პოლიციელიც და გადასახადის ამკრეფიც; ბუღალტერი, რომელიც მიწათმოქმედების ანგარიშს აწარმოებს და კადასტ-



ტრსა და რეგისტრში შეაქვს ყველაფერი ის, რაც ამას შეეხება; მესამე მოხელე, რომელიც ბოროტმოქმედთ სდევნის და მფარველობას უწევს უცხოელ მოგზაურებს და მათ ერთი სოფლიდან მეორემდე შიაცაილებს; მესაზღვრე, რომელიც თემის საზღვრებს დარაჯობს და იცავს მეზობელი თემების ხელყოფისაგან; წყალსატევების მეთვალყურე, რომელიც საერთო აუზიდან წყალს ანაწილებს სამიწათმოქმედო მიზნებისათვის; ბრამინი, რომელიც რელიგიური კულტის ფუნქციებს ასრულებს; მასწავლებელი, რომელიც თემის ბავშვებს ქვიშაზე წერა-კითხვას ასწავლის; კალენდრის ბრამინი, რომელიც, როგორც ასტროლოგი, თესვისა და მკის და საერთოდ ყველა სამიწათმოქმედო სამუშაოს ხელსაყრელ და არახელსაყრელ დროს განსაზღვრავს; მკედელი და ხურო, რომლებიც ამზადებენ და შეაკეთებენ ყველა სამიწათმოქმედო იარაღს; მეთუნე, რომელიც სოფლისთვის ყოველნაირ ჭურჭელს ამზადებს; დალაქი, მრეცხავი, ოქრომკედელი და აქა-იქ პოეტი, რომელიც ზოგიერთ თემში ოქრომკედლის, ზოგიერთში სკოლის მასწავლებლის მაგივრობას ეწევა.<sup>1</sup> ისინი, მიუთითებს კ. მარქსი, მთელი თემის ხარჯზე ცხოვრობდნენ. თემის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს მატერიალური წარმოების სფეროს მუშაკები ქმნიდნენ, რომელთა შრომა მიმართული იყო ბუნების საგნების გარდაქმნისკენ. თემის დანარჩენ წევრთა საქმიანობა წარმოების გარეთ მიმდინარეობდა. ამ პერიოდიდან იწყება მატერიალური წარმოებისაგან არაწარმოებითი სფეროს მკვეთრი გამიჯვნა; კ. მარქსის მიერ „კაპიტალიზმში“ მოტანილი ინდოეთის თემის მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ არაწარმოებითი სფეროს წარმოშობის განმსაზღვრელი ეკონომიკური საფუძველი საწარმოო ძალების განვითარება და ამის საფუძველზე მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდაა. ინდოეთის თემის ის მუშაკები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ მატერიალურ წარმოების სფეროში, ქმნიდნენ პროდუქტის იმ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფდა არა მხოლოდ უშუალო მწარმოებლებს, არამედ არაწარმოებით სფეროში დასაქმებულებსაც. ამ პირობის გარეშე თემის ყველა წევრი იძულებული იქნებოდა ეწარმოებინა მხოლოდ საარსებო საშუალებანი. ამრიგად, ზედმეტი პროდუქტის წარმოქმნამ

<sup>1</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 454—455 (შევიზნავთ, რომ „კაპიტალიზმში“ ქართულ გამოცემაში, ზემოთ მოტანილი ციტატის ბოლო წინადადება თარგმნილია არასწორად, რაც აზრს ბუნდოვნას ხდის, უნდა იყოს: „ოქრომკედელი და, ცალკეულ შემთხვევაში, პოეტი, რომელიც...“).

განაპირობა არაწარმოებითი სფეროს გამოიჭვნა მატერიალური წარმოებისაგან.

დიდი ხნის განმავლობაში არამწარმოებლურ ფუნქციებს უმნიშვნელო ხვედრიწილი ეკავათ ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში და, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში არაწარმოებითი სფერო არ წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის დარგთა ერთობლიობას. არაწარმოებითი სფეროს გამოყოფა მატერიალური წარმოებიდან შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას მოასწავებდა.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით შრომითი საქმიანობები აბსტრაქტულ ცნებებად იქცევა, თუ მათ შორის არ დამყარდა კავშირურთიერთობა. ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ შრომის კონკრეტული, სპეციფიკური სახეების შესრულება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, „...შრომის საზოგადოებრივი დანაწილება წარმოიშვება წარმოების თავდაპირველად განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სფეროებს შორის გაცვლის საშუალებით“.<sup>2</sup>

შრომის საზოგადოებრივმა დანაწილებამ, როგორც საერთო ეკონომიკურმა კანონმა, წარმოებითი ურთიერთობის არსი უნდა გამოხატოს. ეს უკანასკნელი მხოლოდ შრომითი საქმიანობის გაცვლის შედეგად წარმოიქმნება. შრომითი საქმიანობის ურთიერთგაცვლა წარმოშობს ადამიანთა შორის ურთიერთობას, იგი შრომის დანაწილების უშუალო გამოვლენაა. შრომითი საქმიანობის ურთიერთგაცვლა, რის შედეგადაც ცალკეული დარგები ერთმანეთზე დამოკიდებულნი ხდებიან, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების წარმოქმნასა და განვითარებაში. იგი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობის გარდღევალი პირობაა.

ამრიგად, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ნივთობრივი შინაარსი მრავალ კონკრეტულ საქმიანობათა ერთობლიობაა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. სხვადასხვა მწარმოებელთა კონკრეტული შრომის ზარკვის შედეგი საქონლურ და არასაქონლურ ურთიერთობაში უნდა შევიდეს ერთმანეთთან და წარმოშვას წარმოებითი ურთიერთობა. ეს

<sup>2</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 447.

მომენტი აძლევს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას განმსაზღვრელ შინაარსს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც თვისებრივად სხვადასხვაა ამა თუ იმ ეკონომიკურ ეპოქაში. საწარმოო ძალებში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად არსებით ცვლილებებს განიცდის შრომის საზოგადოებრივი დანაწილებაც. იგი, როგორც წარმოებითი ურთიერთობის გარკვეული მხარის ამსახველი პროცესი, იცვლება წარმოებითი ურთიერთობის ცვლილებასთან ერთად.

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ვითარდება საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად. ამასთან, კონკრეტული საქმიანობის რიგი ფორმები სავსების ქრება. ამის პარალელურად წარმოიშობა ახალი დარგები და მოღვაწეობის დამოუკიდებელი სფეროები. იცვლება სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა მნიშვნელობა კვლავწარმოების პროცესსა და ხალხთა კეთილდღეობის ამალგებაში. არაწარმოებითი სფეროს ძირითადი დარგები (მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ხელოვნება, კულტურა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა. შ.) სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროცესში, აღრმავებენ კავშირს მატერიალური წარმოების სფეროსთან.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც წარმოების ეფექტიანობის ამალგებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება ინტენსიურ ფაქტორებს, განსაკუთრებით იზრდება მეცნიერებისა და განათლების როლი. ეს დარგები განსაზღვრავენ საწარმოო ძალების განვითარებას, ტექნიკურ პროგრესს, რომელიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და მისი სრულყოფის საფუძველია.\* ახალი ტექნიკა, კ. მარქსის გამოთქმით, მეცნიერული ცოდნის განვითარებულ ძალად იქცევა. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციას, ახალი დარგებისა და ქვედარგების წარმოშობას, პროდუქციის ახალი სახეებისა და შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების წარმოქმნას, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმების განვითარებას. მეცნიერების განვითარება ხელს

---

\* აღნიშნული დარგების ზემოქმედებას საწარმოო ძალების განვითარებაზე ფართოდ განვიხილავთ მომდევნო პარაგრაფში.

უწყობს არა მხოლოდ წარმოების ინტენსიფიკაციას, არამედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შემდგომ გაღრმავებასაც. როგორც ცნობილია, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენების ტიპური სფეროა წარმოება. მეცნიერული მიღწევები და მეცნიერულ-გამოყენებითი გამოკვლევები პირდაპირ ზემოქმედებენ შრომის იარაღებზე, ცვლიან მათ სტრუქტურას, წარმოების მეთოდებსა და ორგანიზაციას. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მრეწველობის სტრუქტურაში იზრდება ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი დარგების (მანქანათმშენებლობის, ლითონდამუშავების, ელექტროტექნიკური წარმოების, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის, ელექტროენერგეტიკისა და ა. შ.) ხვედრიწილი. ამავე დროს ეს დარგები წარმოების სპეციალიზაციისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განმსაზღვრელსაც წარმოადგენენ. შრომის იარაღების განვითარება მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთობაშია შრომის დანაწილებასთან, შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების წარმოშობასთან. წარმოება სამეცნიერო-საკვლევე სამუშაოების ასპარეზად იქცევა. შრომის დანაწილების შედეგად წარმოშობილი წარმოების ახალი სფეროები, დარგები და ა. შ., თავის მხრივ, არ წარმოადგენენ პასიურ ფენომენს მეცნიერების მიმართ. წარმოება ძირითად მიმართულებას აძლევს მეცნიერებას, მათ შორის ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, კარნახობს მას თავის მოთხოვნებს. განვითარების დღევანდელ ეტაპზე მეცნიერული ცოდნისა და გამოკვლევების წარმოებაში დანერგვა წარმოებისა და კვლავწარმოების ორგანული შემადგენელი ნაწილია და მეცნიერულ ხასიათს ანიჭებს მას. საწარმოების ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების შექმნა ხელს უწყობს როგორც წარმოების განვითარებას, საწარმოო პროცესების დიფერენციაციას და ინტეგრაციას, ასევე თვით მეცნიერების განვითარებასაც. წარმოება თანდათანობით ემყარება მანქანათა სისტემას, იქმნება მართვის ავტომატური სისტემები. წარმოების ახალი იარაღები და ახალი ხელოვნური მასალები აღრმავებენ წარმოების ტექნოლოგიას და აფართოებენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ასპარეზს.

ტექნიკური პროგრესისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილე-

ბის განვითარებასთან ერთად, იზრდება სამუშაო ძალის თვისებრივი შემადგენლობა, მკვეთრად მალღდება მისი საერთო განათლებისა და კვალიფიკაციის დონე. ასეთია არაწარმოებითი სფეროს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე ზემოქმედების დიალექტიკა.

ისმება კითხვა: რა საფუძველზე მყარდება შრომითი საქმიანობის ურთიერთგაცვლა მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის? ეს ურთიერთკავშირი, უპირველეს ყოვლისა, მყარდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და სამუშაო ძალის განაწილების საფუძველზე, საზოგადოებრივი შრომის განაწილების საფუძველზე.

არაწარმოებითი სფეროს დიალექტიკური ურთიერთკავშირი მატერიალური წარმოების სფეროსთან შეიძლება ახსნილ იქნეს მოცემული წარმოების წესისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებათა ანალიზის საფუძველზე. „იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ კავშირი სოციალურ და მატერიალურ წარმოებას შორის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განვიხილოთ თვით ეს მატერიალური წარმოება არა როგორც საყოველთაო კატეგორია, არამედ მის გარკვეულ ისტორიულ ფორმაში... თუ თვით მატერიალური წარმოება მის სპეციფიკურ ისტორიულ ფორმაში არ განიხილება, შეუძლებელია მისი შესაბამისი სულთერი წარმოების დამახასიათებელ თავისებურებათა და ორივეს ურთიერთმოქმედების გაგება“.<sup>3</sup> სახალხო მეურნეობის ორი სფეროს ურთიერთკავშირი დაფუძნებულია, უპირველეს ყოვლისა, შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე. მათი ინტერესების სწორი შეხამება მთელი ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წანამძღვარია. მატერიალური წარმოების სფერო აუცილებელ პირობებს ქმნის არაწარმოებითი სფეროს შემდგომი განვითარებისათვის. სახელდობრ, მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მისი ზრდის ტემპები არაწარმოებითი სფეროს განვითარების დაჩქარების მთავარი მატერიალური საფუძველია, მისი განმსაზღვრელია. რაც უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტი მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყოფაა

<sup>3</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 332.

შესაძლებელი არაწარმოებითი სფეროს დარგთა განვითარებისათვის.\* შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე შეფარდებით მცირდება იმ შრომის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ამა თუ იმ რაოდენობის წარმოებისათვის. ე. ი. მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ამაღლება იწვევს ცოცხალი შრომის ეკონომიას. ცოცხალი შრომის ნაკლები დანახარჯებით მოძრაობაში მოდის განივთებული შრომის მეტი მასა, რომელსაც კ. მარქსმა ობიექტური ეკონომიკური კანონი უწოდა. მაგალითად, საბჭოთა კავშირში XI ხუთწლელში შრომის ნაყოფიერების ამაღლებამ მრეწველობაში უზრუნველყო შრომის ეკონომია 6,5 მლნ. კაცი,† ხოლო საქართველოს სსრ-ში თითქმის 305 ათასი კაცი.‡ ეს პროცესი განაპირობებს ცოცხალი შრომის გამოთავისუფლებას მატერიალური წარმოების არსებული დარგებიდან და მის გადანაწილებას მატერიალური წარმოების ახალ, პროგრესულ დარგებსა და არაწარმოებით სფეროში. ამასთან, ვინაიდან მატერიალური წარმოების სფერო ხასიათდება ექსტენსიური ზრდის შედეგებით ნელი ტემპით, ამიტომ ეს ფაქტორიც ხელს უწყობს არაწარმოებით სფეროს განვითარებასა და მასში დასაქმების სწრაფ ზრდას.

როგორც ცნობილია, შრომის ნაყოფიერების გადიდება არა მხოლოდ ცოცხალი შრომის ეკონომიას იწვევს, არამედ განაპირობებს დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდას, რომელმაც შემდგომ უნდა გაიაროს კვლავწარმოების მომდევნო ფაზები — განაწილება, გაცვლა და მოხმარება. ამიტომ, დამზადებული პროდუქციის მოცულობის გადიდებაც, მის მომხმარებლამდე დაყვანის მიზნით, მოითხოვს არაწარმოებითი სფეროს შესაბამისი დარგების განვითარებას. საერთოდ კი მატერიალური წარმოების განვითარების მაღალი ტემპი, როგორც წესი, საბოლოო ჯამში განსაზღვრავს არაწარმოებითი სფეროს განვითარებას. საზოგადოებას საშუალება

\* თუმცა შევნიშნავთ, რომ არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწილის ზრდას ყოველთვის არ გააჩნია ფუნქციური დამოკიდებულება შრომის ნაყოფიერების გადიდებასთან. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება განუხრელად იზრდება, არაწარმოებითი სფერო კი ასეთივე აღმავლობით არ ხასიათდება. შეიძლება მოხდეს პირიქითაც, შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს მკვეთრად დაბალი ტემპებით, ხოლო არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგი განვითარდეს სწრაფად.

† Народное хозяйство СССР в 1985 г.; Стат. ежегодник. М., 1986, с. 35.

‡ Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г.; Стат. ежегодник. Тбилиси, 1986 г., с. 23.

ეძლევა მეტი რაოდენობით გამოყოს ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორები არაწარმოებითი სფეროსთვის, რაც საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნის.

არაწარმოებითი სფეროს განვითარება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მატერიალური წარმოების ინტენსიურ ზრდასა და მასში შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები მოითხოვენ, ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, არაწარმოებითი სფეროს რიგი დარგების სწრაფ განვითარებას. მათი გაფართოება და განვითარება უშუალოდ მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებაშია მატერიალური წარმოების დარგთა განვითარებასთან. არაწარმოებითი სფერო წარმოადგენს რა მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილის მომხმარებელს, აქტიურ უკუგავლენას ახდენს მატერიალური წარმოების ეფექტიანობაზე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებასა და სრულყოფაზე. მასზე უშუალოდ დამოკიდებულია გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების გადიდება. იგი, როგორც მიუთითებს კ. მარქსი, „ხელს უწყობს შრომის საერთო ნაყოფიერების განვითარებას...“<sup>6</sup> ყოველივე ეს გამოიხატება შემდეგში: პირველი, არაწარმოებითი სფერო ემსახურება რა მატერიალური წარმოების პროდუქტთა განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას, ამით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კვლავწარმოების შეუფერხებელ განვითარებას; მეორე, მეცნიერება, როდესაც მისი გამოკვლევების შედეგები პრაქტიკაში დაინერგება, არსებითად ზემოქმედებს საწარმოო ძალებზე, იწვევს მის თვისებრივ სრულყოფას, აღრმავებს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და მასთან ერთად შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას; მესამე, სახალხო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური უზრუნველყოფა უშუალოდ ზემოქმედებს მთავარი საწარმოო ძალის — მუშაკის ფორმირებაზე, უზრუნველყოფს ერთობლივი სამუშაო ძალის თვისებრივ ზრდას, აუცილებელ წანამძღვრებს ქმნის შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, განაპირობებს სამუშაო ძალის გაფართოებულ კვლავწარმოებას; მეოთხე, საყოფაცხოვ-

<sup>6</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 349.

რებო მომსახურება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება (არაწარმოებით ნაწილში), სამგზავრო ტრანსპორტი და არაწარმოებითი ხასიათის კავშირგაბმულობა უკავშირდება შრომის ეკონომიას, ზრდის მშრომელთა თავისუფალ დროს, ქმნის საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის მატერიალური წარმოების ვუშაკთა კეთილდღეობის ზრდის პირობებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობაზე; მეხუთე, კულტურა, ხელოვნება, ლიტერატურა და არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგები ხელს უწყობენ დასვენების სწორ ორგანიზაციას, საბოლოო ჯამში, განაპირობებენ მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდას, აფართოებენ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ხარჩობას.

არაწარმოებითი სფერო მატერიალურ წარმოებაზე ზემოქმედებს მწართველობის სისტემის მეშვეობითაც. მართალია, სამმართველო პერსონალის შრომა უშუალოდ არ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მაგრამ შეცნირულად დასაბუთებული სამმართველო გადაწყვეტილებანი ხელს უწყობენ წარმოების სრულყოფას, გავლენას ახდენენ მის ეფექტიანობაზე.

არაწარმოებითი სფერო არსებით გავლენას ახდენს წარმოებაში აღდამიანთა შორის ურთიერთობის სრულყოფაზე, წარმოებითი ურთიერთობის მთელ სისტემაზე.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მატერიალური წარმოების განვითარებასთან ერთად იცვლება შოსახლეობის მოთხოვნილებათა სტრუქტურა. სულ უფრო მაღალი ტემპებით ვითარდება მოთხოვნილება როგორც უფასო, ასევე ფასიან მომსახურებაზე. მოთხოვნილებათა ამალლების კანონი ამჟამად გლინდება არა მხოლოდ ახალ მოთხოვნილებათა წარმოქმნაში, მათი მოცულობის გადიდებაში, არამედ მისი სტრუქტურის ცვლილებაშიც, რაც გამოიხატება სულიერ მოთხოვნილებათა ხვედრიწილის სულ უფრო გადიდებასა და სხვადასხვა სახის მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდაში. არაწარმოებითი სფერო ახდენს არა მხოლოდ შექმნილ მოთხოვნილებათა რეალიზაციას, არამედ თვითონაც წარმოქმნის მათ და ამით ახალ ამოცანებს აყენებს საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის საზოგადოებრივი დანაწილების წინაშე.

არაწარმოებითი სფერო მონაწილეობს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის კვლავწარმოებაში არა მხოლოდ არაპირდაპირი



გზით, არამედ უშუალოდაც. არაწარმოებითი სფეროს მუშაკები შედიან წარმოებით ურთიერთობაში მათი ნება-სურვილისაგან, დაძოჟიდიბლად არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის განაწილების, გაცვლასა და მოხმარებასთან დაკავშირებით, არამედ აგრეთვე არამატერიალური დოვლათის წარმოებასთან დაკავშირებით. იგი არის არა მხოლოდ მატერიალური დოვლათის მოხმარების სფერო, არამედ აგრეთვე არამატერიალური წარმოების სფეროც, სადაც ხდება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის, სახალხო მეურნეობის გეგმავლობიერი, პროპორციული განვითარების კანონისა და სხვა ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა განხორციელება.

მატერიალური წარმოების ოპტიმალური ფუნქციონირება, საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარება შეუძლებელია არაწარმოებითი სფეროს აქტიური ზემოქმედების გარეშე. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს მონაწილეობა გაფართოებულ კვლავწარმოებაში კონკრეტულად გამოიხატება მისი წვლილით ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში. ძირითადი ეკონომიკური კანონი ორგანულად უკავშირდება საზოგადოების პირადი მოხმარების ფონდის სიდიდეს, რომელიც წარმოადგენს იმ მატერიალური დოვლათისა და მომსახურების ერთობლიობას, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ საზოგადოების წევრთა პირად მოთხოვნილებებს და ამით უზრუნველყოფენ მათ კეთილდღეობასა და ყოველმხრივ განვითარებას.

არაწარმოებითი სფეროს დარგები სხვადასხვა როლს ასრულებენ პირადი მოხმარების ფონდის გადიდებაში. ზოგიერთი მათგანი (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა) უშუალოდ აკმაყოფილებს მშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა პირად მოთხოვნილებებს, ქმნის ისეთ არამატერიალურ დოვლათს, რომელიც პირდაპირ შედის პირადი მოხმარების ფონდში. ამასთან, ერთდროულად ეს დარგები, უპირველეს ყოვლისა, განათლება და ჯანმრთელობის დაცვა, არაპირდაპირი გზით ახდენენ ზემოქმედებას პირადი მოხმარების ფონდის სიდიდეზე, რამდენადაც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების ზრდას საზოგადოებრივ კვლავწარმოებაში. პირადი მოხმარების ფონდის სიდიდეზე უდიდეს

არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება, მმართველობის ორგანოები და სხვ.

ამრიგად, არაწარმოებით სფეროს არა მხოლოდ არაპირდაპირი, არამედ უშუალო წვლილიც შეაქვს სოციალისტური წარმოების უმაღლესი მიზნის მიღწევის საქმეში. მისი ოპტიმალური განვითარება უშუალოდ უწყობს ხელს სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განხორციელებას.

მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის შრომითი საქმიანობის ურთიერთგაცვლა და ურთიერთკავშირის დამყარება ორგანულად უკავშირდება სახალხო მეურნეობაში საზოგადოებრივი შრომის განაწილების პრობლემებს.

საზოგადოებრივი შრომის განაწილება მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების უმნიშვნელოვანესი ფორმაა. იგი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი პროპორციაა. აქედან გამომდინარე, ამ სფეროებს შორის დასაქმებულთა ოპტიმალური თანაფარდობის საკითხი ერთ-ერთი აქტუალური საკითხია და მას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილი შრომითი რესურსების შეფარდებითი კუთხითი სამუშაო ძალის რაციონალურ განაწილებას სახალხო მეურნეობის დარგებსა და სფეროებს შორის კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

საზოგადოებრივი შრომის განაწილება წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის შეიძლება განხილულ იქნეს პოლიტეკონომიური და სამეურნეო პრაქტიკის ასპექტში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პრობლემის პოლიტეკონომიური ასპექტი შედარებით სუსტადაა დამუშავებული, მაშინ, როდესაც სამუშაო ძალის განაწილება წარმოებითი ურთიერთობის შემადგენელი ელემენტია და მისი განხილვა, მხოლოდ კონკრეტული ეკონომიკის თვალთახედვით. მოვლენაზე სრულ წარმოდგენას არ გვაძლევს. „განაწილება ყველაზე ზერელე გაგებით, — წერს კ. მარქსი, — წარმოგვიდგება პროდუქტების განაწილებად და, ამრიგად, წარმოებისაგან მეტად დაშორებულად და მის მიმართ ვითომდა დამოუკიდებლად. მაგრამ ვიდრე განაწილება პროდუქტთა განაწილება გახდებოდეს, იგი არის: 1) წარმოების იარაღების განაწილება და 2) რაც იმავე ურთიერთობის შემდგომ განსაზღვრას წარმოადგენს — საზოგადოების წევრთა განაწილება წარმოების

სხვადასხვა სახეობის მიხედვით (ინდივიდთა დაქვემდებარება განსაზღვრული წარმოებითი ურთიერთობისადმი)“.<sup>7</sup> კ. მარქსის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი შრომის განაწილება უნდა განვიხილოთ წარმოებით ურთიერთობასთან ორგანულ კავშირში.

ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის განაწილება სახალხო მეურნეობის სფეროებსა და დარგებს შორის რთული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. ამ განაწილების კანონზომიერებანი და სპეციფიკური თავისებურებანი დამოკიდებულია საწარმოო ძალების განვითარების დონესა და წარმოებითი ურთიერთობის ტიპზე. „განაწილების სტრუქტურა მთლიანად წარმოების სტრუქტურით განისაზღვრება“.<sup>8</sup>

წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება შრომის განაწილებას წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის ახორციელებს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების ეკონომიკური კანონისა და სხვა ეკონომიკური კანონების მოქმედების საფუძველზე და მას, კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, დინამიკურ ხასიათს აძლევს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოების განვითარების ინტენსიურ ფაქტორებს. უპირატესი ინტენსიფიკაცია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გენერალური მიმართულებაა. იგი გულისხმობს როგორც ცოცხალი, ისე განივებული შრომის ეკონომიას. XI ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების გადიდებით მიღებული იქნა ეროვნული შემოსავლის მატების თითქმის 90%,<sup>9</sup> ხოლო XII ხუთწლედში გათვალისწინებულია ეროვნული შემოსავლის მატება მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.<sup>10</sup> აქედან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში დასაქმებულთა მაღალი ხვედრიწილი მატერიალური წარმოების სფეროში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, არ შეიძლება მივიჩნიოთ ეკონომიკის განვითარების ოპტიმალურ მაჩვენებლად.

შრომის განაწილების ამოსავალ კრიტერიუმს, როგორც წესი, და-

7 კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. თბილისი, 1953, 33. 275.

8 იქვე, 33. 273.

9 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, 33. 414.

10 იქვე, 33. 428.

ხარჯული შრომის ეფექტიანობა, საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგები წარმოადგენს. უმცირესი დანახარჯებით მაქსიმალური შედეგის მიღწევა წარმოების ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი მოტივია. ამასთან, სოციალისტურ მეურნეობაში წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების განაწილება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სრულყოფას ემსახურება. ღირებულების კანონის მოქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გარკვეულ ორიენტაციას იძლევა საზოგადოებრივი შრომის წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის განაწილებაში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი შრომის განაწილებაში გარკვეული კორექტივი შეაქვს ხელფასის ფონდის რეგულირებასა და ეკონომიკური სტიმულირების ფონდებს. ძნელად ასათვისებელ ან სახელმწიფოსათვის ეკონომიკურად დიდი მნიშვნელობის რაიონებსა და დარგებში ხელფასი მაღალია. შრომითი რესურსები კი, როგორც წესი, სახალხო მეურნეობის იმ დარგებში მიემართება, სადაც მაღალია ხელფასი, უკეთესია შრომის პირობები და კომუნალური მომსახურება, მაღალია მატერიალური წახალისების ფონდის დონე და ა. შ.

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს თან სდევს ახალი დარგების ჩამოყალიბება და ამასთან დაკავშირებით, ახალი პროფესიებისა და სპეციალობების წარმოქმნა როგორც მატერიალური წარმოების, ისე არაწარმოებით სფეროში. ვინაიდან არაწარმოებითი სფერო განსხვავებული ფუნქციონალური დანიშნულების დარგების ერთობლიობაა, ამიტომ განსხვავებულია მასში დასაქმებულთა პროფესიული სტრუქტურაც.

შრომის პროფესიული დანაწილება, როგორც შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ერთ-ერთი სახე, გულისხმობს მუშაკთა სპეციალურ მომზადებას, მათ მიერ აუცილებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებას. „პროფესიის“ ცნება, დარგების მიხედვით, შრომის დანაწილების გამომხატველია, ხოლო „სპეციალობა“ უფრო ვიწრო ცნებაა, ვიდრე „პროფესია“ და განსაზღვრავს ამა თუ იმ პროფესიის მიმართულებას, საქმიანობის სახეს, მაგალითად, პროფესიით ექიმში შეიძლება იყოს სპეციალობით ქირურგი, თერაპევტი და ა. შ. მთელი რიგი პროფესიებისა, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო ნიშნებით, ქმნიან პროფესიულ ჯგუფებს. არაწარმოებით სფეროში ასეთს წარმოადგენენ მეცნიერების, მედიცინის, განათლების, კულტუ-

რის, ხელოვნებისა და ა. შ. მუშაკები, მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის მიხედვით, ამჟამად არაწარმოებით სფეროში 100-ზე მეტი ძირითადი პროფესიაა, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავენ 50-დან 75-მდე დასახელების სპეციალობებს.

თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი შრომის განაწილებაზე საერთოდ, კერძოდ კი წარმოებით და არაწარმოებით სფეროებს შორის უდიდეს ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი. საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იცვლება თანაფარდობა ცოცხალ და განივთებულ შრომას შორის. ვ. ი. ლენინი წერდა „...ტექნიკის პროგრესი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანის შრომა სულ უფრო და უფრო მეტად იხევს უკანა რიგში მანქანათა შრომის წინაშე“.<sup>11</sup> ეს პროცესი იწვევს მატერიალურ წარმოებაში ტექნიკური შედგენილობის ზრდას, რაც სამუშაო ძალის გამოთავისუფლებისა და მის ახალ დარგებსა და არაწარმოებით სფეროში გადანაწილების წანამძღვრებს ქმნის. ამ დებულებას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემები. ასე მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში 1940—1985 წლებში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ზრდის ტემპი (თუ 1940 წელს მივიჩნევთ 100) მთლიანად სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 347%-ს, მრეწველობაში — 291%-ს, მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში კი 1258%-ს, სახალხო განათლებაში — 398%-ს, კულტურაში — 706%-ს, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში — 449%-ს და ა. შ.<sup>12</sup>

საქართველოს სსრ-ში აღნიშნულ პერიოდში შესაბამისი მაჩვენებელი მთლიანად სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 436%-ს, მრეწველობაში — 385%-ს, ხოლო მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში — 1025%-ს, სახალხო განათლებაში — 349%-ს, კულტურაში — 706%-ს, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზკულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში — 512%-ს და ა. შ.<sup>13</sup> ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში არაწარმოებითი სფეროს წამყვან დარგებში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ზრდის ტემპი აღემატება მთლიანად სახალხო მეურნეობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო წლიური რიცხოვნობის ზრდის ტემპს. ამასთან, შევნიშნავთ, რომ

<sup>11</sup> ვ. ი. ლენინი. ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო. თბზ., ტ. 1, გვ. 87.

<sup>12</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 392.

<sup>13</sup> Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 172—173.

არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ტემპით განსაკუთრებით გამოირჩევა მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება, რაც თვით მატერიალური წარმოების განვითარების ობიექტური მოთხოვნებითაა განპირობებული.

მატერიალურ წარმოებასთან შედარებით არაწარმოებით სფეროს უპირატესი განვითარების ტენდენცია სპეციფიკური ფორმებით მოქმედებს ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. სოციალიზმის დროს არაწარმოებითი სფეროს განვითარების კანონზომიერებანი პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. სოციალიზმის პირობებში არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ზვედრიწილის გადიდება მოსახლეობის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებას ემსახურება, ხოლო კაპიტალისტურ ქვეყნებში საწინააღმდეგო სურათს აქვს ადგილი. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში საქონლის რეალიზაციის პრობლემის უკიდურესი გამწვავება წარმოშობს იმ პირთა რიცხოვნობის გადიდების აუცილებლობას, რომლებიც დასაქმებულნი არიან ვაჭრობაში, სარეკლამო საქმეში და ა. შ. გასაკვირი არ არის, რომ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიმჩნევა ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნობის ინტენსიური ზრდა. მაგალითად, აშშ-ში პირველ მსოფლიო ომამდე ვაჭრობაში დასაქმებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 10%. 1929—1933 წლების ეკონომიკური კრიზისის პერიოდში — 13%. ხოლო 50-იან წლებში — თითქმის 20%; მაშასადამე, ყოველი მეხუთე კაცი დასაქმებული იყო ვაჭრობაში.<sup>14</sup> 1985 წლის მონაცემებით აშშ-ს ვაჭრობაში დასაქმებულთა რიცხვი 22%-ს აღწევდა.<sup>15</sup> რეალიზაციის პრობლემის სიმწვავე ზრდის რეკლამისათვის გაწეულ ხარჯებს. 1972 წელს აშშ-ში რეკლამის ხარჯების საერთო ღირებულებამ შეადგინა 23 მლრდ დოლარი.<sup>16</sup> კაპიტალისტურ ქვეყნებში არაწარმოებითი სფერო გაბერთილია. აგრეთვე, საფინანსო და სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მუშაკთა გადიდებით, პირადი მომსახურებით დასაქმებულთა ზრდით და ა. შ. არაწარმოებითი სფეროს ასეთ გაფართოებას განაპირობებს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა. კაპიტალიზმის დროს არაწარმოებითი სფეროს მუშაკთა შრომის მნიშვნელოვანი ნა-

14 Экономическое соревнование двух мировых систем. М., 1957, с. 113.

15 Социалистические страны и страны капитализма в 1985 году. М., 1986, с. 121.

16 Кондратьев Р. Г. Коммерческая реклама монополий. Киев, 1975, с. 62.

წილი არა მხოლოდ ზედმეტია, არამედ დამამძიმებელიც. ურთიერთსა-წინააღმდეგო ინტერესების გამო, — მიუთითებდა ფ. ენგელსი. — სამუშაო ძალის უდიდესი რაოდენობა იხარჯება იმგვარად, რომ საზოგადოება მისგან არავითარ სარგებლობას არ იღებს.<sup>17</sup> ასეთი შრომის აუცილებლობა გამომდინარეობს ბურჟუაზიული საზოგადოების ექსპლოატატორული ბუნებიდან, ბურჟუაზიისა და მშრომელი მასების ეკონომიკური ინტერესების ურთიერთდაპირისპირებიდან. რეალზაციის პრობლემის უკიდურესი გამწვავება, მონოპოლიურად მაღალი მოგებისათვის ბრძოლა, სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ზრდა, ფინანსური ოლიგარქიის უფლებამოსილება, კაპიტალისტთა კლასის წმინდა პარაზიტული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პოლიტიკური შპიონაჟი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის პროპაგანდა შთანთქავს იმ შრომის სულ უფრო მეტ ნაწილს, რომელსაც საზოგადოებისათვის სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ აუცილებელია თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში.

არაწარმოებითი სფეროს სტრუქტურული თანაფარდობა და ამ თანაფარდობის ცვლილება უშუალოდ უკავშირდება კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობას. მაგალითად. 1985 წელს, აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის მხოლოდ 3,1% დაიხარჯა განათლებასა და კადრების მომზადებაზე, 10,5% — ჯანმრთელობის დაცვაზე, მაშინ როდესაც სამხედრო ხარჯებმა 26,7% შეადგინა.<sup>18</sup>

არაწარმოებითი სფეროს განვითარებაში პროგრესული ძვრები მრავალმხრივ ცვლილებებს იწვევს დასაქმების სტრუქტურაში: იცვლება მისი დარგობრივი, პროფესიული და სქესობრივ-საკობრივი შემადგენლობა. თუ 40-იან წლებში სამუშაო ძალის უდიდესი ნაწილი დასაქმებული იყო მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, შემდეგი ტენდენცია იყო კლების, სახელდობრ, 1980 წლამდე დასაქმებულთა რიცხოვნობა მრეწველობასა და მშენებლობაში შეფარდებით მცირდებოდა, ხოლო XI ხუთწლედში დასაქმების ხვედრიწილი მრეწველობაში ხასიათდება სტაბილურობით. მშენებლობაში კი — ზრდის ტენდენციით. საწინააღმდეგო სურათს აქვს ადგილი სოფლის მეურნეობაში. ამჟამად დასაქმებულთა რიცხოვნობა სოფლის მეურ-

17 Энгельс Ф. Эльберфельдские речи. Маркс К., Энгельс Ф., Соч., 2-е изд., т. 2, с. 535.

18 Экономическое положение капиталистических и развивающихся стран, М., 1986, с. 106.

ნეობაში არა მხოლოდ შეფარდებით, არამედ აბსოლუტურადაც ეცე-  
მა. მატერიალურ წარმოებაში ასეთმა ძვრებმა უშუალო გავლენა მო-  
ახდინა არაწარმოებითი სფეროს დასაქმების სტრუქტურაზე. მაგალი-  
თად, X ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში დასაქმებულთა ერთობლივ  
მატებაში მხოლოდ 46,6% მოდიოდა მატერიალურ წარმოებაზე, ხო-  
ლო არაწარმოებით სფეროზე — 53,4%, XI ხუთწლედში კი პირიქით,  
მატერიალურ წარმოებაზე მოდის 66,6%, ხოლო არაწარმოებით სფე-  
როზე — 33,4%,<sup>19</sup> ე. ი. დასაქმებულთა მატების უმეტესი ნაწილი მო-  
დის მატერიალურ წარმოებაზე, რაც ჩვენი აზრით, განვითარების დღე-  
ვანდელ ეტაპზე უნდა მივიჩნიოთ კანონზომიერ ტენდენციად.

არაწარმოებითი სფერო არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებ-  
რივ წარმოებაში დასაქმების დონეზე. ერთი მხრივ, არაწარმოებითი  
სფერო თვით წარმოადგენს შრომითი დანახარჯების დაბანდების სფე-  
როს და თავის განვითარებით ქმნის დამატებით წანამძღვრებს ახალი  
სამუშაო ძალის მიზიდვისა, ხოლო მეორე მხრივ, მისი განვითარებით  
ფართოვდება შესაძლებლობები საზოგადოებრივ წარმოებაში მოსახ-  
ლეობის აქტიური მონაწილეობისათვის, ვინაიდან მცირდება დატვირ-  
თვა საოჯახო მეურნეობაში, იქმნება ოპტიმალური პირობები დასვენ-  
ებისათვის, ენერჯის აღდგენისათვის, მუშაკთა კულტურულ-ტექნი-  
კური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის და ა. შ.

არაწარმოებით სფეროში დასაქმების ზრდა იწვევს პროფესიული  
სტრუქტურის დიდ ცვლილებებს. ფართოვდება უმაღლესი და საშუა-  
ლო სპეციალური განათლების მქონე პირთა კონტინგენტი, იზრდება  
მუშათა კვალიფიციური კადრები, აბსოლუტურად და შეფარდებით  
მცირდება მძიმე, არაკვალიფიციური შრომით დასაქმებულთა მასა, რო-  
მელიც უმთავრესად გავრცელებულია მრეწველობაში, მშენებლობასა  
და სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, თუ 1941 წელს, უმაღლესი  
და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რი-  
ცხოვნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 909 ათას  
კაცს. 1985 წელს შეადგინა 14484.9 ათასი კაცი, ე. ი. გაიზარდა 15,9-  
ჯერ<sup>20</sup>. მუშათა კვალიფიციური კადრები 1985 წელს, 1941 წელთან

<sup>19</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.  
<sup>20</sup> Народно хозяйство СССР в 1985 г., с. 401.



შედარებით, გაიზარდა 439 ათასიდან 2576 ათას კაცამდე, ე. რ. 5,8-ჯერ<sup>21</sup>.

არაწარმოებითი სფეროს განვითარება იწვევს მასში კვალიფიციური კადრების კონცენტრაციას. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები სულ უფრო მეტად თავმოყრილია განათლებასა და კულტურაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში, მმართველობის ორგანოებში (იხ. დანართში მოცემული ცხრილი № 1). ამასთან, არაწარმოებით სფეროში იზრდება კვალიფიციური ტექნიკური კადრების (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის) და ყველა სახის კვალიფიკაციის მუშების დასაქმება. მათი მეშვეობით არაწარმოებით სფეროში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ელექტრონულ-გამომთვლელი, სხვადასხვა სახის სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო და ა. შ. მოწყობილობანი და დანადგარები.

არაწარმოებით სფეროში ფართოდ გამოიყენება ისეთი შრომაც, რომელიც არ მოითხოვს მუშაობის დიდ გამოცდილებას და ჩვევებს, სტაჟს, პრაქტიკულად შესწავლის შემდეგ ხელმისაწვდომია ყველა შრომისუნარიანი ადამიანისათვის, ამასთან, ფიზიკურად არ არის მძიმე. ასეთი სახის შრომა ფართოდაა წარმოდგენილი საცალო ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, ნაწილობრივ ჯანმრთელობის დაცვაში და ა. შ. არაწარმოებით სფეროში ასეთი სახის შრომის გამოყენების გაფართოება განსაზღვრავს მის დემოგრაფიულ თავისებურებებს. უფრო მაღალია ქალთა შრომითი რესურსების გამოყენება მასში, ვიდრე მატერიალური წარმოების სფეროში. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს განვითარება იწვევს ქალთა შრომითი რესურსების გამოყენებაზე დიდ მოთხოვნას და ამალღებს მათ წილს მუშაკთა საერთო რიცხოვნობაში. სახელდობრ, თუ 1940 წელს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა საშუალო წლიური რიცხოვნობა შეადგენდა 390/0-ს, 1985 წელს შეადგინა 51% და შესაბამისად გაიზარდა 13190 ათასიდან 60011 ათასამდე (საქართველოს სსრ-ში კი გაიზარდა 350/0-დან 460/0-მდე და ნაცვლად 171 ათასისა, შეადგინა 1003 ათასი კაცი). ამასთან, დასაქმებულ ქალთა მაღალი ხვედრიწილით გამოირჩევა ვაჭრობა და საზოგადოებრივი

21 Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 405.

ყველა (83%). ჯანმრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სოციალური უზრუნველყოფა (82%), სახალხო განათლება (75%). კულტურა (74%)<sup>22</sup>.

არაწარმოებითი სფეროს ზრდა გავლენას ახდენს შრომის როგორც სქესობრივ, ისე ასაკობრივ სტრუქტურაზე. იზრდება შრომითი აქტივობა როგორც ახალგაზრდობაში, ისე ხანდაზმულთა შორის. მათი შრომა გამოყენებას პოულობს ისეთ დარგებში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, საცალო ვაჭრობა. საყოფაცხოვრებო მომსახურება, ნაწილობრივ მეცნიერება და ა. შ.

ამრიგად, არაწარმოებითი სფერო, განსაკუთრებით კი მისი ზოგიერთი დარგი, უშუალოდ ზემოქმედებს საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაზე, რეგულაციურ ცვლილებებს იწვევს წარმოების იარაღების განვითარებასა და ტექნოლოგიურ პროცესებში, აღრმავებს და აფართოებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ჩარჩოებსა და შინაარსს.

#### § 2. არაწარმოებითი სფეროს გავლენა საწარმოო ძალის განვითარებასა და სრულყოფაზე

„სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში“ დასახულია „...თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა. კარდინალურად დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უზრუნველვყოთ სწრაფი წინსვლა ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული მიმართულებით. შევექმნათ საწარმოო პოტენციალი, რომელიც თავისი მასშტაბით საბჭოთა ხელისუფლების მთელ წინა წლებში დაგროვილი პოტენციალის ტოლი იქნება“<sup>23</sup>.

საწარმოო ძალების განვითარებასა და თვისებრივ ცვლილებებზე ამა თუ იმ ზომით გავლენას ახდენს არაწარმოებითი სფეროს ყველა დარგი, ამასთან, ამ ზემოქმედების მიმართულება მრავალმხრივია. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაღრმავებაში, სახალხო მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლე-

<sup>22</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 394—395.

<sup>23</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, 83-41<sup>0</sup>.

ობის დასაქმების დონის ზრდაში. შრომითი რესურსების სულ უფრო რაციონალურ გამოყენებაში, საერთო-საგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზით სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფაში, თავისუფალი დროის მოცულობის გადიდებასა და მისი სტრუქტურის რაციონალიზაციაში და ა. შ. მათზე გავლენას ახდენს ფაქტორების მთელი კომპლექსი, ამასთან, არაწარმოებით სფეროს ამ სისტემაში უკავია განსაკუთრებული ადგილი. მაგალითად, წარმოების მუშაკის ჩამოყალიბების პროცესი სცილდება სამუშაო დღის საზღვრებს, მოითხოვს კვალიფიკაციის ამაღლებას, შემოქმედებითი უნარის განვითარებას, აქტიურ და მრავალმხრივ დასვენებას. აქედან გამომდინარე, განუზომლად იზრდება თავისუფალი დროის საწარმოო დანიშნულება, რომლის სიდიდესა და სტრუქტურაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს არაწარმოებითი სფერო. თავისუფალი დრო. შენიშნავს კ. მარქსი. საზოგადოებრივი სიმდიდრის საზომია<sup>24</sup>. მისი რაციონალური გამოყენება საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების კრიტერიუმია.

საწარმოო ძალების განვითარებასა და წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენს არაწარმოებითი სფეროს ის დარგები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ წარმოების პიროვნული და ნივთობრივი ფაქტორების ფორმირებაზე. მათ მიეკუთვნება: მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური კულტურა და სპორტი, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ. ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ არაწარმოებითი სფეროს ამ ძირითად და პროგრესულ დარგთა კონკრეტული ზემოქმედების მიმართულებანი და შედეგები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია. თავისი როლისა და მნიშვნელობის მიხედვით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მეცნიერებას, რომელიც თანამედროვე პირობებში სულ უფრო არსებით გავლენას ახდენს საწარმოო ძალების განვითარებასა და სრულყოფაზე, გადაიქცევა უშუალო საწარმოო ძალად.

მეცნიერება, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის სპეციფიკური დარგი, „ინტელექტუალური წარმოებაა“<sup>25</sup>. მას განმარტავენ, როგორც დაგროვილი ცოდნის სისტემას. წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით კი, იგი არა მხოლოდ დაგროვილი ცოდნის სისტემაა, არამედ

<sup>24</sup> Маркс К. Экономическое развитие России 1857—1859 годов (Полное члельный вариант «Капитал»). ч. II. Маркс К. Энгельс Ф. Соч., 2 е. изд., т. 46 ч. II, с. 217.

<sup>25</sup> კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. III, ნაწ. I, თბილისი. 1959, გვ. 103.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში ის კონკრეტული რგოლია, რომლის დანიშნულებაც ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესწავლა და ახსნა. მეცნიერება თეორიული აზროვნების უმაღლესი ფორმაა, რომელიც მოწოდებულია აქტიური ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივი შემეცნების ფორმებზე. განათლებისაგან განსხვავებით, რომლის ფუნქციაა ცოდნის შექმნა და მისი გავრცელება. მეცნიერება ემსახურება ახალი ცოდნის კვლავწარმოებასა და მეცნიერული იდეების პრაქტიკაში განხორციელებას.

დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერების როლი განისაზღვრებოდა დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების კონცენტრაციით. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის პირობებში მეცნიერება არ შემოიფარგლებოდა დაგროვილი ცოდნის სისტემატიზაციით; სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ მეცნიერების მიღწევათა სახალხო-სამეურნეო პრაქტიკაში დანერგვას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა. ამჟამად კი აუცილებელია მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების გამოყენება ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნისათვის; მაგრამ ბუნების კანონების გამოყენება საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად. ბუნების საგნების გარდაქმნის მიზნით და ბუნების კანონების შეცნობა ერთი და იგივე არაა. პირველია მატერიალური წარმოება, ხოლო მეორე — სულიერი სფერო. მხოლოდ მეცნიერული აღმოჩენის წარმოებაში დანერგვით იწყება ბუნების საგნების დამორჩილება და გარდაქმნა. ამიტომ „ერთობლივი მუშის — საზოგადოებრივად კომბინირებული მუშის“<sup>26</sup> შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მხოლოდ ის მუშაკები. რომლებიც მეცნიერული კვლევის შედეგებს უშუალოდ იყენებენ მატერიალურ წარმოებაში.

მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად ახალი ეტაპია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში. იგი, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად ამოკლებს მეცნიერულ აღმოჩენასა და წარმოებაში მის დანერგვას შორის დროს (მაგალითად, თუ ფოტოაპარატის გამოგონებიდან მის წარმოებაში დანერგვამდე გავიდა 100 წელი, ხოლო ელექტროძრავის დანერგვამდე — 60 წელი, რადიოლოკატორის დანერგვას დასჭირდა 15 წელი, ატომური რეაქტორისას — 10 წელი და ტრანზისტორისას — 5 წელი)<sup>27</sup>; მეორე მხრივ, აღნიშნული პროცესი იწვევს საწარმოო ძალების ყველა ელემენტის თვისებრივ ცვლილებებს — მიღ-

<sup>26</sup> ვ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 103.

<sup>27</sup> Поспелов Г. Главные факторы управления. Наука и жизнь, 1970, № 6, с. 56.

წეული მეცნიერული ცოდნის წარმოების საშუალებებში განიხილებას, ენერჯის ახალი სახეების აღმოჩენას, ახალი მასალების შექმნას, საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის — მშრომელთა მიერ ცოდნის ათვისებასა და დაგროვებას, მის გამოყენებას წარმოების პროცესში; მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევა აძლიერებს წარმოების პროცესის ინტენსიფიკაციას. იგი განაპირობებს შრომის ხასიათისა და შინაარსის შეცვლას, მასში შემოქმედებითი ელემენტების როლის გადიდებას, ასევე, საზოგადოებრივი წარმოებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სრულყოფას.

ამრიგად, მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევა გავლენას ახდენს წარმოების როგორც ნივთობრივ, ისე პიროვნულ ფაქტორებზე. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, სამრეწველო რევოლუციის პერიოდთან შედარებით, მკვეთრად ზრდის ადამიანის როლს წარმოებაში. წარმოების ავტომატიზაცია გონებრივ შრომას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. სამუშაო ძალის თვისებრივი კვლავწარმოება, მისი უნივერსალური განვითარება საწარმოო ძალების განვითარების პირობა ხდება. ამრიგად, მეცნიერება, როგორც „საყოველთაო საზოგადოებრივი ცოდნა“<sup>28</sup> გადაიქცევა უშუალო საწარმოო ძალად არა მხოლოდ წარმოების საშუალებებზე მისი ზემოქმედების, არამედ მშრომელთა ცოდნით შეიარაღების საფუძველზედაც.

მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად როდი ნიშნავს მის გადაქცევას საწარმოო ძალების დამოუკიდებელ ელემენტად. მეცნიერული გამოკვლევის პროცესი როგორც ტექნიკურად, ისე ეკონომიკურად მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. იდეები და თეორიები თავისთავად კი არ წარმოადგენს უშუალო საწარმოო ძალას, არამედ წარმოებაში მათი გამოყენება და დანერგვა შესაბამის თვისებრივ ცვლილებებს იწვევს საწარმოო ძალების ელემენტებში. საწარმოო ძალების განვითარება ქმნის შესაძლებლობას „...წარმოების პროცესი მეცნიერების ტექნოლოგიურ გამოყენებად გადაიქცეს“<sup>29</sup>, რაც ახალი, მაღალი საფეხურია მატერიალური წარმოების განვითარებაში. ამასთან, მეცნიერება,

<sup>28</sup> Маркс К. Экономические рукописи 1857—1859 годов. (Первоначальный вариант «Капитала»). ч. II. Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 46, ч. II, с. 215.

<sup>29</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 786.

როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის აპეციფიკური სფერო, ახალი ცოდნის „მოპოვების“ პროცესი, არ კარგავს თავის დამოუკიდებლობას, როგორც არაწარმოებითი სფეროს დარგი.

მეცნიერება მოწოდებულია გადაწყვიტოს რთული ამოცანები: იზოვოს ნედლეულის ახალი წყაროები, ენერგეტიკული რესურსები. იგი ღრმად იჭრება წარმოების სფეროში. რუტინული საქმიანობა, მოვლენათა ემპირიული აღწერა და ზედაპირული დაკვირვება ადგილს უთმობს მეცნიერულ კვლევას, ფუნდამენტური და გამოყენებითი ცოდნის დანერგვას წარმოებაში.

„მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების“ სისტემაში წამყვანი რგოლია მეცნიერება. იგი რევოლუციურ გავლენას ახდენს ტექნიკასა და წარმოებაზე. ეს პროცესი მიმდინარეობს მეცნიერების უპირატესი განვითარების გზით, მეცნიერული იდეების წარმოშობიდან მისი წარმოებაში დანერგვამდე არსებული პერიოდის მნიშვნელოვანი შემცირებით. მეცნიერებას პრინციპული ხასიათის ცვლილებები შეაქვს მანქანის ყველა რგოლის სისტემაში, გადააქცევს მას ავტომატად. მაგრამ ავტომატიზაცია თვითმიზანი როდია. იგი შრომის ნაყოფიერების ზრდის და საზოგადოებრივი პროგრესის მძლავრი საშუალებაა. მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთკავშირის განმტკიცების ერთ-ერთი გამოხატულებაა მეცნიერების ახალი დარგის — მეცნიერების ეკონომიკის ჩამოყალიბება.

სოციალიზმის სრულყოფის პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება და ზალხთა კეთილდღეობის ამაღლება ორგანულად უკავშირდება მეცნიერების წარმოებასთან კავშირის განმტკიცებას. მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია თანამედროვე ეპოქის მტკიცე მოთხოვნაა. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა: „ძირეული ამოცანაა განვამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, შევქმნათ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ინტეგრაციის ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველვყოთ მეცნიერული იდეების შეუფერხებელი და სწრაფი მსვლელობა ჩასახვიდან ფართო პრაქტიკულ გამოყენებამდე“<sup>30</sup>.

მარქსიზმის კლასიკოსებმა წინასწარ განჭვრიტეს მეცნიერების წარმოებასთან კავშირის გარდუვალობა. საზოგადოების მატერიალური

<sup>30</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 434—435.

დოკლათის შექმნა, — მიუთითებდა კ. მარქსი. — დაძოვრებული იქნება მეცნიერების საერთო დონეზე და ტექნიკის პროგრესზე, ან ან მეცნიერების წარმოებაში გამოყენებაზე<sup>31</sup>. მეცნიერებისა და წარმოების ეს ურთიერთდამოკიდებულება განსაკუთრებით გაძლიერდა სოციალურ-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში. მეცნიერება გადაიქცა წარმოების მამოძრავებელ ძალად. ამასთან. მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაცია კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობისაგან დამოუკიდებელი იზოლირებული მოვლენა როდია. მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ხასიათს წარმოებითი ურთიერთობის ტიპი განსაზღვრავს, განსხვავებით კაპიტალიზმისაგან, სადაც მეცნიერული კვლევის მიღწევებს იყენებენ კლასობრივი ჩაგვრის საშუალებად, სოციალიზმ-გააა-ქანს აძლევს მეცნიერებისა და წარმოების ყოველმხრივ განვითარებას და უმორჩილებს მათ მთელი საზოგადოების ინტერესებს. „სოციალიზმის ეკონომიკური სისტემა საშუალებას იძლევა გეგმზომიერად დაეუფლოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაძლებლობებს. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სადაც მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი მიღწევები, საბოლოო ანგარიშით, სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავებას იწვევს, სოციალისტური სახელმწიფოს ხელში ეს საზოგადოებრივი განვითარების მძლავრი გარდამქმნელი ძალაა. აქ სოციალიზმს აქვს ისტორიული უპირატესობა და იგი სრულად უნდა გამოვიყენოთ“<sup>32</sup>.

მეცნიერება წარმოების ყველა მხარის განუსაზღვრელი სრულყოფის, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური და ორგანიზაციული სტრუქტურის რადიკალური გარდაქმნის ფართო შესაძლებლობებს ქმნის. მეცნიერების ყველა დარგში ახალი აღმოჩენები და სახალხო მეურნეობაში მათი დაჩქარებული დანერგვა ღრმა ცვლილებებს იწვევს წარმოების ტექნიკურ-ტექნოლოგიურ პროცესში, შრომის ორგანიზაციის ფორმებსა და წარმოების მართვაში, განუწყვეტლივ ზრდის უშუალო მწარმოებლის ინტელექტუალურ დონეს. მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე წარმოიშვება ახალი დარგები და შრომის ახალი სფეროები, რაც უზრუნველყოფს მატერიალური წარმოების ინტენსიური გზით განვითარებას, საწარმოო ძალების ყველა ელემენტის თვისებ-

<sup>31</sup> Маркс К. Экономические рукописи 1857-1859 годов (первоначальный вариант «Капитала»), ч. II, Маркс К., Энгельс Ф., Соч., 2-е изд., т. 46, ч. II, с. 213.

<sup>32</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 371—372.

რივ გარდაქმნას. შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერების განვითარების დონე და მისი წარმოებაში გამოყენების ხარისხი კ. მარქსმა შრომის ნაყოფიერების ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორთა რიცხვს მი-  
 აკუთვნა. „...შრომის მწარმოებლური ძალის განვითარება წარმოების  
 ერთ დარგში... რომელიც თავის მხრივ შეიძლება დამოკიდებული იყ-  
 ოს წარმატებებზე ინტელექტუალური წარმოების სფეროში, განსა-  
 კუთრებით ბუნებისმეცნიერებისა და მისი გამოყენების სფეროში,  
 გვევლინება ღირებულების... შემცირების პირობად მრეწველობის სხვა  
 დარგებში...“<sup>33</sup> საბჭოთა მეცნიერების გაანგარიშებით ჩვენს ქვეყანაში  
 სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მიიღწევა შრომის ნა-  
 ყოფიერების ზრდის 3/4 და პროდუქციის თვითღირებულების შემცი-  
 რების დაახლოებით ნახევარი. უკანასკნელ 30 წელიწადში მეცნიერე-  
 ბამ მოგვცა გაცილებით მეტი პრაქტიკული შედეგი. ვიდრე მთელ წი-  
 ნა პერიოდში. აკად. ვ. ა. ტრაპეზნიკოვის გაანგარიშებით, კაპიტალუ-  
 რი დახანდებანი მეცნიერებაში 3.5-ჯერ უფრო ეფექტურია, ვიდრე  
 სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ეს გარემოება განსაზღვრავს  
 მეცნიერების განვითარებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. სკკპ  
 XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ აუცილებელია „მნიშვნელოვნად  
 გავზარდოთ მეცნიერებისა და ტექნიკის როლი საწარმოო ძალების  
 თვისებრივ გარდაქმნაში, ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის რელსებზე  
 ეკონომიკის გადაყვანაში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის  
 ამაღლებაში“<sup>34</sup>. პარტიის მიერ დასახული ყოველმხრივი ინტენსიფი-  
 კაციის კურსი ეყრდნობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქა-  
 რებულ განვითარებას. „ავამოქმედოთ მეცნიერება და ტექნიკა —  
 დღეს ეს ნიშნავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას მი-  
 სი პრიორიტეტული მიმართულებით, ყოველივე მოწინავეს სწრაფი და  
 მასშტაბური ათვისების უზრუნველყოფას, საწარმოო ძალების თვი-  
 სებრივ გარდაქმნას“<sup>35</sup>. თანამედროვე ეტაპზე მუშაკთა სულ უფრო  
 მეტი რაოდენობა გადადის ავტომატიზირებულ ხაზებზე მუშაობიდან  
 გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებაზე პროგრამული მართვის  
 ქარხნებში, სადაც გამოშვებული პროდუქციის ყოველი ახალი ნიმუში  
 განსხვავდება წინანდელისაგან.

<sup>33</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 103.

<sup>34</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 432.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 365.



სოციალიზმის სრულყოფის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მეცნიერული იდეების ოპტიმალური მატერიალიზაციის მიღწევა, ე. ი. ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოკლე დროში მეცნიერული იდეების წარმოებაში განვითარებას და მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას. საწარმოო ძალების განვითარების საფუძველზე იგი გულისხმობს ახალი ტიპის წარმოების იარაღების შექმნას, ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობის შემცირებას, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოებას.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ძალზე გაიზარდა ფუნდამენტურ თეორიულ გამოკვლევათა როლი. სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა: „მეცნიერული პრიორიტეტული მნიშვნელობა ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების გასვლას თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე. გავაძლიეროთ ტექნიკური მიმართულება აკადემიის ინსტიტუტების მუშაობაში. გავააქტიუროთ დარგობრივი და რესპუბლიკური აკადემიების საქმიანობა“<sup>36</sup>. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბევრი მეცნიერული იდეა ახალ პერსპექტივებს უსახავს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას, ძირფესვიანად გარდაქმნის ტექნიკას და ტექნოლოგიას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ არც თუ იშვიათად, ამ ინსტიტუტების კვლევის შედეგები ნელა ინერგება წარმოებაში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებულ სესიაზე აკად. ა. პ. ალექსანდროვმა მოიტანა ასეთი მაგალითი: ფოლადის გამოდნობის უწყვეტი პროცესის ტექნოლოგია პირველად შემუშავებული იქნა ჩვენს ქვეყანაში. ამ გამოგონების ლიცენზია იყიდეს საზღვარგარეთის ფირმებმა. ისინი ამ მეთოდით ფოლადის 60%-ს ადნობენ, ჩვენთან კი ისე ნელა ინერგება ეს მეთოდი, რომ ჯერჯერობით მხოლოდ 10%-ს ვაძნობთ<sup>37</sup>. ამის ძირითადი მიზეზია დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არასაკმაო კავშირი წარმოებასთან: მათ შორის მჭიდრო კავშირი ზრდის მეცნიერული შრომის ეფექტიანობას. კომპლექსური პრობლემების შემუშავებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ერთ მთავარ მიმართულებაზე მომუშავე მეცნიერული ძალების

<sup>36</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 435.

<sup>37</sup> Наука и актуальные проблемы развития народного хозяйства. Сессия общего собрания АН СССР 13—14 декабря 1979 г., М., 1980, с. 10.

კონცენტრაციას. სკვპ XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა: „ახალ ხუთწლედში გადაჭრით უნდა გარდაეჭმნათ დარგობრივი მეცნიერება და მაქსიმალურად დავუახლოვოთ იგი წარმოებას, განვამტკიცოთ მატერიალური და განსაკუთრებით — საცდელ-საექსპერიმენტო ბაზები, აღვჭურვოთ ისინი თანამედროვე ხელსაწყოებითა და სამეცნიერო მოწყობილობით, დარგობრივი მეცნიერება მოვალეა იტვირთოს მთელი პასუხისმგებლობა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური დონისათვის. სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი მისი საქმიანობის შეფასებაში“<sup>38</sup>.

განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქვეყნის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების ინტერესები მოითხოვს ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას შორის კავშირის გაღრმავებას. ასეთი კავშირის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფორმაა სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროები, სადაც იქმნება და მოწმდება ახალი კონსტრუქციები, მიმდინარეობს საცდელი პარტიების შექმნის პროცესი. აქვე დგინდება ტექნიკური რეგლამენტები, ტარდება შემოწმებები. საწარმოს ეს საინჟინრო სამსახურები წარმოებას გადასცემს მზა ნიმუშებს სერიული გამოშვებისათვის. ყოველივე ეს დროის დიდ ეკონომიას იძლევა და საბოლოო ჯამში მკვეთრად ამცირებს ციკლის ხანგრძლივობას ფუნდამენტური გამოკვლევიდან სერიულ წარმოებაამდე.

თანამედროვე პირობებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში წამყვანი როლი ენიჭება მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ისეთ ორგანიზაციულ ფორმებს, როგორცაა კომპლექსური ინსტიტუტები, საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, ახალი ტექნიკის დაწესებულების სპეციალიზებული გაერთიანებები, უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა შემადგენლობაში, გარდა სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფებისა, შედის საკონსტრუქტორო და საცდელ-ექსპერიმენტული ორგანიზაციები. მეცნიერების წარმოებასთან კავშირის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა შემოქმედებითი საზოგადოებრივი ორგანიზაციები (სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება და სხვ.).

კომპლექსური ინსტიტუტები მეცნიერების წარმოებასთან კავში-

<sup>38</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 369.

რის განმტკიცების ისეთი ეფექტიანი ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა სწრაფ დანერგვას წარმოებაში. მათ შემადგენლობაში შედიან ტექნოლოგიური გაერთიანების პრინციპის დაცვით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროები, ტექნოლოგიური ქვეგანყოფილები და საცდელი საწარმოები. კომპლექსური ინსტიტუტები წარმოადგენენ დარგობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრებს. ისინი ასრულებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას, ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ სამუშაოთა კოორდინაციას. მათი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ისეთ საკვლევადიებო სამუშაოთა შესრულება, რომელიც პრინციპულად ახალი სახის ნაწარმის. მასალა-მოწყობილობათა და ტექნოლოგიური პროცესების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. კომპლექსური ინსტიტუტების ძირითად ამოცანას შეადგენს შექმნან ახალი ტექნიკის მაღალეფექტიანი ნიმუშები და ექსპერიმენტული შემოწმების შემდეგ საწარმოებს გადასცენ მასიური წარმოებისათვის. ამასთან ხელი შეუწყონ მათ წარმოებით ათვისებას. კომპლექსური ინსტიტუტების მოვალეობათა წრეში შედის ნაწარმზე პერსპექტიული მოთხოვნის შესწავლა და განსაზღვრა, აგრეთვე წარმოებასა და მოხმარებაზე ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების შესახებ წინადადებების შემუშავება. კომპლექსური ინსტიტუტები ფლობენ თანამედროვე ტიპის ექსპერიმენტულ ბაზებს, შესწევთ უნარი თავი მოუყარონ და შექმნან მეცნიერთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შემოქმედებითი ბრიგადები, რათა წარმატებით გადაწყვიტონ სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები და მიზნობრივი პროგრამები. ახალი ტექნიკის შექმნის ციკლის ყველა რგოლის ინტეგრაცია საცდელი ნიმუშების შექმნისა და მათი წარმოებაში დანერგვის პერიოდის საგრძნობლად შემცირების საშუალებას იძლევა. „გამოკვლევა-წარმოების“ პროცესში გამოირიცხება მთელი რიგი შრომატევადი სამუშაოები. საბოლოო ჯამში ეს იწვევს არა მხოლოდ დროის ეკონომიას, არამედ ახალი ტექნიკის მორალური ცვეთის თავიდან აცილებასაც.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან ამოცანათა გადაჭრაში დიდი ადგილი უჭირავს უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებას, რომელიც ფლობს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო კადრებს და მსხვილ ლაბორატორიულ ბაზას. რიგი უმაღლესი სასწავლებლები აერთიანებენ „გამოკვლევა-წარმოების“ ციკლის ისეთ მნიშვნელოვან

რგოლებს, როგორცაა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები, პრობლემური და დარგობრივი ლაბორატორიები, გამოთვლითი ცენტრები, საცდელ-ექსპერიმენტული სექტორები. ეს არის მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ახალი ორგანიზაციული ფორმა, რომელსაც ფართო გაქანება მიეცა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში. სკკპ XXVII ყრილობაზე სავესებით კანონზომიერად აღინიშნა, რომ საჭიროა „...მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს უმაღლესი სკოლის მეცნიერული პოტენციალის გამოყენება, არსებითად გაფართოვდეს მიმდინარე მეცნიერული კვლევისა და მუშაობის მოცულობა, მივალწიოთ მათი სახალხო-სამეურნეო უკუგების მკვეთრ გადიდება“<sup>39</sup>. უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების წარმოებასთან კავშირის განმტკიცება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული კვლევის ეფექტიანობაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში არ ექცევა სათანადო ყურადღება სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მათთვის დამახასიათებელია ჩატარებული სამუშაოს დაბალი ხარისხი, მეორეხარისხოვან პრობლემებზე მუშაობა; მნიშვნელოვან სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებზე ძალების კონცენტრაცია მიმდინარეობს ძალზე ნელა; არარაციონალურად იხარჯება სახელმწიფო სახსრები, მეცნიერ მუშაკთა დრო. უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო გამოკვლევათა დაგეგმვის პრაქტიკა არ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სამეცნიერო საბჭოებზე თემატიკის განხილვა და დამტკიცება პრაქტიკულად არ აუმაჯობებს მდგომარეობას. საკვლევ თემებს თვით კათედრები და ლაბორატორიები თავიანთი შესაძლებლობის გათვალისწინებით ადგენენ. ამის შედეგად მიმდინარეობს თემატიკის დაქუცმაცება, წარმოიქმნება გაუმართლებელი დუბლირება, ძალებისა და სახსრების დაქსაქსვა, ირღვევა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აქტუალური პრობლემების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომის პრინციპი.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის მოთხოვნების ცენტრალიზებული წესით შესწავლის საფუძველზე, შედგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თემატიკა და მნიშვნელოვან სამეცნიერო პრობლემების მიხედვით, განაწილებულ იქნეს შესაბამის კათედრებზე.

<sup>39</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, 23-436.

უმალღეს სასწავლებლებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული უნდა იყოს დარგობრივი სამინისტროები, რომლებიც მოწოდებულნი არიან თავიანთ დარგში უზრუნველყონ შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვა და დაჩქარება. გამოკვლევათა შედეგების ნელა დანერგვის, ზოგჯერ კი მათი საერთოდ არდანერგვის ერთ-ერთი არსებითი მიზეზი ის არის, რომ უმალღესი სასწავლებლების უმრავლესობას სუსტი საცდელ-წარმოებითი ბაზის გამო, არ შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველმხრივ შემოწმებული ნიმუშები, დასრულებული სამუშაოები მზა კონსტრუქციების სახით. სავსებით გასაგებია, რომ თითოეულ უმალღეს სასწავლებელს არ შეუძლია ცალკე შექმნას საკონსტრუქტორო ბიურო და საცდელი წარმოება, მაგრამ ეკონომიკურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაფართოვდეს უმალღეს სასწავლებელთა ექსპერიმენტული ბაზა უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში საცდელი სამჭროების შექმნის ხარჯზე.

შემოქმედებითი თანამშრომლობა უმალღესი სასწავლებლების მეცნიერებსა და წარმოების მუშაკებს შორის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნაა, რაც დიდ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში და რასაც ითვალისწინებს უმალღესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები.

საწარმოო გაერთიანებების ერთიან ორგანიზაციულ სისტემაში საწარმოო, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო, სამონტაჟო და სხვა ქვედანაყოფების კონცენტრაცია კოლოსალურ შესაძლებლობებს ხსნის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. ისინი, ჯერ ერთი, უზრუნველყოფენ მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების შეერთებას, მათ საფუძველზე ინტეგრირებული სისტემის შექმნას; მეორე, ხელს უწყობენ ციკლის „გამოკვლევა-წარმოების“ ხანგრძლივობის შემცირებას, რის შედეგადაც მეცნიერების პროდუქტი მატერიალური წარმოების პროდუქტად გარდაიქმნება; მესამე, ხელს უწყობენ მეცნიერული გამოკვლევების ოპტიმალურ ორგანიზაციას და არსებული მეცნიერული პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას; მეოთხე, უზრუნველყოფენ აუცილებელ მატერიალურ, ფინანსურ და შრომითი რესურსების კონცენტრაციას; მეხუთე, უზრუნველყოფენ კადრების რაციონალურ გამოყენებას, მათ კვალიფიკაციის ამაღლებას; მეექვსე, აფართოებენ და აჩქარებენ წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას; მეშვიდე, ხელს უწყობენ გამოშვებული პროდუქ-

ციის ტექნიკური დონის ამაღლებას; მერვე, ქმნიან პირობებს წარმოების პროცესის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისთვის, წარმოების მოდერნიზაციისთვის; მეცხრე, ხელს უწყობენ ახალი ტექნოლოგიის დანერგვასა და ტექნოლოგიური დოკუმენტაციის მოცულობის მკვეთრ შემცირებას, აგრეთვე, წარმოების ტექნიკური მომზადების დროის შემცირებას; მეათე, ხელსაყრელ პირობებს ქმნიან წარმოებითი ფონდების უკეთ გამოყენებისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებლობა, წარმოების უპირატესი ინტენსიფიკაცია მოითხოვს საწარმოო გაერთიანებებში არსებული დამაკავშირებელი რგოლების ადგილისა და როლის განსაზღვრას. პრაქტიკაში ადგილი აქვს ზოგჯერ ისეთ შემთხვევებს, როდესაც საწარმოო გაერთიანებისადმი დაქვემდებარებული ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მოკლებულია შესაძლებლობებს აწარმოოს სერიოზული გამოკვლევები, ვინაიდან საწარმოო გაერთიანება ავალებს მას შეასრულოს ცალკეული მიმდინარე დავალებები, მეორეხარისხოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და საწარმოო გაერთიანებების სისტემაში შემაჯავალი სხვა დამაკავშირებელი რგოლები (საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციები) პასუხისმგებლები უნდა იყვნენ გამოშვებული პროდუქციის ტექნიკური დონის, მისი ხარისხის, გამძლეობისა და საიმედოობის გამო.

თანამედროვე პირობებში ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებებს. ისინი წარმოადგენენ ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსებს და ობიექტურად არიან მომზადებული მსხვილი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ მსხვილ კომპლექსებში დიდი როდენობითაა თავმოყრილი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები და საცდელ-ექსპერიმენტული ქარხნები.

საწარმოო გაერთიანებათა შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს ეკონომიკის მართვის სრულყოფას, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა რაციონალურ გამოყენებას საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ჩქარი ტემპით მატულობს მეცნიერულ აღმოჩენათა მოცულობა. რთულდება მათი დამუშავება და რეალიზაცია, რომელთა გადაწყვეტა არ ძალუძს სა-

წარმოო გაერთიანებებს. მათ უმრავლესობას ამისათვის არა აქვს შესაბამისი მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა და არ შეუძლიათ ახალი ტექნიკა დანერგონ მოკლე ვადებში. ახალი ტექნიკის დანერგვის სპეციალიზებულ გაერთიანებათა ქსელის შექმნისა და განვითარების აუცილებლობის საკითხი ახალი არ არის. მიუხედავად ამისა ჩვენს ქვეყანაში ასეთ მოქმედ კომპლექსთა რაოდენობა არცთუ ისე ბევრია. ამასთან უმრავლესობა მცირე ზომისაა. ამის შედეგად სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა რეალიზაცია კიანურდება. მნიშვნელოვანი ნაწილი მათ შორის მორალურად ცვდება. ჩვენს ქვეყანაში მოქმედ გაერთიანებებს, რომლებიც დაკავებულნი არიან ახალი ტექნიკის დანერგვით, მათი ფუნქციებისა და საქმიანობის ხასიათის მიხედვით, ყოფენ შემდეგ 5 ჯგუფად: 1) მთლიანად სპეციალიზებული ახალი ტექნიკის დანერგვაზე; 2) ნაწილობრივ სპეციალიზებული (შერეული), რომლებიც, გარდა ახალი ტექნიკის დანერგვისა, დაკავებულნი არიან სარემონტო და სამშენებლო სამუშაოებით; 3) საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი გაერთიანებები; 4) გაერთიანებები, რომლებიც ასრულებენ შუამავალ ორგანიზატორის როლს სამეცნიერო-ტექნიკურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის; 5) დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები. მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ამ ფორმას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკკპ XXVII ყრილობამ: „უქანასკნელ ხანს წამყვან სამეცნიერო ორგანიზაციათა გამოცდილების საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში იქმნება დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები. ისინი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთავარ მიმართულებებზე იმყოფებიან და წარმოებასთან მეცნიერების შეერთების ახალ, ეფექტიან ფორმას წარმოადგენენ“<sup>40</sup>.

ახალი ტექნიკის დანერგვის სპეციალიზებული გაერთიანებები უნდა პასუხობდნენ შემდეგ მოთხოვნებს: ა) ახალი ტექნიკის დანერგვა გამომდინარე სახალხო მეურნეობის მოთხოვნებიდან, როგორც კომპლექსის მიზნობრივი ფუნქცია; ბ) სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებათა დაყვანა კონკრეტულ ობიექტებამდე წარმოების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით; გ) ახალ ტექნიკაზე წარმოების მოთხოვნის შესწავლა და მათი დაკმაყოფილების რაციონალური გზების გამოძებნა; დ) მაქსიმალური დახმარების გაწევა, როგორც

<sup>40</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 370.

სამეცნიერო პროდუქციის შექმნისა და მის სერიულ წარმოებადღე დაყვანის პროცესში, ასევე ახალი ტექნიკის ათვისების დროს.

ახალი ტექნიკის დანერგვის სპეციალიზებულ გაერთიანებებს დიდი როლი ენიჭებათ დარგში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარების საქმეში. მათ შეუძლიათ შეისწავლონ საწარმოს მოთხოვნა ახალ ტექნიკაზე და აქტიური ზეგავლენა მოახდინონ უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის შედგენაზე. ამით ისინი ასრულებენ შუამავლის როლს მეცნიერებასა და წარმოებას შორის და ხელს უწყობენ მათ შორის მჭიდრო კავშირთა დამყარებას.

სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემათა კომპლექსურ გადაწყვეტას ემსახურება სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. მათ შემადგენლობაში შედის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ორგანიზაციები, სერიული და საცდელი საწარმოები და სხვ. ეს გაერთიანებები კომპლექსურად წყვეტენ სამეცნიერო-ტექნიკურ ამოცანებს წმინდა მეცნიერული კვლევიდან წარმოებაში მის დანერგვამდე. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების წამყვან ერთეულს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შეადგენენ.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური, სისტემური მართვის თვისებრივად ახალი ფორმაა. მისი ქვედანაყოფების სტრუქტურული შემადგენლობა განისაზღვრება იმ კონკრეტული ამოცანებით, რომელიც დასმულია მოცემული გაერთიანების წინაშე და გამონატავს შესაბამისი დარგის სპეციფიკასა და თავისებურებებს. როგორც წესი, ყველა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებისათვის აუცილებელია მხოლოდ ორი ქვედანაყოფის — დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სერიული წარმოების არსებობა, დანარჩენი ქვედანაყოფები შეიძლება შედიოდეს, ან არ შედიოდეს მოცემულ გაერთიანებაში. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების სტრუქტურაში სერიული წარმოების არსებობა განასხვავებს მას კომპლექსური ინსტიტუტისაგან.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები შექმნილია და ფუნქციონირებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ასეთი კომპლექსები შექმნილია მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ და კვების მრეწველობაში და სხვ. დარგებში. უკანასკნელ პერიოდში ისინი ჩამოყალიბდნენ სოფლის მეურნეობაშიც. ამჟამად მრეწველობაში გამოყოფენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა სამ ძირითად ტიპს: 1) სპე-



ციალიზებული უპირატესად ახალი სახის პროდუქციის შექმნაზე; 2) სპეციალიზებული მართვის ავტომატიზირებული სისტემის დამუშავებაზე. წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა შექმნაზე; 3) სპეციალიზებული ახალი ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტებისა და ათვისების დამუშავებაზე.

ისეთი ინტეგრირებული კომპლექსი, როგორცაა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, მეცნიერების წარმოებასთან კავშირის თვისებრივად ახალი ორგანიზაციული ფორმაა. მასში გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პროცესი; ვიდრე სხვა კომპლექსებში. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში ხელსაყრელი პირობები იქმნება ერთიანი კომპლექსის ფარგლებში, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უწყვეტი განვითარებისათვის.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა ძირითადი ამოცანებია: 1) ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის დაჩქარების უზრუნველყოფა; 2) სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერების უახლეს მიღწევათა დონეზე ტექნოლოგიური პროცესების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, მართვის ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა, მათი ექსპერიმენტული შემოწმება; 3) ნაწარმის პირველი სამრეწველო პარტიის გამოშვება; 4) უნიკალური სახის მოწყობილობათა სამრეწველო გამოშვება; 5) სამეცნიერო-ტექნიკური პროგნოზების, გეგმებისა და პროგრამების შემუშავება; 6) კადრების მომზადების უზრუნველყოფა; 7) საწარმოო სიმძლავრეებისა და შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენება და სხვ.

ასეთია თანამედროვე პირობებში მეცნიერების წარმოებასთან შეერთების ორგანიზაციული ფორმები. ამ ფორმების შემდგომი განვითარება ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და მის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას.

მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ამოცანები დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს უსაბავს სახალხო განათლების სისტემას. სამეცნიერო-წარმოებითი კავშირების განმტკიცება, რომელიც ძირფესვიანად უცვლის სახეს წარმოების ნივთობრივ ფაქტორებს, ცვლის თვით მუშაკთა შრომის ხასიათს, ართულებს მათ როლს წარმოებაში. არ შეიძლება საწარმოო ძალების ერთ ელემენტში — წარ-

მოების იარაღებში განხორციელდეს ტექნიკური გადატრიალება და მისი ნეორე ელემენტი — სამუშაო ძალა, მისი კვალიფიკაციის დონე არ მოითხოვდეს შესაბამის ცვლილებებს. ერთის მხრივ, ადამიანის ფაქტორის აქტივიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება მოითხოვს თვისებრივ ძვრებს საბჭოთა ადამიანის განათლებასა და კულტურაში. იმისათვის, რომ პასუხობდეს წარმოების გაზრდილ მოთხოვნებს, სამუშაო ძალა უნდა ფლობდეს შრომისადმი თვისებრივად ახალ უნარს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა სახის საერთო-საგანმანათლებლო და სპეციალურ ცოდნაში, კვალიფიკაციის დონეში, საერთო კულტურაში, მათი ინტერესების მრავალმხრივობაში. „ადამიანის საერთო ბუნების ისე გარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გაწაფულობა შრომის განსაზღვრულ დარგში, გადაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ სამუშაო ძალად, საჭიროა გარკვეული სწავლა ანუ აღზრდა...“<sup>41</sup>

განათლება იწვევს სამუშაო ძალის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდას. ე. კომაროვი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ განათლების პროდუქტს წარმოადგენს ადამიანთა ცოდნა, რომელიც უშუალოდ შედის სამუშაო ძალის პოტენციალში. აძლევს მას თვისებრივად ახალ შინაარსს, ამალღებს სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების ეფექტიანობას<sup>42</sup>.

არსებული გამოკვლევები ამტკიცებს უშუალო დამოკიდებულებას მუშაკთა საერთო-საგანმანათლებლო მომზადების დონესა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის. მაგალითად, IV თანრიგის ზეინკალ-ინსტრუმენტალისტთა გამომუშავების ნორმის შესრულება თანაბარი მუშაობის სტაჟის პირობებში იძლევა შემდეგ სურათს: რვაწლიანი განათლების მქონე მუშები, იმ მუშებთან შედარებით, რომლებსაც აქვთ დამთავრებული 5 კლასი, გამომუშავების ნორმას აჭარბებენ 35%-ით, ხოლო საშუალო განათლების მქონე მუშები, რვაკლასდამთავრებულბთან შედარებით, გამომუშავების ნორმას აჭარბებენ 25%-ით<sup>43</sup>. ჩელიაბინსკის პედაგოგიური ინსტიტუტის სოციოლოგიის ლაბორატორიის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მუშათა საერთო განათლების ზრდა ერთი კლასით (სასკოლო) იწვევს

<sup>41</sup> ე. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 220.

<sup>42</sup> Комаров В. К. Экономические проблемы подготовки и использования кадров специалистов. М., 1972, с. 105.

<sup>43</sup> Факторы экономического развития СССР. М., 1970, с. 116.

შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მანქანათმშენებლობაში — 1.5—2.2%-ით, ზევ მეტალურგიაში — 0.4—0.7%-ით. მსუბუქ მრეწველობაში — 1,5—2,2%-ით<sup>44</sup>.

საგანმანათლებლო დონის ზრდა ხელს უწყობს მუშაკთა ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლებას. რაც უფრო მაღალია მუშაკის საერთო განათლება, მით უფრო ნაკლები დრო სჭირდება მას შემდგომი თანრიგის მიღებისათვის. მაგალითად, ვ. ი. ლენინის სახელობის მსპი სოციალურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ლაბორატორიის მონაცემებით. იმისათვის, რომ ზეინკალ-ინსტრუმენტალისტმა ერთი საფეხურიც აიმაღლოს თავისი სატარიფო თანრიგი 5—6 კლასის განათლების მქონეს სჭირდება ხუთი წელი, 7 კლასისას — სამ წელზე მეტი, 8—9 წლისას — ორიდან სამ წლამდე, დამთავრებულ საშუალო განათლების მქონესთვის საკმარისია ერთიდან ერთნახევარ წლამდე<sup>45</sup>.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაღრმავებას არსებითი ცვლილებები შეაქვს „განათლება-წარმოების“ განვითარებაში, გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს საშუალო ძალის როგორც საერთო, ისე სპეციალურ მომზადებას. თანამედროვე მუშაკმა ორგანულად უნდა შეუხამოს მაღალი პროფესიული დახელოვნება ღრმა თეორიულ და სპეციალურ ცოდნას.

უკანასკნელი პერიოდი ხასიათდება კვალიფიციურ მუშებზე მოთხოვნის სულ უფრო მყარი ზრდით. ამასთან დაკავშირებით მაღლდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთა მნიშვნელობა. თანამედროვე პირობებში დიდი პრაქტიკული გამოყენება პოვა საერთო-საშუალო და პროფესიული განათლების შეთანაწყობამ, სწავლების ამ ფორმის ეფექტიანობამ. მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების ეს პერსპექტიული მიმართულება არა მხოლოდ პასუხობს წარმოების მოთხოვნებს, არამედ ამასთან ერთად, ხელს უწყობს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაჭრას. როგორცაა: ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაცია, შრომითი მოწყობა, კადრების ეფექტიანი გამოყენება და ა. შ. პროფესიული ორიენტაცია დიდ გავლენას ახდენს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდა მუშაკის მიერ არჩეული პროფესია შეესაბა-

<sup>44</sup> Левин А. И. Научно-технический прогресс и личное потребление. М., 1979, с. 125.

<sup>45</sup> Факторы экономического развития СССР, с. 116.

მებოდეს მის ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს, მისწრაფებებს, გრძნობდეს საკუთარი შრომის აუცილებლობას. ამ საკითხის რაციონალური გადაჭრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიული ორიენტაციის ცენტრის შექმნას.

განათლება არსებით გავლენას ახდენს წარმოების პროცესის ისეთ მხარეებზე. როგორცაა ტექნიკურ საშუალებათა უკეთ გამოყენება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის სწრაფად ათვისება, ნედლეულისა და მასალების ეკონომია, პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ტექნიკური პროგრესი აჩქარებს მოწყობილობათა მორალურ ცვეთას და მის განახლებას. მუშაკის მთელი შრომითი საქმიანობის განმავლობაში არაერთხელ მოხდება მთელი წარმოებითი აპარატის შეცვლა ახლით, ამასთან უფრო რთული მოწყობილობებით; ამიტომ, ბუნებრივია, ასეთ პირობებში განათლების მნიშვნელობის ზრდა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი აძლიერებს შრომის ცვალებადობის კანონის მოქმედებას, მოითხოვს მუშაკთა მრავალმხრივ მომზადებას. „...მსხვილი მრეწველობის ბუნება განაპირობებს შრომის ცვალებადობას, ფუნქციების დენადობას, მუშის ყოველმხრივ ნობილობას“<sup>46</sup>. ძველი პროფესიების კვდომისა და ახალი პროფესიების წარმოშობის პირობებში მუშაკს უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ ჩქარა შეიძინოს ახალი ცოდნა, თავისუფლად შეძლოს ახალი სპეციალობის ათვისება, რაც პირველ რიგში, გულისხმობს მის მაღალ საერთო საგანმანათლებლო მომზადებას, ცოდნის განსაზღვრული პოტენციალის არსებობას. დღეს ცოდნა „ძველდება“ ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ეს იყო წინათ. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს განათლების პერმანენტულობის პრობლემა. სპეციალისტების განაგარიშებით, 10—20%-ით ხდება ყოველწლიურად ცოდნის განახლება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ<sup>47</sup>. ამჟამად ცოდნა ორკეცდება ყოველ 7—10 წელიწადში, ხოლო თანამედროვე ტექნიკის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების მიხედვით, როგორცაა ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა — ყოველ 3 წელიწადში. ცოდნის დაძველების საშუალო წლიური ნორმა შეადგენს დაახლოებით 5%-ს<sup>48</sup>.

<sup>46</sup> კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 615.

<sup>47</sup> Вопросы планирования высшего образования. М., 1972. с. 13.

<sup>48</sup> Саркисян Г. Стратегия ускорения и благосостояния народа. Вопросы экономики, 1987, № 1, с. 20.

ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებანი და სტრუქტურული ძვრები იძლევა იმის ორიენტაციას, რომ საშუალო და უმაღლესი განათლება, რომლებსაც ადამიანის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი დრო უჭირავთ, უნდა განვითარდნენ არა მხოლოდ წარმოების დღევანდელი დღის მოთხოვნით, არამედ მისი პერსპექტიული განვითარების მოთხოვნებითაც. ამიტომ ობიექტურია წარმოების ტექნიკური ბაზის განვითარების ტემპთან შედარებით განათლების წინგამსწრები ტემპით განვითარება, ვინაიდან თვისებრივი ცვლილებები წარმოების ნივთობრივ ფაქტორებში ამჟამად მიმდინარეობს არნახული სიჩქარით, ეს არა თუ ეწინააღმდეგება წარმოების იარაღების განვითარების დონისა და ხასიათისადმი სამუშაო ძალის განვითარების შესაბამისობის კანონის მოქმედებას, არამედ ამ მოთხოვნის რეალიზაციის ძირითადი პირობაა. ზოგიერთი პროგნოზის მიხედვით, 2000 წლისათვის შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაქმებული იქნება ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც სრულებითაც არ არის ამჟამად ცნობილი. ამასთან, თუკი წინათ ტექნიკური პროგრესი განაპირობებდა შრომითი პროცესების დაყოფას უმარტივეს ოპერაციებად და ვიწრო პროფილის პროფესიებად, ამჟამად, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გავლენით ვიწრო სპეციალიზირებული პროფესიები თანდათან მცირდება, რთულდება მუშაკის შრომითი ფუნქციები და წარმოიშვება თვისებრივად ახალი ფორმა პროფესიული სპეციალიზაციისა — ფართო პროფილის პროფესიები. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია განაპირობებს იმ მუშაკთა რიცხვის გადიდებას, რომლებიც ფლობენ მონიჯნავე პროფესიებს. ფართო პროფილის მუშაკებზე მოთხოვნა კი გულისხმობს მათ მიერ თეორიული, ტექნიკური და პრაქტიკული ცოდნის დაუფლების აუცილებლობას. პროფესიული სპეციალიზაციის საზღვრების გაფართოება იწვევს გონებრივი შრომის წილის არსებით ზრდას და შესაბამისად ფიზიკური შრომის ფუნქციების მნიშვნელოვან შემცირებას.

სკკპ XXVII ყრილობამ წამოაყენა ამოცანა უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ. მისი გადაჭრა შესაძლებელია განათლების ყველა რგოლის რადიკალური გარდაქმნით. იგი მოიცავს ბავშვთა სკოლამდელ აღზრდას, საერთო-საგანმანათლებლო სკოლას, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას, კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

არაწარმოებითი სფეროს აქტიური ზეგავლენა საწარმოო ძალების

განვითარებასა და სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფაზე ვლინდება, აგრეთვე, მისი ერთ-ერთი წამყვანი დარგის — ჯანმრთელობის დაცვის მეშვეობით. ჯანმრთელობის დაცვის სოციალისტური სისტემა ხელს უწყობს რა სამუშაო ძალის კვლავწარმოებას. რაც თავის გამოხატულებას, პოულობს შრომისუნარიანობის ვადების გადიდებასა და შრომითი პოტენციალის ზრდაში. ამით ამრავლებს ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ექიმის შრომა უნდა მივაკუთვნოთ საქმიანობის იმ სფეროს, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში, მაგრამ ქმნის აუცილებელ წანამძღვრებს მისი ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირებისათვის, რომ ექიმის შრომა აუცილებელი და სასარგებლოა „...რამდენადაც იგი ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, ე. ი. ინახავს ყველა ღირებულების წყაროს — თვით სამუშაო ძალას...“<sup>49</sup>

შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება, ტექნიკის უსაფრთხოების უახლეს საშუალებათა დანერგვა, ყველა სახის სამკურნალო-პროფილაქტიკურ საშუალებათა გამოყენება ხელს უწყობს დაავადებათა რაოდენობისა და ავადმყოფობის ხანგრძლივობის შემცირებას, წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის გადაუდებელ ამოცანას. ამჟამად მსოფლიოში პროფესიულ დაავადებათა დონე ყველაზე დაბალია სსრ კავშირში. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობაში ბოლო წლების მანძილზე პნევმოკონიოზით დაავადება 5—6-ჯერ შემცირდა. ეს მაშინ, როდესაც მეტწილ კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ მძიმე პროფესიულ დაავადებასთან ბრძოლა უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში კვლავწარმოების ხასიათის ცვლილებასთან ერთად, იზრდება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ეკონომიკური როლი. მუშაკთა მომზადების ვადების გადიდება და გაძვირება მოითხოვს ხანგრძლივი პერიოდით მათ მონაწილეობას შრომით საქმიანობაში. ამასთან, თანამედროვე წარმოების დაჩქარებული რიტმი ზრდის ნერვულ დაძაბულობას, იწვევს ორგანიზმისათვის მთელ რიგ არასასურველ შედეგებს, რაც მოითხოვს მუშაკთა ჯანმრთელობის სისტემატურ კონტროლს და დაცვას. ამჟამად

<sup>49</sup> კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 174.

ავადმყოფობის გამო კვალიფიციური სამუშაო ძალის გაპოთიშვა წარმოებიდან იწვევს დიდ ზარალს. ვიდრე იწვევდა წინათ. ჯანგარეშებულა, რომ ეკონომიკური დანაკარგები. რომელიც გამოწვეულია სააღსრულო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის დროებითი შრომ-სუუნარობით, ჩვენს ქვეყანაში შეადგენს დაახლოებით ეროვნული შემოსავლის 4 %-ს, ამასთან, მხედველობაში არ არის მიღებული მათ მკურნალობაზე გაწეული ხარჯები<sup>50</sup>. ამიტომ ავადმყოფობასთან დაკავშირებული სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

სამედიცინო მომსახურებაზე ასიგნებათა გადიდება. განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც „...შეიძლება მიეკუთვნოს სამუშაო ძალის რემონტის ხარჯებს“<sup>51</sup>, უზრუნველყოფს სამუშაო დროის დანაკარგების მუდმივ შემცირებას. ამასთან, სამედიცინო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გაუმჯობესების მიზნით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქარხნო ჯანდაცვის ორგანიზაციას, რაც ითვალისწინებს საწარმოებთან მსხვილი სამედიცინო-სანიტარული ნაწილის შექმნას. ეს ფართო შესაძლებლობებს ქმნის აუცილებელ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ოპერატიული გატარებისათვის, საწარმოს მთელ კოლექტივის ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივი და ყოველწინივი კონტროლისათვის, პროფესიულ დაავადებათა წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, სამედიცინო მომსახურების ასეთ ფორმას აქვს უდავო უპირატესობა და ეკონომიკურად მიზანშეწონილია.

დიდია ჯანმრთელობის დაცვის როლი პოტენციური სამუშაო ძალის ფორმირებასა და შენარჩუნებაში. სამედიცინო პერსონალის მუდმივი კონტროლი ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი და დაცვისადმი, ამცირებს ბავშვთა ავადმყოფობებს, რომელსაც აგრეთვე, უშუალო კავშირი აქვს წარმოებასთან. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საწარმოში მომუშავე ქალთა სამუშაო დროის დანაკარგები, რომელიც დაკავშირებულია ავადმყოფ ბავშვთა მოვლასთან, აღწევს ავადმყოფობის გამო არგამოცხადებულთა საერთო რიცხოვნობის 1/4-ს.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომის ეკონომიკური ეფექტი-

<sup>50</sup> С а р к и с я н Г. Стратегия ускорения и благосостояние народа. Вопросы экономики. 1987. № 1. с. 20.

<sup>51</sup> ნ. შარქისი. ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი), ნაწ. I, გვ. 174.

ანობა ვლინდება შრომითი რესურსების მატებაში, სამუშაო ძალის აქტიური შრომის უნარის ვადების გადიდებაში, ცოცხალი შრომის დანახარჯების დაზოგვაში და ა. შ. ასე მაგალითად, მოსახლეობის სიკვდილიანობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდება იწვევს მუშაკთა შრომითი საქმიანობის საშუალო პერიოდის გაგრძელებას, უზრუნველყოფს წარმოებაში რეალურ დასაქმებას. მართალია, ყოველივე ეს არ არის მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის განვითარების შედეგი, მაგრამ ამ კომპლექსში იგი ასრულებს უდიდეს როლს.

სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა განაპირობებს სოციალურ-ეკონომიკურ და სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ერთიანობას, რომელიც მიმართულია საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალის განვითარებისა და სრულყოფისაკენ. საბჭოთა მედიკ-ჰიგიენისტების აქტიური სანიტარულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი შრომის ნაყოფიერების ამაღლების მნიშვნელოვანი რეზერვია. გაანგარიშებულია, რომ საქსოვ წარმოებაში, სადაც ხმაური აღწევს 100 დეციბელს, ამ უკანასკნელის მხოლოდ 10 დეციბელით შემცირება განაპირობებს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას 12—15%-ით.<sup>52</sup> სამუშაო ადგილის ჰიგიენური და ნორმალური პირობების შექმნა (ნორმალური ტემპერატურის დაცვა, ხმაურისა და დანავიანების დაძლევა, ნორმალური განათება და ა. შ.) შრომის ნაყოფიერების ამაღლების აუცილებელი პირობაა. საბჭოთა ჰიგიენისტების მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქსოვ წარმოებაში, ზაფხულის პერიოდში ნორმის ზევით ტემპერატურის 6 გრადუსით ამაღლება იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას 25%-ით.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე გავლენას ახდენს ფიზკულტურა და სპორტიც. პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებსა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას შორის. ასე მაგალითად, თანაბარი მაჩვენებლების მქონე (მათ შორის შრომის შინაარსის მხრივაც) მუშათა ორი ჯგუფის გამოკვლევის შედეგად დასაბუთდა, რომ მუშათა იმ ჯგუფში, სადაც რეგულარულად ეწეოდნენ ფიზიკურ კულტურას, შრომის ნაყოფიერება 3,4%-ით მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მუშათა იმ ჯგუფში, რომლებიც არ მისდევდნენ ფიზიკურ კულტურას. ამასთან, ის მუშები, რომლებიც რეგულა-

<sup>52</sup> Ческин М. С. Борьба с шумом. М., 1965 г., с. 26.



რულად მისდევდნენ მას, სხვა მუშებთან შედარებით. საშუალოდ 7 დღით ხაკლებს ავადმყოფობდნენ<sup>53</sup>. საწარმოში წარმოებითი გიმნასტიკის ფართოდ დანერგვა ხელს უწყობს სამუშაო დროის ეფექტიან გამოყენებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ავადმყოფობასთან დაკავშირებულ დროის დანაკარგებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება ხელს უწყობს საწარმოო ძალის მთავარი ელემენტის კვლავწარმოებას, რაც გამოიხატება შრომელთა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. საყოფაცხოვრებო მომსახურება მუშაკთა სარსებო საშუალებათა ფონდის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენს სამუშაო ძალის კვლავწარმოების მატერიალურ საფუძველს. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, აკმაყოფილებენ რა ადამიანთა მრავალზნობრივ მოთხოვნილებებს, რაც გამოიხატება პირადი მოხმარების საგნების სახმარ ღირებულებათა ნაწილობრივი დაკარგვის აღდგენაში. მათ სახეცვლილებაში და რიც სხვა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ხელს უწყობენ საარსებო საშუალებათა ფონდის გადიდებას და ოჯახის ბიუჯეტის ფულადი სახსრების ეკონომიას. ამასთან, საყოფაცხოვრებო მომსახურების როლი სამუშაო ძალის კვლავწარმოებაში გამოიხატება იმაშიც, რომ იგი ქმნის პირობებს საზოგადოებრივი დროის ეკონომიის, მატერიალური და შრომითი დანახარგების შემცირებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენებისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურება მნიშვნელოვნად ამცირებს საოჯახო მეურნეობაში დროის არამწარმოებლურ დანაკარგებს, რითაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობაში ერთობლივი სამუშაო ძალის გადიდებას. არსებული მონაცემებით საოჯახო შრომა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში წელიწადში 80—100 მლრდ კაც-საათს გვართმევს, რაც 40—50 მლნ. კაცის სამუშაო დროის ბიუჯეტის თანაბარია<sup>54</sup>. სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოკვლევით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ერთი

<sup>53</sup> Пименова В. Н. Свободное время в социалистическом обществе. М., 1974, с. 206.

<sup>54</sup> Мельников Н. Экономике бытового обслуживания — научную основу. Вопросы экономики, 1972, № 10, с. 126.

მუშაკი ქმნის პირობებს საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული 3—4 კაცის გამათავისუფლებსათვის<sup>55</sup>.

საყოფაცხოვრებო მომსახურება ხელს უწყობს რა თავისუფალი დროის გადიდებას, ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს როგორც ინდივიდუალური, ასევე საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. საქმე ისაა, რომ საოჯახო მეურნეობაში დახარჯული შრომა, არსებითად წარმოადგენს სამუშაო დროის გაგრძელებას, რის გამოც შრომითი დატვირთვა, განსაკუთრებით ქალებისა, დიდდება. განსაკუთრებით დიდია საოჯახო მეურნეობაში შრომის დანახარჯები იმ ქალაქებში, სადაც ნაკლებადაა განვითარებული მომსახურების სფერო. ეს უმთავრესად ეხება მცირე და საშუალო ზომის ქალაქებს. საყოფაცხოვრებო მომსახურება გავლენას ახდენს რა თავისუფალ დროზე, ამით ზრდის იმ ერთობლივ დროს, რომელიც გამოიყენება კულტურული დასვენებისათვის, ფიზკულტურასა და სპორტში აქტიური ჩაბმისათვის, თვითგანათლებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდისათვის, ეს კი თავის მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდას და სამუშაო ძალის რაციონალურ გამოყენებას.

საყოფაცხოვრებო მომსახურებას დიდი როლი ენიჭება აგროსამრეწველო კომპლექსების ფორმირებაში. იგი პირდაპირ გავლენას ახდენს ერთობლივი სამუშაო ძალის განაწილებაზე ქალაქსა და სოფელს შორის. ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებს შორის, ხელს უწყობს სამუშაო ძალის დამავრებას, კადრების დენადობის შემცირებას.

სსრ კავშირში ყოველწლიურად მიგრაცია აღწევს თითქმის 14—15 მლნ. კაცს<sup>56</sup>. კადრების დენადობას მოაქვს სერიოზული ზიანი სახალხო მეურნეობისათვის. ეს ზარალი არ შემოიფარგლება ნხოლოდ სამუშაო დღის პირდაპირი დანაკარგით. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ის მუშაკები, რომლებიც გადადიან ახალ საწარმოში, 2—3 თვის განმავლობაში ვერ ასრულებენ გამომუშავების გეგმას 10—12%-ით, სხვა მუშებთან შედარებით ამზადებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას. ამასთან, გარკვეული ნაწილი იცვლის პროფესიას. სახელმწიფო იძულებულია დამატებითი ხარჯები გაიღოს კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საკუთარი სურვილით წარმოებიდან დათხოვილთა 25%-ზე მეტი გადავიდა ერთი ადგილიდან მეორეზე იმის გამო, რომ არ იყო უზრუნველყო-

<sup>55</sup> Вопросы использования трудовых ресурсов в народном хозяйстве СССР. М. НИИ труда. 1963. с. 36.

<sup>56</sup> Пекрасов П. Н. Региональная экономика. М., 1975. с. 234.

ფილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით, საბავშვო სკო-  
ლამდელი დაწესებულებებით, კომუნალური მომსახურებით და ა. შ.  
ამიტომ აუცილებელია არაწარმოებითი სფეროს შესაბამის დარგთა  
განვითარება განსაკუთრებით იმ ეკონომიკურ რაიონებში, რომლებიც  
მწვეველ განიცილიან სამუშაო ძალის დეფიციტს.

არაწარმოებითი სფერო ზემოქმედებს რა საწარმოო ძალების გან-  
ვითარებაზე, ამავე დროს არსებით გავლენას ახდენს სოციალისტური  
წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფაზე, მის კომუნისტურ წარ-  
მოებით ურთიერთობაში გადაზრდაზე. ეს გამოიხატება, უპირველეს  
ყოვლისა, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვა-  
ვების დაძლევაში, პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში, მამაკაცსა  
და ქალს შორის ეკონომიკური უთანასწორობის თანდათანობით დაძ-  
ლევაში, ყოფა-ცხოვრებაში კოლექტივიზმის პრინციპების ფართოდ  
დანერგვაში და ა. შ. არაწარმოებითი სფეროს როლი სოციალისტური  
წარმოებითი ურთიერთობის მთელ სისტემაზე განსაკუთრებით ნათ-  
ლად ვლინდება პიროვნების სულიერ განვითარებასა და მის კვლავ-  
წარმოებაში.

არაწარმოებითი სფეროს ზემოქმედების ჩვენს მიერ განხილული  
ასპექტები არ ამოწურავს ამ ზემოქმედების მრავალმხრივ ფორმებს.  
მიუხედავად ამისა, არსებით მომენტებში მკვეთრად ვლინდება არა-  
წარმოებითი სფეროს ზემოქმედება საწარმოო ძალების განვითარება-  
სა და მასთან ერთად სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის  
სრულყოფაზე.

### **§ 3. არაწარმოებითი სფეროს ზემოქმედება სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაზე**

არაწარმოებითი სფეროს განვითარება ორგანულადაა დაკავშირე-  
ბული სოციალისტური ცხოვრების წესის მრავალ აქტუალური პრობ-  
ლემის გადაჭრასთან. მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა,  
კულტურა, ხელოვნება, საყოფაცხოვრებო მომსახურება და არაწარ-  
მოებითი სფეროს სხვა დარგები მნიშვნელოვან წინამძღვრებს ქმნიან  
სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში. მოცემული საკი-  
თხის განხილვისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოციალისტური  
ცხოვრების წესის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიის

ასსნა, რომელიც მოითხოვს თვით ცნების — „ცხოვრების წესის“ სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის განსაზღვრას.

მარქსიზმის კლასიკოსები ცხოვრების წესს უკავშირებდნენ ისტორიულად განსაზღვრულ კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობას. კიდევ მეტი, ამ უკანასკნელით განსაზღვრავენ მას. თუმცა პირდაპირი მითითება ამის შესახებ მათთან არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ეკონომიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს მარქსიზმის კლასიკოსებს აქვთ დებულება. რომელიც მიუთითებს წარმოების წესის უშუალოდ განმსაზღვრელ როლზე ცხოვრების წესის მიმართ<sup>57</sup>. ამის დასასაბუთებლად „გერმანული იდეოლოგიიდან“ მოტანილია შემდეგი დებულება: „...წარმოების წესი უნდა განვიხილოთ არა მარტო იმ მხრიდან, რომ იგი ინდივიდთა ფიზიკური არსებობის კვლავწარმოებას წარმოადგენს. კიდევ უფრო მეტად ეს არის ნოცემულ ინდივიდთა მოქმედების გარკვეული წესი, გარკვეული სახე მათი სასიცოცხლო მოქმედებისა, მათი გარკვეული ცხოვრების წესი. როგორცაა ინდივიდთა სასიცოცხლო მოქმედება, ისეთივენი არიან თვით ისინი. ის, რასაც ისინი წარმოადგენენ, ემთხვევა, მაშასადამე, მათს წარმოებას — ემთხვევა როგორც იმას, რასაც ისინი აწარმოებენ, ასევე იმასაც, თუ როგორ აწარმოებენ ისინი. თუ რას წარმოადგენენ ინდივიდები — ეს დამოკიდებულია, მაშასადამე მათი წარმოების მატერიალურ პირობებზე“<sup>58</sup>. სინამდვილეში ეს დებულება გამოხატავს იმ აზრს, თუ რა ხერხით, პროდუქტების წარმოების (დამზადების) რა წესით მოიპოვებენ ადამიანები თავისი ფიზიკური არსებობის საკვლავწარმოებო საშუალებებს. ამდენად, კ. მარქსი და ფ. ენგელსი აქ სრულებითაც არ მიუთითებენ ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესზე, საზოგადოებ-

---

<sup>57</sup> Капустин Е. И. Социалистический образ жизни. М., 1976, с. 4; Вишневецкий С. С. Социалистический образ жизни. М., 1980, с. 7; Проблемы социалистического образа жизни (Под ред. Капустина Е. И., Яковлевой Е. Н. и др.). М., 1982, с. 8; Дорохина Т. Экономический аспект социалистического образа жизни Вопросы экономики, 1979, № 11, с. 13.

<sup>58</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის“ პირველი თავის ახალი პუბლიკაცია). თბილისი, 1968, გვ. 29.

რევი წარმოების ფორმაზე, ისიც ისეთ აღრინებულ შრომამი, რაცო-  
რიცაა „გერმანული იდეოლოგია“\*.

ცხოვრების წესის არსებითი მხარეები განისაზღვრება მოკემული  
საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია თავისებურებებითა და ძი-  
რითადი ნიშნებით. მისი სოციალურ-ეკონომიკური აფუძველი წრ-  
მოების წესია. ცალკეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის  
შიგნით, თავის მხრივ, განახლებებენ ამა თუ იმ კლასს. სოციალური  
ჯგუფის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების წესს. სა-  
ზოგადოებაში არსებული სოციალური განსხვავებანი — კლასებს შო-  
რის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, გონებრივ და ფი-  
ზიკურ შრომას შორის, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშაებს  
შორის — თავის გამოხატულებას პოულობს მათ ცხოვრების წესში.

ცხოვრების წესი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია,  
არ შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს. იგი  
არც ზედნაშენის ელემენტია, მაგრამ როგორც ბაზისი, ასევე ზედნაშე-  
ნი ცხოვრების წესის წარმმართველი და მაპროფილდება. საზოგა-  
დოების საწარმოო ძალები, წარმოებითი ურთიერთობანი და ზედნა-  
შენი სინთეზურ გავლენას ახდენს ცხოვრების წესზე. განსაზღვრავს  
მის ტიპს. ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია გამოირ-  
ჩევა არა მხოლოდ განსაკუთრებული სოციალური წყობით. არამედ  
განსაკუთრებული ცხოვრების წესით. ცხოვრების წესი გამოხატავს  
არა ცალკეულს, არამედ მოცემული საზოგადოების ტიპურ ურთიერ-  
ობებს. მასში აისახება ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობა. რომე-  
ლიც პოულობს თავის პრაქტიკულ გამოხატულებას მსოფლმხედვე-  
ლობაში, მორალსა და ყოფა-ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანო-  
ბასა და თავისუფალი დროის ორგანიზაციაში. ცხოვრების წესზე გავ-  
ლენას ახდენს ეროვნული, კულტურული, ბუნებრივ-კლიმატური და  
გეოგრაფიული ფაქტორები, ხალხთა ტრადიციები, მოსახლეობის სიმ-  
ჭიდროვე, ამა თუ იმ პერიოდში შექმნილი საერთაშორისო ვითარება  
და სხვ. ცნობილი საბჭოთა ეკონომისტი, აკად. ს. გ. სტრუმილინი სავ-

\* კ. მარქსი ხშირად, განსაკუთრებით ადრეულ ნაშრომებში და არა მარტო  
ადრეულში, „კაპიტალშიც“ კი, სადაც განიხილავს მანუფაქტურას. „წარმოების წესს“  
ყოველთვის არ ხმარობს იმ მიხედვლობით, როგორც ეს დღეს ჩვენ გვესმის დაჯი-  
ნონებულად — საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის სახით. რომე-  
ლიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითად შინაარსს,  
მის არსს. კ. მარქსი „წარმოების წესს“ ხშირად ხმარობს, როგორც უბრალოდ მარე-  
რიალური დოვლათის წარმოების წესს განვითარების მოცემულ ეტაპზე, მაგალითად,  
მანუფაქტურული წარმოების წესი და ა. შ.

სებით სწორად წერდა: ცხოვრების წესი ეს ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი სოციალური მოვლენაა, რომელშიც, როგორც ფოკუსში გარდატყდება ადამიანთა ეკონომიკური და საზოგადოებრივი, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური, ზნეობრივი და ოჯახური ურთიერთობანი<sup>59</sup>.

ჩვენი აზრით, ცხოვრების წესი კონკრეტული წარმოებითი ურთიერთობის სისტემით და ზედნაშენით განსაზღვრული მთელი საზოგადოების ან სოციალური ჯგუფების ტიპური მოღვაწეობაა მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა შექმნასა და მოხმარებაში. იგი მოიცავს. აგრეთვე, პოლიტიკურ, სოციალურ და სხვა ზედნაშენურ ურთიერთობებსაც.

სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში „ცხოვრების წესი“ ზოგჯერ გაიგებებოდა „ცხოვრების დონის“ ცნებასთან<sup>60</sup>. ჩვენ ვიზიარებთ იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომელთა აზრით ეს კატეგორიები არ არიან იდენტური ცნებები<sup>61</sup>. „ცხოვრების წესი“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „ცხოვრების დონე“. ცხოვრების წესი მოიცავს საზოგადოების განვითარების ყველა მხარეს. ცხოვრების დონე კი არ იძლევა სრულ წარმოდგენას საზოგადოების ცხოვრებაზე. იგი ეკონომიკური კატეგორიაა და უმთავრესად გამოიხატება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ხოლო ცხოვრების წესი მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და ა. შ. კომპონენტებს. ცხოვრების წესში აისახება პიროვნების საზოგადოებრივი სახე, პროფესიული და სულიერი განვითარების დონე, ურთიერთდამოკიდებულება წარმოებასა და ოჯახში, კულტურა, ფსიქოლოგია, ძირითადი, სასიცოცხლო მიზნები, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები და ა. შ. ცხოვრების დონე კი შეადგენს ცხოვრების წესის მატერიალურ შინაარსს და გამოხატავს საზოგადოების კეთილდღეობას მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების საფუძველზე. მისი ძირითადი კონკრეტული მაჩვენებლებია მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების დონე, მუშაკთა ნომინალური და

<sup>59</sup> Струмилин С. Г. Писаренко Э. Н. Социалистический образ жизни: методология исследования. Вопросы философии, 1974, № 2, с. 27

<sup>60</sup> Галайте С. Экономические аспекты социалистического образа жизни. Экономические науки, 1975, № 9, с. 33.

<sup>61</sup> Капуеин Е. Н. Социалистический образ жизни, с. 7—9; Руткевич М. Н. Понятие образа жизни. В кн. Социалистический образ жизни. М., 1980, с. 17; Дорохина Т. Экономический аспект социалистического образа жизни. Вопросы экономики, 1979, № 11, с. 13.

რეალური ხელფასისა და განათლების დონე, მოხმარების სტრუქტურა, სამედიცინო, საბინაო-კომუნალური, საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფის დონე, მოსახლეობის ერთ სეულზე სამრეწველო და სასურსათო საქონლის მოხმარების საშუალო ნორმები, შეღავათები და დახმარებები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან და სსკ. ცხოვრების დონეში შეტანილია სამუშაო და თავისუფალი დროის ხანგაძლიერება, შრომის დაცვის პირობები, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მოსახლეობის მატება და ა. შ.

ამრიგად „ცხოვრების წესი“ როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად განსხვავებული კატეგორიაა, ვიდრე „ცხოვრების დონე“. ერთი და იგივე ცხოვრების დონის პირობებში შესაძლებელია ერთმანეთისაგან განსხვავებული ცხოვრების წესი, ანდა განსხვავებული ცხოვრების დონის პირობებში — ერთი და იგივე ტიპის ცხოვრების წესი.

ცხოვრების მაღალი დონე, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცხოვრების ჰუმანურ წესს. მაგალითად, აშშ-ში პროდუქტთა სიუხვე ცხოვრების მაღალი დონის პირობას იძლევა, მაგრამ კაპიტალისტური ცხოვრების წესი სრულიადაც არ არის ჰუმანური და პრინციპულად განსხვავდება სოციალისტურისაგან. ამასთან, ცხოვრების თანაბარი დონის პირობებშიც სოციალისტური ცხოვრების წესი გაცილებით ფართო და შინაარსიანი კატეგორიაა, რადგან იგი მოიცავს, გარდა ეკონომიკურისა, სოციალური მხარის მრავალ მაჩვენებელს.

ცხოვრების დონე მობილური კატეგორიაა მაშინ, როდესაც ცხოვრების წესი მყარი მოვლენაა. იგი წარმოების წესისა და ზედნაშენის ზოგადი ნიშნების ამსახველი ფენომენია. ცხოვრების წესი დეტერმინირებულია საზოგადოებრივ-ეკონომიკური და ცხოვრების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით. იგი მოიცავს ადამიანთა საარსებო მოღვაწეობის მთელ ერთობლიობას როგორც სამუშაო, ისე თავისუფალ დროს, ადამიანთა საქმიანობას, როგორც მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნაში, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ყოფაცხოვრების და პირადი ურთიერთობის სფეროში. ამასთან, ცალკეული პიროვნების ცხოვრების წესი განისაზღვრება მისი ადგილით სა-

ზოგადობაში, შრომის დანაწილებით, აღზრდით, შრომის ხასიათით, პროფესიით, განათლებით, საოჯახო კულტურით და ა. შ.

სოციალისტური ცხოვრების წესი ხასიათდება რიგი კანონზომიერებებით, რომლებიც გამოვლინდებიან ინდივიდუალურ თავისებურებათა მრავალსახეობაში და განსაზღვრავენ ადამიანის ცხოვრების წესს.

ექსპლოატაციისაგან თავისუფალი შრომა, მისი თანაბარი მოვალეობა და თანაბარი უფლება, საყოველთაო და სავალდებულო ხასიათი, რაც განპირობებულია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით, სახალხო მეურნეობის გეგმავზომიერი, პროპორციული განვითარებით სოციალისტური ცხოვრების წესის არსებითი ნიშნებია.

სოციალიზმის დროს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები ხელმისაწვდომია ყველა წარმოებითი კოლექტივისათვის. ეს მასებში ბადებს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებას, რაც ასახვას პოულობს პიროვნების ცხოვრების წესში. ამასთან მასზე გავლენას ახდენს შრომითი კოლექტივი, სადაც ფორმირდება მოქალაქის პიროვნება, მისი სასიცოცხლო ინტერესები. „მხოლოდ კოლექტივში არსებობს ყოველი ინდივიდისათვის იმის საშუალება, რომ მან თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს, და მაშასადამე მხოლოდ კოლექტივშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება“<sup>62</sup>. სოციალისტური ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელია პირადი. კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების ერთიანობა, სადაც წინა პლანზე დგება კოლექტივისა და მთელი საზოგადოების ინტერესები, რასაც კიდევ უფრო ამტკიცებს თითოეული მუშაკის მონაწილეობა წარმოების მართვაში. „სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარება ნიშნავს შევექმნათ მაქსიმალური შესაძლებლობანი კოლექტივიზმის დამკვიდრების, საზოგადოების შეკავშირების, პიროვნების აქტიურობის ზრდისათვის“<sup>63</sup>.

სოციალისტური ცხოვრების წესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა კლასებისა და სოციალური ჯგუფების შრომისა და ყოფა-ცხოვრების ფორმების სულ უფრო დაახლოება. გონებრივ და ფი-

<sup>62</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი. ფორმები. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგის“ პირველი თავის ახალი კუბლიკაცია), გვ. 106.

<sup>63</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 79.



ზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების თანდათანობით ლიკვიდაცია აისახება სოციალ-სტური საზოგადოების ცხოვრების წესში.

ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, ინტერნაციონალიზმი და ხალხთა მეგობრობა სოციალისტური ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი მხარეებია.

აღნიშნული ნიშნები მხოლოდ არსებითია სოციალისტური საზოგადოებისათვის, ამასთან, სოციალისტური ცხოვრების წესი განაგრძობს განვითარებას და სრულყოფას.

ისმება კითხვა: რა როლს ასრულებს არაწარმოებითი სფერო, როგორც დარგებისა და ქვედარგების რთული კომპლექსი, სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებასა და სრულყოფაში?

არაწარმოებითი სფერო მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების წესზე. იგი ქმნის პირობებს, რომლებიც აუცილებელია, ჯერ ერთი, საზოგადოების თითოეული წევრის შრომით საქმიანობაში მონაწილეობისათვის, მეორე, ჯანმრთელობის დაცვისა და თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისათვის, მესამე, მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების სტრუქტურის გათანაბრებისათვის. ამასთან დაკავშირებით იხრდება არაწარმოებითი სფეროს როლი მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში. ეს აიხსნება იმით, რომ მომსახურების მნიშვნელოვანი ნაწილით საზოგადოება სარგებლობს უფასოდ, ან შეღავათიან ფასებში. ეს კი საშუალებას აძლევს საზოგადოებას აქტიური ზემოქმედება მოახდინოს მისი თითოეული წევრის მოხმარების სტრუქტურის ფორმირებაზე, მის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე.

არაწარმოებითი სფეროს დარგების მეშვეობით, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზაცია. XI ხუთწლედში მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლები და შეღავათები გადიოდა 25%-ით<sup>64</sup>, ხოლო XII ხუთწლედში გაიზარდა 20—23%-ით<sup>65</sup>. იგი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები მრავალმხრივ ზემოქმედე-

<sup>64</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, 33. 415.

<sup>65</sup> იქვე, 33. 481.

ბას ახდენენ მშრომელთა ცხოვრების წესზე, აკმაყოფილებენ მათ მატერიალურ, სულიერ და სოციალურ მოთხოვნილებებს. ამასთან, ისინი ასრულებენ ორ ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას: მათი მეშვეობით ხორციელდება, ჯერ ერთი, საერთო-სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მეორეც, სხვადასხვა ოჯახთა ცხოვრების დონეთა არსებული განსხვავებების შემცირება. ეს უკანასკნელი მიიღწევა უფასო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, უფასო სამედიცინო მომსახურების, პენსიების, სტიპენდიების, მორიგი შვებულებების ანაზღაურების, სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლებში უფასო და შეღავათიან ფასებში საგზურების გაცემის და სხვა სახის დახმარებებისა და შეღავათების გზით. სახელმწიფო წლიური ხარჯები ერთ მოსწავლეზე საერთო-საგანმანათლებლო სკოლებში შეადგენს 240 მანეთს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 780 მანეთს, სოლო უმაღლეს სასწავლებლებში — 1200 მანეთზე მეტს. ერთი ბავშვის შინაჯვარება საბავშვო ბაგაში ჯდება 630 მან., ხოლო საბავშვო ბაღში — 530 მან. ამასთან ამ ხარჯების 80%-ს იხდის სახელმწიფო<sup>66</sup>.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სტრუქტურაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 2.

ცხრილიდან ჩანს, რომ 1985 წელს, 1940 წელთან შედარებით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან დახმარებები და შეღავათები გაიზარდა თითქმის 32-ჯერ და შეადგინა 147,0 მლრდ. მანეთი, ანუ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის თითქმის მეოთხედი<sup>67</sup>, მოსახლეობის ერთ სულზე იგი გაიზარდა 22-ჯერ და უტოლდება 530 მანეთს.

არაწარმოებითი სფერო ქმნის რა პირობებს ადამიანთა შრომისა და დასვენებისათვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომის უნარის ამაღლებისათვის, მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლებისათვის, დიდ როლს ასრულებს კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ფორმირებაში. იგი ახალიბებს ადამიანის ინტელექტურ და სოციალურ მოთხოვნილებებს, მის მსოფლმხედველობას. შრომის ჩვევებს, რასაც უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში.

არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგი (ხელოვნება, ლიტერატურა, კულტურა) სულიერი სიმდიდრის შექმნის წყაროა, რომელიც

66 Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 412

67 - ქვე. გვ. 409.

ადამიანთა სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს ფორმირებისა და ამაღლების, ესთეტიკური გემოვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

არაწარმოებითი სფერო გარკვეული ზომით არეგულირებს მატერიალური დოვლათის მოხმარებას, რასაც უფიქრის რიგში ენიჭება სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში. მატერიალური დოვლათის შეუზღუდველ მოხმარებას ზიანი მოაქვს არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ თვით ცალკეული პიროვნებისთვისაც. იგი ამუხრუჭებს მის როგორც გონებრივ, ასევე ფიზიკურ განვითარებას. მაგალითად, ნივთების შეძენისადმი განსაკუთრებული ლტოლვა და გამოდევნება ხელს უშლის ადამიანის პარამონიულ განვითარებას და მრავალ სულიერ-ინტელექტუალურ სიხარულს ართმევს მას, გადაჭარბებული კვება კი ფიზიკურად ამახინჯებს მას და მრავალ დაავადებათა საფუძველია, ხოლო განათლებულ, კულტურულ და შემოქმედებითი შრომით დასაქმებულ ადამიანებს ინტერესები სრულიად განსხვავებული აქვთ. განსხვავებულია მათი დამოკიდებულება ნივთებისადმი. მათ მიერ მატერიალური დოვლათის მოხმარება მათთვის სულ უფრო გადაიჭვევა სასიცოცხლო მოთხოვნებამდე.

არაწარმოებითი სფეროს გაზრდილი როლი შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებაში, ქალთა დასაქმების გადიდებაში სოციალისტური ცხოვრების წესის განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობაა. ქალთა აქტიური ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა ეკონომიკური თანასწორობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია. „ქალთა განთავისუფლება შესაძლებელი გახდება მაშინ, როცა მას შესაძლებლობა მიეცემა დიდი, საზოგადოებრივი მასშტაბით მიიღოს მონაწილეობა წარმოებაში და როცა ოჯახში მუშაობა მას მხოლოდ ცოტა დროს წაართმევს“<sup>68</sup>.

ქალთა დასაქმების ზრდაში ერთ-ერთ არსებით როლს ასრულებს სკოლამდელ დაწესებულებათა სისტემა. მათი განვითარება მნიშვნელოვანი პირობაა ქალთა შრომითი რესურსების ჩაბმისა სახალხო მეურნეობაში, რასაც ადასტურებს შემდეგი მონაცემები: 1940—1985 წლებში. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა კონტინგენტი საბავშვო ბაღებსა და ბავშვში გაიზარდა თითქმის 8,3-ჯერ. ამ პერიოდში მუშა-მოსამსახურ-

<sup>68</sup> ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. 11. თბილისი, 1950, გვ. 374.

რე ქალთა რიცხოვნობა გაიზარდა 4,9-ჯერ და უფრო მეტად<sup>69</sup>. ბავშვთა აღზრდის ამ ფორმის განვითარების სახალხო-სამეურნეო მიზანდასახულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქალთა შრომითი აქტივობის ამაღლებით. ადრეულ ასაკში ყალიბდება ბავშვის ხასიათი, ჩვევები: მათი ფორმირება სკოლამდელ დაწესებულებებში ღებულობს მიზანდასახულ ხასიათს. ამიტომ ბავშვთა აღზრდის საზოგადოებრივი ფორმა უნდა განვიხილოთ როგორც მომავალი მუშაკის ჩამოყალიბების, პიროვნების პარამონიული განვითარების ამოსავალი საფეხური.

ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის სოციალური პრობლემაა. შესაძლებელია არა მხოლოდ მათი დასაქმების ზრდით საზოგადოებრივ წარმოებაში, არამედ მათი განათლების დონის, კვალიფიკაციის ამაღლებითაც. ჩვენს ქვეყანაში ქალთა განათლების დონე სულ უფრო უახლოვდება მამაკაცთა განათლების დონეს. 1979 წლის აღწერით 1000 მამაკაცზე მოდიოდა 835 კაცი უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლებით, ხოლო 1000 ქალზე — 597, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული მამაკაცებისა და ქალების წილი განათლების ასეთივე დონით პრაქტიკულად თანაბარია: 810 და 801<sup>70</sup>. 1985 წელს მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხოვნობაში ქალთა ხვედრიწილი 40,8%-ს შეადგენდა და უტოლდებოდა 595,7 ათასს<sup>71</sup>.

არაწარმოებითი სფეროს დარგები მოწოდებულია აქტიური შემოქმედება მოახდინოს თავისუფალი დროის ფორმირებასა და გადიდებაზე, რომელსაც ორგანულად უკავშირდება ხალხთა კეთილდღეობის ამაღლება. დროის ეკონომიის კანონი თავის გამონახატულებას პოულობს მშრომელთა თავისუფალი დროის გადიდებაში.

საბჭოთა ადამიანის განკარგულებაში ამჟამად გაცილებით მეტი თავისუფალი დროა, ვიდრე ეს იყო ოდესმე. თავისუფალი დრო მას სჭირდება „...დასასვენებლად, თავის განსავითარებლად, თავისი უფლებების გამოსაყენებლად. როგორც ადამიანს, მეოჯახეს და როგორც მოქალაქეს“<sup>72</sup>. ჩვენს ქვეყანაში, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, მშრომელთა თავისუფალი დროის წლიური ფონდი (გამოსასვენე-

<sup>69</sup> განგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 394, 449.

<sup>70</sup> Исупов А. Большие социальные достижения (Итоги всесоюзной переписи населения). Вестник статистики. 1980. № 3. с. 7.

<sup>71</sup> განგარიშებულია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 65.

<sup>72</sup> ვ. ი. ლენინი. ახალი საფაბრიკო კანონი. თბზ., ტ. 2, გვ. 368.

ლი, სადღესასწაულო დღეებისა და შვეებულების ჩათვლით) დაახლოებით თანაბარი ვახდა სამუშაო დროის წლიური ფონდისა<sup>73</sup>. თავისუფალი დროის სიდიდეზე გავლენას ახდენს როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროის სიდიდე. არასამუშაო დროის ფონდში შედის დრო, რომელიც იხარჯება საოჯახო მეურნეობაში. არასამუშაო დროის სტრუქტურაში მას საკმაო ადგილი უჭირავს. გაანგარიშებულია, რომ მთელ ქვეყანაში ყოველწლიურად საოჯახო მეურნეობაში იხარჯება თითქმის 100 მლრდ. კაც-საათი<sup>74</sup>. ამჟამად მამაკაცების თავისუფალი დრო კვირაში დაახლოებით 30-35 საათს შეადგენს და 1,5-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე ქალებისა, რომელთა თავისუფალი დრო არ აღემატება 20-22 საათს<sup>75</sup>. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „ქალის ნამდვილი განთავისუფლება, ნამდვილი კომუნისმი დაიწყება მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც დაიწყება მასობრივი ბრძოლა... წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი მასობრივი გარდაქმნა მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად“<sup>76</sup>.

„წვრილი საოჯახო მეურნეობის წინააღმდეგ“ ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება ვაჭრობის სწორ ორგანიზაციას, საზოგადოებრივი კვების განვითარებას, საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას და ა. შ. ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ საკვების საზოგადოებრივი მომზადებისა და საზოგადოებრივი მომსახურების პირობებში თავისუფლად იქნება შესაძლებელი ამ საქმით დასაქმებულ მუშათა 2/3 განთავისუფლება<sup>77</sup>.

თანამედროვე პირობებში მომსახურების ერთ-ერთი პროგრესული ფორმაა სავაჭრო ობიექტების გადასვლა თვითმომსახურებაზე. ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თვითმომსახურების მაღაზიებში მომხმარებლები საქონლის შეძენაზე ხარჯავენ 30—35%-ით ნაკლებ დროს, ვიდრე ტრადიციული მეთოდით მომუშავე მაღაზიებში. ყოველწლიურად ამ პროგრეს-

73 Владиславлев А. П. Свободное время и непрерывное образование. Наука и жизнь, 1979, № 5, с. 25.

74 Материально-техническая база коммунизма. М., 1977, ч. II, с. 362.

75 Владиславлев А. П. Свободное время и непрерывное образование. Наука и жизнь, 1979, № 5, с. 25.

76 ვ. ი. ლენინი. დიდი თარსნობა. თბ., ტ. 29, გვ. 502.

77 Энгельс Ф. Эльберфельдские речи. Маркс К., Энгельс Ф. Соч., 2-е изд., т. 2, с. 542.

სული მეთოდით მომუშავე მაღაზიები უსრუნველყოფენ საქონლის შექმნაზე მოსახლეობის დროის შემცირებას 1 მლრდ. საათით<sup>76</sup>. სპეციალისტების გაანგარიშებით, თვითმომსახურების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შედეგად, მყიდველთა დროის დანახარჯების შემცირება შესაძლებელია თითქმის 3-ჯერ<sup>78</sup>.

მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება საზოგადოების მოთხოვნილება საზოგადოებრივი კვების განვითარების მიმართ. თანამედროვე პირობებში საზოგადოებრივი კვების მომსახურებით სარგებლობს მოსახლეობის 1/3. გაანგარიშებულია, რომ საოჯახო მეურნეობაში დახარჯული შრომის 40% მიდის საკვების მომზადებაზე. ამასთან, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული ქალები საოჯახო მეურნეობაში საკვების მომზადებაზე კვირაში ხარჯავენ მსხვილ ქალაქებში 10 საათზე მეტს, ხოლო მცირე ქალაქებში — 14 საათზე მეტს. კიდევ უფრო მეტია ეს დანახარჯები სასოფლო ადგილებში<sup>79</sup>. საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარება, რაც გამოიხატება როგორც საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაფართოებით, ასევე მათი მუშაობის ხარისხის ამაღლებათ, დიდად შეუწყობს ხელს არასამუშაო დროში თავისუფალი დროის წილის გადიდებას. ამასთან, მისი განვითარება განპირობებულია, აგრეთვე სამკურნალო კვების ორგანიზაციის აუცილებლობით. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მონაცემები მოწმობენ, რომ მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი საჭიროებს სპეციალურ დიეტურ კვებას. საოჯახო ვითარებაში კი არ არის საკმარისი პირობები ასეთი კვების ორგანიზაციისათვის, ვინაიდან არა აქვთ შესაბამისი მოწყობილობა და სპეციალური ცოდნა დიეტური საკვების მომზადებისათვის.

საოჯახო მეურნეობაში სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოითხოვს შრომის დიდ დანახარჯებს, რაც სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის 1/3-ს უტოლდება<sup>80</sup>. არასამუშაო დროის ასეთი არარაციონალური დანახარჯების შემცირებაში დიდ როლს ასრულებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმონი — სამრეცხაოები, ქიმწმენდის საამქროები,

\* ამასთან შეენიშნავთ, რომ საცალო ვაჭრობის ეს პროგრესული ფორმა იწვევს სავაჭრო ფაქტობის ეფექტიან გამოყენებას.

<sup>76</sup> Огородник М. Эффективное использование фондов торговли. Вопросы экономики, 1979, № 2, с. 104.

<sup>77</sup> Каченко А. И. Сфера обслуживания населения, с. 117.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 119.

ბინის დალაგების ბიუროები, გამჭირავებელი პუნქტები, ინდივიდუალური კეოვის ატელიეები. მცრომელთა დროის ეკონომიისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს საოჯახო მეურნეობის „ინდუსტრიალიზაციას“ და ა. შ. ამასთან შევნიშნავთ, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების არასაკმარის განვითარების გამო, ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება, რის გამოც სშირად მოსახლეობა იყენებს კერძო პირთა მომსახურებას.

სასოფლო ადგილებში საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება მუშაკთა შრომისა და დასვენების ხელსაყრელი პირობების შექმნის საშუალებას იძლევა, რაც ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევის ერთ-ერთი ფაქტორია.

თავისუფალი დროის გადიდება საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი მისი რაციონალური გამოყენებისა, ე. ი. მისი ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას, ახალი ადამიანის ფორმირებას. ამ უდიდესი სოციალური ფუნქციის განხორციელებაში განსაზღვრული როლი ენიჭება არაწარმოებით სფეროს.

თავისუფალი დროის სტრუქტურა იცვლება საზოგადოებრივი წარმოების განვითარებასთან ერთად, საზოგადოების საერთო-საგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებასთან ერთად. საზოგადოება სულ უფრო მეტ დროს ხარჯავს ინტელექტუალურ საქმიანობაზე, განათლებაზე, ფიზიკურ წრთობასა და სპორტზე, ბავშვთა გონივრულ აღზრდაზე, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე, ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, აქტიურ და შინაარსიან დასვენებაზე და ა. შ. თანამედროვე პირობებში მშრომელთა დროის ეს დანახარჯები იცვლება № 3 ცხრილში ასახული მიმართულებით, რაც სოციალისტური ცხოვრების წესის თავისებურებათა მაჩვენებელია.

არაწარმოებითი სფეროს ისეთი მზარდი დარგი, როგორცაა საყოფაცხოვრებო მომსახურება, თავისუფალი დროის გადიდებასთან ერთად, ხელს უწყობს მოსახლეობის ფულად შემოსავლებსა და მათ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას შორის სწორი თანაფარდობის უზრუნველყოფას. ასე მაგალითად, სახალხო მეურნეობის ეფექტიანად და რაციონალურად წარმართვის ინტერესები მოითხოვს დაცულ იქნეს ოპტიმალური თანაფარდობა საყოფაცხოვრებო მომსახურებას, მსუბუქ მრეწველობასა და ვაჭრობას შორის. თუ სამ-

დანახარჯთა სასებები

მოსალოდნელი ცვლილებები (საშუალოდ ერთ სოკუშეებზე, საათი/წუთი, კერაში;  
+ იზრდება, — მცირდება)

საოჯახო შრომა	— 6,05
ბავშვთა მოვლა	+ 1,00
ოჯახის გარე ურთიერთობა	+ 0,30
კულტურული საქმიანობა	+ 4,55
აქედან:	
გაზეთების, წიგნების, ჟურნალების კითხვა	+ 1,00
სატელევიზიო ვადაცემათა ყურება	+ 0,35
საჯარო სანახაობანი (კიხო, თეატრი და ა. შ)	+ 0,40
სამოსალისეო საქმიანობა	+ 1,00
სწავლა და თვითგანათლება	+ 1,40
სპორტი, ფიზიკური კულტურა,	
ქალაქგარეთ დასვენება	+ 0,20
საზოგადოებრივი საქმიანობა	+ 0,20
უსაქმური დასვენება	— 1,00

კერვალო ფაბრიკა ვერ შესძლებს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მზა ტანსაცმლით, ხოლო სავაჭრო ორგანიზაციები ვერ უზრუნველყოფენ სხვა ეკონომიკური რაიონებიდან ტანსაცმლის შემოზიდვას, მაშინ მოსახლეობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, კერძოდ ინდივიდუალური კერვის ატელიეების მიერ. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს იწვევს საზოგადოებრივი შრომის დანაკარგებს, ვინაიდან ინდივიდუალური კერვის ატელიეში ნაწარმის დამზადება ბევრად შრომატევადია, ვიდრე ტანსაცმლის მასობრივად კერვის ფაბრიკაში.

არაწარმოებითი სფერო ხელს უწყობს ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას, კლასების, ფენებისა და სოციალური ჯგუფების დაახლოებას და ამით დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს მეცნიერება. იგი ხელს უწყობს

\*1 Кочерга А. И. Сфера обслуживания населения, с. 122.



წარმოებისა და შრომის გეგმაზომიერ ორგანიზაციას, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე — განათლებაზე, ტექნიკაზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, კულტურაზე, თავდაცვაზე, იდეოლოგიასა და სახელმწიფო მმართველობაზე, ადამიანის ცნობიერებასა და ყოფიერებაზე. მეცნიერება მოწოდებულია, გარდაქმნას ქალაქი და სოფელი, გაუხანგრძლივოს სიცოცხლე ადამიანს, შეუქმნას მას შრომისა და დასვენების საუკეთესო პირობები და ა. შ. განუზომლად იზრდება მეცნიერების როლი სოციალური განვითარების პრობლემათა გადაჭრაში. ცხოვრების პოზიტიურ გარდაქმნებში. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტა, ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, რომელიც ითვალისწინებს ნაკლებკვალიფიციური, მძიმე ფიზიკური შრომის, მონოტონური, არაშემოქმედებითი შრომითი პროცესების აღმოფხვრას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომ განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების დონეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 4.

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში 1985 წელს, 1950 წელთან შედარებით, მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობა გაიზარდა 9-ჯერ უფრო მეტად და შეადგინა მსოფლიოს მეცნიერ მუშაკთა 1/4 ნაწილი<sup>82</sup>. ამასთან, მეცნიერებათა დოქტორების რიცხოვნობა გაიზარდა 5,3-ჯერ და მეტად, ხოლო მეცნიერების კანდიდატებისა თითქმის 10,2-ჯერ. VIII ხუთწლედთან შედარებით, XI ხუთწლედში მეცნიერებაზე გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან გაიზარდა 2-ჯერ.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პერიოდში ყოველმხრივი განათლება და კვალიფიკაციის ამაღლება სოციალისტური ცხოვრების წესის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია. სოციალისტური წარმოების მუშაკთა მაღალი კულტურულ-ტექნიკური დონე ზრდის ინტერესს შემოქმედებითი შრომისადმი. მონოტონურმა, მომქანცველმა შრომამ, რომელიც მოკლებულია შემოქმედებით ელემენტებს, არ შეიძლება დააკმაყოფილოს უმაღლესი განათლების მქონე მუშაკთა ინტელექტუალური მოთხოვნილება. შრომის შემოქმედებითი ხასიათის დონეში თვისებრივი ცვლილებების მიღწევა უკავშირდება სამეცნიერო-ტექ-

<sup>82</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 64.

ნიკურ პროგრესს. მეცნიერების ამოცანაა ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე უზრუნველყოს შრომის გამდიდრება შემოქმედებითი ელემენტებით. ამ ამოცანის გადაჭრა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შრომის თანდათანობით გადაქცევას თითოეული მუშაკის პირველსადაცნობილო მოთხოვნილებად. ამასთან, შრომის შემოქმედებითი ხასიათის ამალღება უზრუნველყოფს მასში სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების შემცირებას და აჩქარებს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების გაქრობის პროცესს. ეს უკანასკნელი სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნის მნიშვნელოვან წინამძღვრებს ქმნის და არსებით გავლენას ახდენს სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომ განვითარებაზე.

განათლება იწვევს ღრმა ცვლილებებს შრომის შინაარსში: მნიშვნელოვნად იზრდება გონებრივი შრომის ხვედრიწილი, მალღდება მისი შემოქმედებითი ხასიათი, იზრდება კვალიფიციურ მუშაკთა რიცხოვნობა, რაც უშუალო გავლენას ახდენს სოციალისტური ცხოვრების წესზე.

განათლების სისტემას, ეკონომიკურ ასპექტთან ერთად, სოციალური ასპექტიც გააჩნია. განათლების როლი ნაკარნახევია არა მხოლოდ მზარდი წარმოების საჭიროებით, არამედ განპირობებულია სოციალური ფაქტორითაც, მისი როლის გაზრდით თვით პიროვნების „წარმოებაში“, მისი კულტურის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. განათლების სოციალური მიზანი, ეკონომიკურისაგან განსხვავებით, უფრო ფართო და მრავალმხრივია. ნებისმიერ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში განათლების სისტემა მოწოდებულია უზრუნველყოს მოზარდი თაობის აღზრდა საზოგადოების სოციალური წყობილების მთავარ პრინციპებთან შესაბამისობაში. განათლების საბჭოთა სისტემა ემსახურება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს, ხოლო განათლების კაპიტალისტური სისტემა — კაპიტალის ინტერესებს და ბურჟუაზიული იდეოლოგიის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ამასთან, კაპიტალიზმის დროს წარმოება მოითხოვს მუშაკთა განათლებას მხოლოდ ვიწრო პროფესიონალური თვალსაზრისით, ხოლო სოციალიზმის დროს განათლება გამოდის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ამოცანებიდან. სოციალისტუ-

რი წარმოების მუშაკი უკვე წარმოუდგენელია მაღალი კვალიფიკაციის, შემოქმედებითი აზროვნების, მაღალი მორალური და ესთეტიკური თვისებების გარეშე. იგი არა მარტო მატერიალური დოვლათის შემქმნელია, არამედ სოციალისტური სახელმწიფო მოღვაწეც, რომლის ინტერესები მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით შემოიფარგლება. კაპიტალისტური ცხოვრების წესი მსგავს მოვლენებს ძირშივე გამორიცხავს, უფრო მეტიც, სულ უფრო მწვავე ხდება კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთათვის განათლების პრობლემა.

სსრ კავშირში განათლების განვითარების დონეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 5.

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში განუხრელად იზრდება უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონე პირთა რიცხვი. იგი 1985 წელს, 1959 წელთან შედარებით, გაიზარდა 2-ჯერ.

ამჟამად სწავლების ყველა ფორმით დასაქმებულია თითქმის 100 მლნ. კაცი. უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონე პირთა რიცხვი თუ 1959 წელს შეადგენდა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის 36%-ს, 1986 წელს შეადგინა 70%, ხოლო სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა მიმართ — შესაბამისად 43% და 88%.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის განათლების საშუალო დონე თუ 1959 წელს შეადგენდა 6,7 წელს, 1979 წელს მან მიაღწია 9 წელს, ხოლო 1986 წლისათვის 10 წელს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეცნიერთა გაანგარიშებია. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, საჭიროა განათლების საშუალო დონემ მიაღწიოს 12—13 და 14 წელსაც კი, ამასთან, რაც მთავარია, უნდა გაიზარდოს მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები<sup>83</sup>.

ჯანმრთელობის დაცვა, რომლის წილად მოდის არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა თითქმის 1/4, დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებაში. სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლება ხალხთა ცხოვრების დონის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. გარდა ეკონომიკურისა, დიდია ჯანმრთელობის დაცვის სოციალური დანიშნულება. მისი განვითარება არა მარტო

<sup>83</sup> Саркисян Г. Стратегия ускорения и благосостояние народа. Вопросы экономики, 1987, № 1, с. 19.

სამუშაო, არამედ თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების მნიშვნელოვან წინამძღვრებს ქმნის.

ჯანმრთელობა საზოგადოებრივი სიმდიდრეა და როგორ შეინარჩუნებს მას ადამიანი, როგორ გამოიყენება და იკვლავწარმოება. დამოკიდებულია საზოგადოებრივ წყობილებაზე. ამიტომ გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობა განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვის ხასიათსა და განვითარების გზებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა არ არსებობს. სამედიცინო მომსახურების ხარჯებს თვით მშრომლები ფარავენ თავიანთი შრომითი შემოსავლებიდან. ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების მთავარი წყარო თვით მომხმარებელთა პირადი შემოსავლებია. სამედიცინო მომსახურების „ღირებულება“ იზრდება სწრაფად, ვიდრე სხვა ნებისმიერი მომსახურებისა. მაგალითად, აშშ-ში საავადმყოფოში ერთი დღე-ღამის განმავლობაში ყოფნის ღირებულება 1940—1970 წლებში გაიზარდა 19-ჯერ და მეტად<sup>84</sup>. ამჟამად იგი 100 დოლარს აღემატება. უფრო მეტიც, აპენდიციტის ოპერაცია 200 დოლარზე მეტი ღირს, კუჭის წყლულის — ათას დოლარზე მეტი<sup>85</sup>. აშშ-სა და „ბურჟუაზიული სამოთხის“ სხვა ქვეყნებში მუშაკის ავადმყოფობა ოჯახისათვის წარმოადგენს ფინანსურ კატასტროფას. სამედიცინო მომსახურების სიძვირე იწვევს მკვეთრ უთანაბრობას მის გამოყენებაში. მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენები, განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახები და პენსიონრები, შეზღუდული არიან მიმართონ სამედიცინო დახმარებას. აშშ-ში სამედიცინო მომსახურების მწვევე ნაკლებობას განიცდიან განსაკუთრებით ზანგები, მექსიკელები, პუერტორიკოელები და სხვ. სწორედ ამის შედეგია. რომ მატერიალურად ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახებში სულ უფრო იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც დაკარგეს შრომის უნარი ქრონიკულ დაავადებათა შედეგად. ასე მაგალითად, ასეთ შრომისუუნაროთა ხვედრის წილი მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ოჯახებში შეადგენს 16,5%-ს, ხოლო მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახებში — 4,3%-ს<sup>86</sup>.

სოციალიზმის პირობებში არ არსებობს სოციალური დაბრკოლე-

<sup>84</sup> США: Сфера услуг в экономике. М., 1971. с. 305.

<sup>85</sup> Лисицкий Ю. Социальная «анатомия» здоровья. Коммунист, 1979. № 9, с. 45.

<sup>86</sup> США: Сфера услуг в экономике, с. 307.

ბა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემა ითვალისწინებს რა უფასო სამედიცინო მომსახურებას, ხელმისაწვდომია მოსახლეობის ყველა ფენისათვის. ამასთან, საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ეს ნათლად ჩანს ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონშიც — კონსტიტუციაში: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება.“

ამ უფლებას უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ გაწეული უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, მოქალაქეთა სამკურნალო და ჯანმრთელობის გასაკეთებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის განვითარება და სრულყოფა; ფართო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება; გარემოს გაჯანსაღების ღონისძიებანი: განსაკუთრებული ზრუნვა მოზარდი თაობის ჯანმრთელობისათვის: მათ შორის აკრძალვა ბავშვთა შრომისა, რომელიც დაკავშირებული არ არის სწავლებასა და შრომით აღზრდასთან; დაავადებათა თავიდან აცილებისა და შემცირების, მოქალაქეთა ხანგრძლივი აქტიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად მიმდინარე მეცნიერული კვლევის განვითარება<sup>87</sup>.

საბჭოთა კავშირში მიღწეულია უდიდესი წარმატებები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში. ზოგიერთი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას, მოტანილია დანართში მოცემულ № 6 ცხრილში.

ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვენს ქვეყანაში საავადმყოფო დაწესებულებათა რაოდენობა 1940 წელთან შედარებით, 1985 წელს გაიზარდა თითქმის 1,7-ჯერ, ხოლო 1960 წლიდან ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ეს აიხსნება მათი რეორგანიზაციითა და გამსხვილებით (ამ უკანასკნელმა განაპირობა, აგრეთვე სამკურნალო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რაოდენობის შემცირებაც), რაზეც მიუთითებს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სხვა ძირითადი მაჩვენებლები. სახელდობრ, 1940—1985 წლებში საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა გაიზარდა 4,6-ჯერ, მათ შორის მოსახლეობის 10 ათას

<sup>87</sup> საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). თბილისი, 1977, გვ. 16.

სულზე 3,2-ჯერ. ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მასში დასაქმებულთა რიცხოვნობის მაჩვენებელი. 1940—1985 წლებში ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხოვნობა გაიზარდა 7,5-ჯერ, მათ შორის მოსახლეობის 10 ათას სულზე 5,3-ჯერ, საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა — თითქმის 6,7-ჯერ. განუხრელად იზრდება ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე გაწეული ხარჯები. აღნიშნულ პერიოდში იგი გაიზარდა 21-ჯერ. ჩვენს ქვეყანაში ექიმთა რიცხოვნობა მოსახლეობის 10 ათას სულზე გაანგარიშებით გაცილებით მაღალია (42,0), ვიდრე მსოფლიოს რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაგალითად, აშშ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე 1981 წელს ითვლებოდა 23,3 ექიმი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1984 წელს — 28,7, საფრანგეთში 1983 წელს — 21,7. იაპონიაში 1982 წელს — 18,6 და ა. შ.<sup>88</sup> ამჟამად მსოფლიოში 2,7 მლნ. ექიმაა, აქედან, სსრ კავშირში 1 მლნ. ანუ მსოფლიოში არსებულ ექიმთა 1/3-ზე მეტი<sup>89</sup>. ასევე საბჭოთა კავშირი საავადმყოფო საწოლთა რაოდენობის მხრივაც პირველ ადგილზეა მთელ მსოფლიოში. თუ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის 10 ათას სულზე მოდის 130 საწოლი, ეს მაჩვენებლები აშშ-ში 1982 წელს შეადგენდა 56,5, ბრიტანეთში 1983 წელს — 79,5, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1983 წელს — 109, საფრანგეთში 1983 წელს — 102, იაპონიაში 1982 წელს — 118 და ა. შ.<sup>90</sup>

სსრ კავშირი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც შედარებით დაბალია სიკვდილიანობის კოეფიციენტი. ამ მიმართებით საყურადღებოა სიკვდილიანობის შემცირება უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, რასაც საბჭოთა მედიკოსები ხსნიან ჩვენს ქვეყანაში ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ დაკავშირებული ღონისძიებების გატარებით. განსაკუთრებით შეიმჩნევა სიკვდილიანობის შემცირება იმ ასაკობრივ ჯგუფებში, რომლებიც ყველაზე მეტად იყენებენ მაგარ სასმელებს. 1985—1986 წლებში კავშირში გულ-სისხლძარღვთა დაავადება შემცირდა 100 ათასი კაცი<sup>91</sup>.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ბევრი პრობ-

<sup>88</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 613.

<sup>89</sup> Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 88.

<sup>90</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 614.

<sup>91</sup> Саркисяч Г. Стратегия ускорения и благосостояние народа. Вопросы экономики. 1987, № 1, с. 20.

ლემა რჩება გადაუწყვეტელი. ამიტომ ჭანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის (როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად) გზების განსაზღვრა. XII ხუთწლედში დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის ჭანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას. სამედიცინო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგება თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები, გაძლიერდება დაავადებათა პროფილაქტიკა, გაუმჯობესდება სამედიცინო ტექნიკა, ამაღლდება სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ეფექტიანობა, გატარდება მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერია.

პარტიის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანები ითვალისწინებს საბჭოთა ბალხის განუხრელად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებას. „...მათი განხორციელება კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს სოციალისტური ცხოვრების წესს, რომელშიც მატერიალური კეთილდღეობა ორგანულად ერწყმის მშრომელთა სულიერი კულტურის, შემოქმედებითი აქტივობის ყოველმხრივ ზრდას“<sup>92</sup>. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტაში მატერიალურ წარმოებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაწარმოებითი სფეროს დაჩქარებულ განვითარებას.

---

<sup>92</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 408.

## თ ა ვ ი III.

### არაწარმოვებითი სფეროს განვითარების რეგონული პროგნოზი

#### § 1. არაწარმოვებითი სფერო საწარმოო ძალის ტერიტორიული ორგანიზაციის სისტემაში

სოციალიზმის სრულყოფის პირობებში ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რაიონებს (მოკავშირე რესპუბლიკებს) შორის არსებითი სოციალურ-ეკონომიკური განსხვავების თანდათანობით წაშლა, მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეში განსხვავების მინიმუმამდე დაყვანის გზების განსაზღვრა და მეცნიერული დასაბუთება მეტად აქტუალური პრობლემაა. ამ მრავალმხრივ პრობლემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არაწარმოებითი სფეროს რეგონული ორგანიზაციისა და მისი სპეციფიკური კანონზომიერების შესწავლის საკითხებს.

ჩვენი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, რომელიც მოიცავს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობას, ეკონომიკის განვითარების ყველა ეტაპზე, ორგანულადაა დაკავშირებული საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებასთან. ქვეყნის საწარმოო ძალების ტერიტორიული ორგანიზაციის სრულყოფის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ XXVII ყრილობამ: „სრულყოფით საწარმოო ძალების განლაგება, გავაძლიეროთ რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის განვითარების კომპლექსურობა და სპეციალიზაცია, გავზარდოთ მათი წვლილი ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განმტკიცებასა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში“<sup>1</sup>.

საწარმოო ძალების ოპტიმალური განლაგების ამოცანების გადა-

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მახალხი, გვ. 425.



წყვეტა უკავშირდება რიგი ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობას. ამასთან, საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე წარმოიქმნება ესა თუ ის ტენდენციები და კანონზომიერებანი, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოქმნიან ახალ ფაქტორებს, ან სახეს უცვლიან არსებულს. ის ფაქტორები, რომლებსაც ადრე პირველხარისხოვანი როლი ენიჭებოდათ საწარმოო ძალების რაციონალურ განლაგებაში, ადგილს უთმობენ ახალ ფაქტორებს. ამასთან, ფაქტორთა ერთი ჯგუფის როლი იზღუდება, ხოლო მეორე ჯგუფის როლი კოლოსალურად იზრდება. ასე მაგალითად, თანამედროვე ეტაპზე საწარმოო ძალების განლაგებაში პრიორიტეტი ენიჭება სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს. ფაქტორთა ეს ჯგუფი უშუალოდ უკავშირდება მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და მათ შრომით საქმიანობას.

საწარმოო ძალების განლაგების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს ეკონომიკური მეცნიერება ძირითადად ყოფს ოთხ ჯგუფად:

1. მოსახლეობა და შრომითი რესურსები, როგორც საზოგადოებრივი წარმოების სუბიექტი და საფუძველი; მოსახლეობა, როგორც მწარმოებელი და მომხმარებელი.

2. წარმოებითი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების ფუნქციონირებასთან, მის სპეციალიზაციისა და კომბინირების სრულყოფასთან, ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების ფორმირებასთან და ა. შ.

3. არაწარმოებითი ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება არაწარმოებითი სფეროს დაწესებულებათა და ორგანიზაციების შექმნასა და განვითარებას, მშრომელთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

4. ცხოვრების დონე.

ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონული სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმის შემადგენელი ნაწილის, დინამიურ განვითარებაში. ამასთან, მათ შორის არსებობს მკიდრო ურთიერთკავშირი. მაგალითად, ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების მშენებლობა და განვითარება დიალექტიკურ ერთიანობაშია არაწარმოებითი სფეროს მთელ სისტემასთან. ამა თუ იმ რეგიონის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ზრდა დიდადაა დამოკიდებული მატერიალური წარ-

მოებისა და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალურ თანაფარდობაზე, არაწარმოებითი სფეროს დარგთა სწორ ორგანიზაციაზე. არაწარმოებითი სფეროს განვითარება მრავალმხრივ უკავშირდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანათა გადაწყვეტას. მან უნდა უზრუნველყოს წოცემული რეგიონის მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლება. აქედან გამომდინარე, რეგიონში ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, ხელოვნების, სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამგზავრო ტრანსპორტისა და არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგების მეცნიერულად დასაბუთებული ვარიანტის მიხედვით განვითარება რეგიონული ეკონომიკისა და პოლიტიკის მთავარი ამოცანაა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე, გამორიცხავს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის მეურნეობის დაქუცმაცებულობასა და კარჩაკეტილობას, რაც მატერიალური და შრომითი რესურსების მანევრირების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს მათ განაწილებას საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამასთან, ეკონომიკის ერთიანობა არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მოითხოვს რეგიონთა განსაზღვრულ სამეურნეო დამოუკიდებლობას. თითოეული მათგანი თავის განვითარებაში ეყრდნობა იმ მატერიალური და შრომითი რესურსების ერთობლიობას, რომლებსაც იგი ფლობს და რომელიც სამეურნეო პროპორციების დადგენის ობიექტური საფუძველია. მოკავშირე რესპუბლიკათა განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალი, ინდუსტრიული განვითარების სხვადასხვა დონე განსაზღვრავს მათ განსხვავებულ სახალხო-სამეურნეო პროპორციებს, რომლებიც, ბუნებრივია, განსხვავდება მთელი ქვეყნის შესაბამისი პროპორციებისაგან.

ცალკეულ რეგიონში არაწარმოებითი სფეროს განვითარება ეყრდნობა სოციალიზმის ეკონომიკურ კანონთა შეგნებულ გამოყენებას. იგი მიზნად ისახავს სტრატეგიული და მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტას მოცემული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განხორციელებას აქვს მკვეთრად გამოხატული რეგიონული ასპექტი, ვინაიდან, ჯერ ერთი, საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობა და ყოველმხრივი განვითარება შეუძლებელია მოსახლეობის ცხოვ-

რების წესსა და დონეში არსებითი რეგიონული განსხვავების მოსპობის ვარეშე, მცორე, საზოგადოებრივი შრომის ტერიტორიული დაწაწილების ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ყოველ რეგიონში ისეთი პირობების შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს ხალხთა კეთილდღეობის მაღალ დონეს. ამიტომ საწარმოო ძალთა ტერიტორიულ ორგანიზაციაში დომინირებული ადგილი უჭირავს ცხოვრების დონის ამაღლების პრობლემებს. ამასთან, საწარმოო ძალთა რაციონალური განლაგება, ბუნებრივი პირობებისა და არსებული შრომითი რესურსების გათვალისწინებით, უშუალოდ უკავშირდება სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების დონეთა არსებითი დაახლოებისა და მათი შემდგომი გათანაბრების პრობლემებს.

მოსახლეობის ცხოვრების დონის დიფერენციაცია განპირობებულია სხვადასხვა ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებით. ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებს მიეკუთვნება: მატერიალური წარმოების მოცულობა და სტრუქტურა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტემპების თანაფარდობა და სტრუქტურა, მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის თანაფარდობა, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დინამიკა და სტრუქტურა, საცალო ვაჭრობის მოცულობა და სტრუქტურა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დონე და სხვა. ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებია: ცალკეული რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, მიწის ნაყოფიერება, წელიწადის ცალკეული სეზონის ხანგრძლივობა და ა. შ. ცხოვრების დონეზე ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების გავლენა გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პირობებია საჭირო სამუშაო ძალის კვლავწარმოებისათვის. მაგალითად, უკიდურეს ჩრდილოეთში, მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო, სამუშაო ძალის ერთიან დონეზე კვლავწარმოებისათვის საჭიროა უფრო მეტი საარსებო სამუშალებანი, ვიდრე სამხრეთ რაიონებში, ვინაიდან ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება ჩრდილო რაიონებში მოითხოვს უფრო მეტ ენერჯის ხარჯვას, ვიდრე სამხრეთში. ამიტომ ჩრდილოეთ რაიონებში კვება უნდა იყოს უფრო კალორიული, ამასთან იქ უფრო მეტია მოთხოვნა თბილ ტანსაცმელზე, გათბობაზე და ა. შ. აქედან გამომდინარე, შრომის თანაბარი დანახარჯების პირობებში, სხვადასხვა რეგიონში ცხოვრების პირობების დიფერენციაციის გამო, სამუშაო ძალის კვლავ-

წარმოებისათვის აუცილებელია სხვადასხვა რაოდენობისა და ხარისხის საარსებო საშუალებანი.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ფასიანი მომსახურების სიდიდეც. მთელი რიგი ფასიანი მომსახურების ოდენობა, ქვეყნის სხვადასხვა ეკონომიკურ რაიონში, ერთი და იგივეა (მაგალითად, საბინაო გადასახადი ქვეყნის ყველა რაიონში ერთია — 1<sup>2</sup> მეტრზე — 13 კაპ.). განსხვავებული ტარიფებია სხვადასხვა რაიონში ცენტრალურ გათბობაზე, წყალსადენის ქსელით მომსახურებაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე (სხვადასხვა ფასი აქვს ბილეთებს თეატრში, კინო-თეატრში, მუზეუმებში, ცირკში, სტადიონებზე და ა. შ.). ასევე მკვეთრად განსხვავდება ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის რემონტის, სამრეცხაოების, აბანოების, საპარიკმახე-როებისა და ა. შ. მომსახურების ფასები. ყოველივე ეს ასახვას პოულობს ცხოვრების დონის დიფერენციაში, სადაც, ჩვენი აზრით, გამოიკვეთება ასეთი კანონზომიერი ურთიერთკავშირი: არაწარმოებითი სფეროს განვითარება მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი პირობაა, ხოლო ეს უკანასკნელი ფასიანი მომსახურების მოცულობის გაფართოების სტიმული და წანამძღვარია.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებათა ანალიზი მოითხოვს შესწავლილ იქნეს მოსახლეობის მიერ საქონლისა და მომსახურების მოხმარების დონე. სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, რომ ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკაში მცხოვრებნი ხასიათდებიან მოხმარების სხვადასხვა დონით. ეს განპირობებულია იმით, რომ მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონე, მისი მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება, ერთი მხრივ, მოსახლეობის შემოსავლებით, ხოლო მეორე მხრივ, არაწარმოებითი სფეროს განვითარების დონით. მოსახლეობის შემოსავლების თანდათანობითი გათანაბრება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარებაში ტერიტორიული განსხვავების შემცირებაზე. არაწარმოებითი სფეროს განვითარება მიზნად ისახავს თანაბრად დააკმაყოფილოს სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რაიონის მოსახლეობის, მოცულობითა და სტრუქტურით განსხვავებული მოთხოვნილებანი, ხელი შეუწყოს არსებითი განსხვავების დაძლევის მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეში. ამ მხრივ არაწარმოებითი სფეროს განვითარება ხელს უწყობს რეგიო-

ნული პოლიტიკის წარმატებით გადაწყვეტას (ქვეყნის ცალკეული რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონეთა სისტემატურ გათანაბრებას, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების რაციონალურ განაწილებას და ა. შ.).

ამრიგად, ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რაიონების ცხოვრების დონის დაახლოება შესაძლებელია არა მხოლოდ შემოსავლების სიდიდეში განსხვავების შემცირებით, არამედ ცხოვრების თანაბარი პირობების შექმნით. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს განსხვავების აბსოლუტურ ლიკვიდაციას. ამის შესახებ ფ. ენგელსი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ცალკე ქვეყნებსა, პროვინციებსა და თვით ადგილებს შორისაც კი ყოველთვის იქნება ცხოვრების პირობების განსაზღვრული უთანასწორობა, რომლის მინიმუმამდე დაყვანა შეიძლება, მაგრამ სრულიად მოსპობა კი — არა“<sup>2</sup>.

არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალურ განვითარებას მეთორმეტე ხუთწლედსა და ხანგრძლივი პერიოდის პერსპექტივაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონთა განსხვავებული ცხოვრების დონის გათანაბრებასა და ცხოვრების პირობებში არსებული უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანაში\*. ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს იმ ფაქტორების გამოვლენას, რომლებიც განაპირობებენ არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებებს.

არაწარმოებითი სფეროს ტერიტორიულ-დარგობრივი კომპლექსის განვითარებას განსაზღვრავს: 1) რეგიონში მატერიალური წარმოების განვითარების დონე და თავისებურებანი; 2) მოსახლეობის სოციალური, ეროვნული, სქესობრივი, ასაკობრივი სტრუქტურა; 3) მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე; 4) ბუნებრივ-კლიმატური პირობები, 5) ურბანიზაციის პროცესი; 6) არაწარმოებითი სფეროს ცალკეულ დარგთა ეკონომიკური განვითარების დონე. ეს სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები ამა თუ იმ რეგიონში თავისებურად გამოვლინდებიან და განაპირობებენ არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებებს. სახელდობრ, მატერიალური წარმოების განვითარების დონე და თავისებურებანი, მისი დარგობრივი სტრუქტურა განსაზღვრავს არაწარმოებითი სფეროს

<sup>2</sup> ფ. ენგელსი. წერილი ა. ბებელს. 1875 წ. 18—28 მარტი. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარები, ტ. 11, გვ. 41.

\* შენიშნავთ, რომ რეგიონთა განსხვავებული ცხოვრების დონე მოსახლეობის მივრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

განვითარების მიმართულებასა და ზრდის ტემპებს. როგორც ცნობილია, არაწარმოებითი სფეროს განვითარების განმსაზღვრელი პირობაა ეროვნული შემოსავლის წარმოების გადიდება. ეს უკანასკნელი წყაროა იმ დანახარჯების დაფარვისა, რომელიც ემსახურება არაწარმოებითი სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას, მასში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ა. შ. არაწარმოებითი სფეროს განვითარებისათვის დანახარჯთა ფორმირება მიმდინარეობს ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების გზით. როგორც ფასიან, ისე უფასო მომსახურებას აქვს დაფარვის ერთიანი წყარო — ეროვნული შემოსავალი. ამასთან, უფასო მომსახურებაზე გაწეული დანახარჯები იფარება ეროვნული შემოსავლიდან პირდაპირი დაქვეითვის ხარჯზე, ხოლო ფასიანი მომსახურების ხარჯები იფარება მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ხარჯზე, ე. ი. ეროვნული შემოსავლის გადანაწილების საფუძველზე. ამიტომ, თუ რეგიონი ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებადაა განვითარებული, მაშინ, ბუნებრივია, დაბალია იქ მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და ა. შ. განვითარების დონე. ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებს მატერიალურ წარმოებასთან ერთად, არაწარმოებითი სფეროც უფრო აქვთ განვითარებული, ვიდრე შედარებით ნაკლებ განვითარებულ რესპუბლიკებს.

მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების დონეთა თანაფარდობის გამოსახატავად, როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, შედარებით უფრო ზუსტ და რეალურ სურათს იძლევა არა მთლიანად სახალხო მეურნეობიდან (მათ შორის სოფლის მეურნეობიდან) მიღებული ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი, არამედ მრეწველობის წმინდა პროდუქციის მაჩვენებელი<sup>3</sup>. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე და არა მხოლოდ შრომის ნაყოფიერებაზე, რაც გავლენას ახდენს ეროვნული შემოსავლის სიდიდეზე. ამ თვალსაზრისით მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიული განვითარების დონეზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი № 7.

<sup>3</sup> Хорев Б. С. Территориальная организация общества. М., 1981, с. 40—41.

მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიული განვითარების დონე მრეწველობის წმინდა პროდუქციის მიხედვით (1985 წ.)<sup>4</sup>

მოკავშირე რესპუბლიკები	მრეწველობის წმინდა პროდუქციის ინდექსი (საშუალო საკავშირო დონე — 1,000)	მოკავშირე რესპუბლიკები	მრეწველობის წმინდა პროდუქციის ინდექსი (საშუალო საკავშირო დონე — 1,000)
ლატვია	1,359	მოლდავეთი	0,730
ბელორუსია	1,272	აზერბაიჯანი	0,639
ესტონეთი	1,246	ყივიზეთი	0,496
რსფსრ	1,217	ყაზახეთი	0,448
სომხეთი	1,052	უზბეკეთი	0,415
ლიტვა	0,940	ტაჯიკეთი	0,338
უკრაინა	0,928	თურქმენეთი	0,296
საქართველო	0,846		

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიული განვითარების დონის მაქსიმალური (ლატვია — 1,359) და მინიმალური (თურქმენეთი — 0,296) მაჩვენებლები იმყოფებიან თანაფარდობაში 4,6:1. ამასთან, ინდუსტრიული განვითარების მაღალი დონით (საშუალო საკავშიროზე მაღლა) გამოირჩევა ლატვია, ბელორუსია, ესტონეთი, რსფსრ, ხოლო შუა აზიის რესპუბლიკები, სადაც ტრადიციულად, ჯერ კიდევ მაღალია აგარარული სექტორის ხვედრი წილი, იმყოფებიან ბოლო ადგილებზე.

მოკავშირე რესპუბლიკების ინდუსტრიული განვითარების დონესთან მკიდრო კავშირშია მშრომელთა ცხოვრების დონის მაჩვენებელი. რეგიონული წარმოებით-ეკონომიკური განსხვავება იწვევს განსხვავებას მოსახლეობის ცხოვრების დონეში. ვინაიდან წარმოებული ეროვნული შემოსავლის 3/4 მიდის მოხმარებაზე, ამიტომ ცხოვრების დონის ყველაზე უფრო განმაზოგადებელი მაჩვენებელია მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მაჩვენებელი. ამ უკანასკნელის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკების რანჟირება იძლევა შემდეგ სურათს (იხ. ცხრილი № 8).

<sup>4</sup> ცხრილი შედგენილია შემდეგი მასალების საფუძველზე: Народное хозяйство СССР в 1984 г. Стат. ежегодник. М., 1985, с. 8. Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 8. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები.

მოკავშირე რესპუბლიკები მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული  
ეროვნული შემოსავლის მიხედვით (1985 წ.)<sup>5</sup>

მოკავშირე რეს- პუბლიკები	ინდექსი (საშუალო საკავშირო დონე — 1,000)	მოკავშირე რეს- პუბლიკები	ინდექსი (საშუალო საკავშირო დონე — 1,000)
ლატვია	1,267	აზერბაიჯანი	0,827
ესტონეთი	1,208	მოლდავეთი	0,819
რსფსრ	1,145	ყაზახეთი	0,766
ბელარუსია	1,130	თურქმენეთი	0,663
ლტვა	1,029	ყირგიზეთი	0,585
საქართველო	0,990	უზბეკეთი	0,577
სომხეთი	0,929	ტაჯიკეთი	0,500
უკრაინა	0,910		

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ მოკავშირე რესპუბლიკების მაქსიმალურ (ლატვია — 1,267) და მინიმალურ (ტაჯიკეთი — 0,500) მაჩვენებლებს შორის თანაფარდობაა 2,5:1. ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების რანჟირება ცხოვრების დონის ამ ყველაზე განმარტვადებელი მაჩვენებლის მიხედვით — მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობის მხრივ, მკიდრო კავშირშია მათ განაწილებასთან ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით — მოსახლეობის ერთ სულზე მრეწველობის წმინდა პროდუქციის წარმოების მხრივ. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი № 9.

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, ინდუსტრიულად ნაკლებ განვითარებული რესპუბლიკები შესაბამისად ხასიათდებიან მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების შედარებით დაბალი დონით.

მოსახლეობის სოციალური, ეროვნული, სქესობრივი და ასაკობრივი სტრუქტურა გამოხატულებას პოულობს მოთხოვნილებათა მოცულობასა და სტრუქტურაში. ესა თუ ის რეგიონი შეიძლება წინ უსწრებდეს სხვა რეგიონს არაწარმოებითი სფეროს განვითარების დონით.

<sup>5</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.



მოკავშირე რესპუბლიკების ადგილი ინდუსტრიული განვითარების დონისა და მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით (1945 წ.)<sup>6</sup>

მოკავშირე რესპუბლიკები	ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე მრეწველობის დონა კაოდუქსის წარმოებას მიხედვით	ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით	მოკავშირე რესპუბლიკები	ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით	ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მიხედვით
ლატვია	1	1	მოლდავეთი აზერბაიჯანი	9	10
ბელორუსია	2	4	ყიროვნი	10	9
ესტონეთი	3	2	ყაზახეთი	11	13
რსფსრ	4	3	უზბეკეთი	12	11
სომხეთი	5	7	ტაჯიკეთი	14	14
ლიტვა	6	5	თურქმენეთი	15	15
უკრაინა	7	8			12
საქართველო	8	6			

ნით, მაგრამ მასში მოსახლეობის მოთხოვნილებანი, სხვა რეგიონთან შედარებით, შეიძლება იყოს უფრო მაღალი, რის გამოც მათი დაკმაყოფილების ხარისხი იქნება შედარებით დაბალი. მაგალითისათვის ავიღოთ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. მოსახლეობის რიცხოვნობაში ახალგაზრდობის მაღალი ხვედრიწილი ზრდის მოთხოვნილებას სკოლამდელი დაწესებულებების მიმართ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიმართ და ა. შ.

მჭიდრო კავშირი არსებობს არაწარმოებითი სფეროს განვითარებასა და მოსახლეობის რიცხოვნობას შორის. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ორმაგ გავლენას ახდენს არაწარმოებითი სფეროს განვითარებაზე. ჯერ ერთი, იგი ადიდებს მოთხოვნას არაწარმოებით მომსახურებაზე, მეორე, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის შესაბამისად იქმნება ობიექტური აუცილებლობა არაწარმოებით სფეროში დასაქმების გადიდებისათვის. ამასთან, იმის გამო, რომ მოსახლეობის ზრდა არაა უცვლელი, ამ ფაქტორის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პერსპექტიულ დაგეგმვაში.

<sup>6</sup> ცხრილი შედგენილია № 7 და № 8 ცხრილების საფუძველზე.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები იწვევენ რეგიონულ განსხვავებას მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონეში. ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რაიონები და მოკავშირე რესპუბლიკები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სსრკ ტერიტორიის ნახევარზე მეტი (56%) უკავია ჩრდილოეთის ცივ, მიწათმოქმედებისათვის არახელსაყრელ ზონას, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით. ტერიტორიის დაახლოებით 15% უკავია შუა აზიისა და ყაზახეთის ნაკლებად დასახლებულ უდაბნოებს. ე. ი. ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 70% არახელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობების მქონე რაიონებია. ამასთან, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ძალზე განსხვავებულია ქვეყნის ტერიტორიის დანარჩენი 30%. ყოველივე ეს უდიდეს გავლენას ახდენს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფორმირებასა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე. მათ არსებითი მნიშვნელობა ენიჭებათ ამა თუ იმ რეგიონის მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს შორის პროპორციების დადგენაში, არაწარმოებითი სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და მისი სტრუქტურის განსაზღვრაში.

მოსახლეობის ურბანიზაციის პროცესში განსხვავება გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური რეგიონული პროპორციების ჩამოყალიბებაზე. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ზემოქმედებს არაწარმოებითი სფეროს განვითარებაზე. ჩვენი ქვეყნის თითოეული მოკავშირე რესპუბლიკისათვის კანონზომიერი პროცესია ქალაქის მოსახლეობის ჩქარი ტემპით გადიდება, რაც სამრეწველო-ინდუსტრიული ზრდის გამოხატულებაა. მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 10.

აღნიშნულ ცხრილს თუ შევეუდარებთ № 7 ცხრილს, დავინახავთ, რომ ურბანიზაციის მაღალი დონით ხასიათდებიან მაღალი ინდუსტრიული რესპუბლიკები. ამასთან, მიუხედავად ურბანიზაციის არათანაბარი პროცესისა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის 1940—1985 წლებში დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის ჩქარი ტემპით გადიდება. მაგალითად, ამ პერიოდში მოლდავეთისა და სომხეთის სსრ-ში ქალაქის მოსახლეობა გადიოდა 5,7-ჯერ, ტაჯიკეთში — 5,3-ჯერ, ყა-

ზახეთში — 5,1-ჯერ, უზბეკეთსა და ყირგიზეთში — 4,8-ჯერ, ლიტვაში — 3,5-ჯერ, ბელორუსიასა და თურქმენეთში — 3,4-ჯერ. ესტონეთსა და აზერბაიჯანში — 3-ჯერ, რსფსრ-სა და ლატვიაში — 2,9-ჯერ. საქართველოსა და უკრაინაში — 2,5-ჯერ. ქალაქის მოსახლეობის ზრდა თავისებურ მოთხოვნებს უყენებს არაწარმოებითი სფეროს განვითარებას და წარმოშობს რეგიონული პოლიტიკის სერიოზულ პრობლემებს. ამიტომ მსხვილი და უმსხვილესი ქალაქების მოსახლეობის ზრდის შეზღუდვის პოლიტიკა სავსებით სწორ ღონისძიებას წარმოადგენს.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენით ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკათა არაწარმოებითი სფეროები არათანაბრადაა განვითარებული, რაც კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს ცალკეული დარგების მიხედვით. მოკავშირე რესპუბლიკათა არაწარმოებითი სფეროების განვითარების ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 11 და სქემა № 2. როგორც ცხრილიდან ჩანს, არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ხვედრიწილით გამოირჩევა ამიერკავკასიის რესპუბლიკები, რსფსრ, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან — ლატვია და ესტონეთი, ხოლო ყველაზე დაბალი ხვედრიწილით — მოლდავეთის სსრ. დასაქმების მაქსიმალურ (საქართველოს სსრ — 29,9) და მინიმალურ (მოლდავეთის სსრ — 22,3) დონეებს შორის თანათარობაა 1,3:1. ჩვენი აზრით, სავსებით სწორია არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ხვედრიწილი ახასიათებდეს ისეთ რესპუბლიკებს, როგორცაა ლატვია, რსფსრ, ესტონეთი, რომლებიც ინდუსტრიული განვითარებისა და მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მოცულობის მიხედვით იმყოფებიან წინა ადგილებზე, ხოლო ისეთი რესპუბლიკების, როგორცაა ყაზახეთის, ყირგიზეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს (რომლებიც აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით ხასიათდებიან გაცილებით დაბალი დონით) არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ხვედრიწილი არ მიგვაჩნია სწორად, ყოველ შემთხვევაში ამ რესპუბლიკების არაწარმოებით სფეროში დასაქმების ხვედრიწილი არ უნდა აღემატებოდეს მათზე ბევრად განვითარებული რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებელს (იხ. ცხრილი № 9).

დანართში მოტანილი ცხრილი № 11 და სქემა № 2 გვიჩვენებს მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, არაწარმოებითი სფეროს ძირითად

თად დარგთა განვითარების მკვეთრად განსხვავებულ სურათს. მაგალითად, 1985 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 10 ათას სულზე მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობის საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევა რსფსრ და სომხეთის სსრ (68 და 62), ხოლო საკმაოდ დაბალი დონით თურქმენეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ (17 და 18). რსფსრ-ში მოსახლეობის ყოველ 10 ათას სულზე მოდის 4-ჯერ მეტი მეცნიერ მუშაკი, ვიდრე თურქმენეთის სსრ-ში.

– განათლების შესახებ სტატისტიკური მონაცემები შემდეგ სურათს გვაძლევს: 1985 წელს თურქმენეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე გამოშვებული იქნა 22 უმაღლესდამთავრებული, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სომხეთის სსრ-ში შეადგენდა 34, ე. ი. 1,5-ჯერ მეტს. იმავე წელს ტაჯიკეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე გამოშვებული იქნა 21 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, ხოლო სომხეთის სსრ-ში — 48, ე. ი. დაახლოებით 2-ჯერ მეტი. ასევე, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხოვნობის მაჩვენებელიც მკვეთრად განსხვავებულია ცალკეული რეგიონების მიხედვით. მაგალითად, 1985 წელს, ტაჯიკეთის სსრ-ში უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რიცხოვნობა მოსახლეობის 10 ათას სულზე შეადგენდა 118, ხოლო რსფსრ-ში — 206, ე. ი. 1,7-ჯერ და კიდევ უფრო მეტს. აღნიშნულ პერიოდში საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხოვნობა მოსახლეობის 10 ათას სულზე ტაჯიკეთის სსრ-ში შეადგენდა 86, ხოლო ყაზახეთის სსრ-ში 173, ე. ი. 2-ჯერ მეტს.

მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით განსხვავებულია აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. სახელდობრ, 1985 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე ტაჯიკეთის სსრ-ში მოდიოდა 26,6 ექიმი, ხოლო საქართველოს სსრ-ში — 54,2 ე. ი. 2-ჯერ მეტი. საშუალო სამედიცინო პერსონალის მიხედვით ეს მაჩვენებელი ტაჯიკეთის სსრ-ში შეადგენდა 71,7, ხოლო ლატვიის სსრ-ში 126,2, ე. ი. თითქმის 1,8-ჯერ მეტს. იმავე წელს სომხეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე მოდიოდა 83,5 საავადმყოფო საწოლი, ლატვიის სსრ-ში კი — 140,0 ე. ი. თითქმის 1,7-ჯერ მეტი.

მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გაანგარიშებამ გვიჩვენ-

ნა კიდევ უფრო მეკეთრად განსხვავებული სურათი. მაგალითად, 1985 წელს უზბეკეთის სსრ-ში მოსახლეობის ერთ ადამს სავადაცხოვრებო მომსახურების მოცულობა შეადგენდა 21.13 მანეთს მანში. როდესაც ეს მაჩვენებელი ლატვიის სსრ-ში უტოლდებოდა 63,53 მანეთს, ე. ი. 2,6-ჯერ მეტს.

სტატისტიკური მასალებს ანალიზმა გვიჩვენა, რომ პრობულ განსხვავებასთან ერთად მიმდინარეობს აღნიშნულ დარტთა განვითარების დონეთა გათანაბრების პროცესი. ასე მაგალითად, 1965 წელს მოლდავეთის სსრ-ში მეცნიერ მუშაეთა რიცხოვნობა მოსახლეობის 10 ათას სულზე შეადგენდა სომხეთის სსრ-ში შესაბამისი დონის 20 %-ს, ხოლო 1985 წელს 39%-ს\*. 1965 წელს მოლდავეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე გამოშვებული იქნა საქარტველოს სსრ-ს მიერ გამოშვებულ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხოვნობის მსოლოდ 52%. 1985 წელს კი — 71%. 1965 წელს ტაჯიკეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე გამოშვებული იქნა ლიტვის სსრ-ს მიერ გამოშვებული საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხოვნობის 42%, ხოლო 1985 წელს — 53.4%. 1965 წელს ტაჯიკეთის სსრ-ში მოსახლეობის 10 ათას სულზე ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხოვნობა შეადგენდა საქარტველოს სსრ-ს შესაბამისი დონის 42%-ს, ხოლო 1985 წელს — 49,1%-ს. 1965 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობის მიხედვით ტაჯიკეთის სსრ შეადგენდა ესტონეთის შესაბამისი დონის მსოლოდ 48%-ს, 1985 წელს კი შეადგინა — 62,7%. 1965 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე საავადმყოფო საწოლების რიცხვი საქარტველოს სსრ-ში შეადგენდა ლატვიის სსრ-ს შესაბამისი დონის 73%-ს, ხოლო 1985 წელს შეადგინა — 76%. 1965 წელს ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკებიდან მოსახლეობის ერთ სულზე სავადაცხოვრებო მომსახურების მოხმარების მინიმალური დონით ხასიათდებოდა უზბეკეთის სსრ (4,88 მან.), ხოლო მაქსიმალური დონით — ლატვიის სსრ (17,86 მან.). 1985 წელს მოსახლეობის ერთ სულზე სავადაცხოვრებო მომსახურების მოხმარება უზბეკეთში შეადგენდა 24.13 მან., ხოლო ლატვიაში — 63,53 მან. თუ 1965 წელს უზბეკეთის სსრ-ში სავადაცხოვრებო მომსახურების მოხმარება შეადგენდა ლატვიის დონის მსოლოდ 27%-ს, 1985 წელს უკვე შეადგინა 38%. მოტანილი ციფრები

\* შევნიშნათ, რომ ჩვენ მიერ მოტანილ მაგალითებში შედარებულია მინიმალური და მაქსიმალური დონის მქონე რესპუბლიკები.

ნათლად გვიჩვენებს მოკავშირე რესპუბლიკების არაწარმოებითი სფეროს აღნიშნულ დარგთა განვითარების დონეებში არსებითი განსხვავების თანდათანობით შემცირებას. ეს კანონზომიერი პროცესი დამახასიათებელია არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგებისთვისაც.

არაწარმოებითი სფეროს ცალკეული დარგების განვითარების დონეში არსებულ განსხვავებათა თანდათანობითი შემცირების პროცესის გამოკვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მისი განვითარების ტერიტორიული რეგულირების საბოლოო მიზანია ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის ერთმანეთისაგან მოცულობითა და სტრუქტურით განსხვავებულ მოთხოვნილებათა თანაბრად დაკმაყოფილებას. არაწარმოებითი სფეროს განვითარების თანაბარი დონის მიღწევა ნიშნავს არა უბრალოდ ამ სფეროს განვითარების რეგიონული მაჩვენებლების დაახლოებას საშუალო-საკავშირო დონესთან, არამედ რეგიონებს შორის დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო განსხვავების აღმოფხვრას. „ძირითად მიმართულებებში“ აღნიშნულია: „...უზრუნველვეყოთ ყოველ მოკავშირე რესპუბლიკასა და ყოველ ეკონომიკურ რაიონში ეკონომიკური და სოციალური განვითარების რაციონალური შეხამება, გაუუმჯობესოთ მათი ურთიერთმოქმედება ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში“<sup>7</sup>.

მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით არაწარმოებითი სფეროს დარგების განვითარების დონეთა გათანაბრება რთული და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. იგი მიმდინარეობს თანდათანობით, როგორც ეკონომიკური განვითარების საერთო დონის გათანაბრებით და აუცილებელი მატერიალური წინამძღვრების შექმნით, ისე ტერიტორიული დაგეგმვის სრულყოფის გზით. ეს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო და ამასთან, რეგიონული პრობლემაა.

**§ 2. არაწარმოებითი სფეროს განვითარების თავისებურებანი  
საქართველოს სსრ-ში და მისი პროგნოზირების  
მეთოდოლოგიური საფუძვლები**

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სრულყოფის ამოცანები განაპირობებენ არაწარმოებითი სფეროს შესაბამის განვითარებას როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ცალკეული რეგიონის ფარგლებში.

<sup>7</sup> აბუთა კავშირის კომენისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, გვ. 489.  
134

საქართველოს სსრ-ს, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების არაწარმოებითი სფეროსათვის, დამახასიათებელია განვითარების საერთო კანონზომიერებანი. ეს კანონზომიერებანი, რომლებიც განისაზღვრება სოციალიზმის ეკონომიკური კანონების არსით, შემდეგია: ა) არაწარმოებითი სფეროს სწრაფი ზრდა, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი განვითარება; ბ) არაწარმოებითი სფეროს სულ უფრო მხარდი როლი ხალხთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში; გ) არაწარმოებითი სფეროს გავლენა სოციალისტური ცხოვრების წესის ფორმირებასა და სრულყოფაზე. ამასთან, რეგიონის (საქართველოს სსრ) არაწარმოებითი სფერო ვითარდება სპეციფიკური ნიშან-თვისებების მიხედვით, რომლებიც განაპირობებენ მისი განვითარების თავისებურებებს. ეს თავისებურებანი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება სახალხო მეურნეობის სფეროებს შორის საზოგადოებრივი შრომის განაწილებაში, არაწარმოებით სფეროში დასაქმების დარგობრივ სტრუქტურაში. მასში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა რიცხოვნობაში, მოსახლეობის ერთ სულზე სხვადასხვა სახის მომსახურების მოცულობაში, არაწარმოებითი დანიშნულების კაპიტალ-დაბანდებებისა და არაწარმოებითი ძირითადი ფონდების მოცულობაში და ა. შ.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ღრმა ცვლილებებს იწვევს დასაქმების თანაფარდობაში მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებით სფეროებს შორის. მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა ზვედრიწილის თანდათანობით დაცემა, ხოლო არაწარმოებით სფეროში — ზრდა, საწარმოო ძალების განვითარების შედეგია და დამახასიათებელია ყველა განვითარებული ქვეყნისათვის. ამასთან, ეს კანონზომიერი პროცესი სხვადასხვანაირად ვლინდება ამა თუ იმ რეგიონში.

არაწარმოებითი სფეროს სასარგებლოდ საზოგადოების შრომის განაწილებისა და გადანაწილების პროცესი განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ჯერ ერთი, დაჩქარებული სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვნად აფართოებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ჩარჩოებს, განუზომლად ზრდის ინტელექტუალური საქმიანობის და შრომის იმ სახეების მნიშვნელობას, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული ნივთობრივი პროდუქტის შექმნასთან და უზრუნველყოფენ განსაკუთრებული სახის სახმარი ღირე-

ბუღეზის — მომსახურების წარმოებას; მეორე, ინფივრდუალურ მო-  
თხოვნილობათა სტრუქტურაში სულ უფრო ისრდება მოთხოვნილობა-  
ნი სხვადასხვა სახის მომსახურების მიმართ; მესამე, მატერიალური  
წარმოებისაგან განსხვავებით, არაწარმოებით სფეროში შრომითი საქ-  
მიანობა არ ექვემდებარება ისეთ ყოველმხრივ ინტესტრიალიზაციას,  
რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებდა მოთხოვნას სამუშაო ძალაზე.  
მასში ტექნიკური შეიარაღება ხასიათდება ნაკლებ ინტენსიურობით,  
ვიდრე ბიუჯეტობაში; ამიტომ არაწარმოებითი სფეროს მოცულობის  
ზრდა უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება მასში უკუგაქცეულ მუ-  
შაკთა რიცხვნობის (როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი) გა-  
დიდებით.

ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს არაწარმოებითი სფეროს განუზ-  
რულ ზრდას, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საზოგადოებ-  
რივი შრომის განაწილების ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებას.  
განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე გადასვლასთან დაკავ-  
შირებით ნატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის  
საზოგადოებრივი შრომის განაწილების პროპორციებს და საერთოდ  
სტრუქტურულ ფაქტორს განსაკუთრებული, დამოუკიდებელი მნიშვნე-  
ლობა ენიჭება და გადაიქცევა ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ  
ფაქტორად. იგი რეგიონული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი საკი-  
თხია. აღნიშნულ პროპორციებს განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკის  
განვითარების დონე, არსებული მატერიალური, ფინანსური და შრო-  
მითი რესურსები და ა. შ.

მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროში დასაქმე-  
ბულთა თანაფარდობის ცვლილებებზე 1960—1985 წლებში ნათელ  
წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 12.

ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც კავშირის მასშტაბით, ასევე სა-  
ქართველოს სსრ-ში მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმე-  
ბულთა რიცხვნობის მატების ტემპი მცირდება, ასევე კლებულობს  
მათი ხვედრიწილი სახალხო მეურნეობაში. არაწარმოებით სფეროში  
კი მართალია, დასაქმებულთა მატების ტემპი მცირდება, მაგრამ იზრ-  
დება მათი ხვედრიწილი სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერ-  
თო რიცხვნობაში. მაგალითად, თუ 1960 წელს ჩვენი რესპუბლიკის  
მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ ყოველ 1000 კაცზე მოდიოდა  
არაწარმოებით სფეროში დასაქმებული 218 კაცი (კავშირში 204),



1985 წელს ამ მაჩვენებელმა მიაღწია 426 (კავშირში მსგა). როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, საქართველოს სსრ-ში უფრო მაღალია არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწილი, ვიდრე კავშირის მასშტაბით. 1985 წლისათვის ეს მაჩვენებელი 3 პუნქტით აღემატებოდა საკავშირო დონეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, თუ X ხუთწლედში მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა ყოველი პროცენტით გადიდებანე საბჭოთა კავშირში მიაღიოდა 2.4%-ით მატება არაწარმოებით სფეროში, ხოლო საქართველოს სსრ-ში — 3%-ით, XI ხუთწლედში საწინააღმდეგო სურათი გვექონდა: მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა ყოველი პროცენტით გადიდებანე საბჭოთა კავშირში მოდიოდა 2.7%-ით მატება არაწარმოებით სფეროში, ხოლო საქართველოს სსრ-ში — 1.2%-ით.

№ 12 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1970 წლიდან საქართველოს სსრ-ს არაწარმოებით სფეროში დასაქმების მატების ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირში. ამის ერთ-ერთი მიზეზი რესპუბლიკის პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრიწილის შემცირებაა. 1960—1985 წლებში პირად დამხმარე მეურნეობიდან გამოთავისუფლდა დაახლოებით 330 ათასი კაცი, რამაც გამოიწვია მასში დასაქმებულთა 47%-ით შემცირება<sup>9</sup>. მიუხედავად ამისა შევნიშნავთ, რომ საქართველოს სსრ ამ მაჩვენებლით აღემატება საშუალო-საკავშირო დონეს<sup>10</sup>. ეს დაკავშირებულია პირად დამხმარე მეურნეობის დიდ მნიშვნელობასთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებაში.

№ 12 ცხრილი გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ როგორც კავშირის მასშტაბით, ასევე საქართველოს სსრ-ს არაწარმოებით სფეროში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1970 წელს) დასაქმების მატების ტემპი ხასიათდება შემცირების ტენდენციით, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შრომითი რესურსების მატების შემცირებაა.

1985 წლის მონაცემებით, საქართველოს სსრ, არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწილის მიხედვით, აღემატება არა მხოლოდ საშუალო-საკავშირო დონეს, არამედ პირველ ადგილზეა მოკავ-

<sup>8</sup> გამოთვლილია № 12 ცხრილის საფუძველზე.

<sup>9</sup> გამოთვლილია საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

<sup>10</sup> ი. ს. შიქელაძე. ტერიტორიული დაგეგმვის პრობლემები. თბილისი, 1980, გვ. 121—122.

შირე რესპუბლიკებს შორისაც (იხ. დანართში ცხრილი № 11). ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ-ს მერვე ადგილი უჭირავს კავშირში ინდუსტრიული განვითარების დონის მიხედვით, მეექვსე ადგილი — მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ, ხოლო პირველი ადგილი — არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ზვედრიწილის მხრივ, მოითხოვს შემდგომ გაღრმავებულ კვლევას. ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ-ს არაწარმოებით სფეროში დასაქმების ასეთი მაღალი ზვედრიწილი არ შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დონეს. ამასთან საგულისხმოა, რომ საქართველოს სსრ-ში მრეწველობაში დასაქმებულთა ზვედრიწილი ერთი მესამედით ნაკლებია, ვიდრე საშუალოდ კავშირში. სახელდობრ, 1985 წლის მონაცემებით, მან შესაბამისად 20,3% და 29,2% შეადგინა<sup>11</sup>. არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი დონის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩნია მის ზოგიერთ დარგში დასაქმებულთა მეცნიერულად დაუსაბუთებელი ზრდა. ეს ეხება უმეტესად ადმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროს, საუწყებო კვლევით ინსტიტუტებს, სხვადასხვა სამმართველო-შუალედურ რგოლებს და ა. შ. ავიღოთ რიგი დარგობრივი საკვლევი ინსტიტუტების ან საკვლევი ლაბორატორიების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიების დაუსაბუთებელი შექმნა ან მათში დასაქმებულთა დიდი კონტინგენტი. დასაქმების ზრდა საერთოდ უნდა გამოდინარეობდეს ობიექტური პროცესებიდან და არა უშუალოდ სუბიექტური მოსაზრებებიდან. მაგალითად, შექმნილია ზოგიერთი საკვლევი ინსტიტუტი ან ლაბორატორია, სადაც საშტატო ერთეულები რამდენიმე ათეულს აღწევს მაშინ, როდესაც სამეცნიერო შედეგები და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენება დასაქმებულთა ხელფასის ნახევარსაც კი ვერ ანაზღაურებს. ამდენად ისინი წარმოგვიდგებიან ზარალთან ორგანიზაციებად. ჩვენი ღრმა რწმენით, რენტაბელობის პრინციპი საკვლევი ინსტიტუტებისა და საერთოდ არაწარმოებითი სფეროს რიგი დარგების მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული. ამას მოითხოვს სამეურნეო რეფორმიდან გამომდინარე სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გაძლიერება. არაწარმოებითი სფეროს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შექმნის ოპტიმალურ ბარიერს წარმოების ეფექტიანობის ზრდის პრინციპი უნდა წარმოად-

<sup>11</sup> გამოყვანილია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 390-391; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985г., с. 170. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

გენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს და ხელს უწყობს შექმნილი მატერიალური დოვლათის მფლანგველურ გამოყენებას. ამასთან, გასაკვირი ის არის, რომ მგეგმავი ორგანოებისათვის ეს ცნობილია მაშინ, როდესაც დაფინანსებისა და შტატების საკითხი დაისმება და შტატების შემცირების გეგმას იძლევიან განუკითხავად იმისა, თუ რომელ ინსტიტუტს რა მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

საქართველოს სსრ არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა მაღალი ხვედრიწილი ნაწილობრივ აიხსნება იმითაც, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურაა, ვიდრე ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და რუსურ-ში. ამასთან, საქართველოს სსრ-ში უფრო მაღალია ქალთა პროცენტი მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობაში, ვიდრე შუა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში. 1985 წელს, თუ საქართველოში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობაში ქალთა ხვედრიწილი შეადგენდა 46<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ს, უზბეკეთსა და აზერბაიჯანში შეადგინა 43%, თურქმენეთში — 41%. ხოლო ტაჯიკეთში — 38%. ამასთან, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს სსრ ჩამორჩება დანარჩენ რესპუბლიკებსა და საშუალო საკავშირო დონეს<sup>12</sup>. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დიდია რეზერვები სახალხო მეურნეობაში და განსაკუთრებით არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა შევსებისათვის, ვინაიდან, როგორც მეორე თავის პირველ პარაგრაფში იქნა აღნიშნული, უკანასკნელ პერიოდში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობაში ქალთა დიდი პროცენტი სწორედ არაწარმოებით სფეროზე მოდის. საქართველოს სსრ-ში სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობაში ქალთა ხვედრიწილის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 13.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის არაწარმოებითი სფეროს დარგები, მატერიალურ წარმოებასთან შედარებით. ხასიათდებიან ქალთა დასაქმების მაღალი ხვედრიწილით. „ფემინიზაციის“ პროცესით განსაკუთრებით გამოირჩევა კულტურა (82%), ჯანდაცვა, ფიზიკური კულტურა და სოციალური უზრუნველყოფა (78%), დაკრედიტება და სახელმწიფო დაზღვევა (72%), განათლება (69%),

<sup>12</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 395.

თუცა, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ მაინც ჩამოვრჩები: საშუალო-საკვირო ღონეს<sup>13</sup>.

ამრიგად, არაწარმოებით სფეროში დასაქმების ერთ-ერთი დამატებითი ნიშანია ქალთა შრომითი რესურსების მაღალი ხვედრწილი, რომელიც რიგ დარგებში უახლოვდება დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის ნახევარს, უმრავლეს დარგებში კი — აღემატება მას.

მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროში დასაქმების თანაფარდობის მაჩვენებელთან შედარებით. არაწარმოებით სფეროში დასაქმების ღონეს უფრო ზუსტად გამოხატავს მოსახლეობისათვის სულზე არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაჩვენებელი. ეს მაჩვენებელი არაწარმოებით სფეროს განვითარების დონის ერთ-ერთი გამომხატველია. ამის მიხედვით საქართველოს სსრ-ში გაცილებით მაღალია დასაქმება არაწარმოებით სფეროში, ვიდრე კავშირის მასშტაბით. რასაც ადასტურებს №14 ცხრილის მონაცემები.

ცხრილი № 14

დასაქმება არაწარმოებით სფეროში მოსახლეობის უკველ ათას ხულზე საბჭოთა კავშირსა და საქართველოს სსრ-ში 1960—1985 წწ.<sup>14</sup>

	1960	1965	1970	1975	1980	1985
საშუალო საბჭოთა კავშირში	74,8	88,4	103,9	116,6	125,3	129,7
საქართველოს სსრ-ში	77,1	89,3	106,4	125,0	142,0	152,9

საქართველოს სსრ-ს არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის ცვლილებასთან ერთად, მიმდინარეობს ცვლილებები მის დასაქმების სტრუქტურაში, რაზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 15. არაწარმოებით სფეროში დასაქმება იზრდება როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. ამასთან, როგორც დანართში მოცემული №16 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 1960—1980 წლებში დასაქმების დაჩქარებული ტემპებით ხასიათდება და საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კულტურის დარგი, ხოლო 1975 წლიდან — დაკრედიტება და სახელმწიფო დაზღვევა. XI ხუთ-

<sup>13</sup> См. Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 394.

<sup>14</sup> ცხრილი ვამოთვლილია და შედგენილია ჩვენ მიერ შემდეგი მასალების საფუძველზე: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 8, 390; Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 7, 356—357; Народное хозяйство СССР в 1972 г., с. 7, 502—504; Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г., с. 5, 140—141; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 171—172; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა ასაკ 50 წლისთაზე. სტატ. წელიწადეული. თბილისი, 1972, გვ. 7.

წლებში საბინაო-კომუნალური მეურნეობა და კულტურის დარგი ხასიათდება დასაქმების მკვეთრად შემცირებული ტემპით. აღნიშნულ დარგებში 1985 წელს დასაქმების ზრდის ტემპის შეფარდება მთლიანად არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ზრდის ტემპთან შეადგინა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში — 0,98 (1,21 — 1980 წელი), კულტურაში — 0,94 (1,14 — 1980 წელი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ-ში ძალიან დაბალია დასაქმების დონე საყოფაცხოვრებო მომსახურებაში\*. მიუხედავად იმისა, რომ იგი ახალგაზრდა დარგია (როგორც აღნიშნეთ, რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 1968 წლიდან), მასში დასაქმების ზრდის ტემპი 1975 წელს 1970 წელთან შედარებით შეადგენდა 113,9%-ს, 1980 წელს დარჩა 1975 წლის დონეზე, ხოლო 1985 წელს 1980 წელთან შედარებით შემცირდა 14%-ით.

არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის გადიდების ოპტიმალური ზომები არსებობს. საქმე ისაა, რომ არაწარმოებითი სფეროს ამა თუ იმ დარგში წარმოიშობა დასაქმებულთა რიცხოვნობის სიჭარბე, რომელიც გამომდინარეობს არა ამ დარგის მოთხოვნებიდან, არამედ დაკავშირებულია სამუშაო ძალის არარაციონალურ გამოყენებასთან. მაგალითად, საქართველოს სსრ-ში 1960—1975 წლებში მეცნიერება და მეცნიერული მომსახურება ხასიათდებოდა დასაქმების ზრდის მაღალი ტემპებით. აღნიშნული დარგის ზრდის ტემპის შეფარდება არაწარმოებით სფეროში დასაქმების ზრდის ტემპთან, 1965 წელს შეადგინა 1,17, 1970 წელს — 1,11, 1975 წელს — 1,01, 1980 წელს — 0,99, ხოლო 1985 წელს — 0,95. ე. ი. შეიძინევა დასაქმების ზრდის ტემპების შენელება, რომელიც განპირობებულია ამ დარგის ოპტიმალური განვითარებით.

როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, არაწარმოებითი დარგების განვითარებაზე გავლენას ახდენს კლიმატური და სხვა ბუნებრივი ფაქტორები. მათი გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა რეგიონულ ასპექტში. საქართველოს სსრ-ში ხელსაყრელი კლიმატი, მდიდარი სამკურნალო წყლები აუცილებელს ხდის ფართოდ იქნეს ორგანიზებული სამკურნალო დაწესებულებები, სანატორიუმები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ბაზები. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში დასაქმების ზრდის ტემპები შენელებულია და ჩამორჩება არაწარმოებითი სფეროს საშუალო დარგობრივ დონეს, მით უმეტეს აღნიშნულ დარგებში შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდა ხასიათდება შედა-

\* ეს ნათლად ჩანს არაწარმოებითი სფეროს დასაქმების დარგობრივი სტრუქტურიდან (იხ. დანართი ცხრილი № 17.).

რებით ნაკლები ინტენსივობით, ვიდრე მრეწველობაში და მათი განვითარება ხორციელდება უპირატესად მათში დასაქმებულთა რიცხოვნობის გადიდებით.

ჯანმრთელობის დაცვაში დასაქმების შენელებული ტემპები აიხსნება ნაწილობრივ იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სუსტადაა განვითარებული ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 1985 წელს საქართველოში სავადმყოფო საწოლების რიცხვი მოსახლეობის 10 ათას სულზე შეადგენდა 106,3, კავშირის მასშტაბით კი — 129,6. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საქართველოს სსრ ამ მაჩვენებლის მიხედვით იმყოფება მეთერთმეტე ადგილზე მაშინ, როდესაც ექიმთა რიცხოვნობის მხრივ პირველ ადგილზე და საშუალო სამედიცინო პერსონალის მხრივ — მეოთხე ადგილზე (იხ. დანართში ცხრილი № 11). ამრიგად, შეიქმნა გარკვეული დისპროპორცია სამედიცინო კადრების რიცხოვნობას და მათი გამოყენების შესაძლებლობებს შორის, რომელიც უპირატესად დამახასიათებელია ქალაქებისათვის, სასოფლო ადგილები კი განიცდის სამედიცინო კადრების დეფიციტსაც. მაგალითად, 1979 წლის მონაცემებით სასოფლო ადგილებში დასაქმებული იყო რესპუბლიკის სამედიცინო მუშაკების მხოლოდ 21,9%, ქალაქებში კი — 77,1%. ეს ნიშნავს იმას, რომ სოფლად მოსახლეობის ათას სულზე მოდიოდა 3 მედიცინის მუშაკი მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ქალაქში 26 აღწევდა.<sup>15</sup>

არაწარმოებითი სფეროს დასაქმების დარგობრივი სტრუქტურა ჩვენ მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაციის მიხედვით (იხ. დანართში ცხრილი № 18) განსხვავდება არაწარმოებითი სფეროს დასაქმების დარგობრივი სტრუქტურისაგან არსებული კლასიფიკაციის მიხედვით (იხ. დანართში ცხრილი № 17). № 18 ცხრილში, როგორც პირველი თავის პირველ პარაგრაფში გვქონდა განხილული, შეტანილი გვაქვს ვაჭრობაში დასაქმებულთა 70% და საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებულთა 52%. ამან გამოიწვია დასაქმებულთა თანაფარდობის შესაბამისი ცვლილებები მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებით სფეროებს შორის. ჩვენი გაანგარიშებით, 1985 წელს არაწარმოებით სფეროში დასაქმებამ შეადგინა 33,2%, ნაცვლად 29,9%-ისა, სადაც 2,40% მოდის ვაჭრობაზე, 0,90% კი — საზოგადოებრივ კვებაზე, ხოლო მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობამ ნაცვლად 70,10%-ისა; შეადგინა 66,8%, სადაც ვაჭრო-

<sup>15</sup> გამოთვლილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების საფუძველზე.

ბის ხვედრიწილი დავიდა 1,0%-მდე, ხოლო საზოგადოებრივი კვების — 0,8<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მდე.

ეკონომიკურად დასაბუთებული კლასიფიკაცია ხელს შეუწყობს სწორი პროპორციების დადგენას როგორც სახალხო მეურნეობის სფეროებს შორის, ასევე დარგებს შორისაც, მნიშვნელოვნად გაზრდის მათ როლს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში.

მიუხედავად იმისა, რომ არაწარმოებით სფეროში დასაქმების დინამიკა მნიშვნელოვნად ახასიათებს მის განვითარებას, იგი არ შეიძლება განვიხილოთ არაწარმოებითი სფეროს განვითარების სხვა მაჩვენებლებისგან იზოლირებულად. მაგალითად, უპირატესად გონებრივი შრომის მუშაკთა რიცხოვნობის ზრდა საერთოდ სახალხო მეურნეობაში და მათ შორის არაწარმოებით სფეროში, ამ უკანასკნელის განვითარების ერთ-ერთი არსებითი ხასიათის მაჩვენებელია.

ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფართოდ გაშლამ გამოიწვია ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში გონებრივი შრომის ხვედრიწილის სწრაფი ზრდა. ამასთან, საზოგადოებრივ წარმოებაში რაოდენობრივი თანაფარდობა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის იცვლება გონებრივი შრომის სასარგებლოდ. გონებრივი შრომის ხვედრიწილის ზრდა წინ უსწრებს საერთო დასაქმებულთა ზრდის ტემპს. აღნიშნული ტენდენციის შესახებ როგორც კავშირის მასშტაბით. ასევე საქართველოს სსრ-ში ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი № 19 და გრაფიკი № 1.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1960—1985 წლებში უპირატესად გონებრივი შრომის მუშაკთა რიცხოვნობის ზრდა მთლიანად ქვეყანაში 2,5-ჯერ, ხოლო საქართველოს სსრ-ში 1,8-ჯერ აღემატებოდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა საერთო რიცხოვნობის ზრდას. ამან თავის მხრივ, გამოიწვია პროგრესული ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები ერთობლივი სამუშაო ძალის სტრუქტურაში, მასში უპირატესად გონებრივი შრომის მუშაკთა აბსოლუტური რიცხოვნობის გადიდებით. ამის შედეგად 1985 წელს, საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული ყოველი მეხუთე კაცი იყო უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რაც კავშირის მასშტაბით 3,8-ჯერ, ხოლო საქართველოს სსრ-ში 3,0-ჯერ აღემატებოდა 1960 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საბჭოთა კავშირში 1960—1985 წლებში მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობა გაიზარდა 4.2-ჯერ, მათ შორის საქართველოს სსრ-ში 3.0-ჯერ ანუ ზრდის ტემპმა შეადგინა 302<sup>0</sup>/<sub>0</sub>. 1985 წელს მეცნიერ მუშაკთა რიცხოვნობის თანფარდობა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობასთან საბჭოთა კავშირში 2,7-ჯერ, ხოლო საქართველოს სსრ-ში 1,7-ჯერ აღემატებოდა 1960 წლის შესაბამის მაჩვენებელს.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთა საერთო რიცხოვნობაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ხვედრიწილის ზრდას დარგების მიხედვით გვიჩვენებს დანართში მოცემული ცხრილი №20.

აღნიშნული ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სსრ-ში, ისე როგორც სსრკ-ში (იხ. დანართში ცხრილი № 1), არაწარმოებითი სფეროს დარგები, მატერიალური წარმოების დარგებთან შედარებით, ხასიათდებიან კვალიფიციური კადრების დასაქმების მაღალი დონით, მაგრამ რესპუბლიკის არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთ დარგში (ჯანდაცვაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, დაკრედიტებასა და სახელმწიფო დაზღვევაში) კავშირის შესადარ მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია სპეციალისტთა კადრების დასაქმების ხვედრიწილი.

სტატისტიკური მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1965—1985 წლებში, საქართველოს სსრ-ში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა დასაქმების ზრდის ტემპი მთლიანად სახალხო მეურნეობაში შეადგენდა 234,4<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს და 44 პუნქტით ჩამორჩებოდა შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს. ასევე, არაწარმოებითი სფეროს დარგებშიც (გარდა მმართველობის ორგანოებისა) უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ზრდის ტემპი ჩამორჩება შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს. მაგალითად, რესპუბლიკაში აღნიშნულ წლებში მეცნიერებისა და მეცნიერულ მომსახურებაში კვალიფიციური კადრების დასაქმების ზრდის ტემპი შეადგენდა 219,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს, ხოლო კავშირის მასშტაბით — 265,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს, ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში შესაბამისად — 176,0<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს და 207,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში — 485,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ს და 763,5% -ს, დაკრედიტებასა და სახელმწიფო დაზღვევა-



ში — 278,9%-ს და 339,3%-ს, მმართველობის ორგანოებში — 250,0%-ს და 230,0%-ს.<sup>16</sup>

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს წააღწია სახალხო განათლების საქმეში და სპეციალისტთა კადრების აღმზადებაში. ამჟამად რესპუბლიკაში კვალიფიციური კადრების მოსაზადების ფართო ქსელია შექმნილი, რომელიც დიდ როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. თუ 1965 წელს საქართველოს სსრ-ში მოსალეობის ათას სულზე უმაღლესი განათლებით გამოშვებული იქნა 21 სპეციალისტი, 1985 წელს — 31, საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი 1965 წელს — 18, ხოლო 1985 წელს — 31. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკა ამ უკანასკნელი მაჩვენებლის მიხედვით, ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. სახელდობრ, 1985 წელს საბჭოთა კავშირში უმაღლესი განათლებით გამოშვებული იქნა 31, ხოლო საშუალო სპეციალური განათლებით — 45 სპეციალისტი (იხ. დანართში ცხრილი №11). ამრიგად, არასაკმაო მაღალი ტემპით მიმდინარეობს კადრების მომზადება საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, რაზეც მიუთითებს შემდეგი მაჩვენებელიც: 1985 წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების მქონე ყოველ 10 სპეციალისტზე მოდიოდა მხოლოდ 7 საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი მაშინ, როდესაც საშუალოდ კავშირში ეს თანაფარდობა შეადგენდა 10-ს 13-თან.<sup>17</sup> აქედან გამომდინარე, საქართველოს სსრ-ში საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა კადრების მომზადების დონის ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონისგან წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, საშუალო საკავშიროსთან შედარებით, კვალიფიციური კადრების დაბალი ხვედრიწილისა სახალხო მეურნეობაში და შედარებით დაბალი ზრდის ტემპებისა არაწარმოებით სფეროში.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე არაწარმოებითი სფეროს უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მას არა მარტო ეკონომიკური, არამედ დიდი სოციალუ-

<sup>16</sup> გამოთვლილია ჩვენ მიერ შემდეგი მასალების საფუძველზე: Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 369—370; Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 403; Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г., с. 146—147. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები.

<sup>17</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 400; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 176.

რი მნიშვნელობაც აქვს. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფართოდ გაშლა, არაწარმოებით დარგებში ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა, გრანდიოზული გარდაქმნები საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა სტრუქტურაში, სულ უფრო მზარდი მოთხოვნა მომსახურების ხარისხისადმი არაწარმოებით სფეროში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა დასაქმების ზრდის ობიექტურ აუცილებლობას ქმნის. მიუხედავად ამისა, რიგ დარგებში მოთხოვნა კვალიფიციური კადრების მიმართ სრულად ვერ კმაყოფილდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ხშირად მატერიალური წარმოებიდან არაწარმოებით სფეროში კადრების გადანაწილება ხორციელდება ისე, რომ სრულყოფილად არ ითვალისწინებენ არაწარმოებითი სფეროს იმ დარგების მოთხოვნას, რომლებიც მწვავედ განიცდიან სპეციალისტთა კადრების დეფიციტს. ამასთან, ჩვენი აზრით, არაწარმოებითი სფეროს კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაწყდეს არა მატერიალური წარმოებიდან გამოთავისუფლებული კადრებით, არამედ თვით ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებითა და გადამზადებით. აგრეთვე, ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებითა და ჩაბმით არაწარმოებით სფეროში, მოსახლეობის დაუსაქმებელი უფროსი ასაკობრივი ჯგუფების (პენსიონერების) ჩაბმით მასში და სხვ.

XII ხუთწლედში საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობა ეძლევათ პენსიონერებსა და ინვალიდებს. მათ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში 56 მლნ პენსიონერია, ასევე არც თუ ისე ცოტაა ინვალიდები, შრომისუნარმოკლებული პირები, რომლებსაც არ ძალუძთ საზოგადოებრივ წარმოებაში გაუძღონ დამატულ შრომით რიტმს, მაგრამ შეუძლიათ სახლში შეასრულონ საზოგადოებისათვის სასარგებლო ინდივიდუალური საქმიანობა.

უნდა აღინიშნოს. რომ 1985 წელს სახელმწიფო პენსიაზე მყოფ პენსიონერთა მხოლოდ 38 პროცენტი იყო ჩაბმული საზოგადოებრივ წარმოებაში.<sup>18</sup> ხანდაზმულთა შრომა (ინვალიდების, ომისა და შრომის ვეტერანების) შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული საკრედიტო-საფინანსო და სადაზღვევო დაწესებულებებში, სადაც ოპერაციების წარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტია პრაქტისიული სიმ-

<sup>18</sup> ამოთვლილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალებს საკვებულზე.

წიფე, მზა ტანსაცმლით მოვაჭრე მალაზიებში, საპარიკმახერობესა და კოსმეტიკურ კაბინეტებში, ფოტოატელიებში, დასაფლავების ბიუროებში, სასტუმროებში, ინდივიდუალური კერვის ატელიებში, ნაწილობრივ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში და ა. შ. ამასთან, უნდა გამოინახოს მათთან მუშაობის ისეთი ფორმები, რომ ისინი თავს არ გრძნობდნენ საერთო საქმისაგან მოწყვეტილად.

არაწარმოებითი სფეროს კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაწყდეს კომპლექსურად მთელი სახალხო მეურნეობის ამოცანებიდან გამომდინარე. სპეციალისტთა კადრების რაციონალური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი მომზადების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა თითოეული დარგის თავისებურებათა გათვალისწინებით. არაწარმოებით სფეროში კვალიფიციური კადრების სწორი განაწილება და რაციონალური გამოყენება. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება და მასში შემაჯავალი დარგების შეიარაღება უახლესი ტექნიკით საზოგადოებრივი შრომის ეფექტიანობის საფუძველია.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არახელსაყრელმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ მკვეთრად შეამცირა შრომისუნარიანი მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი. ეს პროცესი დემოგრაფების გაანგარიშებით გაგრძელდება 2000 წლამდე. ეს გარემოება დღის წესრიგში აყენებს შრომის ეფექტიანობის ამაღლების საკითხს არა მხოლოდ მატერიალური წარმოების სფეროში, არამედ არაწარმოებით სფეროშიც. 1970—1985 წლებში საქართველოს სსრ-ს მრეწველობაში წარმოების მოცულობის მატების ყოველ პროცენტზე მომუშავეთა რიცხვი დაახლოებით 0.200%-ით გაიზარდა, ხოლო არაწარმოებით სფეროში მომსახურების მოცულობის მატება ძირითადად დასაქმებულთა ზრდის ხარჯზე იქნა მიღწეული.<sup>19</sup> შრომითი რესურსების დაძაბული ბალანსი მოითხოვს ინტენსიური განვითარების ფაქტორების საფუძველზე, მომსახურების მოცულობისა და ხარისხის ზრდას. ტექნიკურმა პროგრესმა უნდა მოიცვას მთელი დარგი, ამასთან იგი უნდა ტარდებოდეს კომპლექსურად, წინააღმდეგ შემთხვევაში გაიზარდება დასაქმებულთა რიცხოვნობა ამა თუ იმ უბანზე. მექანიზაციის, ავტომატიზაციის,

<sup>19</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 — 12; საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები, უფ-ძილეზე.

ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების, ინფორმაციის მექანიზმებუ-  
ლი დამუშავების და ა. შ. ფართოდ გამოყენება უზრუნველყოფს  
ცოცხალი შრომის მნიშვნელოვან ეკონომიას სახელმწიფო და სამე-  
ლრნეო მმართველობის ორგანოებში, საფინანსო, სადაზღვევო, საკ-  
რედიტო დაწესებულებებში და ა. შ. ამასთან, ტექნიკური საშუალე-  
ების გამოყენება არაწარმოებითი სფეროს ისეთ დარგებში, სადაც  
შრომა ატარებს შემოქმედებით ხასიათს, როგორცაა მეცნიერის, მას-  
წავლებლის, ექიმის, მხატვრის, კომპოზიტორის, მსახიობის და ა. შ.  
შრომა, არა იმდენად გამოათავისუფლებს მუშაკებს, რამდენადაც  
ამაღლებს მათი შრომის ეფექტიანობას.

როგორც უახლეს პერიოდში, ასევე ხანგრძლივ პერსპექტივაში  
ფაქტორთა ერთი ჯგუფი განაპირობებს არაწარმოებით სფეროში და-  
საქმებულთა ზრდას, ხოლო ფაქტორთა მეორე ჯგუფი — პირიქით,  
შემცირებას. სახელდობრ, მეცნიერების, კულტურის დაჩქარებულ  
განვითარება, სოციალური ინფრასტრუქტურის უწყვეტი გაფართო-  
ება, მშრომელთა დასვენების ორგანიზაციის გაუმჯობესება, მომსა-  
ხურების მოცულობისა და ხარისხის ამაღლება, საოჯახო შრომის  
შემსუბუქება საზოგადოებრივად ორგანიზებული შრომის ფორმებით  
და ა. შ. დაკავშირებულია არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა  
რიცხოვნობის გადიდებასთან, ხოლო იმ ფაქტორთა რიცხვს, რომლე-  
ბიც შეამცირებენ არაწარმოებით დარგებში დასაქმებულთა რიცხოვ-  
ნობის ზრდას, უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნება შრომის ეფექტიანო-  
ბის ამაღლება და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ტექნიკური  
შეიარაღების ამაღლება, საწარმო-დაწესებულებების რაციონალური  
განლაგება. მოსახლეობის მომსახურების მოხდენილი ფორმებისა და  
მეთოდების დანერგვა, თვითმომსახურების დანერგვა, დაგეგმვისა და  
მართვის უფრო სრულყოფილი ფორმების გამოყენება, კადრების ხა-  
რისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება და ა. შ.

არაწარმოებითი სფეროს რიგ დარგებში შრომის მექანიზაციისა  
და პროფესიული მომზადების განსხვავებული დონე, შრომის რეჟი-  
მის თავისებურებანი, შედარებით ნაკლები ფიზიკური და ნერვული  
დაძაბულობა განსაზღვრავენ დასაქმების დემოგრაფიულ სტრუქტუ-  
რას და მის ცვლილებათა ხასიათს. საქმე ისაა, რომ არაწარმოებით  
სფეროში მცირეა ახალგაზრდა კადრებისა და მაღალია ხანდაზმულე-

ზის ხვედრიწილი. მოღვაწეობის ყოველი სფერო კი მოითხოვს ახალგაზრდა და ვამოცდილი კადრების რიცხოვნობის შეთანწყობას. ეს აიხსნება რაღი მიზეზებით და უპირველეს ყოვლისა იმით, რომ არაწარმოებით სფეროს ზოგიერთ დარგში ფუნქციების შესრულება მოითხოვს კვალიფიკაციასა და სპეციალური ცოდნის მაღალ დონეს. რომლის შექმნა აც უნდა ხანგრძლივი პერიოდი, ხოლო დაბალი ხვედრიწილი ახალგაზრდებისა ისეთ პროფესიებში, როგორცაა ვამყიდველები, მწარეულები, საქმისწარმოებლები და სხვ. შეიძლება აიხსნას შრომის ამ საქმიანობის არასაკმაო საზოგადოებრივი აღიარებით და ახალგაზრდობის ცუდი პროფესიული ორიენტაციით. ამასთან დაკავშირებით სავსებით მიზანშეწონილია არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის რეჟიმის გამოყენება. ეს საშუალებას გვაძლევს ერთობლივ საზოგადოებრივ შრომაში და განსაკუთრებით არაწარმოებით სფეროში ფართოდ ჩაებათ ახალგაზრდობა (უფროსი კლასის მოსწავლეები, სტუდენტები). მათი მიზიდვა შეიძლება მცირეკვალიფიციურ ან არაკვალიფიციურ სამუშაოზე დღეში ან კვირაში რამდენიმე საათით. ან არდადეგების პერიოდში. მაგალითად, აფთიაქებში, სადაც შეთავსებით იყიდება წვრილი საფთოიქო საქონელი; ბენზინის კოლონებში, სადაც ახალგაზრდებს ძირითად მომსახურებასთან ერთად შეუძლიათ მანქანის მცირეოდენი რემონტი. გარკცხვა; მაღაზიებში მათ შეუძლიათ საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვა. დაფასობა. სტანდარტული საქონლის გაყიდვა; საჯადმყოფოებში — მომვლეობად. დამლაგებლებად, საფოსტო განყოფილებებში — ფოსტალიონებად მუშაობა და ა. შ. ეს კონტინგენტი წარმოადგენს დამხმარეს, მაგრამ აუცილებელ სამუშაო ძალას თანამედროვე პირობებში.

არასრული სამუშაო დღისა და არასრული სამუშაო კვირის ფართოდ დანერგვა მნიშვნელოვნად ზრდის შრომით აქტივობას ქალებშიც.\* გათხოვილი ქალები, რომლებსაც არ შეუძლიათ მთლიანად მოწყდნენ სოჯახო მეურნეობას, სიამოვნებით იმუშავენ რამდენიმე საათს დღეში ან კვირაში. ამასთან, სენონურადაც. ქალთა შრომის გამოყენებასათვის ასეთ პირობებს ქმნის უპირატესად საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება, სადაც დაბალია მუშა-მომსახურე ქალთა ხვედრიწილი (41,9%) და სხვა.

პიროვნების (ეს იქნება ახალგაზრდა შედარებით აღრეულ ასაკში

\* ამჟამად რესპუბლიკაში შემოკლებული სამუშაო კვირთა და არასრული სამუშაო დღით სარგებლობს 12 ათასი ქალი.

თუ დიასახლისი) თუნდ ნაწილობრივ ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამაღლებს მის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, უფრო მრავალმხრივს ხდის მის ინტერესებს, ხელს უწყობს მის განთავისუფლებას ინტენტილურობისაგან, რაც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ განვითარებაზე. ამ პრობლემის გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფაში.

საგულსხმოა, რომ ჩვენი რესპუბლიკა სამუშაო ძალის მნიშვნელოვან რეზერვებს ფლობს საოჯახო მეურნეობაში. 1985 წლის მონაცემებით, საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობა შეადგენდა 6,7%-ს. ამასთან, თუ აღნიშნულ სფეროდან დასაქმებულთა გამოთავისუფლება 1960—1980 წლებში მიმდინარეობდა ძალიან ნელა, სახელდობრ, მოცემულ პერიოდში შემცირდა მხოლოდ 2,5%-ით (VII ხუთწლეულში შემცირდა 23,1%-ით, ხოლო VIII და IX ხუთწლეულებში არა თუ შემცირდა, არაჰედ გაიზარდა შესაბამისად 4%-ით და 36%-ით, X ხუთწლეულში შემცირდა მხოლოდ 10%-ით), XI ხუთწლეულში კი საოჯახო მეურნეობაში დასაქმება შემცირდა 25,2%-ით, რაც საკმაოდ დადებითი ტენდენციაა. გაანგარიშებამ ვვიჩვენა, რომ თუ 1970 წელს შრომისუნარიან ასაკში მყოფ 10 ქალზე მოდიოდა საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებული 7,3 ქალი, 1979 წელს მოდიოდა 8 ქალი.<sup>20</sup> აქედან გამომდინარე, რესპუბლიკაში საოჯახო მეურნეობიდან დასაქმებულთა გამოთავისუფლება ერთ-ერთი ყურადსაღები პრობლემაა, რომლის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არაწარმოებით სფეროს განვითარებას. ვინაიდან სახალხო მეურნეობაში ქალთა დასაქმების მაღალი დონე წითხივს ნახევარფაბრიკატებისა და კულინარული ნაწარმის, დაფაბრებული და შეფუთული პროდუქციის, დიეტური და ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოებასა და მოსახლეობისადმი მიყიდვის გაზიდვას. საბავშვო ბავაბალების გაფართოებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას სყოფაცხოვრებო მომსახურებით, საზოგადოებრივი კვების ობიექტებით და ა. შ.

არაწარმოებითი სფეროს მკიდრო ურთიერთკავშირი აღამიანთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალმხრივ პროცესებთან განაპირობებს მის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხე-

<sup>20</sup> გამოთვლილია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალები, საფუძველზე.

ბის კომპლექსურ გადაჭრას. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაწარმოებითი სფეროს ამა თუ იმ დარგში, მის ცალკეულ რგოლში (საწარმოებსა და დაწესებულებებში) კაპიტალდაბანდებათა მოცულობისა და შესაძლებლობების განსაზღვრას, მათ ეფექტიან გამოყენებას რაციონალური განლაგებისა და კომპლექსური გამოყენების საფუძველზე. არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური განვითარების გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა სრულყოფილი განხორციელება. მხოლოდ მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური თანაფარდობის ზირობებშია შესაძლებელი საზოგადოების წევრთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება. მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს განვითარების დონე სოციალიზმის რიგი ეკონომიკური კანონების, მათ შორის ძირითადი ეკონომიკური კანონისა და შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიკური კანონის მოქმედებას სრულყოფილს ხდის და გამოვლენის რეგიონულ თავისებურებებს ანიჭებს. ქვემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, საკავშიროსთან შედარებით, არაწარმოებითი დანიშნულების კაპიტალდაბანდებათა ზრდის მაღალ ტემპებს. XI ხუთწლეულში, VII ხუთწლეულთან შედარებით. ასიგნებანი არაწარმოებითი სფეროს განვითარებისათვის გაიზარდა 3,0-ჯერ მაშინ, როდესაც კავშირში მხოლოდ 2,5-ჯერ, რესპუბლიკაში არაწარმოებითი დანიშნულების კაპიტალდაბანდებათა ზრდის ტემპი VIII ხუთწლეულში VII ხუთწლეულთან შედარებით შეადგენდა 156,4%-ს, ხოლო კავშირის მასშტაბით — 141,3%-ს, IX ხუთწლეულში VIII ხუთწლეულთან შედარებით. შესაბამისად 120,9%-ს და 124,40%-ს, X ხუთწლეულში IX ხუთწლეულთან შედარებით — 124,40%-ს და 119,3%-ს. XI ხუთწლეულში X ხუთწლეულთან შედარებით — 125,9%-ს და 119,6%-ს. თუ 1985 წელს შეუდარებთ 1975 წელს, ზრდის ტემპი საქართველოში შეადგენდა 170,6%-ს, კავშირში კი — 142,0%-ს.<sup>21</sup> ამასთან, მონაცემებიდან ჩანს, რომ როგორც მთელ ქვეყანაში. ასევე ჩვენს რესპუბლიკაში არაწარმოებითი დანიშნულე-

<sup>21</sup> გამოთვლილია: Капитальное строительство в СССР. Стат. сборник. М., 1986. с. 159; Капитальное строительство в Грузинской ССР. Стат. сборник. Тбилиси, 1986. с. 78.

ბის კაპიტალდაბანდებების ზრდის ტემპები ხასიათდება შემცირების ტენდენციით.

საქართველოს სსრ-ში მრავალფეროვან ბუნებრივ-კლიმატურ და ეკონომიკურ პირობებში ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფორმირება მოითხოვს როგორც მთელ კაპიტალდაბანდებათა, ისე მათ შორის არაწარმოებითი დანიშნულების კაპიტალდაბანდებათა მიზანდასახულ განაწილებას კომუნისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანის — ტერიტორიულ ასპექტში ეკონომიკური განვითარების დონისა და ცხოვრების დონის გათანაბრებისა და ამოღების მიზნით. საქმე ისაა, რომ შედარებით დიდ განსხვავებას ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეში ადგილზე აქვს არა მხოლოდ მსხვილ ეკონომიკურ რეგიონებსა და რესპუბლიკებს შორის, არამედ თვით რესპუბლიკებს შიგნითაც. ცალკეულ რაიონებს შორის. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში კი შესაძლებელია ესა თუ ის დარგი განვითარდეს იქ, სადაც ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები. ამასთან დაკავშირებით ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მთიანი რაიონების განვითარებას, მათ შორის რესურსების და საწარმოო პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას. საქართველოს სსრ-ს ტერიტორიის თითქმის 2/3 განლაგებულია ზღვის დონიდან 1 ათას მეტრ სიმაღლეზე და მის ზევით, სადაც ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 10%<sup>1</sup>. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ უკანასკნელ პერიოდში განუწყვეტლივ ხდებოდა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში მთიანი რაიონების მოსახლეობის ხვედრიწილის დაცემა. ხოლო ცალკეულ ადგილებში აბსოლუტური შეკეცაც. რესპუბლიკის დანარჩენი რაიონები, რომლებსაც უჭირავს ტერიტორიის 1/3, აწარმოებენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 99%<sup>1</sup>-ს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის — 90%<sup>1</sup>-ს და ეროვნული შემოსავლის — 95%<sup>1</sup>-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ინტენსიურად არაა ჩაბმული სამეურნეო საქმიანობაში. რაც მნიშვნელოვნად დაბლა სწევს მის ეკონომიკურ პოტენციალს. ამ გარემოებაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე მწვავედ დააყენა მთიანი რაიონების ათვისების საკითხი. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებსა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში დასახულია მთიანი რაიონებში განლაგებულ იქნეს მოქმედ საწარმოთა ფილიალები და ცალკეული



სააქტობები. რომელთა მშენებლობა არ მიითხოვს დიდ კაპიტალ-  
დაზანღებებს. ამ მნიშვნელოვან სადღეისო პრობლემის გადაჭრაში  
პარალელურად იიდი როლი ენიჭება არაწარმოებითი სფეროს რი-  
გი დარგების განვითარებას. სოციალურ-კულტურული კომპლექსე-  
ბის მშენებლობას, ვინაიდან ცალკეული ეკონომიკური რაიონების  
მკვეთრად განსხვავებული ხვედრიწილი რესპუბლიკის სამრეწველო  
პოტენციალის ფორმირებაში არის შედეგი არა მხოლოდ არახელ-  
საყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, არამედ ამ დისპრო-  
პორციაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური და სოციალური ფაქ-  
ტორებიც. პრაქტიკამ ვეჩვენა, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც  
შექმნილია აუცილებელი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები,  
არ არის კადრების უკმარისობა, ნაკლებია მათი ღენადობა, ხოლო იმ  
კოლმეურნეობებში, სადაც არ არის იგი, დიდია კადრების ღენადობა,  
განსაკუთრებით ახალგაზრდობისა, ამასთან, სწორად ირღვევა შრომის  
ღისციბლინაც. ამიტომ პერსპექტიულ პერიოდში მთიანი რაიონების  
სოციალური ინფრასტრუქტურის შესაბამისი განვითარება დაახქა-  
რებს მათი ეკონომიკის აღმავლობას, შრომითი პოტენციალის უფ-  
რო სრულ გამოყენებას, კადრების დამაგრებას, რაც თავის მხრივ,  
გარკვეულ წვლილს შეიტანს სასურსათო პროგრამის გადაწყვეტაში.  
აღნიშნული ღონისძიების განხორციელებას ის გარეობაც შეუ-  
წყობს ხელს, რომ მთიან რაიონებში დიდია სამუშაო ძალის რე-  
ზერვი, რაც დაკავშირებულია საზოგადოებრივ სექტორში მის დაბალ  
დასაქმებასა და შეფარდებით მაღალ დასაქმებასთან საოჯახო და პი-  
რად დამხმარე მეურნეობაში.

მთიანი რაიონების შემდგომი განვითარება უკავშირდება საკუ-  
რორტო-ტურისტული მშენებლობის გაფართოებასაც. ეს განპირობე-  
ბულია როგორც ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მრავალ-  
მხრივი დანიშნულებისა და სასარგებლო თვისებების მქონე მინერა-  
ლური წყლების არსებობით, ასევე მრავალფეროვანი ისტორიულ-  
არქიტექტორული ძეგლებით, მდიდარი ეროვნული კულტურით.  
კავკასიის მთებისა და შავი ზღვის სიახლოვე ქმნის განუმეორებელ  
ბუნებრივ შერწყმას, რაც ხელს უწყობს მრავალპროფილიან საკუ-  
რორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებას, რომლის მიხედვი-  
თაც საქართველოს სსრ-ს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს  
საბჭოთა კავშირში.

სოციალისტური დაგროვების კანონის მოქმედება არაა „შეზღუდული“ მხოლოდ მატერიალური წარმოებით, იგი მოიცავს არაწარმოებით სფეროსაც. ამ კანონის მოთხოვნაა სოციალისტური დაგროვების დინამიური პროცესი და სახალხო მეურნეობის სფეროთა ოპტიმალური თანაფარდობა.

არაწარმოებითი სფეროს განვითარებას მნიშვნელოვნად ახასიათებს არაწარმოებითი ძირითადი ფონდების მოცულობის მაჩვენებელი. საქართველოს სსრ არაწარმოებით სფეროში კაპიტალდაბანდებათა ზრდამ შექმნა მატერიალური წანამძღვრები არაწარმოებითი ძირითადი ფონდების მოცულობის გადიდებისათვის. საბჭოთა კავშირში არაწარმოებითი ძირითადი ფონდების დინამიკისა და სტრუქტურის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს დანართში მოცემული ცხრილი №21, ხოლო საქართველოს სსრ-ში — ცხრილი №22.

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ჩვენს რესპუბლიკაში უფრო მაღალია არაწარმოებითი ძირითადი ფონდების ხვედრიწილი ძირითადი ფონდების საერთო რაოდენობაში, ვიდრე კავშირში, თუმცა იგი ხასიათდება შემცირების ტენდენციით როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე საქართველოს სსრ-შიც. არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. არაწარმოებითი ძირითადი ფონდების საერთო მოცულობა 1965—1985 წლებში რესპუბლიკაში გაიზარდა 251,6%-ით, მაგრამ მიუხედავად მაღალი ზრდის ტემპისა, იგი ამ მხრივ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს 65,9 პუნქტით (317,5%).<sup>22</sup> ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კავშირში, ასევე საქართველოს სსრ-ში არაწარმოებითი ძირითადი ფონდების ზრდის ტემპები არათანაბარია.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს მოსახლეობის ერთ სულზე არაწარმოებითი ძირითადი ფონდების მოცულობით. სახელდობრ, 1985 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოს სსრ-ში შეადგენდა 2,2 ათას მანეთს, ხოლო კავშირში — 2,8 ათას მანეთს.<sup>23</sup> არაწარმოებითი ძირითადი ფონდების სტრუქტურაში როგორც რესპუბლიკაში, ასევე კავშირში უმეტესი წევრიწილი უჭირავს საბინაო მეურნეობას, რომელიც დიდად გამოხატავს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ ზრდას.

<sup>22</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 48; Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 49; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 19; Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г., с. 19.

<sup>23</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 5, 48; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 4, 19.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების დონეს მნიშვნელოვნად ახასიათებს აგრეთვე, მომსახურების მოცულობის მაჩვენებლები: მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა, საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობა, მოსახლეობის დანახარჯები ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობაზე, სხვა ფასიან მომსახურებაზე და ა. შ. სტატისტიკური მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამ მხრივ რესპუბლიკაში მოხდა პროგრესული ძვრები. მაგალითად, როგორც დანართში მოცემული № 11 ცხრილიდან ჩანს, თუ 1965 წელს საქართველოს სსრ მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მხრივ ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს, 1985 წელს უკვე აღემატებოდა მას და ამ მაჩვენებელმა ნაცვლად 7,19 მანეთისა, შეადგინა 45,24 მან. მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ ამ მაჩვენებლის მიხედვით, კავშირში ჯერ კიდევ, მეხუთე ადგილზეა. თუ შევუდარებთ ისეთ მოწინავე რესპუბლიკას, როგორცაა ლატვია. იქ გაცილებით მაღალია მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის მაჩვენებელი. 1985 წელს იგი შეადგენდა 63, 53 მანეთს. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი მაჩვენებლების მიხედვითაც, როგორცაა მოსახლეობის 10 ათას სულზე სპეციალისტების გამოშვება საშუალო სპეციალური საწავლებლებიდან, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხოვნობა, საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა. საჯადმყოფო საწოლების რაოდენობა. ლატვია წინ უსწრებს საქართველოს. ხოლო დასაქმება მის არაწარმოებით სფეროში 2,1 პუნქტით ნაკლებია, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში (იხ. დანართში ცხრილი №11). ეს მიუთითებს იმაზე, რომ შედარებით დაბალი დასაქმების პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს უფრო მაღალი შედეგები არაწარმოებით სფეროს განვითარებაში. ამიტომ არაწარმოებითი სფეროს განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანაა არაწარმოებლური შრომის ეფექტიანი გამოყენება.

რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ზღვომარეობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მის განვითარებაში. გაფართოვდა თანამედროვე ტიპის საწარმოთა ქსელი, დაინერგა და ინერჯება მომსახურების ახალი ფორმები. მიმდინარეობს საწარმოთა გამსხვილება და მათი აღჭურვა უფრო მწარმოებლური მოწყობილობებით. ძირითადად დასრულდა

საყოფაცხოვრებო მომსახურების, როგორც ახალი დარგის ფორმირება და იგი შევიდა სრულყოფის ფაზაში. რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების პროგრესულ ცვლილებებზე მიუთითებს შემდეგი მონაცემები: 1985 წელს საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობა, 1975 წელთან შედარებით, გაიზარდა 2,5-ჯერ, ხოლო სასოფლო ადგილებში — 4-ჯერ, რაც აღემატება საშუალო საკავშირო დონეს (სადაც საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა 1985 წელს, 1975 წელთან შედარებით, სასოფლო ადგილებში გაიზარდა მხოლოდ 2-ჯერ) და უზრუნველყოფს მთელ ქვეყანაში ყველაზე მაღალ ზრდის ტემპებს.<sup>24</sup>

შესაბამისად მიმდინარეობს ცვლილებები საყოფაცხოვრებო მომსახურების შიდადარგობრივ სტრუქტურაში. განვითარების მაღალი ტემპებით ხასიათდება საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი სახეები, როგორცაა საყოფაცხოვრებო მანქანებისა და მოწყობილობათა რემონტი, ლითონის ნაწარმის რემონტი და დამზადება, მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მქონე სატრანსპორტო საშუალებათა რემონტი და ტექნიკური მომსახურება, ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვა, სარიტუალო მომსახურება და სხვ.<sup>25</sup>

მიუხედავად სასოფლო ადგილებში საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის ზრდის მაღალი ტემპებისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია სხვაობა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობაში. მაგალითად, 1985 წელს მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა ქალაქში შეადგენდა 55.16 მანეთს, ხოლო სასოფლო ადგილებში — 33, 64 მანეთს, ე.ი. ქალაქის მოსახლეობის მომსახურების დონე 1.6-ჯერ აღემატებოდა ანალოგიურ მაჩვენებელს სოფლად.<sup>26</sup> ამასთან, ქალაქში საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვნად უფრო ფართო „ასორტიმენტი“ და მაღალი ხარისხია. ვიდრე სოფლად. ყოველივე ეს არა მხოლოდ ხელს უშლის სოფლის მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, არამედ აიძულებს სოფლის მცხოვრებლებს რიგი მომსახურების მიღებისათვის წავიდეს ქალაქ-

<sup>24</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 492—493.

<sup>25</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 231—232.

<sup>26</sup> საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით.

ში. ეს, რა თქმა უნდა, იწვევს სამუშაო ძალის მოცდენას სოფლად და დროის დიდ დანაკარგებს. ამიტომ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების დონეში დისპროპორციების ლიკვიდაციას. ზოგჯერ ცალკეულ რაიონში საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება ეკონომიკურად შეიძლება არ არის ხელსაყრელი, მაგრამ აუცილებელია ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის, ამიტომ საყოფაცხოვრებო მომსახურება სწრაფად უნდა განვითარდეს ახლად ათვისებულ რაიონებში, საკურორტო ზონებში, ცხოვრებისათვის მძიმე პირობების მქონე რაიონებში და ა. შ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარება, რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, მოითხოვს მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასაც. ორივეს ერთად - კი, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებს საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, მათი კონცენტრაცია და უნივერსალიზაცია, კომპლექსური მიმღები პუნქტების შექმნა, ახალი ტექნიკისა და ნოვინავე ტექნოლოგიის დანერგვა. დარგის უსრუნველყოფა მაღალკვალიფიციური კადრებით, საყოფაცხოვრებო მომსახურების ცალკეულ სახეებზე მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა, მომსახურების ახალი ფორმებისა და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვა, მომსახურების კულტურის ამაღლება და სხვ. რესპუბლიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სახის საყოფაცხოვრებო მომსახურების გადიდებას, რომელიც გვაძლევს შედარებით მაღალ ეფექტს დროის დანახარჯების შემცირებაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სამრეცხაოების ქსელის ფართოდ განვითარებას. ამჟამად სამრეცხაოების როგორც რაოდენობა, ასევე სიმძლავრე არ არის საკმარისი. მოსახლეობის სრული დაკმაყოფილება კომუნალური სამრეცხაოებით მოითხოვს დიდ დროს და ხარჯებს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მთავარ ქალაქებში დანერგილ იქნეს საცხოვრებელ სახლებთან არსებული სამრეცხაოები, რომლებიც არ მოითხოვენ დიდ კაპიტალდაზღვრებებს და საშუალებას მოგვცემს სწრაფად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება თეთრეულის მექანიზებული რეცხვით, მით უმეტეს ასეთი სახის „საბინაო“ სამრეცხაოები არსებობს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა ძირითადი ფონდების ეფექტიანი გამოყენება,

ვინაიდან მათი გამოყენების გაუმჯობესებაზე ბევრადაა დამოკიდებული დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება. საქართველოს სსრ-ში ზემოთ ჩამოთვლილ ამოცანათა განხორციელება მნიშვნელოვნად აამაღლებს საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების დონეს.

მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება სულ უფრო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სფეროს. ამკამად საქართველოს სსრ-ში მოსახლეობის ერთ სულზე სასელმწიფო და კოლბერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით, ჩამორჩება შესაბამის საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. სახელდობრ, 1985 წლის მონაცემებით საბჭოთა კავშირში იგი შეადგენდა 1168 მანეთს, ხოლო საქართველოში — 1023 მანეთს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მატების ტემპით ჩვენი რესპუბლიკა აღემატება საშუალო საკავშირო დონეს და ხასიათდება ზრდის ტენდენციით: თუ 1975 წელს, 1965 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებლის მატების ტემპი საქართველოს სსრ-ში შეადგენდა 91%-ს და მხოლოდ 8 პუნქტით აღემატებოდა შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს, 1985 წელს 1970 წელთან შედარებით, მან აგრეთვე შეადგინა 91% და 23 პუნქტით გაუსწრო კავშირის შესაბამის მაჩვენებელს.<sup>27</sup> ეს მიგვანიშნებს იმაზე, რომ ახლო მომავალში საქართველოს სსრ გაუთანაბრდება საშუალო საკავშირო დონეს მოსახლეობის ერთ სულზე საცალო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების მოცულობის მხრივ. ამის უზრუნველყოფაში კი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს შეასრულებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და სრულყოფა, პროგრესული მომსახურების ფორმების დანერგვა, მათში დასაქმებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენება.

საქართველოს სსრ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დონის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში. როგორც მეორე თავის მესამე პარაგრაფში გვქონდა აღნიშნული, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაწარმოებითი სფეროს დარგებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ რესპუბლიკაში? როგორც სტა-

<sup>27</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 466.

ტისტიკური მასალების ანალიზმა გვიჩვენა 1985 წელს, 1965 წელთან შედარებით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ანაზღაურებები და შეღავათები გაიზარდა 3,5-ჯერ და შეადგინა 2318,3 მლნ. მან., ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე — 3,0-ჯერ და გაუტოლდა 446, 2 მანეთს.<sup>28</sup> თუ შევედარებთ ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებლებს, ზრდის ტემპებით რესპუბლიკა ოდნავ აღეჭატება საშუალო საკავშირო დონეს. სახელდობრ, თუ 1985 წელს, 1965 წელთან შედარებით, საქართველოში ზრდის ტემპები შესაბამისად შეადგენდა 346,6% და 298,9%-ს, კავშირის მასშტაბით შეადგინა — 350,8% და 291,2%.<sup>29</sup> კავშირთან შედარებით ასევე უფრო სწრაფად იზრდება რესპუბლიკაში როგორც მოსახლეობისადმი სახელმწიფოს მიერ გაწეული ფულადი ანაზღაურებები (სტიპენდიები, პენსიები, დახმარებები), ასევე რიგი უფასო მომსახურება (უფასო სწავლება, უფასო სამედიცინო მომსახურება და ა. შ.).<sup>30</sup>

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებაში მომსახურების რაოდენობრივი მაჩვენებლების გადიდებასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს მის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებასაც. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო დაწესებულებათა რაციონალურ განლაგებას და მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების სწორ ორგანიზაციას. არცთუ იშვიათად სამედიცინო დაწესებულებები განლაგებულია დასახლებული პუნქტებიდან დაცილებით. ამიტომ მათი ხელმისაწვდომ, მოხერხებულ ადგილებზე განლაგება, სამედიცინო მომსახურების დანერგვა უშუალოდ სახელმწიფო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში დიდად შეუწყობს ხელს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას, უზრუნველყოფს ავადმყოფობის დროზე გამოვლენას, მის თავიდან აცილებას და საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად აამაღლებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

უფასო მომსახურების განვითარება ხელს უწყობს მშრომელთა

<sup>28</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1980 г., с. 156—157; Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 180

<sup>29</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 381; Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 412.

<sup>30</sup> გამოთვლილია: Народное хозяйство Грузинской ССР в 1985 г., с. 180; Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 412.

სხვადასხვა ფენების ცხოვრების დონეში განსხვავების შემცირებას. დიდია მისი როლი მუშებსა და კოლმეურნე გლეხობის ცხოვრების დონის გათანაბრებაში. სასოფლო ადგილებში არაწარმოებითი დარგების ინტენსიური განვითარება დაკავშირებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოების პროცესთან და ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების გაქრობასთან.

აირიგად, ჩვენი რესპუბლიკის არაწარმოებით სფეროს გარკვეული წვლილი შეაქვს მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში, საზოგადოების კეთილდღეობისა და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფაში, სკკპ და საქართველოს კვ XXVII ყრილობების მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებაში.

გეგმავსომიერება, როგორც სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სპეციფიკური ფორმა, მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ წარმოებას, არამედ არაწარმოებით სფეროსაც. სოციალისტური საზოგადოების შემდგომი პროგრესი მოითხოვს დაგეგმვის მეცნიერული დონის ამაღლებას, როგორც მატერიალური წარმოების, ასევე არაწარმოებითი სფეროს პერსპექტიული პროგნოზირების შემუშავებას. ამ უკანასკნელთან კი მჭიდრო კავშირშია არაწარმოებითი სფეროს განვითარების კომპლექსური დაგეგმვის მეთოდოლოგიური საკითხები, რომლებიც ნაკლებადაა დამუშავებული ტერიტორიულ ასპექტში.

მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს დაგეგმვა და პროგნოზირება არსებითად ერთი და იგივე ძირითადი პრინციპებით ხასიათდება. ამასთან, არაწარმოებით სფეროს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რომლის გათვალისწინება მისი ოპტიმალური განვითარების საფუძველია.

არაწარმოებითი სფეროს კომპლექსური დაგეგმვა მატერიალური წარმოების მსგავსად ძირითადად დამოკიდებულია: ჯერ ერთი, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ოპტიმალურ განსაზღვრაზე; მეორე, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობებზე (მატერიალურ, შრომით და ფინანსურ რესურსებზე); მესამე, მოსახლეობის ზრდის ტემპებზე. მიუხედავად ამისა, სოციალისტური დაგეგმვის ეს კარდინალური პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნეს მატერიალური წარმოების დარგთა პროგნოზირების ანალოგიურად. არაწარმოებითი სფეროს დაგეგმვის ოპტიმიზაცია, პირველ რიგში, მოითხოვს საზოგადოების სადღეისო და სამომავლო მოთხოვნილებათა პარა-



შეტრების დადგენას. ამასთან, იგი გულისხმობს არსებული მატერიალური და შრომითი რესურსების ღრმად შესწავლას, მათ რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების გათვალისწინებას. არაწარმოებითი სფეროს კომპლექსური განვითარება მოითხოვს იმ რესურსების ზუსტ განსაზღვრას, რომლებიც გამოიყოფა მატერიალური წარმოებიდან ამ სფეროს დარგთა განვითარებისათვის.

მატერიალური და შრომითი რესურსების გამოყენებაში განსხვავებულ როლს ასრულებს მატერიალური წარმოება და არაწარმოებითი სფერო, რაც ძირითადად განპირობებულია ამ სფეროთა განვითარების სპეციფიკური თავისებურებებით. მაგალითად, თუ მატერიალურ წარმოებაში შრომის ფონდშეიარაღების ზრდა იწვევს სამუშაო ძალის ეკონომიას, არაწარმოებით სფეროში ამ კანონზომიერების მოქმედება ძალზე შეზღუდულია. რიგ დარგებში ცოცხალი შრომის განივთებული შრომით შეცვლის შესაძლებლობა მტკიცე ჩარჩოებშია ჩასმული, ხოლო ზოგიერთ დარგში საერთოდ არ არსებობს.

რაც შეეხება წარმოებითი და არაწარმოებითი დარგების მატერიალურ დანახარჯებს, ისინი სხვადასხვა ფონდებს შეადგენენ ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში. სახელდობრ, მატერიალური წარმოების სფეროში ეს დანახარჯები ქმნიან ანაზღაურების ფონდს, ხოლო არაწარმოებით სფეროში წარმოადგენენ მოხმარების ფონდის ნაწილს ეროვნულ შემოსავალში.\* აქედან გამომდინარე, არაწარმოებით დარგებში მატერიალური რესურსების გამოყენება ხასიათდება რიგი თავისებურებით. მაგალითად, მატერიალური წარმოების სფეროში ცალკეული დარგების პროდუქციის ზრდა ან შემცირება დამოკიდებულია მატერიალური დანახარჯების დონეზე, ამდენად, მასალატევადობის შემცირება წარმოების ეფექტიანობის ზრდის მაჩვენებელია. რამდენადმე განსხვავებულ სურათს აქვს ადგილი არაწარმოებით სფეროში. რა, თქმა უნდა, მატერიალური დანახარჯების რაციონალური გამოყენება ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის აუცილებელი წინამძღვარია, მაგრამ არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთ დარგში მატერიალურ დანახარჯთა შემცირება არ არის პირველხარისხოვანი ამოცანა. პი-

\* ასეთივე ინტეგრალურ მიდგომას აქვს ადგილი კაპიტალბანდების მიმართაც: მისი ერთი ნაწილი გადადის ანაზღაურების ფონდში, ხოლო მეორე ნაწილი — დარგების ფონდში.

რიქით, რიგ შემთხვევაში მისი ზრდა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პირობაა. ასე მაგალითად, განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, კულტურის დაწესებულებებში და სხვ. მომსახურების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მატერიალური დანახარჯების დონეზე.\*

როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებრივი მოთხოვნების განსაზღვრა მომსახურებაზე არის ის ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი პუნქტი, რომელსაც უნდა დაეყრდნოს არაწარმოებითი სფეროს კომპლექსური განვითარება და პროგნოზირება.

მოსახლეობის მოთხოვნებიანი მომსახურებაზე შეიძლება დასაბუთებულ იქნეს არაწარმოებითი სფეროს ცალკეული დარგის განვითარების დახასიათებით. ზოგიერთ დარგში მომსახურება გამოიხატება ნატურალური მაჩვენებლებით და ახასიათებს ამ დარგის მატერიალური ბაზის განვითარების დონეს. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვაში — თუ რამდენი საწოლი მოდის მოსახლეობის განსაზღვრულ რიცხოვნობაზე, ანდა საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების დამახასიათებელია, თუ რამდენი კვ. მეტრი ფართობი მოდის მოსახლეობის ერთ სულზე. არის დარგები, რომელთა განვითარების მახასიათებელია არა ნატურალური მაჩვენებლები, არამედ ფულადი ფორმით გამოხატული მომსახურება. მაგალითად, მოსახლეობის ფულადი გასაღები ფასიან მომსახურებაზე, სატრანსპორტო ხარჯები, ხარჯები კავშირგაბმულობაზე, საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე და ა. შ. აქედან გამომდინარე, არაწარმოებითი სფეროს ამა თუ იმ დარგის პროგნოზირება, თავის მხრივ, სპეციფიკური ამოსავალი პუნქტებით ხასიათდება. მაგალითად, განათლების პროგნოზირება ეფუძნება დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებასა და დარგობრივ სტრუქტურაში ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით არ მიგვაჩნია მართებულად ვ. მ. რუტგაიზერის შეხედულება, რომელიც ამ მაჩვენებლებთან ერთად, განათლების პროგნოზირებისათვის სავალდებულო მონაცემებად მოსახლეობის ერთ სულზე

\* რა თქმა უნდა, მატერიალური დანახარჯების ზრდა ამ დარგებში მოითხოვს რაციონალურ, ნორმატულ ხარჯვას. მაგ., სწავლამყოფოთა, სანატორიუმების, სკოლების და ა. შ. ქსელის ზრდა წინასწარ განაპირობებს მატერიალური, ფულადი და შრომითი დანახარჯების განუხრებლ ამალვას, მაგრამ ამ დანახარჯების გვეგმაზომიერი და რაციონალური გამოყენება მომპირნეობის რეეიშის უპირველესი მოთხოვნაა.

ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელს მიიჩნევს.<sup>31</sup> ამ უკანასკნელით რომ განგვესაზღვრა განათლების განვითარების ტემპები, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, რა თქმა უნდა, ვერ დავეწეოდით და მით უფრო ვერ გავუსწრებდით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რაც ჩვენი ეკონომიკის აღმავლობის ხელშემშლელი ფაქტორი გახდებოდა.

სამედიცინო მომსახურების პროგნოზირება ითვალისწინებს დაავადების მხრივ პერსპექტივაში მოსალოდნელ ცვლილებებს, მის სტრუქტურაში ცვლილებებს, ცალკეულ დაავადებათა მკურნალობის ეფექტიანობას და ა. შ. დაავადებათა პროგნოზირება განსაზღვრავს საწოლთა ოდენობას მოსახლეობის ყოველ ათას სულზე. სამედიცინო მომსახურების პროგნოზირებაზე დიდ გავლენას ახდენს სამედიცინო მეცნიერების მიღწევათა ფართოდ დანერგვა სამკურნალო პრაქტიკაში (დიაგნოსტიკის და მკურნალობის ახალი მეთოდები, სამედიცინო საშუალებები და ა. შ.).

საბინაო-კომუნალური მეურნეობის პერსპექტიული პროგნოზირება ეყრდნობა მოსახლეობის უზრუნველყოფას საცხოვრებელი ფართის რაციონალური ნორმატივებით, რომელიც უნდა იცვლებოდეს და იცვლება კიდევ მოსახლეობის საოჯახო სტრუქტურის და რიცხოვნობის ცვლილებასთან ერთად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს დემოგრაფიული მაჩვენებლებიც, კერძოდ, ბუნებრივი მატება როგორც მოცემულ პერიოდში, ასევე პერსპექტივაში. ნაკლებმნიშვნელოვანი როდია მიგრაციის ინტენსიფიკაციის პრობლემა „სოფელი-ქალაქი“. ამის საფუძველზე ქალაქის მოსახლეობის, განსაკუთრებით დიდი ქალაქების მოსახლეობის ზრდა ან მისი ხელოვნური შეზღუდვა იურიდიული კანონმდებლობით, საბინაო-კომუნალური მეურნეობის პროგნოზირების ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი მაჩვენებელია. რასაკვირველია, ეს მაჩვენებლები იცვლებიან დროის გარკვეულ პერიოდში, ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვალებადობასთან ერთად.

მომსახურების საერთო მოცულობის გაანგარიშება ამოსავალი ბაზაა ფასიანი და უფასო მომსახურებათა თანაფარდობის დადგენისათვის. არაწარმოებითი სფეროს რიგი დარგები, როგორიცაა საცა-

---

<sup>31</sup> Рутгайзер В. М. Методологические проблемы комплексного планирования развития сферы услуг. В кн.: Сфера услуг и методологические проблемы ее долгосрочного планирования. М., 1974, с. 13.

ლო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სანახაობითი დაწესებულებანი ფასიან მომსახურებას უწევენ მოსახლეობას, ისეთი დარგები კი, როგორცაა განათლება და ჯანმრთელობის დაცვა იმყოფებიან საბიუჯეტო დაფინანსებაზე და უფასო მომსახურებას უწევენ მოსახლეობას. რიგ დარგებში (მეცნიერება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა) საბიუჯეტო დაფინანსება ერწყმის სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გამოყენებას. საკრედიტო და სადაზღვევო ორგანიზაციები უპირატესად მომსახურებას უწევენ საწარმოებსა და დაწესებულებებს.

მომსახურების საერთო მოცულობაში შედის: ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საერთო პროდუქცია, საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯები, იმ დარგთა საერთო პროდუქცია, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობას წყლით, გაზით, ელექტროენერგიით, სამგზავრო ტრანსპორტზე მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯები, არაწარმოებითი დანიშნულების კავშირგაბმულობაზე მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯები, საზოგადოების დანახარჯები ჯანმრთელობის დაცვაზე, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე, საზოგადოების დანახარჯები განათლების, კულტურისა და ხელოვნების დარგთა შენახვისათვის და ა. შ.

მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ფასიან მომსახურებაზე ემყარება საექსპერტო შეფასებას. აქ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესწავლას. ამ გარემოებას მჭიდროდ უკავშირდება გადახდისუნარიან მოთხოვნათა შესწავლა. მოსახლეობის შემოსავლების ზრდასთან ერთად, თანდათანობით მცირდება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებანი და იზრდება გადახდისუნარიანი მოთხოვნა.

არაწარმოებითი სფეროს პროგნოზირება მოიცავს: ა) მისი განვითარებისათვის საჭირო რესურსების განსაზღვრას; ბ) მისი ზრდის ტემპების, სტრუქტურისა და დარგთაშორისი პროპორციების განსაზღვრას; გ) მისი საერთო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა განსაზღვრას. ამასთან დაკავშირებით შესწავლილ უნდა იქნეს ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა კაპიტალდაბანდებათა მოცულობა და სტრუქტურა, შრომითი რესურსების მოცულობა და სტრუქტურა, მატერიალური დანახარჯების მოცულობა და სტრუქტურა, საფინანსო რესურსების მოცულობა და ა. შ.

არაწარმოებითი სფეროს პროგნოზირება წარმოშობს მთელ რიგ

პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ ოპტიმალურ გადაწყვეტას. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება ერთობლივი რესურსების გამოყენებაში არაწარმოებითი დარგების ხვედრიწილის განსაზღვრის საკითხს. მაგალითად, არაწარმოებით სფეროში შრომითი რესურსების დაუსაბუთებელმა გადიდებამ შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს მატერიალური წარმოების მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე და ამით უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის განვითარებაზე. ეს, თავის მხრივ, ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ფონდის მოცულობის შემცირებას გამოიწვევს და ბუნებრივია, არაწარმოებით დაგროვებისაც, რასაც მოჰყვება არაწარმოებითი დარგების განვითარების ტემპების შენელებაც. ამასთან დაკავშირებით უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს ოპტიმალური თანაფარდობის განსაზღვრას. არსებითად საკითხი ეხება მატერიალური დოვლათის უშუალო მწარმოებელსა და არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა თანაფარდობას. არაწარმოებითი სფეროს არაკანონზომიერი ზრდა ნიშნავს მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ეროვნული შემოსავლის დაუსაბუთებელ ხარჯვას, მის ფლანგვას. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში არაწარმოებითი სფეროს ზრდარიგ შემთხვევებში არ შეესაბამება მეცნიერულად დასაბუთებულ პარამეტრებს და არ არის განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებით. ჩვენი აზრით, არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ მატერიალური წარმოების ზრდითა და ამ სფეროში შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე, არამედ თვით არაწარმოებითი სფეროს დარგთა ეფექტიანობის მაჩვენებლების მიხედვითაც. ამა თუ იმ ორგანიზაციის, საკვლევი ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლის, სავაჭრო ობიექტების, სპეციალური საშუალო სასწავლებლების და ა. შ. შექმნა უნდა ემყარებოდეს სამეურნეო ანგარიშის და ეფექტიანობის პრინციპს.

ამრიგად, არაწარმოებით სფეროში დასაქმების პროგნოზირებას უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. პროგნოზირების ამოსავალი პუნქტია მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების ეკონომიკური ანალიზი. არაწარმოებითი სფეროს ამა თუ იმ დარგს ან დარგთა ჯგუფს ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში. მაგალითად,

მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურება ძირითადად ზორციელდება ისეთი დარგებით, როგორცაა განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, ხელოვნება, ფიზკულტურა, სოციალური უზრუნველყოფა. ეს დარგები არსებითად სულიერი დოვლათის მწარმოებელია, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს და ხელს უწყობს ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ამასთან, სოციალურ-კულტურული მომსახურების დარგები ქმნიან რა პირობებს მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენებისათვის, ხელს უწყობენ პიროვნების ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას.

ისეთი დარგები, რომლებიც მოიცავენ მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს (საცალო ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, სამგზავრო ტრანსპორტი, მოსახლეობის მომსახურე კავშირგაბმულობა) დიდ როლს ასრულებენ თავისუფალი დროის გადიდებასა და სამუშაო დროის დანახარჯების შემცირებაში. ასეთი მომენტების გათვალისწინებას და თითოეული დარგის სპეციფიკის გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასაქმების პროგნოზირებაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის პერსპექტიული განვითარების მონახაზების მიხედვით, 1990 წლისათვის არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწილი გაიზრდება 31, 2%-მდე, ხოლო 2000 წლისათვის — 32%-მდე.<sup>32</sup> ვინაიდან პერსპექტივაში შრომითი რესურსების მატება მკვეთრად შემცირდება, არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა რამდენადმე შეიზღუდება მატერიალური წარმოების სფეროდან (მთ შორის მრეწველობიდან და მშენებლობიდან) გამონთავისუფლებული სამუშაო ძალის ხარჯზე.

სოციალიზმის სრულყოფის პირობებში არაწარმოებითი სფეროს განვითარების პრობლემა მრავალმხრივია. ჩვენ განვიხილეთ მისი მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი ასპექტი, რომლებშიც გამოიკვეთა არაწარმოებითი სფეროს განვითარების როგორც საერთო კანონზომიერებანი, ასევე რეგიონული თავისებურებანიც.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე

<sup>32</sup> საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მასალებიდან.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონული პრობლემების შესწავლას დიდი როლი ენიჭება რეგიონული ეკონომიკის დაგეგმვის სრულყოფაში, არაწარმოებითი სფეროს განვითარების ეფექტიანი გზების განსაზღვრაში. ამრიგად, იგი მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემაა და მამასადამე, ეკონომიკური მეცნიერების აქტუალური ამოცანაც.

არაწარმოებითი სფეროს მზარდი როლი სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა განხორციელებაში მოითხოვს ფართოდ იქნეს გამოკვეთილი მოცემული სფეროს პოლიტეკონომიკური საკითხები, შემუშავებულ იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომლებიც განაპირობებენ მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას არაწარმოებითი სფეროს განვითარებისათვის.

## დ ა ს კ ვ ნ ა

არაწარმოებითი სფეროს სოციალურ-ეკონომიკური არსის, ფუნქციებისა და მისი განვითარების რეგიონულ თავისებურებათა ანალიზიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნები:

ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა მოიცავს როგორც მატერიალურ წარმოებას, ასევე არაწარმოებით სფეროს. ეკონომიკურ ურთიერთობას არაწარმოებით სფეროში აქვს წარმოებული ხასიათი. იგი წარმოებულია არა მარტო ძირითადი წარმოებითი ურთიერთობიდან, არამედ მატერიალური წარმოების წარმოებითი ურთიერთობის მთელი სისტემიდან. არაწარმოებითი სფეროს ეკონომიკური ურთიერთობა საზოგადოების ეკონომიკური ბაზისის ორგანული ნაწილია. საკუთრივ მატერიალური წარმოების წარმოებითი ურთიერთობიდან წარმოებული განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ურთიერთობა განსაზღვრავს არაწარმოებითი სფეროს ცალკეულ დარგთა ადგილს ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ამასთან, არაწარმოებითი სფერო მოიცავს იმ ეკონომიკურ ურთიერთობას, რომელიც წარმოიქმნება არამატერიალურ სახმარ ღირებულებათა კვლავწარმოების პროცესში.

შრომის პროდუქტის ნივთობრივი ფორმა, მისი კვლავწარმოებლურობა, ან შრომის პროცესის შინაარსი (მიმართულება) არ არის საკმარისი მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებითი სფეროს გამიჯვნისათვის. სახალხო მეურნეობაში მათი გამიჯვნის განმსაზღვრელი კრიტერიუმია ღირებულებისა და ეროვნული შემოსავლის შექმნა. ეს უკანასკნელი იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში, არაწარმოებით სფეროში კი — არა.

შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში სხვადასხვა დარგთა როლის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის დარგთა არსებული კლასიფიკაცია, მიუხედავად ეკონომიკურ ლფტერატურაში წა-



მოყენებული არგუმენტებისა, არ მი.ითხოვს არსებით ცვლილებებს. თუმცა საჭიროებს ზოგიერთი დარგის მიმართ მნიშვნელოვან დაზუსტებას: ა) მატერიალური წარმოების სფეროში უნდა შევიდეს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ის ფუნქციები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების პროცესის მიმოქცევის სფეროში გაგრძელებასთან, ხოლო არაწარმოებით სფეროში — ის ფუნქციები, რომლებიც უკავშირდება ყიდვა-გაყიდვის პროცესს, მის ორგანიზაციას; ბ) სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სატვირთო ტრანსპორტი სამართლიანადაა შეტანილი მატერიალური წარმოების სფეროში, ვინაიდან მისი სასარგებლო ეფექტი, ღირებულების სახით, გადაეცემა ახლად შექმნილ პროდუქციას, სამგზავრო ტრანსპორტის ეფექტი კი გამოიყენება პირადი მომსახურებისათვის. მაგრამ სატვირთო ტრანსპორტის სასარგებლო ეფექტი ყოველთვის არ გადაეცემა ღირებულების სახით ახლად შექმნილ პროდუქციას, სახელდობრ, არაწარმოებითი დარგებისა და მოსახლეობის მომსახურებისას. რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში საერთოდ არ წარმოადგენს მსჯელობის საგანს. იგი, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, სტატისტიკურ ორგანოებს, სატრანსპორტო მომსახურების სახით, შეტანილი აქვთ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, რაც არ მიგვაჩნია სწორად და მოითხოვს დაზუსტებას.

არაწარმოებით სფეროსაგან უნდა განვასხვაოთ მომსახურების სფერო როგორც ფართო გეგმით (сфера услуг), ისე ვიწრო გაგებით (сфера обслуживания); პირველი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე არაწარმოებითი სფერო, ხოლო მეორე — მოიცავს არაწარმოებითი 'სფეროს მხოლოდ ზოგიერთ დარგს. ეკონომიკურ ლიტერატურაში მათ ხშირად მიიჩნევენ იდენტურ ცნებებად, რაც არ არის სწორი და მოითხოვს დაზუსტებას.

შრომის საზოგადოებრივი ფორმა განსხვავებულია მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროში.

მწარმოებლური და არამწარმოებლური შრომა კონკრეტულ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიებია, რომელთა არსი შეიძლება ახსნილ იქნეს არა შრომის ტექნოლოგიური შინაარსით ან კონკრეტული ფუნქციით, არამედ შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციით. სოციალისტურ საზოგადოებაში, ისე როგორც სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში, მწარმოებლურ და არამწარმოებლურ შრომას გამოვლენის სპეციფიკური ფორმები აქვს.

სოციალიზმის დროს მწარმოებლური შრომის ცნების განსაზღვრი-  
სას უნდა გიხილმძღვანელოთ მარქსისტული მეთოდოლოგიით და არ  
უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმ მითითებით, რომ მწარმოებლუ-  
რი შრომა მატერიალური დოვლათის შემქმნელი შრომაა. სოციალიზ-  
მის დროს მწარმოებლური შრომა საზოგადოებრივად ორგანიზებუ-  
ლი, სოციალისტური კვლავწარმოების სისტემაში ჩართული შრომაა.  
იგი უშუალო საზოგადოებრივი შრომის ის ნაწილია, რომელიც „ერ-  
თობლივი მუშის“ ერთ-ერთ ქვეფუნქციას ასრულებს და უზრუნველ-  
ყოფს ეროვნული შემოსავლის შექმნას. არამწარმოებლური შრომა  
საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ის ნაწილია, რომელიც  
უშუალოდ არ ქმნის ახალ ღირებულებას, ეროვნულ შემოსავალს,  
მაგრამ არაპირდაპირი გზით ზემოქმედებს მატერიალურ წარმოებაზე  
და ემსახურება საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებას.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომიდან უნდა გამოვაცალკე-  
ოთ საზოგადოებრივად არასასარგებლო შრომა, რომელიც ხელს უშ-  
ლის სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარებას,  
აფერხებს საწარმოო ძალების ზრდას და ზარალი მოაქვს საზოგა-  
დოებისათვის. ეკონომიკურ ლიტერატურაში შრომის ეს სახე გაიგი-  
ვებულია მწარმოებლური თუ არამწარმოებლური შრომის კატეგო-  
რიასთან, რაც მეცნიერულად არ არის არგუმენტირებული.

არაწარმოებითი სფეროს მკვეთრად განსხვავებულ დარგთა ერთ  
სფეროში გაერთიანებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ამ  
დარგების მუშაკთა შრომის სასარგებლო ეფექტი გამოდის მომსახუ-  
რების სახით. მომსახურება შრომის ეკონომიკური ფორმაა, მას ღი-  
რებულება არა აქვს, მაგრამ განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირო-  
ბებში ქმნის ღირებულებას. განასხვავებენ მატერიალურ და არამა-  
ტერიალურ ანუ წმინდა მომსახურებას. მატერიალური მომსახურე-  
ბის დროს შრომა განივთდება საგანში, ხოლო არამატერიალური  
მომსახურება არ ქმნის ნივთობრივ პროდუქტს, იგი შრომის სასარ-  
გებლო ეფექტია, რომელიც მოიხმარება მისი წარმოების პროცესში.  
ღირებულების შექმნის მიხედვით განასხვავებენ მატერიალური მომ-  
სახურების I და II სახეს. მატერიალური მომსახურების I სახე  
ქმნის ღირებულებას, ხოლო მატერიალური მომსახურების II სახე  
არ ქმნის ღირებულებას. მატერიალური მომსახურების I სახე ვლინ-  
დება მწარმოებლური შრომის ფორმით. მატერიალური მომსახურე-

ბის II სახე და არამატერიალური მომსახურება არამწარმოებლური შრომის სოციალურ-ეკონომიკური ფორმებია.

არაწარმოებითი სფერო ქმნის პირობებს მატერიალურ წარმოებაში წარმოებით ურთიერთობათა არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი კვლავწარმოებისათვის. მეცნიერება, განათლება და არაწარმოებითი სფეროს სხვა დარგები ხელს უწყობენ სახალხო მეურნეობის ახალი დარგებისა და ქვედარგების წარმოშობას, პროდუქციის ახალი სახეებისა და შრომითი საქმიანობის ახალი სფეროების წარმოქმნას, წარმოების სპეციალიზაციასა და ინტენსიფიკაციას, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმების განვითარებას.

არაწარმოებითი სფეროს ზემოქმედება საწარმოო ძალების განვითარებაზე გამოიხატება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გაღრმავებაში, შრომითი რესურსების სულ უფრო რაციონალურ გამოყენებაში, საერთო-საგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების გზით სამუშაო ძალის გაფართოებული კვლავწარმოების უზრუნველყოფაში, თავისუფალი დროის საწარმოო დანიშნულების ზრდაში, წარმოების როგორც ნიეთობრივი, ისე პიროვნული ფაქტორების განვითარებაში.

არაწარმოებითი სფერო, როგორც სახალხო მეურნეობის რთული კომპლექსი, ქმნის პირობებს სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარებისათვის. მისი მეშვეობით ხორციელდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების რეალიზაცია, ახალი ადამიანის ფორმირება. იგი სულიერი სიმდიდრის შექმნის წყაროა და მატერიალური დოვლათის მოხმარების მნიშვნელოვანი მარეგულირებელი. არაწარმოებითი სფერო დიდ როლს ასრულებს ქალთა ეკონომიკური თანასწორობის მიღწევაში. იგი ზემოქმედებს თავისუფალი დროის ფორმირებასა და გადიდებაზე, ხელს უწყობს საზოგადოების იდეურ-პოლიტიკურ ერთიანობას, კლასების, სოციალური ჯგუფების დაახლოებას.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნათა ჟანხორციელებას აქვს მკვეთრად გამოხატული რეგიონული ასპექტი, ვინაიდან, საზოგადოების ყველა წევრის სრული კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია მოსახლეობის ცხოვრების წესსა და დონეში არსებითი რეგიონული განსხვავების მოსპობის გარეშე.

მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონე, მისი მოცულობა და სტრუქტურა განისაზღვრება, ერთი მხრივ, მოსახლე-

ობის შემოსავლებით, ხოლო მეორე მხრივ, არაწარმოებითი სფეროს განვითარების დონით. არაწარმოებითი სფეროს განვითარება ხელს უწყობს რეგიონული პოლიტიკის წარმატებით გადაწყვეტას — ქვეყნის ცალკეული რეგიონების მოსახლეობის ცხოვრების დონეთა სისტემატურ გათანაბრებას.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების რეგიონულ თავისებურებებს განსაზღვრავს: 1. რეგიონში მატერიალური წარმოების განვითარების დონე და თავისებურებანი; 2. მოსახლეობის სოციალური, ეროვნული, სქესობრივი, ასაკობრივი სტრუქტურა; 3. მოსახლეობის რიცხოვნობა და სიმჭიდროვე; 4. ბუნებრივ-კლიმატური პირობები; 5. მოსახლეობის ურბანიზაციის პროცესი; 6. არაწარმოებითი სფეროს ცალკეულ დარგთა ეკონომიკური განვითარების დონე. ამ ფაქტორების გავლენით ჩვენი ქვეყნის მოკავშირე რესპუბლიკათა არაწარმოებითი სფეროები არათანაბრადაა განვითარებული, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ცალკეული დარგების მიხედვით.

არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ხვედრიწილით უნდა გამოირჩეოდეს ისეთი რესპუბლიკები, რომლებიც ინდუსტრიული განვითარების დონითა და მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ იმყოფებიან მოწინავე ადგილებზე, ხოლო ისეთი რესპუბლიკები, რომლებიც აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით ხასიათდებიან გაცილებით დაბალი დონით, არ მიგვაჩინია მიზანშეწონილად მათი არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი ხვედრიწილი.

საქართველოს სსრ არაწარმოებით სფეროსთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლებიც განაპირობებენ მისი განვითარების თავისებურებებს. ის გარემოება, რომ საქართველოს მერვე ადგილი უჭირავს კავშირში ინდუსტრიული განვითარების დონისა და მეექვსე ადგილი მოსახლეობის ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის წარმოების მხრივ მაშინ, როდესაც პირველი ადგილი არაწარმოებით სფეროში დასაქმებულთა ხვედრიწილის მიხედვით, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დონეს.

რესპუბლიკის არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაღალი დონის ერთ-ერთ მიზეზად მიგვაჩინია დასაქმების მეცნიერულად დაუსაბუთებელი ზრდა მის ზოგიერთ დარგში. ეს ეხება უმეტესად აღმინისტრაციულ-სამეურნეო სფეროს, საუწყებო ორგანიზაციებს; სხვა-

დასხვა სამმართველოების შუალედურ რგოლებს და ა. შ. სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპი საკვლევი ინსტიტუტებისა და საერთოდ არაწარმოებითი დარგების მიმართაც უნდა იქნეს გამოყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს და ხელს უწყობს შექმნილი მატერიალური დოვლათის მფლანგველურ გამოყენებას.

მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროში დასაქმების თანაფარდობის მაჩვენებელთან შედარებით. არაწარმოებით სფეროში დასაქმების დონის ზუსტი გამომხატველია მოსახლეობის ყოველ ათას სულზე არაწარმოებით სფეროში დასაქმების მაჩვენებელი. ამის მიხედვით საქართველოში გაცილებით მაღალია დასაქმება არაწარმოებით სფეროში, ვიდრე კავშირის მასშტაბით.

საქართველოს არაწარმოებით სფეროში. მცირეა ხვედრიწილი ახალგაზრდა კადრების და მაღალია ხანდაზმულებისა. ეს აიხსნება რიგი მიზეზებით და, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ არაწარმოებით სფეროში ფუნქციების შესრულება მოითხოვს კვალიფიკაციისა და სპეციალური ცოდნის მაღალ დონეს, რომლის შექმნასაც უნდა ხანგრძლივი პერიოდი, ხოლო დაბალი ხვედრიწილი ახალგაზრდებისა ისეთ პროფესიებში, როგორცაა გამყიდველები, საქმისმწარმოებლები და ა. შ. შეიძლება აიხსნას შრომის ამ საქმიანობის არასაკმაო საზოგადოებრივი აღიარებით და ახალგაზრდობის ცუდი პროფესიული მომზადებით.

რესპუბლიკაში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულთა გამოთავისუფლება, რომლის გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება არაწარმოებითი სფეროს განვითარებას.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კონცეფციიდან გამომდინარე, აუცილებელია გაძლიერდეს მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის დასაქმების სტრუქტურის განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების თეორიული დასაბუთება.

საქართველოს სსრ მოსახლეობის ერთ სულზე საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის მხრივ აღემატება საშუალო-საკავშირო დონეს, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უჭირავს მეხუთე ადგილი. თუ შევუდარებთ ისეთ მოწინავე რესპუბლიკას, როგორცაა ლატვია, იქ გაცილებით უფრო მაღალია აღნიშნული მაჩვენებელი. ამასთან, არაწარმოებითი სფეროს განვითარების

რიგი მაჩვენებლებით ლატვია წინ უსწრებს საქართველოს, ხოლო დასაქმება მის არაწარმოებით სფეროში 3,1 პუნქტით ნაკლებია, ვიდრე ჩვენს რესპუბლიკაში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შედარებით დაბალი დასაქმების პირობებში შეიძლება მიღწეულ იქნეს უფრო მაღალი შედეგები არაწარმოებით სფეროს განვითარებაში. საბოლოო შედეგების გადიდება სინქრონულად არ უნდა მიმდინარეობდეს დასაქმების შესაბამისი ზრდით, არამედ, იგი უნდა მიიღწეოდეს ცოცხალი შრომის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამალგების საფუძველზე.

რესპუბლიკაში არაწარმოებითი დანიშნულების კაპიტალდაბანდებათა ზრდის ტემპები, საშუალო საკავშიროსთან შედარებით, უფრო მაღალია, თუმცა როგორც მთელ ქვეყანაში, ასევე საქართველოშიც იგი ხასიათდება შემცირების ტენდენციით. კაპიტალდაბანდებათა ზრდამ შექმნა არაწარმოებითი ძირითადი ფონდების საერთო მოცულობის გადიდების მატერიალური წინამძღვრები. ჩვენს რესპუბლიკაში უფრო მაღალია არაწარმოებითი ძირითადი ფონდების ხვედრიწილი ძირითადი ფონდების საერთო რაოდენობაში, ვიდრე კავშირში, თუმცა იგი ხასიათდება შემცირების ტენდენციით. ამასთან, ზრდის ტემპების მხრივ ჩამორჩება საშუალო-საკავშირო დონეს და ხასიათდება არათანაბარი ზრდის ტემპით.

საქართველოს სსრ მოსახლეობის ერთ სულზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მხრივ (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) ჩამორჩება შესაბამის საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს, მაგრამ მატების ტემპებით აღემატება მას და ხასიათდება ზრდის ტენდენციით.

მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ამალგებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არაწარმოებითი სფეროს დარგებს. ჩვენი რესპუბლიკა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან ანაზღაურებებისა და შეღავათების ზრდის ტემპებით აღემატება საშუალო-საკავშირო დონეს.

არაწარმოებითი სფეროს განვითარების პროგნოზირება, ჯერ ერთი, მოითხოვს საზოგადოების სადღეისო და პერსპექტიული მოთხოვნილებების პარამეტრების ზუსტ დადგენას და მეორე, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესაძლებლობების ზუსტ განსაზღვრას, იმ რესურსების რაოდენობრივ და თვისებრივ შესწავლას,

რომელიც საფუძვლად დაედება აღნიშნული სფეროს დარგთა პერ-სპექტიულ განვითარებას.

არაწარმოებითი სფეროს დაგეგმვას და პროგნოზირებას, მატერიალური წარმოებისაგან განსხვავებით, გააჩნია სპეციფიკური დამახასიათებელი თავისებურებები. მატერიალურ წარმოებაში შრომის ფონდშეიარაღება იწვევს შრომის ეკონომიას მაშინ, როდესაც არაწარმოებით სფეროში ამ კანონზომიერების მოქმედება შეზღუდულია. თუ მატერიალური წარმოების სფეროში მატერიალური დანახარჯების შემცირება ეფექტიანი მუშაობის მაჩვენებელია, არაწარმოებით სფეროში პირიქით, მისი გადიდება, რიგ შემთხვევაში, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი პირობაა. ამ თავისებურების გათვალისწინება არაწარმოებითი სფეროს განვითარების და პროგნოზირების აუცილებელი მომენტი.


არაწარმოებითი სფეროს ზოგიერთი დარგის განვითარებაში უპირატესობა ენიჭება ნატურალურ მაჩვენებლებს, ზოგში — ღირებულებითს, ხოლო რიგი დარგების განვითარება აუცილებელია დემოგრაფიული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

არაწარმოებითი სფეროს პროგნოზირებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთობლივ რესურსებში მის ხვედრიწილის განსაზღვრას, ოპტიმალური თანაფარდობის დადგენას მატერიალურ წარმოებასა და არაწარმოებით სფეროს შორის. არაწარმოებითი სფეროს არაკანონზომიერი ზრდა მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ეროვნული შემოსავლის დაუსაბუთებელი ხარჯვაა. სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ-ში არაწარმოებითი სფეროს ზრდა არ შეესაბამება მეცნიერულად დასაბუთებულ მონაცემებს და არ არის განსაზღვრული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებით. არაწარმოებითი სფეროს დარგთა განვითარება უნდა ხდებოდეს არა მხოლოდ მატერიალურ წარმოებაში შრომის ნაყოფიერების გადიდების, არამედ თვით არაწარმოებითი სფეროს დარგთა ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

და ნ ა რ თ ი

სქემა № 1

ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის სტრუქტურა





უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ხეივანი და მუშაკთა საერთო რიცხოვნობაში სსრკ სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით!

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები	1965	1970	1975	1980	1985
სულ სახალხო მეურნეობაში	12,6	15,8	19,5	22,8	25,8
აქედან:					
მრეწველობაში	8,8	11,8	15,4	18,8	22,0
ტრანსპორტში	5,6	7,6	9,8	11,7	13,4
კაპიტალშენობაში	7,6	9,0	12,4	15,7	19,1
მშენებლობაში	7,0	10,5	14,3	17,3	19,7
ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და დამზადებაში	8,3	10,9	14,4	18,4	22,0
მეცნიერებასა და მეცნიერულ მომსახურებაში	40,8	45,9	51,7	54,5	57,0
სახალხო განათლებასა, კულტურასა და ხელოვნებაში	46,0	46,0	47,6	48,5	51,4
ჯანმრთელობის დაცვაში, ფიზიკურ კულტურასა და სოციალურ უზრუნველყოფაში	43,0	46,0	49,7	53,8	56,3
საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში	2,6	3,8	5,6	7,6	9,6
დაკრედიტებასა და სახელმწიფო დაზღვევაში	33,7	33,5	37,2	42,4	50,5
სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ორგანოების აპარატში, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველობის ორგანოებში	53,0	57,5	62,8	65,8	71,3

<sup>1</sup> ცხრილი გამოთვლილი და შედგენილია ჩვენ მიერ შემდეგი მასალების საფუძველზე: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 391, 402—403; Народное хозяйство СССР в 1980 г., с. 369—370.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სტრუქტურა სსრ კავშირში  
(წლის ბოლოსათვის)<sup>2</sup>

	1940	1960	1970	1975	1980	1985
ანაზღაურებები და შეღავათები — სულ, მლრდ. მან.	4,6	27,3	63,9	90,1	116,5	147,0
მათ შორის:						
განათლებაზე	2,0	7,9	18,7	25,1	31,6	37,9
აქედან:						
სტიპენდიები	0,2	0,6	1,3	2,2	2,5	2,6
ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე	1,0	5,0	10,0	12,9	17,2	20,2
სოციალურ უზრუნველყოფასა და სო- ციალურ დაზღვევაზე	0,9	9,9	22,8	34,6	45,6	61,1
აქედან:						
პენსიები	0,3	7,1	16,2	24,4	33,3	45,0
დახმარებები	0,5	2,6	6,1	9,2	11,0	14,4
სახელმწიფო ხარჯები საცხოვრებელი ფონდის შენახვაზე	0,1	1,3	3,4	4,9	6,9	9,3
ანაზღაურებები და შეღავათები მოსა- ხლეობის ერთ სულზე, მანეთებში	24	127	263	354	441	530

<sup>2</sup> Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 412.

მეცნიერების განვითარების დონის ძირითადი მაჩვენებლები  
სსრ კავშირში (წლის ბოლოსათვის)<sup>3</sup>

	1950	1960	1965	1970	1975	1980	1985
სულ მეცნიერ მუშაკი (ათასი კაცი) მთი შორის აქვთ სამეცნიერო ხარისხი: მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერებათა კანდიდატის	162,5	354,2	664,6	927,7	1223,4	1373,3	1491,3
მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვიდან აქვთ სამეცნიერო წოდება (ათასი კაცი): პროფესორის, დოცენტის	8,9	9,9	12,5	18,1	22,9	27,4	31,0
უფროსი მეცნიერ მუშაკის უმცროსი მეცნიერ მუშაკის და ასისტენტის სულ აპირანტები	21,8 11,4 19,6 21905	36,2 20,3 26,7 36754	48,6 28,7 48,9 90294	68,6 39,0 48,8 91427	87,9 53,3 45,0 95675	110,7 66,0 41,1 96820	131,8 77,5 39,7 97352
მეცნიერებათა განვითარების მაჩვენებლები	მეგრე ხელოვანი (1966-1970)	მეცხბრე ხელოვანი (1971-1975)	მეათე ხელოვანი (1976-1980)	მეცხბრე ხელოვანი (1981-1985)	მეათე ხელოვანი (1976-1980)	მეათე ხელოვანი (1976-1980)	მეათე ხელოვანი (1981-1985)
ხარკები მეცნიერებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა წყაროებიდან (ლარდ. მან.)	46,4	77,0	97,9	131,2			

<sup>3</sup> შედგენილია: Народное хозяйство СССР в 1965 г., Стат. ежегодник. М., 1966, с. 709, 715; Народное хозяйство СССР в 1980 г.: Стат. ежегодник. М., 1981, с. 96; Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 64, 65, 67.

განათლების განვითარების დონის ძირითადი მაჩვენებლები სსრ კავშირში<sup>4</sup>

	მოსახლეობის 1 ათას სულზე კქონდათ მოცემული დონე განათლების							
	მთელი მოსახლეობა 10 წლის ასაკში და ზემოთ				დასაქმებული მოსახლეობა			
	1959	1970	1979	1985	1959	1970	1979	1985
უმადლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონე პირთა რიცხოვნობა	361	483	638	686	433	653	805	868
მათ შორის:								
უმადლესი საშუალო (სრული და არასრული)	23	42	68	82	33	65	100	116
	338	441	570	604	400	588	705	752

<sup>4</sup> შედგენილია: Основные показатели экономического и социального развития СССР за 1961--1985 гг. Вестник статистики, 1986, № 3, с. 58.

ჯანმრთელობის დაცვის განვითარების დონის ძირითადი მაჩვენებლები  
სსრ კავშირში (წლის ბოლოსათვის)<sup>5</sup>

	1940	1960	1970	1975	1980	1985
საავადმყოფო დაწესებულებათა რაოდენობა (ათასებში)	13,8	26,7	26,2	24,3	23,1	23,3
საავადმყოფო საწოლთა რაოდენობა (ათასებში)	791	1739	2663	3009	3324	3608
მათ შორის მოსახლეობის 10 ათას სულზე	40	80	109	118	125	130
სამკურნალო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებათა რაოდენობა (ათასებში)	36,8	39,3	37,4	35,6	36,1	39,1
ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხოვნობა (ათასებში)	155,3	431,7	668,4	834,1	995,6	1170,4
მათ შორის მოსახლეობის 10 ათას სულზე	7,9	20,0	27,4	32,6	37,5	42,0
საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა (ათასებში)	472	1388	2123	2515	2814	3159
ჯანმრთელობის დაცვასა და ფიზიკურ კულტურაზე გაწეული ხარჯები (მლრდ. მან.)	1,1	5,7	11,8	14,6	18,9	22,6
მათ შორის მოსახლეობის ერთ სულზე (მან.)	6	27	48	57	71	81

<sup>5</sup> შედგენილია: Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 8, 450, 539, 561.

მოკავშირე რესპუბლიკების ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის  
რიცხოვნობა (ათასი კაცი)<sup>6</sup>

	1940		პროცენტობით მთელი მოსახლეობის მიმართ		1985		პროცენტობით მთელი მოსახლეობის მიმართ	
	ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის	ქალაქის	სოფლის
სსრკ	63112	130965	33	67	182930	95854	66	34
რსფსრ	37926	72172	34	66	105268	38812	73	27
უკრაინის სსრ	14023	27317	34	66	33690	17304	66	34
ბელორუსიის სსრ	1925	7121	21	79	6319	3689	63	37
უზბეკეთის სსრ	1624	5021	24	76	7745	10742	42	58
ყაზახეთის სსრ	1815	4239	30	70	9223	6805	57	43
საქართველოს სსრ	1106	2506	31	69	2833	2401	54	46
აზერბაიჯანის სსრ	1212	2062	37	63	3617	3091	54	46
ლიტვის სსრ	674	2251	23	77	2389	1214	66	34
მოლდავეთის სსრ	332	2136	13	87	1895	2252	46	54
ლატვიის სსრ	662	1224		65	1854	768	71	29
ყირგიზეთის სსრ	332	1196	22	78	1607	2444	40	60
ტაჯიკეთის სსრ	293	1232	19	81	1553	3095	33	67
სომხეთის სსრ	375	945	28	72	2281	1081	68	32
თურქმენეთის სსრ	459	843	35	65	1552	1718	47	53
ესტონეთის სსრ	354	700	34	66	1104	438	72	28

<sup>6</sup> შედგენილია: Народное хозяйство СССР в 1970 г.: стат. ежегодник. М., 1971 г., с. 10, 11; Народное хозяйство СССР в 1985 г., с. 12—17.

